

# მ ლ ა მ ბ ე

თ გ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი

წელიწადი მეექვსე

№ X

მ ქ თ მ მ ბ მ რ ი , 1899

ტ ფ ი ლ ი ს ი

საბჭოთაო წიგნების გამომცემი ქვემო ქართული საბჭოთაო გამომცემლობა

1899

Доволено цензурою. Тифлисъ, 2-го Ноября 1899 г.

---

- X I — წაკსულიდან. — სკოლაში. — ნაწილი მეორე. — XII—XX.—მოთხრობა ს. მგაღობლიშვილისა (დასასრული მეორე ნაწილისა) . . . . . 1
- X II — უმეუსვრილი სამი მცნება. — I—III.—ლეგენდალური ამბავი შ. ანაგვისპირელისა . . . . . 58
- X III — ფინლანდიელების ლიტერატურიდან. — I—IV.—თარგმანი იგ. ზურაბიშვილისა . . . . . 71
- X IV — ლაზარული ტომისეული. — I—II.—თარგმანი შ. უმაკაშვილისა . . . . . 95.
- V — ქრეზანა. — ნაწილი მეორე. — VIII. — რომანი იტალიის ცხოვრებიდან; გ. ვონინისა, თარგმანი ნატალია რ. გიგაურისა (გაგრძელება) . . . . . 126
- VI — ფინლანდიელების ლიტერატურა. — I—თარგმანი ნანა ზურაბიშვილისა. . . . . 1
- X VII — რამენიშველოვა ამჟს ისტორიაში პიროვნებას, ანუ აღამიანის მოქმედებას? — V—VII.—ა. კანსანოვისა, თარგმანი. ლ. ჭ. — სს (დასასრული) . . . . . 15
- VIII — „ვეფხისტყაოსნის“ ხალხი აღგილები. — LXVI—LXXI.—აღ. ს. — შვილისა . . . . . 35.

**IX—ჩარლზ პარნელი.— ეგ. ტადლესი.—IV—V.—თარ-**  
გმანი . . . . .

62

**X—ზინაური ამბები**— მოსკოვის საკრედიტო საზოგადოების  
საქმე. — რა აქვს ჩვენთან საერთო ამ საქმეს? — იქაურ და აქაურ  
ბანკირების შედარება. — გამოძიება ქუთაისის სათავად-აზნაურო  
ბანკში. — მინინსა და პოჟარსკის ძეგლი მოსკოვში. — საჭიროა  
ჩვენებურ მინინსა და პოჟარსკისაც დაედგას ძეგლი. — ქ. ქუ-  
თაისი და სწავლა-განათლების ხარჯი. — ქართული თეატრის  
მდგომარეობა. — ვისი ბრალია, რომ ის ვერ არის კარგს მდგო-  
მარეობაში? — საიუბილეო წარმოდგენა ტფილისში. — ბ-ნ მთა-  
ვარმართებლის დასწრება წარმოდგენაზე. — დ. ყიფიანის ძეგ-  
ლის კურთხევა. — **იგ. ზურაბიშვილასა** . . . . .

83

# წ ა რ ს უ ლ ი დ ა ნ

ს კ ო ლ ა უ ი

(შაქრო გეგელაშვილის ნაამბობი)

ნაწილი მეორე

XII \*)

პატარა რომანია

ისიხი, თუმცა ერთობ უგლარჯი კაცი იყო, როგორც წინედ ჩვენ დავასურათეთ, მაგრამ ამასთანავე ისეთი არშიყი, ლამაზ ფაცებიანთა მოტრფიალე, რომ კაცს გაუკვირდებოდა სწორედ. მერე რა საშინელი და საოცარი ბედი ჰქონდა ტრფიალება-არშიყობაში! რა მოსწონდათ მისი? ქცევა? არა. მისი ფაფუკი ლაბაბი? მისი დაკაული და უღვაშებში ჩამძვრალი ცხვირი, თუ,—უფრო კარგი იქმნება ვიხმაროთ,—მისი დრუნჩი? არა. წარმოიდგინეთ, ეს დრუტუნა მოლაპარაკე, ეს მძაფრი კაცი, შიშისა და ზარის დამცემი შეგირდებისა, ეს რაჭველივით ზღაზნია და მუდამ ქორ-მეძებრების მოწრუწუნე, ქალებთან გაენატკბილდებოდა, დარბილდებოდა, უგლაგარჯობა, მოუხეშობა მსხვილის ტანისა შეეცვლებოდა და ეს ამოდენა ოტლოტოტლო კაცი იფნის სახრესავით იგრიხებოდა ქალთა წინაშე; ისიხის უფრო შევლოდა ამ შემთხვევაში „ვეფხის ტყაოსნის“ საარშიყო ადგილების ცოდნა, დროზე თქმა მათი და თქმა კი-

\*) იხ. „მოამბე“ № IX — 99 წ.

ლოიანიად, მოხერხებით, რაც კი შეესაბამებოდა მის ხმასა. ამიტომაც მოხდა, რომ დაქვრივებულს ისიხის ცოლად თავადი შვილის ქალი გაჰყვა. მაგრამ ცოლებში ძღვალის არა ჰქონდა ისიხისა: პირველი ცოლი უშვილოდ გადაეგო, მეორესთან თუმცა ერთი შვილი გაუჩნდა, მაგრამ მშობიარობის შემდეგ სულ ზერექვერაობდა, ლოგინს ლესავდა; ისიხი, ჯერ ისევ ყმაწვილი, სწუხდა ამ გარემოებაზე; მისი ბუნება ტოლს დაეძებდა არა სულის სანუგეშებლად, არამედ ქვენა გრძნობათა მოსაკლავად. ამისათვის ძლიერ შორს არ დაურჩია სიარული; სასწავლებლის კედლებშივე იშოვა სატრფიალო გულისა, გააბა მასთან ქსელი და ძალიან მალეც მოამწყვდია თავისი მსხვერპლი ალერსთა ბაღეში.

ზედამხედველი სასწავლებლისა ვერ სცხოვრობდა განწყობილად ისიხისთან; თუმცა იგიც, ზედამხედველი, ძველს წესზე იყო აღზრდილი და როზგისა და ცემა-ტყევის მოტრფიალე იყო, მაგრამ ტრფიალიც არის და ტრფიალიც: ისე არ უყვარდა, როგორც ისიხის, ისეთი მძაფრი არ იყო, როგორც ისიხი, ისეთი ცოფები არ მოადგებოდა ქათვად ტუჩებზე, როდესაც შევირდების დანაშაულს დაინახავდა, როგორც ისიხის. ზედამხედველს, თვალად ერთობ ულამაზოს, ნაზს, არ ესიამონებოდა ხოლმე, როდესაც ისიხი ქალებს და განსაკუთრებულ მისს ლამაზს და ცუგრუმელა ელენეს თვალებს აუთამაშებდა და თავის დრუნჩს მოშლილი ბუზიკასავით ააღრუტუნებდა. ზედამხედველს ეს უწამლავდა და უშხამავდა გულს; სწყინდა, რომ ისიხის, ამ თითქმის ყოველ მხრივ ულაზათო კაცსა, ქალებთან ბედი ჰქონდა. ალბად, — ჰფიქრობდა ხოლმე იგი, — ღმერთს ეს ერთი ნიჭი უჩუქებიაო და თავს მითი ინუგეშებდა ხოლმე.

ზედამხედველს და მის თანაშემწე ისიხის სასწავლებლის შენობის შუა ადგილი ეჭირათ, ამათ სადგომს შუაში დიდი და გრძელი დერეფანი ჰქონდა; ორთავეს სადგომი ოთახების კარებები ამ დერეფანში გამოდიოდა, ასე რომ ისიხი ხშირად, დღეში რამდენჯერმე, ხვდებოდა ცუგრუმელა ელენესა და ისე

პლუტურად ჩაუპრუწავდა ხოლმე თვალებს ჩვენი ისიხი ლამაზს ელენეს, რომ ისარივით გაუვლიდა ხოლმე მას გულში.

— ეს იმერელი სწორედ მეარშიყება, სწორედ! ისეთაირად ჩამითამაშებს ხოლმე თვალს, რომ სულ გულს ამითანცქალებს ხოლმე, — ჰფიქრობდა თავისთვის ელენე და სულ იმის ნატვრაში იყო, რომ ხშირ-ხშირად დაენახა ისიხი და მისი თვალებიდან გამონატყორცნი ისარით გული შეეფანცქალებინა, მაგრამ უბედურობა ის იყო, რომ ისიხი და ელენეს ქმარი ხომ ვერ იყვნენ და ვერ იყვნენ ერთმანერთში განწყობილად, ცოლებიც ერთმანერთსა სჭამდნენ რძალ-მულისავით. ამიტომ ერთმანერთთან სახლში მსვლელობა არ ჰქონდათ. ამასობაში კი ისიხის ჰკლავდა ელენეს ლურჯი თვალების ცქერა შორიდან, როგორც მსუნავს კატას მალლა ჩამოკიდებული ძეხვი; ელენეც იწვოდა უცნაურის ცეცხლითა, რომელიც კი არ ნელდებოდა, თანდათან ღვივდებოდა და ძლიერდებოდა: დერეფანში შეხვედრის დროს კი ერთმანერთს მოიკითხავდნენ ხოლმე, მაგრამ ეს მშრალი „დილა მშვიდობისა“ და „სალამო მშვიდობისა“ არ აკმაყოფილებდა თვალებით მოარშიყებდა. ისიხის ქუდ-ბედი ჰქონდა დაბადებით დაყოლილი: ბედმა გაუღიმა; მისი ცოლი ელისაბედ ლოგინად რომ დაწვა, ელენე, როგორც მეზობელი, იძულებული იყო ენახა მელოგინე ელისაბედი, ისიხის მეუღლე.

— ქა, ჯერ სულ ორი დღისაა, და რა ლამაზი ბავშვია? სწორედ სულ პირ-წაფარდნილი დედაა! — მიესაყვარლა ელენე ელისაბედსა, მიულოცა და უსუქვა ბედნიერად და უვნებლად მოლოგინება, თუმცა კი ეს უკანასკნელი სურვილი ძალიან გულცივად გამოხატა.

— მაშ მე რომ დამგვანებოდა, რა შვილი იქმნებოდა! — ჩაერია ლაპარაკში ისიხი; — შვილი დედას უნდა დამგვანოს, მისავით ლამაზი უნდა გამოვიდეს.

— არც ერთი დედაა, რომ უფლის-ციხის ჯოჯოსა ჰგავს... თქვენ რომ დაგეგვანოთ, ვითომ რაო? — უპასუხა ელენემ.

— მე რა მოსაწონი ვარ... და აქ ისე მოიწმანა ისიხი წელში, ისე მიიზნიქ-მოიზნიქა, თითქო ეს ამოდენა კაცი სულში უნდა ჩაუძვრეს ვისმესო.

— რაც შეეხება ვაჟ-კაცსა, რითი ხართ დასაწუნი.

— მაშ არა-და კაი შეილია!—სთქვა უგემურად ელისაბედმა,—რომელსაც ელენეს მისს ქმრისადმი მიმართული ტკბილი სიტყვები გულში არ ებიტნავა, თავი იქით გადილო, რომ მოერიდებინა თვალები იმათთვის და თვისი უსიამოვნება ეგრძობინებინა. ელენემ შენიშნა ეს, მაგრამ აინუნში არ მოიტანა, მაინც უსიამოვნოდ იყვნენ და ამაზე მეტი რა მოუვიდოდა.

— იჰ, კარგია შეილი!... ეხლა თქვენ ხლარ მოგწყინდებათ. ბრალი ჩემი, რომ ოთხ კედელში უა ვარ გამომწყვდეული.

— რა გული გაგტეხიათ! რამდენი ხანია, რაც ჯვარ-დაწერილი ხართ?—ჰკითხა ისიხიმ.

— ხუთი წელიწადი.

— ჰმ! ხუთი წელიწადი!?... ჰმ! ხუთი წელიწადი ჩვენს ცხოვრებაში, ქალბატონო, ხუთი დღეა! შესაწუხებელი აქ რა არის? ჯერ დრო არ დაგიკარგავთ შეილიერებისა; თქვენ ჯერეთ ყმაწვილი ბრძანდებით.... აფსუსი კია, რომ თქვენისთანა ლამაზს ქმნილებას შეილი არ მიეცეს, რომ თქვენსავით ლამაზს არსებას კალთაში არ ათამაშებდეთ...

— ისიხი!... რაებს ამბობ! აქ არავინ გგონია თუ!—წამოწმობებით უთხრა ელისაბედმა.

— ღმერთანი, მართალს ვამბობ! რა, ელენე ლამაზი არ არის? არა, ტყუილს ვამბობ, მე ნუ მოგიკვდები, ჩემო ელისაბედ!—მიესაყვარლა კოლსა...—ელისაბედ, ელისაბედ! ერთი ქალაღზე უკითხე, ელენეს მიეცემა შეილი თუ არა....

— რას ამბობ, კაცო, დედაკაცი ლოგინიდან ვერ დავძრულვარ, რა მემკითხავება... აკი შენც იცი, თუ ეგრე გენატრება მაგის შეილი, უკითხე თვით შენა.

— მე ბოშა დედა-კაცმა ხელის გულზე მიკითხა, რომ მოგეცემაო, მაგრამ ძალიან გვიანაო,—სთქვა ღმილით ელენემ.



— შენი ქრმის ნაშენი კაი შეილიც იქმნება, — ჩაიბუტბუტა ლოგინში ელისაბედმა. — თუმცა ეს ბუტბუტი ვერ გაიგონა ელენემ, მაგრამ იგრძნო კი, რომ ელისაბედმა კარგი არა სთქვა-რა მასზე.

— აი, მოდი გიკითხავ! — ისიხიმ აიღო სათამაშო ბანქო, აურიო ორჯგელ-სამჯერ და დაუწყაო შლა ქალაღდა... აი ეს აგურის ქალი თქვენა ხართ, მშვენიერი მხიარული ქალაღდი გარტყიათ გარსა, გესიამოვნებათ რამე, ე ჯვრიანის ექესიანი წინ რომ მიუძღვის — ეს კეთილი გზაა, მაგრამ ე ნაზუქის ხელმწიფე რომ არ გეშვებათ, ეს რის მომასწავებელია.

— აღბად ელენეზე სხვას ვისმეს უჭირავს თვალი; — გადმოსძახა ლოგინიდან ელისაბედმა.

— ქა, უწინამც ღღე დამეღევა, რომ ჩემი ქმარი არავისზე გავცვალო.

— არა, ძან კი ჩაგაცივდა და ე ნაზუქის ხელმწიფეი-და!

— იპ, თვალებიც გამოსტყლეთია! — სთქვა ტუჩების აბუჯვით ელენემ, თითი ამოპკრა ნაზუქის ხელმწიფეს, აპროწიალა ჰაერში და აგურის ქალს კი ზედ გულზე დაეცა.

— ხა, ხა, ხა! ელისაბედ, ელისაბედ! ერთი შეხედე, რა სასწაული მოხდა, — ჩაიკისკის-ჩაიღრუტუნა ისიხიმ და ისეთის ჟრჟოლივით და ჟინით ჩააშტერდა ელენეს თვალებში, რომ ელენემ უნებლიედ აარიდა ივინი, — მაგრამ ისიხის შეხედვის ძალა ღრმად იგრძნო, ღრმად დააჩნდა გულზე, თითქო მისმა თვალებმა მის გულში ჩააშუქა და ამოიკითხა მის გულის ფიცარზე დანაწერი საიდუმლოება. ელისაბედს კი ძლიერ არ მოეწონა ისიხის ამგვარი ჭიხეინი, მაგრამ ძალა არ ჰქონდა და გულზე მომდგარს ბოღმას გულშივე იტრიალებდა და იკლავდა.

— რა მოხდა, რა? — სთქვა ღელვისაგან გულ-აქშინებულმა ელენემ.

— სწორედ, შენ ნუ მამიკვდე, ვიღაც კაცია მოწადინებული, რომ შენ უსათუოდ შეილი მოგეცეს და მოგეცემა კიდევც. ეს ცხვირი მომჭერთ, თუ არ ახდეს ეს ჩემი სიტყვები.

— ოჰ, ნეტავი მართლა ღმერთი ბრძანებდეს და შენ ცოტა ცხვირს წაგაჭრიდეს ვინმე და რა უნდა, რომ არ მივცე, — სთქვა ოზუნჯურ კილოზე ელისაბედმა და გადმოხედა ისინის.

— იჰ, ქა! შენც რა დაგემართა! ვაჟაკს ყოველივე უნდა ვაჟაკური ჰქონდეს, ის ხომ კარგია, რომ ზოგს ჰყუტა ვაშლივით აკრავს ცხვირი და არც კი უჩანს.

— არც ის ვარგა, რომ ზურნის ბოლოსავით ჰქონდეს გაშვერილი, ყველაფერი რიგზე უნდა ჰქონდეს ადამიანს.

— არ მოვწონვარ, არ მოვწონვარ ჩემს ელისაბედს, დღეს როგორღაც ვერ არის გუნებაზე.

ელისაბედს რა მოიყვანდა გუნებაზე, ისედაც ეჯავრებოდა ელენე, რადგან მასზე ლამაზი იყო, მეორეც ესა, ცოტა არ იყოს, შეამჩნია, რომ ისინიმ ძალიან ყურადღება მიაქცია ელენეს და ერთობ ჟინიანად ელაპარაკებოდა.

— არა, ის ნაზუქის ხელმწიფე შენი მოკეთეა, ძლიერ სურს, რომ შენ შეილი მოგეცეს.

— ბარემ სთქვი, რომ ის ნაზუქის ხელმწიფე მე ვარ-თქო, შენც ხომ გინდა, რომ ელენეს შეილი ეყოლოს, — უთხრა ელისაბედმა ისეთი კილოთი, რომ აგრძნობინა ორთავეს თავისი უკმაყოფილება, მაგრამ ისინიმ და ელენემ, გატაცებულთ გაუმჯღაფნებელი ტრფობითა, ყურედღება არ მიაქციეს ელისაბედის წყრომას.

— შენ, მაგეების ლაპარაკს, „ვეფხის-ტყაოსნიდან“ წამიკითხო რამე და გამართო, ისა სჯობიან, — უთხრა კვალად ელისაბედმა.

— აბა, რა გინდა?... როსტევან მეფის ამბავი? — „იყო არაბეთს როსტევან მეფე, ღვთისაგან სვიანი“, — დაიწყო ისინიმ.

— არა, ტარიელის ხატავეთზე გალაშქრება წამიკითხე, იქიდან, ნესტან-დარეჯანმა რომ იხმო თავისთან და უთხრა, რომ მაგ ოზუნჯურის ძახილს, ისა სჯობიან, წახვიდე და საგმირო საქმენი მიჩვენო, თუ ჩემი თავი გინდაო.

ისიხი მოპყვა და, რაც კი შეიძლებოდა, ცდილობდა, რომ გემოიანად წაეკითხნა და მით ორი კურდღელი დაეჭირა: გული მოეგო თავისის ელისაბედისა და მიჯნურის გული დაეტყვეებინა. ელისაბედს ყურისგდებაში ჩამოეძინა.

შეიქმნა ჟამი გაყრისა. ისიხი ფეხაკრეფით გაპყვა დერეფანში „ცუგრუმელა ელენეს“; დერეფანში ბნელოდა, მხოლოდ ელენეს ოთახიდან ოდნავ გამოშუქდა სანთლის სინათლე; ისიხიმ მოიგდო ილღიაში ელენე, როგორც არწივმა ბატკანი, აიყვანა და ისე მაგრა მიიკრა გულზე, რომ ელენემ, თუმცა ბევრი იფართხალა, მაგრამ ეს ფართხალი უღონობისა იყო; დათვივით დალოშქნა და ისე გაერთო კოცნა-ხვევნაში ისიხი, რომ იქნება თავის წიაღში კიდევაც გაეგუდნა საბრალო ელენე, რომ უცაბედად შემოხეტებულის „მოკლე თედოს“, სასწავლებლის მსახურის ფეხის ხმას არ გამოეფხიზლებინა: მან წყნარად გაუშვა თავისის ბჭყალებისაგნ ელენე, რომელიც ალაღისაგან დარეტიანებული ჩიტვიით ფარფატით შევიდა თავის სადგომში.

### XIII

ელენემ თითქმის პირველად იგება ისეთი მხურვალე, ისეთი გაუთავებელი კოცნა-ხვევნა, ისეთი ჟინიანი ალერსი, როგორიც წინა ღამეს ისიხის წიაღში. თუმცა არც თუ ისიხი იყო გასაგიჟებელი რამ გარეგანის შეხედულობით და შინაგანის სილამაზით, მაგრამ მის ნაზს ქმარს ბევრით მაინც სჯობდა: ჯერ ერთი ისიხის მცხირე და გაუთავებელი კოცნა ელენეს სულ ერჩივნა მთლად თავის ქმარსა. საქმე ცარიელი კოცნა არ იყო, უნდოდა ეგემნა მისის აზრით, უფრო, უმაღლესი გრძნობა სიამოვნებისა და თავ-დავიწყებამდე მისცემიყო ამ სიამოვნებას, ეყურჭუმელაენა ამ სიამოვნების მორევში, რომ გამაძლარიყო. მაგრამ მისაწლომად ძნელი იყო: ქმარი მუდამ სახლშია, ერთი საათით თუ შევა კლასში გაკვეთილზე, ამიტომ ისიხის თავისუფლად ვერ შეხვდება; მიანდოს თვით ისიხის საშუალების გამოძებნა, თუ თვით გამოაკვარიქინოს საქმე, ამის გადაწ-

ყვეტის ბრძოლაში იყო, მაგრამ ისინიმ იქმნება იმ ერთი ხვევ-  
ნა-კოცნით მოიკლა თავისი ჟინი და ელენეს სახე მის გულში  
სამუდამოდ არ აღიბეჭდა! მაშ ჯერ უნდა შეიტყოს ეს გარე-  
მოება.

— ჩემს ავთანდილს, — ასე დაარქვა თავის სატრფოს ელე-  
ნემ, — გაეუფატმანდები და წერილს მივწერ, ეს აღვილია, თე-  
ლოს ხელით კლასში შევუგზავნი და მის გულის პასუხს შევიტ-  
ყობ. დაიღო მუხლზე დიდი ხელთ-ნაწერი „ვეფხის-ტყაოსანი“,  
მიჯდა ფანჯარასთან და დასწერა შემდეგი წერილი:

შაქარზე უტკბილესო ისინი!

შენგან აღზნებული ჩემს გულში სიყვარულის ცეცხლი  
თანდათან მიცხოველდება; შენ ჩემი ავთანდილი ხარ, გენაც-  
ვალოს შენგან დამწვარ-დადაგული ელენეს ლურჯი თვალები;  
შენ, რადგან თინათინი გყავს, მე შენი ფატმან ხათუნი გავხდე-  
ბი, მიფატმანე გენაცვალოს ჩემი ლურჯი თვალები, რომელიც  
შენმა ცხარე კოცნამ ერთიანად დამითუთქა. შენ ნუ გგონია,  
მარტო შენ იცოდე „ვეფხის ტყაოსანი“. მე გამოგელაპარა-  
კები ფატმანის სიტყვებით და ვინძლო მიპასუხო:

„შენ გტრფიალებენ, — ისინიჯან, — მჭკრეტელნი, შენთვის საბრალოდ ბნდე-  
ვარდი ხარ, მიკვირს, ბულბულნი რად არა შენზე ჰკრთებიან! [ბიან;  
შენი შევენება ყვავილთა აჭნობს და ჩემიც ჰკნებიან;  
და სრულად დამწვარვარ, თუ მზისა შუქნი არ მომესწრებიან“.

რომ მნახო, ისინიჯან, წუხანდელს აქეთ, ველარ მიცნობ,  
სულ თვალებიდან გამოვიყარე; წარმოიდგინე, დღეს დილით  
რომ სარკეში ჩაეხედე, თავი ველარ ვიცან. რა ვქნა?

„ღმერთი მყავს მოწმად, ვიშივი თქვენსა ამისა თხრობასა,  
მაგრამ რა ვირგო დღე-კრულმან, სრულად გავყრივარ თმობასა!  
გული ვერ გასძლებს ნიადაგ შავთა წამწამთა სობასა,  
და თუ რას მეწევი, მეწივე, თვარე მივხდები ცნობასა“.

ვერ წარმომიდგენია, ისე უეცრად რად ჩამექრა გულში  
შენი სიყვარული; რა ვუყო, როგორ მოვაგეარო, რომ მალი-

მალ შეგხვდეს და ტკბილად ავიტოკო ეს დამწვარი გული; აზრები მიფუთფუთებს თავში, სრულად მივხდილვარ ცნობასა, ფატმანისა არ იყოს.

„მე ვირე ამა წიგნისა პასუხი მომივიდოდეს,  
ვცნობდე, გინდოდე საკლავად, ან ჩემი გაგივიდოდეს,  
მუნამდის გავძლო სულთა-დგმა, გული რაზომცა მტკიოდეს,  
და სიცოცხლე, ანუ სიკვდილი გარდმიწყდეს ნეტარძი ოდეს!

ჩემო ისიხი, მოუთმენლად მოგელი, შენმა პასუხმა ამ ჩემის დამწვარის გულიდან ამონაკენეს სიტყვებზე უნდა გადმიწყვიტოს სიკვდილი ან სიცოცხლე.

მარადის და მარადის იქითაც შენი ელენე“.

ისიხი სულაც არ მოელოდა ამისთანა ცეცხლის ალით აღგზნებულს წერილსა. სიამოვნების ჟრუანტელმა გაურბინა მთელს სხეულში, იგი სრულიად აატოკა, მეტის სიამოვნების ნიშნად პირის წლაპუნი მოაყოლა, თითქო უდევს რამე და ჰლეჭავსო, მოაყოლა ხენეშას, ცხვირმა ბანი მისცა და თვალეზი სულ ცრემლებით დაეგულდა.

— ჩამივარდა ხელში, მოვიკლავე შენსა, დავარჩობ ხვევნაკოცნითა და მის ქმრის ჯიბრს სულ მაზედ ვიყრი. მას ნუ ჰგონია, მე იგი მიყვარდეს, მე მხოლოდ მინდა გავძლევ ლამაზის თვალების კოცნითა და მტლაშა-მტლუშითა, — ფიქრობდა სიამოვნებას მიცემული ისიხი. ისიხიმ პასუხი არ დაუგვიანა ელენეს და იმ დღესვე გაეპასუხა.

ჩემო მტრედო, გვრიტო, ჩემო მიმინო ელენე!

შენი ავთანდილი მოგიკვდეს, თუ ჩამოგრჩე და ისე არ გიავთანდილო, როგორც ფატმან ხათუნს ენა-წყლიანმა ავთანდილმა. თუმცა დიდი ხოტბა მიძღვენ, ნახევარსაც ღირსი არა ვარ, მაგრამ მაინც ამოდენა კაცი შენმა წერილმა ისე ამათრ-

თოლა, როგორც სიო ხის ჭოთლებს აათროლ-ათამაშებს ხოლმე:

მოგეწერა,—ვლენე-ჯან,—წავიკითხე შენი წიგნი, ჩემი ქება,  
შენ მომასწარ, თვარე შენგან მე უფრო მჭირს ცეცხლთა დება,  
შენცა გინდა, მეცა მინდა გაუწყვეტლად შენი ხლება,  
და შეყრა არის პირიანი, ორთავეა რადგან ნება.

როგორც ტარიელმა ნესტან-დარეჯანის უსტარი თვალთა დაიდო და მითი გული, საღმუნობით შეპყრობილი, დაუამა და კაეშანი უკუ უყარა, ისე მე შენი უსტარი გულთან მიდევს,—აბა თვალთა ზედა ვინ დამადებინებს, ხომ იცი რა ყარაული მყავს სახლში,—თითქო შენ აკრახარო ჩემს გულს, ისეთს სიამოვნებას ვგრძნობ... რას სწუხარ, შეყრა ჩვენი ადვილია: როცა შენი ქმარი კლასში იქნება, მე მაშინ ვიდროვებ, მიწის მგელივით გავჩნდები შენ წინ, მიგიკრავ მტრედის ხუნდივით გულზე და დავსტკბები შენით, შენც დასტკბები ჩემგანით. საღამოობით ბნელს დერეფანში ხომ მუდამ ამოგიკოცნი მაგ ლურჯს თვალებსა.

შენის წამწამების ისრით დაჭრილი ისიხი“

ქვეყანაზე ყოველსავე ბოლო აქვსო, ნათქვამია; წუთი სოფელი არავის შერჩენია. არ დარჩა გაუგებელი ისიხისა და ელენეს ავთანდილ-ფატმანობა როგორც ელენეს ქმრისა, აგრეთვე ისიხის ცოლისაგან. ანაზდეულად შეცვლა ისიხისაგან თვისის ჩვეულებრივის ცხოვრებისა, დღისით ნადირობის მიტოვება, ღამ-ღამობით ბნელ დერეფანში რაინდობა შეუმჩნევლად არ დარჩა.

ელენეს ქმარი, რომელიც ისეც მტრულის თვალით უცქეროდა თავის თანაშემწე ისიხის, ეხლა ხომ მისის მტრობით მთლად გაიჟღინთა, თუ შეიძლება ასე ვთქვათ; სულითა და გულით შეუდგა ისიხის ჯავრის ამოყრას, სასწავლებლიდან მის გაძევებას, თუნდა ეს ცდა მას თავის სიცოცხლედ დასჯდომოდა. მარტო თვით იმისთანა მხეცს, როგორც იყო ისიხი;

აბა სად გაუმკლავდებოდა; მოიფიქრა, გაუტყდეს ყოველისფერში მეორე კლასის მასწავლებელს, — ქიშმიშად წოდებულს.

— ივანე, — უთხრა ფერ-წასულმა ზედამხედველმა ქიშმიშას, — მე შენს მეტს ვერავის გავუტყდები, შინაური საქმე მაწუხებს... ამ მამა-ოხერმა ისინი ის არ მაკმარა, რომ სამსახურში მიშხამავს სიცოცხლეს, არას აკეთებს; როცა გაცოფდება, დაერევა ბრალიანსა და უბრალოს და სულ ბღღვირს ადენს; შემოაკვდება ვინმე და საციმბირედ გამხდინა მეცა და მაგასაც... კაცო, ეს არ მაკმარა.... ჩემი სახლის გაუპატიურებაც მოინდომა!.... გაიყვანა კუთხეში ქიშმიშა და ეს სიტყვები მძიმე-მძიმედ და ჩუმად ჩააწვეთა ყურში.

— ნუ მიბრძანებ, მამა-თქვენის სულის მზესა!

— მართალია, მართალი, — ხმა-მოდაბლებით განაგრძო ზედამხედველმა და თან აქეთ-იქით იხედებოდა, რომ არავინ შემამჩნიოსო ჩურჩულით ლაპარაკი და საიდუმლოს არ მიმიხვდნენო.

— ახლა? — იკითხა ქიშმიშამ.

— ახლა, ჯერ ერთი მინდა ძალიან გავტყვიო და მერე ერთი კასრი ლაფი გადავასხა თავზე, რომ კარში თავი ვეღარ გამოჰყოს.

— მე რა გიშველო! ხომ იცი, ისინი-ოთხი-ხუთი კაცი არ ეყოფა.

— „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსაო“, — უთქვამთ ჩვენ ძველებსა; აი, რას გეტყვი, შენ ერთი-ორი მარჯვე ბიჭი მიშოვე.... ბევრს იცნობ, აქაური კაცი ხარ; დანარჩენი მე ვიცი.

— რაზან გამანდე საიდუმლო, უნდა ვიცოდე თუ არა ყოველივე; მეც მოგეხმარები, ერთ-ერთი ბიჭი მე ვერ მაჯობებს... აი ჩემი აზრი: ორს კაი მარჯვე ბიჭს მოვიყვან, შევხედეთ ამ ბნელს დერეფანში; მე ისინის თავში ჯოხს დავკრავ და არა მგონია დამიმაგრდეს, ის ორი ბიჭი წამოაქცევენ და კაი, კაი როზკები მივარტყათ; შენ კასრი მზად გქონდეს ლაფითა და როცა აეუშვებთ და წამოიწეეს, ზედ თავზე გადაუშვი.

— ძალიან კარგი! სსსუუუ!... დაათარა პირზე ხელი ქიშ-  
მიშას და გაისტუმრა საქმის გამოსაწყობად.

ისიხი სწორედ ქერის ორმოში იჯდა; ცურაობდა, რო-  
გორც ყველი ერბოში: მუდამ დღე ელენესთან ხუნტრუცში  
ატარებდა დრო-ჟამსა ეს ამოდენა მხეცი-კაცი; ჯერ კარგად  
არა ჰქონდა გული მოჯერებულო, რომ თავზე მოულოდნელი  
მეხი დაატყდა. ჩვენი ცრუ ავთანდილი, ბნელი დერეფნის რა-  
ინდი, მამალი კატუნისასავით გამობრძანდა დერეფანში და ნიშანი  
მისცა ელენეს. ამ დროს მსხვრევა მოილო რალაცამ ისიხის თავზე  
და იატაკზე გაიშხლართა, მაგრამ უცებ მოცნობილდა, დაჭრი-  
ლი დათვივით აბარგდა და ხელების ფათური დაიწყო ვისმეს  
დასაქერად; მისცივინდენ დარეტიანებულს დერეფნის რაინდს  
და წამოაქციეს; ბრაგუნზე და ყრუ ხმაურობაზე ისიხის სახლ-  
ში ელისაბედმა, ისიხის მეუღლემ, კარებისაკენ მიაშურა და სან-  
თელი გაიდევნა თან; ელენეს ელდა ეცა, უსათუოდ ჩემი ქმა-  
რი წაეფეთა ბნელა დერეფანში ჩემთან მომავალს ისიხის და ან-  
ერთი წაიჩეხა, ან მეორეო; ესეც წამოვარდა და სანთლით კა-  
რებისაკენ გამოეშურა. ელენემ და ელისაბედმა ერთად გამოა-  
დეს კარები და გაასინათლეს ბნელი დერეფანი. სწორედ ეს  
იმ დროს მოხდა, როცა ისიხის ხელი უშვეს და წამოსადგო-  
მად დაოთხდა. სანთლის სინათლეზე ზედამხედველმა კასრში  
მომზადებულ ლაფი გადაასხა ისიხის და ქიშიშიამ დაამწყა-  
ლობლა:

— განბანილხარ, ნათელ-ღებულხარ, მირონ-ცხებულხარ!

— უი, ქა! დადექით თვალეზო! — ერთად შეჭკივლეს ელი-  
საბედმა და ელენემ უცნაურს სურათის დანახვაზედ.

#### XIV

### ც ხ ღ ა ლ ე ბ ა

„უწესოებისა და სამსახურში დაუდევრობისა გამო დათ-  
ხოვნით არიან ჩემგან სამსახურიდან ზედამხედველი და მისი



თანაშემწეო“, — ეწერა სხვათა შორის უფროსისაგან მონაწერ ქალაქში. — ეს რომ წაიკითხა ზედამხედველმა, წაიტორტმანა და მაგიდასთან სკამზე ჩაჯდა; ქალაქი ველარ წაიკითხა ბოლომდის, რომ სრულიად გაეგო შინაარსი მისი; როგორც იყო მოცნობილდა, შუბლზე და თვალებზე ხელი გადაისხა, ცოტა გადაუარა და დაათვა: „მხოლოდ ზედამხედველს სასწავლებლისას ხანგრძლივის სამსახურისა გამო ეძლევა ნება ერთის წლის ჯამაგირი მიეცეს და ამ ხნის განმავლობაში სხვა სამსახური ეძიოსო“.

— ჰო, ღმერთო, შენს მაღლსა! — შეჰყვირა ზედამხედველმა. — მე, როგორც იქნება, ამ ერთს წელიწადში სადმე შევყობ თავს; წაბრძანდეს და ირიკაოს ჩემმა თანაშემწემ. კამეჩის მოჭიდავე ხარს მაგარი რქები უნდა.

ხმა სასწავლებლის უფროსების დათხოვნისა ელდასავით გავარდა როგორც სასწავლებელში, ისე მთელს ქალაქში. შეგირდებმა დაჰკრეს ნალარა მაგიდებზე და მიჰყამალაყზე გადადიოდნენ.

— ჰააა! ზოგი ეხლა დაგვროზგოს ი გაბერილმა ისიხიმა, — გაიძახოდნენ შეგირდები.

— კაცო, მე თვითონ ი ისიხისა კი არ მეშინოდა! ი გოჭის კუდივით დაგრეხილს ცხვირს რომ შევხედავდი ხოლმე, მაშინვე ენა მუცელში ჩამივარდებოდა... დასწყევლოს ღმერთმა, ცხვირი ბევრი მინახავს, მაგრამ მაგ ყალიბისა კი არა, სწორედ ჰოროტოტოს რომ იტყვიან, ის არის რალა! — მორთო თამამად ლაპარაკი თხუნელამ და სიხარულით პარტებზე დაკრულს ლეკურზე ერთი სხვანაირად ჩამოალეკურა.

იქ კრივობდნენ, აქეთ ჭიდაობდნენ და ბლლიძუნობდნენ, ზოგი კლასებს ამტვერებდა, რომ მასწავლებელი აღარ შესულიყო, ის ცარცის ნაფხვენში ამოსვრილს მჩერებს აბერტყავდა ამხანაგებს თავ-პირზე და ჰგუნგლავდა, ეს დიდის ხმით გაჰკიოდა და სანთელ-საკმეველს უგზავნიდა დათხოვნილს ისიხისა. ერთის სიტყვით, ძალლი პატრონს ველარა სცნობდა და პატ-

რონი ძაღლსა; მთლად აირია მონასტერიო, რომ იტყვიან, სწორედ ის ამბავი იყო სასწავლებელში.

ინსპექტორად დანიშნეს მუსამე კლასის მასწავლებელი „ბორად“ წოდებული. ამან შეჰკრიბა ყველა შეგირდები და გამოუცხადა მთავრობის განკარგულება; სასწავლებლის უფროსად, ზედამხედველად კი, რუსი დაენიშნათ.

— ბიჭებო, — რუსმაც იცის ცემა როზგითა? — იკითხა ყვავმა.

— აი, მეხი კი დაგათხლიშე მაგ ბახალა თავზედა! შეოხერო, სკოლაში ლამის დაბერდე, გვერდები დაბეჟილი გაქვს ჯდომითა და ამდენი ხანი ეგეც არ იცი, რომ როზგი რუსების მოგონილია, — უთხრა ყვავსა სტარშიომ.

— რას ამბობ, კაცო, — დაექომაგა ყვავს თხუნელა, — როზგი ისინიმ შემოიღო თურმე ამ სკოლიშიო; რუსები როდის იყვნენ აქა აქნობამდის მერე, სულ ქართველები არ არიან და ეგენი არა გვროზგავდნენ, მაშ სხვა ვინა.

— შე გამოყეყეჩებულო! როზგი რუსები სშემოდებულია; თვითონ სიტყვა „როზგი“ რუსული სიტყვაა, — სთქვა თავგამოდებით სტარშიომ.

— შენმა თავის ხეთქამა, დიად! რუსული კი არა, თათრული არ გინდა!...

— რუსულია, რუსული! — ჩემმა სახლის პატრონმა-რუსმა მითხრა, რომ რუსულიაო.

— ი-ი-ი-ი!... არა სცოდნია!... ი-ი-ი-ი!.. — დასცეს კიჟინა მთელმა კლასმა სტარშიომის, რომელმაც ყურში თითები დაიკოლა დერეფანში გავარდა.

— ჩუმაღ იყავით, თორემ ეხლავე წავალ და დაგაბეზლებთ, შემოჰყვირა შეგირდებს სტარშიომ.

— იიი!! — კვლავ დასცეს კიჟინა შეგირდებმა: — არა სცხვენინან: როზგი რუსული სიტყვააო!... იიი... სტარშიო კია! — ყვიროდნენ შეგირდები, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ.

გულ-დამწვარმა სტარშიომ მოახსენა ახალს ინსპექტორს შეგირდების უწესოებაზე. იგი მაშინვე მიიქრა კლასში, შეგირ-

დებმა უცბად სუნგალი გაჰკრეს; კლასი გაბურული იყო მტვრი-  
თა; ფანჯრები დაღებინა და უბრალოა, იმ კლასში მოგროვილი-  
ყვენ ყველა შეგირდები, რადგანაც ყველაზე დიდი კლასი ის  
იყო. ყველა კლასის შეგირდები შეიკრიბნენ. ინსპექტორმა და-  
იწყო.

— ბავშვებო, გეყოფათ ამდენი გიჟობა, ზარმაცობა და  
კლასიდან გაპარვა; თქვენს მშობლებსა ჰგონიათ, ჩვენი შეი-  
ლები სწავლაში თვალებს იწყალებენო. თუ არ ისწავლით,  
დღეის უკან ისე არ მოგექცევით, როგორც აქნამდე, მაშინვე  
აიღებენ, ხაზს გაგისმენ და გამოგრიცხავენ, მერე საცა გინდათ,  
იქ ირიკავეთ, თუნდა გაიპარეთ და თუნდა გადაიკარგეთ. ეხლა  
როზგის ცემა აღარ იქნება, თუ დიდი დანაშაული არ ჩაიდ-  
ნა, არავის არ გავროზგავ. აი, დღეს-ხელ ახალი სმოტრიტე-  
ლი მოვა; საშობაოდ ეგზამენს გიზამთ ყველას და, ვინც კარგი  
არ აღმოჩნდება, მაშინვე ხაზს გავუსვამთ, მისამარას ისწავლე-  
ვით. გამორიცხულნი ხომ მშობლებს სახლში ვეღარ მიუხვალთ, ხომ  
სიცოცხლეს ჩაგამწარებენ. წადით ეხლა კლასებში და ჩემი  
რჩევა გაიგონეთ, თორემ ცუდად მოგივათ ბოლოს საქმე.

შეგირდები თითქო პატარა ხანს ჩააფიქრიანა ახლის ინ-  
სპექტორის ბორას სიტყვებმა, მაგრამ მალე გადაიყარეს გული-  
დან და ისევ შეუდგნენ ხუმრობა ლაზღანდარობას.

— ვერაფერი საქმე მოუვიდა ჩვენს თხუნელას, ეხლა ურო-  
ზგოთ როგორ გასძლებს?—სთქვა ერთმა.

— ჩვენა მერე, პატიოსნად გეაცინებდა ხოლმე, როცა  
წააქცევდნენ, ენას გვიყოფდა და გვართობდა ხოლმე.

— დარდი ნუ გაქვთ, — უთხრა თხუნელამ, — კიდეცაა იქ-  
ნება გაროზგვა; ბრალი თქვენი, თორემ მე რა მიშავს.

— ბიჭო, თხუნელა, შეეოჯახ დაქცეულთ, თუნუქა ხომ  
არა გაქვს გამოკრული, რომ არა გტკივა ხოლმე.

— თუნუქი კი არა, ფიცარი არ გინდა! შეეოხერო, ბე-  
რის ცემით სულ დაბრუებული მაქვს ხორცი, კი ვეღარას  
ვგრძნობ.

— აი ამოგაგდოს ღმერთმა, რას არ იტყვის ე თხუნელაი, — უთხრეს ამხანაგებმა და თითო ჩააფარეს თავში ალერსის ნიშნად.

— ვინ იცის, იქნება ისეთი ცემა იცის ი ახალმა სმოტრიტელმა, რომ თუნუქა კი არა; თუჯიც რომ გაზმოვიკრათ; შეატანოს.

— ნეტა რამოდენა კაცი იქნება ი ახალი სმოტრიტელი? — იკითხა ერთმა.

— აი ე სტარშოის სახლის პატრონი რო არის, აი ელისაბედის ქმარი, მიტროფანაი, იმისთანა იქნება, — სთქვა ყვავმა.

— იმისთანა რად იქნება, შე ოხერო, შენა! მიტროფანა პრაზვოსტა არის და ის კი სულ სხვა იქნება, — სთქვა ოროს-პოლლიმ,

— პრაზვოსტა რა არის, ვითომ რაო?

— რა ვიცი, ი ელისაბედი, როცა გაჯავრდება ხოლმე, ი მიტროფანას სულ პრაზვოსტას ეძახის ხოლმე.

— აი თქვე სულელებო! პრაზვოსტა არ იცით, რა არის? — მოუქრა სიტყვა თხუნელამ.

— რა არის, რა არის? — მისცვინდნენ შეგირდები.

— რა არის და: ჰაი, შე თხის-ტვინაო!

— შენ ეი, თხის-ტვინას მოგცემ მაგ კოსროში, — წამოუყვარდა თხის-ტვინა თხუნელას, ისეთას დაგანარცხებ, რომ ლაყი კვერცხივით გასკდე.

— ეეი, დაუსტვინე, შენს მეტი თხის-ტვინა არავინ არის მერე? შენ რად დაგისაკუთრებია ეგ სახელი.

— კიდევ! გაჩუმდი-მეთქი!

— შენ ნუ სცდები, ე ბალნები აგლეჯინე პოხროსა და ბაკმანასა.

მართლა, თხის-ტვინას ჩვეულებრივად ამოელო ჰატარა სარკე, იჭყიტებოდა და თითოთ აჩვენებდა ორს შეგირდს, რომელნიც თხის-ტვინაზე ბევრად პატარაები იყვნენ, პოხრო მარჯვნივ უჯდა, ბაკმანა მარცხნივ და, რაც შეეძლოთ, აგლეჯ-

დნენ ამოსულს ბუსუსებს, რომ თხის-ტვინა ამხანაგებში დიდი არ გამოჩენილიყო.

— თუ ბიჭი ხარ და შენ იტყვი, რა არის პრაზნოსტაი, — მივარდა თხუნელა თხის-ტვინას და თვალეში მიაჩერდა.

— შე ოხერო, ეგეც რო არ ვიცოდე, მაშ რისთვისა ვდგე-ვარ რუსთანა, უროკებს რო არ ვსწავლობ, განა რუსულიც არ ვიცი, რა! პრაზნოსტა არის, შე ფინთო, შენაო... ჩვენი სმოტრიტელი კი ბლოლოროდნი იქნება.

— ჰაი და ყოჩაღ, თხის-ტვინა! რაები სცოდნია, ნახე თუ პირველობა არ დაიჭიროს ახალ სმოტრიტელთანა.

კიდევ ბევრს იყბედებდნენ შეგირდები, რომ ახალს ამბავს არ გამოერკვია ისინი: შემოიჭრა „ბორა“ — ინსპექტორი და გამოუცხადა:

— ჩუმად წადით სახლებში; ახალი სმოტრიტელი მოვიდა და ბრძანა, დღეს შეგირდები დაითხოვეთო და ხვალ ყველა ახალი ტანისამოსით გამოცხადდნენო. აბა წყნარად წადით, წყნარად.

## XV

### „მ ა უ ლ ს ო ნ ა“

სასწავლებელში ახალი სული დატრიალდა; როზგის ისეთი უწყალო ხმარება აღარ იყო, როგორც წინა წლებში, მაგრამ მაინც იყო ხანდისხან ტანზე დაკვრა. სამაგიეროდ ხელის-გულზე დაუწყეს უწყალოდ ცემა, მოკუმშულს ალყად დაქვრილს თითის წვერებზე; სცემდნენ სილას, აგლეჯდნენ ქოჩორს და აჩოქებდნენ ხანდისხან მთელ საათობით; ამას გარდა უსაღილობას კარცერიც წაუმატეს; რაკი ტიტველ ტანზე როზგი მოისპო ახალის ზედამხედველის მოსვლით, ამეებს ვილა სჩიოდა: ეს მოვლენა სასწაულად ჩაითვალა ბავშვების ცხოვრებაში. ახალმა ზედამხედველმა მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ შეგირდებმა მესამე და მეოთხე კლასში ორის სიტყვის ერ-

თად გადაბმა არ იცოდნენ რუსულად, რომ წინადადება შეედგინათ: აბა მარტო სახელმძღვანელო წიგნების „აქედან-აქნობამდეს“ დასწავლით რას შეიგნებდნენ საბრალო ტანჯულ-ჯვარცმულნი შეგირდები. ახალმა ზედამხედველმა, რომელსაც შეგირდებმა მეტ სახელად ჩიბუხა დაარქვეს, რადგან ერთ თავად პირში გაუქრობელად ეკირა პაპიროზი, უფრო სიგარა, და ეწევიდა კლასში თუ გარედა, მესამე და მეოთხე კლასში დაურიგა თითო წიგნი, რუსულ ენაზე შედგენილი ი. პაულსონისაგან, კლასებში საკითხავად; ამ წიგნს შეგირდებმა დაარქვეს „პაულსონა“\*). დაავალა მასწავლებლებს, რომ კვირაში უსათუოდ ორი-სამი წვრილ-წვრილი ამბები, ლექსები დაესწავლებინათ ბავშვებისათვის ქართულის ენის შემწეობით; ამიტომ მასწავლებლები ყოველ წინადადებას უთარგმნიდნენ და ისე ასწავლიდნენ რუსულსა. მასწავლებლებმა თავის მხრივ „სტარშოებს“ ჩააბარეს, რომ დაესწავლებინათ ხოლმე გაკვეთილი რუსულის ენისა და „ზამეჩანიეში“ ჩაენიშნათ. დატრიალდა ცეცხლი და ერთი საცოდაობა შეგირდებში; აბა რას იქმოდნენ თითო წიგნით ორმოცს შეგირდზე; გამოვიდა ისევ ყეყეჩას „ჩეი ტი სინა“. მახსოვს, რომ ერთს კვირას მოვეუნიდით ოღოვესკის ლექსის დასწავლას—„დილის სიმღერა“ (УТРЕННЯЯ ПѢСНЯ). ახლა რა ცეცხლის კიდება იყო დასწავლაში. ჯერ მასწავლებელი გვიხსნიდა, ვითომ დაგვასწავლიდა, მერე სტარშოებს მეორე დღისათვის შეუკვეთდა, რომ შეგირდებს უსათუოდ სცოდნოდათ. ვისაც შეძლება ჰქონდა, „სტარშოის“ მისცემდა რასმეს და ის, როგორც იქნებოდა, დაასწავლიდა.

აგერ მეოთხეში ვართ დავაუკაცებელი შეგირდები. „პაულსონამ“ სწორედ ბოლო მოგვიღო. ერთს დღეს მთლად უნდა ვიცოდეთ ის წყეული „УТРЕННЯЯ ПѢСНЯ“; ყველას გვაკანკალებს, ფერი მიგვდის; შემოვიდა მასწავლებელი და სთქვა, რომ დღეს თვით ზედამხედველი შემოვა და ყურს დააუგდებს. ამან ხომ სულ აგვათახთახა ყველანი; თხუნელამ წასჩურჩულა ამხანა-

\*) Книга для чтенія и практическихъ упражненій въ русскомъ языкѣ. Сост. И. Паульсонъ. ასე ერქვა და კიდევაც ჰქვიან ამ წიგნს. ავტ.

გებს, ამათ კიდევ დანარჩენებს, რომ თუ როზგი დაგვკრან, რაც შეიძლოთ, იყვირეთო; ვინ რა იცოდა, თუ თხუნელას რა ჰქონდა სახეში. მასწავლებელმა ჯერ ორს სტარშოის ჰკითხა, როგორც იყო სთქვეს, მაგრამ თითო როზგი მაინც უშხუილა ხელის გულზე, მაგრად არ იცითო.

— აბა, შენ ეი, დიღო ვირო! აბრუ დიდი გავქს და შიგ ყრია რამე თუ არა, ადექ ზეზე?— შეუტია ტხის-ტვინას მასწავლებელმა. თხის-ტვინა ბაიბურში არ იყო. ვითომც იმას არ ელაპარაკებოდნენ, მაგრამ აქეთ-იქიდან შეგირდებმა წაჰკრეს და თხის-ტვინა გაოცებით ადგა, ვითომ ვერ შეიტყო, რომ მასწავლებელმა გამოუძახა გაკვეთილის სათქმელად.

— აბა, ჰო: დაიწყე, რა გვაქს დღესა?

— „Утренняя пѣсня“-ი.

— ქართულადა სთქვი.

— დილის გალობა.

— გალობა კი არა—სიმღერა...

— დიღის სიმღერა,—გაიმეორა შეგირდმა.

— ჰაი ყოჩაღ, ყოჩაღ! მერე?

— Встань по... по... ут...ут...

— ...ру, —დაათავა მასწავლებელმა.

— ру,—შეჰყვირა დიღის ხმით თხის-ტვინამ.

— შე ვირ-ოხერო—„ру“ კი არა по утру!—მასწავლებელმა ამ სიტყვის უკანასკნელს მარცვალზე ისეთ ნაირად აუმაღლა ხმა, რომ შეგირდებს ეგონათ ამ მარცვალშია მთელი ბედი და უბედობა ამ სიტყვისა მოქცეულიო.

— აბა ქართულად სთქვი: Встань по утру.

— „ადექ დილით“.

— მერე? Встань по утру-ს შემდეგ რა სიტყვაა, — რუსულად?

— დაჯექ, დაჯექ!—წასძახა უკანიდან თხუნელამ.

— დაჯექ!—წამოიძახა სულელმა თხის-ტვინამ, ნამდილად დარწმუნებულმა, რომ სრული ჰეშმარიტება სთქვა.

— ბიჭო-შვილო, შე ამოსაწყვეტის გვარისაჲ! ერთი დაფიქრდი, რას ამბობ და!

— ბატონო, ჩემი ბრალი არ არის; აი თხუნელამ წამომძახა, ჩამაცივდა თქვიო და მეც წამოვიძახე.

— შე ოხერო, მერე ქვევრი ხომ არა ხარ, რაც ჩაგდახონ, ის ამოიძახო; აბა მაგოდენა ვირი ხარ, ცოლი რომ გყვანდეს, შენოდენა შეილები გეყოლება; როგორ გაგროზგო მაგოდენა მუტრუკი, სირცხვილიც არის, წამოგაქციოს კაცმა, კლასში ვერც კი დაეტევი... გამოიშვირე ხელი! ეს შენ, ეს შენ, რომ კვლავ აღარ დაუჯერო სხვის ტრაკატრუკსა, და ერთიც თავ-პირში გადაუშხუელა როზგის კონა. აბა ეხლა შენ, ბატონო თხუნელა, აბძანდით ერთი!...

— ბატონო, თვალები ჩავიწყალე, მაგრამ ვერ დავისწავლე, — დაიწყო თხუნელამ და სწორედ ამ დროს შემოალო კარი ზედამხედველმა. შეგირდები წამოცვივდნენ. მასწავლებელმა მოახსენა, რომ გაკვეთილად დღეს რუსულის ენისა ოლოვესკის ესა და ეს ლექსი აქეთო. თხუნელამ იხელთა და როცა ყველა შეგირდები დასხდნენ, ისიც ჩაჯდა და ცხვირი წიგნებში ჩაჰყო, მაგრამ ისევ აბძანეს. რასაკვირველია, თხუნელამ „ინჩიც“ არ იცოდა გაკვეთილისა.

— როზგი მაგას, — დაიძახა ზედამხედველმა, — თუმცა მე როზგის ცემა არ მიყვარს, მაგრამ ამისთანა კერპს ზარმაცებს ისევ ის თუ მოარჯულებს.

თხუნელა წააქციეს და ორი-სამი დარტყმის შემდეგ ისეთ-ისეთი შეჰკივლა, თითქო სული უნდა ამოჰხდესო; იატაკზე პროწიალი და ცურვა დაიწყო და თან ფურთხით ისელებდა თვალებსა და ამხანაგებს, როცა კი მოასწრობდა, ენას უყოფდა. ამხანაგებმა, როგორც იყო, თავები შეიკავეს სიცილისაგან; სულ ათი არ დაერთყათ თხუნელასათვის, რომ ზედამხედველმა ააყენა. ალბად იფიქრა, ძლიერ ემწვავა შეგირდს და არა დემართოს-რაო. იმ დღეს თხუნელამ თავი შესწირა ამხანაგებს: თუმცა ოთხი-ხუთის მეტმა არ იცოდა გაკვეთილი, მაგრამ ზე-



დამხედველმა ველარ გაბედა გაროზგვა, ეტყოზოდა გულ-ჩივილ-კაცობა.

— როზგს თავი დავანებოთ ტანზე, ისევ ხელზე ვცემოთ, — სთქვა მან.

იმ დღეს თუმცა გადაარჩინა თხუნელამ ამხანაგები, მაგრამ „პაულოსონას“ კი ველარ გადაურჩნენ; ტანზე იშვიათად-ლა სცემდნენ, მაგრამ ხელზე, ცხვირ-პირში, თავში მუდამ უშლაპუნებდნენ მასწავლებელნი. სხვას ყოველივეს თავი გაართვეს, მაგრამ ამ პაულოსონას ვერა დაუგვარეს-რა. სათითაო წიგნი რომ ჰქონიყოთ, კიდევ კარგი, მაგრამ ერთის წიგნით როგორ უნდა წასულიყვნენ იოლადა. აქაც თხუნელამ დაიხსნა ამხანაგები გაქირვებისაგან.

შეგირდები ჩავარდნენ საგონებელში: ამ ოხერმა „პაულოსონამ“ სწორედ სული ამოგვართვაო; რა ვუყოთ, როგორ დავიხსნათ თავიო, — ჰფიქრობდნენ საბრალოები. ერთს დილას თხუნელამ დაუარა თავის ამხანაგებს და უთხრა, რომ სადილის უკან კლასში ძალიან ადრე შეიყარენით, ერთი რამე მოვიგონე და მალე „პაულოსონას“ ასავალ-დასავალს ველარავინ შეიტყოზსო, ისეთს ალაგას ამოვაყოფინებ თავსაო. შეგირდები ჰკვირობდნენ, — რა უნდა მოუხერხოს ამ წიგნსაო. იცოდნენ, რომ თხუნელა გაბოგონებაში ძლიერ ოსტატი იყო, მაგრამ აქ კი თავები დაჰკარგეს და ვერ მიაგნეს, თუ რას მოუხერხებდა „პაულოსონასა“. ყველა გულის-კანკალით მოელოდა დანიშნულს ვადაზე მისვლას კლასში; მხოლოდ დააფიცა კი, რომ „სტარშოებს“ არას გზით არ გააგებინოთ ეს საიდუმლო, თორემ დავიღუპებითო. შეგირდები თვალს ადევნებდნენ თხუნელას კლასში, ის ერთობ დაფიქრებული აქეთ-იქით დაძვრებოდა, თავისებურად არ ოხუნჯობდა, არ ეშმაკობდა და შეგირდებს არ აცდენდა სხვა-და-სხვა ეშმაკურის ხრიკებითა. ასე გასინჯეთ, თხის-ტვინასაც კი, რომელსაც ჩვეულებრივად პოხ-რო და ბაკმანა წვერებს აგლეჯდნენ, ყურადღება არ მიაქცია, თუმცა კი ორჯელ-სამჯერ მისმა ღმეჰამ ბაღნების ამოგლეჯით

გამოწვეულის სიმწვავისა გამო მას საღერღელი აუშალა საოხუნჯოდ.

დადგა ის დროც, როცა თხუნელას საიდუმლოება უნდა გაეგოთ. შევირდებს ზოგს პურის ჭამაც ვერ მოესწრო, ისე საჩქაროდ თქარა-თქურით მოიჭრნენ კლასში, რომ „სტარშობებს“ არ მოესწროთ.

— ბიჭებო, ერთ-ერთი დერეფანში დადექით... აი, ბიჭებო, ჩვენი დამლუბავი „პაულსონები“ ორთავე ხელში მყვანან, ისე მოვგუდე ამ ჩემს აბგაში, რომ სულ ქრისტე გავაძაღე.... ჰაი, თქვე წყეულებო, რამდენი ცხელ-ცხელი როზგი მომხვდა ამის გულისათვისა; რამდენჯერ დაგვამწყვდიეს, არა ერთი რას გვერჩოდით, ჰაა!!....

— აი დაწყველოს ღმერთმა! ბიჭო, საიდან იშოვნე, ისინი კია, აბა გავსინჯოთ!— მივარდა თხის-ტვინა, გადაშალა „Утренняя пѣсня“-ზე და წამოიძახა: აი, აი, ჩემი დამლუბავი!.... „Встань по утру, не лѣнись! мыломъ вымойся, утрись“...

— შე ოხერო, მაშინ გეთქვა ეგრე!

— გამოტვინებულო ყვავო, ეხლა წიგნში კითხულობს და მაშინ ზეპირად ეკითხებოდნენ; ჯერ ეხლაც ჯლოყინით კითხულობს,—უთხრა ყვავს თხუნელამ და ერთი კარგი ჩააფარათავში...—არა, ყველაზე მეტი მე მომხვდა ამ ოხერა „პაულსონასაგან“; თხის-ტვინამ არ იცოდა, მე გამროზგეს...

— რად მასწავლე მერე!... რომ არ გესწავლებინა, მაშინ ხომ მე გამროზგავდნენ. მაიცათ, სუთ!.. თხუნელ, თუ ძმა ხარ, გვიამბე, როგორ ჩაგივარდნენ ხელში ეს წყეული „პაულსონები“?

— სტარშობებს დავპარე; პერემენიაზე შევიპარე მესამეში და ვანუას—სტარშობის ამოვაცოცე აბგიდან, ჩვენ კლასში ჯერ სოლიკოს აბგა დავჩხრიკე, ვერ ვიპოვნე, მერე კოტესი, ამასთან იყო... ახლა ამ წიგნებს უნდა ანდერძი ავუგოფ და მერე...

— დავმარხოთ ფეხის ადგილთან...

— ოროსპოღლო, დაიცა! თვითონ თხუნელამ იცის მაგისი...

— ჯერ ანდერძი ავუგოთ და მერე ჭიაკოკოლა დავან-  
თოთ ამ წიგნებისა და ზედ ვიხტუნოთ.

— ჰა, ჰა, ჰააა!!—შესკდათ ერთბაშად ყველას სიცილი;—  
შენი ჭირიმე, დედაფ, რა კუდიანია ეს ოჯახ-დაქცეული, ესა!  
თხუნელამ „შაქროს ქამარი“ საცეცხლოურად გააკეთა, თი-  
თონ მღვდლად გაკეთდა, თხის-ტვინა, ოროსპოლლი, ყვაფი და  
დანარჩენი მოანდერძე მღვდლად მორთო.

— სულთათანა აღსრულებულთა მართალთასა განუსვენე,  
უფალო! განუსვენე, უფალო, სულსა მონისა ამის შენისასა, ჩე-  
ნის დამლუბველის, ცეცხლზე ნავთის დამსხმელის, ეშმაკის და-  
წერილის წიგნის „პაულოსონისას“,—დაიწყო თხუნელამ და მთე-  
ლმა კლასმა ზედ დაურთო:

— განუსვენე უფალო ეშმაკის დაწერილს წიგნსა „პაულ-  
სონასა“.

თხუნელა გულ-მოდგინედ უკმევდა „შაქროს ქამრითა“  
პაულოსონასა“. ბოლოს დაფურცლეს ორივე წიგნები, შეაყენეს  
გორასავით, დანა-კაჟით. გააჩინეს ცეცხლი და წაუკიდეს; ფურ-  
ცლები აბურბურდა, ყველამ ზედ იხტუნა; ფერფლად ქცე-  
ული ფურცლები მიწმინდ-მოწმინდეს და გაიფიცნენ, რომ  
არავენ კრინტი არ დასძრას, წარბი არ შეიხაროს, თორემ  
აზრს აიღებენ და სულ ერთიანად დაგვირისხავენო. დაიწყო გა-  
კვეთილები. მასწავლებელმა მოჰკითხა სტარშოის პაულოსონის  
წიგნი და უთხრა, რომ ახლა „КАКЪ ПИШЕТЪ КОТЕНОКЪ“ დაეის-  
წავლოთო. ეცა სტარშოი კოტე აბგას, მაგრამ სად რა გინა-  
ხავს. თხუნელა კი თავჩალუნული ზის, ტუჩებს იკვნეტს და  
ტუჩებზე მომდგარს ღიმს იმაგრებს.

— შინ დამრჩენია, ბატონო!—სთქვა გადაფითრებულმა  
კოტემ.

— ითხოვეთ სხვა კლასიდან?

ალარც იქ აღმოჩნდა. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, ჩაიყლა-  
პა წიგნები. საქმე ზედამხედველამდე მივიდა. მან დაადგინა: ეხ-  
ლავე ოთხივე სტარშოები შეგირდების წინ დიდ დერეფანში

დაიროზგენენ, რადგან ყურადღება არა ჰქონიათო, და ყველა შევირდმა გამოიღოს ფული, რომ ჰაულოსონის წიგნი სათითაოდ გამოიწერონო.

## XVI

## შ უ რ ჯ ე ა ა

მამა პროკლე თვალაძეს ჩვენი მკითხველები უკვე ცოტათი იცნობენ წინა წერილებიდან, ახლა აქ მსურს ცოტა ვრცლად გავაცნო იგი. მამა პროკლეს შევირდებმა „პურქყია“ დაარქვეს, რადგანაც იგი მუდამ აპურქყებდა, გადაფურთხების შემდეგ წვერზე უსათუოდ ხელს ჩამოისვამდა და მუქში დაკუმშულის ხელსახოცით უღვაშებს მაგრა გადაიწმენდდა ხოლმე. პურქყია შუა ტანის კაცი გახლდათ, წვერილი და თხელი; თავის ძმა ყვინჩილასავით, ამასაც მარჯვენა ლოყაზე ხალი ჰქონდა; თმა და წვერი თხელი, მუდამ სუფთად დავარცხნილი, შუბლი ფართო და მაღალი; ყოველივე სახის ნაწილები ერთმანერთს შეესაბამებოდნენ, მაგრამ ელამი იყო და ეს გარემოება არღვევდა მისის სახის სილამაზეს და მიმზიდველობას; წინა კბილები ფაჩხატი ჰქონდა, ეგონებოდა ადამიანს კბილი აკლიაო, და როდესაც გაიცინებდა ხოლმე, კბილებსა და კბილებს შუა დარჩენილი ზიანი შავად გამოიკვირებოდა პირიდან და უგემურად ხდიდა მის სიცილს. კურსი გაეთავებინა თუ არა რუსეთის სემინარიაში, პურქყიას მღვდლობა შეემოსა და სამატრიაზოს სასწავლებელში გამომწესეს მეოთხე კლასის მასწავლებლად; იგი ასწავლიდა საღმრთო სჯულსა, საეკლესიო ტიბიკონსა და ანგარიშს. თუმცა რუსეთში იყო გაზდილი, მაგრამ, როგორც მღვდლის შეილმა, საოცრად იცოდ ტიბიკონი, ქართული საეკლესიო წიგნების კითხვა, გალობა. რუსულს როცა ლაპარაკობდა, ეგონებოდა კაცს, ნამდვილი რუსი ლაპარაკობსო; ქართულის ლაპარაკის დროს არც ერთს უცხო სიტყვას არ გაუჩვენებდა და ისეთის ლამაზის ქართულით ლაპარაკ-

კობდა, რომ სასოებაში მოიყვანდა კაცს. მისი მოსვლა სამატრა-  
 ბაზოს სასწავლებელში ნათელის მოვლენა იყო იმბნელის წყე-  
 დიადის გასაფანტად, რომლითაც მოცული იყო მთელი სასწავ-  
 ლებლის ცხოვრება; მისი მოსვლის შემდეგ ცოტა ახალმა სი-  
 რომ მოჰბერა სასწავლებელში; გულ-მოდგინე იყო; კლასს თა-  
 ვის დღეში არ დააკლდებოდა; ყოველსავე გაკვეთილს ჯერ ქარ-  
 თულად ახსნიდა, გაამეორებინებდა ნიჭიერს და ბეჯითს შე-  
 გირდებსა და მერე რუსულად აღსნიდა ნაწილ-ნაწილ; შევირ-  
 დები სწორედ სმენად იყენენ გადაქცეულნი; მეოთხეში თვით  
 შევირდები, ცოტა არ იყვეს, ცნობაზე მოვიდნენ: არ ვარ-  
 გა სულ ცუდლუტობა, ცოტა საბოლოოზედაც უნდა იფიქ-  
 როს კაცმაო. კვირეში ერთხელ მამა პროკლეს საწერი გაკვე-  
 თილი ჰქონდა გაწესებული: გვაწერინებდა პატარ-პატარა ამ-  
 ბებს, სხვა-და-სხვა საგნების აღწერას; კვირეში ერთხელ საში-  
 ნაო საწერსაც გვაძლევდა; ერთის სიტყვით, ისე გაართო შე-  
 გირდები შეგნებულის სწავლებითა, რომ ზარმაცობას ანებეს  
 თავი და რაც კი შეეძლოთ, სწავლობდნენ, და სწავლობდნენ  
 განსაკუთრებით მის საგნებს. კლასში მამა პროკლე ძლიერ სას-  
 ტიკი იყო, იგი გაცინებული არავის უნახავს; კლასს გარედ  
 კი ამხანაგი იყო ბავშვებისა: ქუჩაში თან გაჰყვებოდა, ემასლაა-  
 თებოდა, ეხუმრებოდა პატარეებსა; შევირდები, როგორც კრუხს  
 წიწილები, ისე აედევნებოდნენ სასწავლებლის ეზოში, თუ ქუ-  
 ჩაში და ყველა პირში შესცქეროდა, ყველას ჰსურდა მამა პროკ-  
 ლეს ყურადღება მიექცივნა. მოვიდა თუ არა სასწავლებელში,  
 მაშინვე ბრძოლა გამოუცხადა ძველის სისტემის სწავლებასა,  
 აღიჭურვა როზგის წინააღმდეგ, მაგრამ ნათქვამია: ერთი მერ-  
 ცხლის მოფრენა გაზაფხულს ვერ მოიყვანსო და ერთი კაცი  
 ჭამაშიაც ბრალიაო, მარტო მამა პროკლე პირველ ხანებში  
 ვერას გახდა, მაგრამ მაინც დაატყო, დაამჩნია თავისი გავლენა:  
 თუმცა შევირდებს კიდევ სცემდნენ, მაგრამ ისე უდიერად არა,  
 როგორც მის დრომდე. მამა პროკლემ, როგორც ტიბიკონის  
 მასწავლებელმა, წესად შემოაღებინა სასწავლებლის გამგეობას,  
 რომ შაბათს და ყოველ უქმე დღეებში საღამოს ლოცვა ცის-

კრით შესრულებულიყო ერთ-ერთის სასწავლებლის ოთახში. ეს ასეც მოხდა. აარჩიეს დიდი ოთახი და მამანი: პროკლე და ბართლომე რიგ-რიგად ასრულებდნენ სალამოს ლოცვას ცისკრით, ყველა წიგნებს სლავიანურად თუ ქართულად შევირდები კითხულობდნენ და იგინივე გალობდნენ. გარდა ამისა ყველა კვირა-უქმე დღეებში ორ-ორი შევირდი იგზავნებოდა ქალაქის ეკლესიებში; ერთი მათგანი დიდ წიგნებს კითხულობდა, ხოლო მეორე მეყამნებოდა. შევირდები ისე დაიწრთვნენ ტიბიკონში, რომ ნამდვილ მეტიბიკონეებს, მონასტერში აღზრდილებს, არ ჩამოუყვარდებოდნენ. მამა პროკლეს ძალიან მხარი დაუჭირა ახალმა ინსპექტორმა, „ბორად“ წოდებულმა, რომელმაც საუცხოვოდ იცოდა როგორც ტიბიკონი, აგრეთვე ქართული ეკლესიური კითხვა-გალობა; თვით „ბორა“ კითხულობდა ხოლმე ხშირად ქართულად ეკლესიებში და ცხოველს მაგალითს უჩვენებდა შევირდებსა.

თუმცა მამა პროკლე გაზაფხულის მერცხალი იყო, თუმცა მისის მოსვლით ახალმა სიომ დაჰბერა, სიომ ცხოველის-მყოფელმა, სიომ სულისა და გულის მაცოცხლებელმა და გამხარებელმა, მაგრამ იგი, როგორც აღზრდილი და გამოზრძმელებული ძველის სწავლის წესებში, მაინც ვერ ასცდენიყო ძველს სისტემას და, როცა გაჯავრდებოდა, უნებლიედ მიმართავდა ხოლმე სილას, სახაზავით ხელის გულზე ცემას, ხოლო ძლიერ იშვიათად როზგსაც, რომელიც უსათუოდ უნდა ყოფილიყო კი იმის გაკვეთილებზე. რომ შემოვიდოდა კლასში, ლოცვის წაკითხვის შემდეგ უსათუოდ მიუბრუნდებოდა მოწესრიგეს (დეჟურნს) და ეტყოდა:

— ხომ ყოველისფერი რიგზეა... როზგიც გაქვს?— და შეხედავდა ღუმელს, სადაც როზგები ეწყო ხოლმე.

მამა პროკლემ ვერ მოშალა „ზამეჩანიე“, რადგანაც ახალი ზედამხედველი არ დათანხმდა; ისევ ისე იწერებოდა „**აშე-ბა**“ და „**ზნაება**“, თუმცა ცემა აგრე რიგად არ იცოდა მამა პროკლემ და ცდილობდა როგორმე მის შესუსტებას, მაგრამ,

როგორც ვთქვით, მაინც მიმართავდა ხოლმე გაჭირვების დროს ბოლოს დასძალა თავი და როზგი სულ უარ-ჰყო, და მის მაგივრად დაჩოქება შემოიღო; ძლიერ ზარმაცებს, კერპებს, როგორც იგი ეძახდა იმათ, რომელნიც ტყუილად ისხდნენ კლასში და არას აკეთებდნენ, წამოაჩოქებდა ხოლმე პარტებზე; გადაწყვეტილი იყო მისგან, როცა იმათ „ოში“ ეწერათ, — უნდა უეჭველად პარტების თავზე დაეჩოქნათ.

მეოთხემდინ ბევრმა ველარ უწია, ბევრი ჩამორჩა და მეოთხეში უფრო რიგიანი შეგირდები ბევრი იყვნენ, მაგრამ უხეირონიც არა ნაკლებად; მამა პროკლეს ხელშიაც იყვნენ თხის-ტვიწნა, თხუნელა და ოროსპოდლი; აქვე მოჰყვა ის შეგირდი, რომელსაც ზემოდ ერთ ალაგას ვუწოდეთ „დიკარა“ (ველურა). ეს შეგირდი იყო ერთობ შავი, პროშიანი, თმა ჰქონდა შავი, როგორც გიშერი, ხუჭუჭი, როგორც ყირიმის ბატონის ტყავი, და მუდამ უზინავდა, და ამიტომ დაარქვეს ამას „დიკარა“. იგი იყო მშვიდი, წყნარი და ამიტომ კლასიდან კლასში ათრევდნენ სამადლოდ. აი, აი ამ საწყალს „დიკარას“ სტარშოები თავის დღეში გაკვეთილს არა ჰკითხავდნენ, თავისით ავიდოდა და დაჩოქებდა ხოლმე პარტაზე, როგორც ის აქლემი, რომელთანაც პატრონი მივა ხოლმე თუ არა შესაჯდომად, მაშინვე ჩაიჩოქებს ხოლმე. ეჩოქა საათობით და არც კი ვინმე იცოდა, თუ „დიკარა“ კლასში იყო; როგორც მართლა ნამდვილი კერპი, ისე იდგა ჩოქზე უნძრევლად, უსიცოცხლოდ.

მამა პროკლე, „პურკყიად“ წოდებული; თავისი ნათქვამის ბატონი იყო. ერთხელ გამეორების დროს ძველის აღთქმის საღმთო ისტორია ჩუდაკოვის სახელმძღვანელოდან ნახევარი მისცა დასასწავლად. შეგირდებმა ბოლოდან მეორე ნახევარი მოამზადეს, რადგანაც ახალი გათავებული ჰქონდათ და უფრო დარჩენილი იყო მეხსიერებაში.

გაისმა ზარის ხმა. შეგირდებმა ზმორება მორთეს: ოშიანებმა წამოიჩოქეს პარტებზე და კოტეპივით გადმოჰყვეს თავები.

— სუუთ!! პურკყია მოდის, პურკყია!...

— მოდის და ისე ჩავაბუღებულე ისტორიები, რომ სულ სხაპასხუპით ვიტყვი, — სთქვა თხუნელამ, რომელიც ბოლოს დროს ისეთ ნაირად შეეჩვია ზეპირად დასწავლას, რომ ყველას აოცებდა, მაგრამ თუ გადასცდებოდა სიტყვას, სულ ჩაუცვინდებოდა სიტყვები, აერევოდა ხოლმე თავზე ბალანი.

— აბა შენ, — მიათითა დიკარაზე, — სულ არა იცი-რა დღესა?

„დიკარა“ სდუმდა. არც კი შეუხრია წარბი, თითქმის იმას არას ეკითხებოდნენ.

— მაშ ყური მაინც დაუგდე... აბა თქვენ ორნი გამოდით და ერთმანერთს რიგზე ჰკითხეთ ისტორიები, — და დაუძახა ორს შეგსრდსა. შეგირდებმა შუა წელიდან დაიწყეს ისტორიის კითხვა და ბოლოსკენ მიჰყვნენ.

— ეს სადაური წესია? როგორ უკუღმა დაკისწავლიათ?

— ნახევარი გვიბრძანეთ, ბატონო, და ნახევარი დავისწავლეთ.

— მერე როდის გვიბრძანეთ ბოლოდან დასწავლა, ან შუა წელიდან.

— ხომ ნახევარია, ბატონო!

— რაო? კიდევაც ბედავთ სიტყვის შებრუნებას? მე ის მაჯავრებს, რომ წესს არღვევთ; სულ რომ არ დაგესწავლათ, ის მერჩივნა წესის დარღვევას... როცა ვთქვი, ნახევარი დაისწავლეთ-მეთქი, უნდა. თავიდან დაგესწავლათ და არა ფეხებიდანა; რალაც ყირამალაობას თამაშობთ... დეეჟურნო! როზგი გაქვს?

— გახლავთ, ბატონო!

— სტყუი, არა გაქვს! აბა შეიხედე ღუმელზე. — დეეჟურნო-მა შეხედა და შენიშნა, რომ როზგი არა სჩანდა.

— კიდევაც მატყუებთ? ხომ ნათქვამი გაქვთ, რომ როზგი უსათუოდ იყოს ხოლმე. არ გცემთ, მაგრამ მაინც უნდა იყოს... სტარშოი, გამოდი და კაი-კაი სილები აქამე ამას ყბებში.



სტარშოი გამოვიდა და სილოების ცემა დაუწყო აქეთ-იქიდანა.

— არა, შენ სილის ცემა არ გცოდნია,—უთხრა პურჭყიამ სტარშოის.—აი მოდი, მე გასწავლი და მერე ისე სცემე ხოლმე.—აქ პურჭყიამ ისეთები უთაქა „სტარშოის“, რომ სულ ბარბაცი დააწყებინა და მერე უბრძანა „დეეურნს“: წადი და ინსპექტორს სთხოვე, აქ მობრძანდეს, გამოფუცხადო, რომ თქვენ კლასში ჩემგან შემოდებულს წესებს არღვევთ. ჩემი სიტყვა უნდა წმინდად სრულდებოდეს ყველასაგან; მე მქვიან მასწავლებელი და არა თქვენა...

შემოვიდა კლასში პურჭყიასაგან ნახმოები ინსპექტორი—ბორა.

— იაკინთე იოსებიჩ! კლასში დისციპლანა როცა დაირღვევა, მასწავლებელს გუნება ეშლება, იგი მაშინ აირევა და ვეღარ მასწავლებლობს, როცა ვიღაც ბაღლი, რომელიც შენ გაბარია, რომელიც შენ უნდა გაზარდო, სულის და გულის საზრდო შენ უნდა მიაწოდო, ფარშიობას დაიწყებს, არ დაგემორჩილება, აქეთ-იქით გაიწვა-გამოიწვეს, მაშინ ყოველივე დაინგრევა. შეგირდს თუ თვისი ნება გააყვანინე, თავს დაგაჯდება და აღარას გაგიგონებს; იგი ხელში უნდა გყავდეს,—დაიწყო პურჭყიამ, რომელიც თუმცა ცდილობდა სიწყნარით ლაპარაკსა, მაგრამ გაანჩხლებული იყო, მის ხმას ღელვა ეტყობოდა და, რაც კი შეიძლებოდა, მალ-მალ აპურჭყებდა კუთხეში.

— შე დალოცვილო, თუ ხელში დაქერა გინდა შეგირდებისა, როზგის წინააღმდეგი რაღადა ხარ; მე შენი ვერა ვამიგია-რა,

— განა მარტო როზგით შეიძლება შეგირდების ხელში დაქერა, მათი ზნეობიოთი აღზრდა? უსათუოდ თუ როზგი არ უწყაპუნე, სხვა ღონე არა არის-რა? ე ბამბის ძველა გამოიძრეთ. მაგ ყურებიდანა და!

— აგრემცა, ღმერთო! მაშ რაღა ჯაერობ, რომ როზგი აღარ უნდა იყოსო, მე ამას გეკითხები მაინცა და ერთი ამიხსენი, რად დამიბარე, რა გინდა?

— მე ის მინდა, რომ შეგირდები უნდა წმინდად ასრულებდნენ იმ წესებსა და რიგსა, რა წესი და რიგიც აქვს შემოდებული ამა თუ იმ მასწავლებელსა...

— მერე, მერე?

— მერე ისა, რომ მე ნაბძანები მაქვს, რომ „დეჟურნს“ მაინცი და მაინც როზგი უეჭველად ჰქონდეს კლასში, ჰქონდეს იმიტომ კი არა, რომ მე მისი მომხრე ვიყო. არა! იმიტომ რომ ბავშვებმა რო შეხედონ ღუმელზე გადმოწყობილს როზგებს, მაინცა და მაინც რიდი და შიში ჰქონდეთ მისი, მარტო რიდი და შიში, გესმით, იაკინთე იოსებიჩ, თუ არა?

— ჰო, კარგი, მესმის, მესმის! განაგრძეთ.

— ამას გარდა, ვისაც „ზამეჩანეში“ აშა უწერია, უნდა იატაკზე დაჩოქილი დამხედეს, ერთობ კერპი შეგირდები კი ზედ პარტაზე უნდა იყვნენ წამოჩოქილნი, აი როგორც ეს „დიკარა“ არის წამოჩოქილი.

— მოსაწონია, მშვენიერია! სხვა?...

— მაცადეთ, თქვე დალოცვილო, პირიდან ხომ ვერ ამომგლეჯთ სიტყვებსა.

— მამაო პრულე, ჩვენ ამ ბაასს მოვუნდებით და საცაა. ზარის დროც მოვა.

— სხვა ისა, რომ ჩემი ბრძანება უნდა სრულდებოდეს: მე ვუთხარ ამთ რუდაკოვის საღმრთო ისტორიიდან გაემეორებინათ ნახევარი...

— რატომ არ გაიმეორეთ, — ჰკითხა ინსპექტორმა ორს პარტებიდან გამოყვანილს შეგირდსა, რომელნიც ისტორიის გაკვეთილს უგებდნენ მასწავლებელსა.

— ნახევარი დავისწავლეთ, ბატონო.

— როგორ? თუ დაისწავლეთ, ეს საჩივარი რაღაა?

— მე ვუთხარ თავიდან დაესწავლათ ნახევარი, მაგათ კი შუადან აულიათ და ბოლომდინ დაუსწავლიათ, ეს უკუღმართობაა, და უკუღმართობა საქმეში მე მეჯავრება.

— შე კურთხეულო! ეს რა გასაჯავრებელია: დღეს ასე დაუსწავლიათ, ხვალ თავიდან მოამზადებენ; თქვენთვის და საქმისათვის ხომ სულ ერთი და იგივეა?

— სულაც არ არის ერთი და იგივე; გაიგონე, რომ როდესაც შვირდები თუნდა ძალიან უმნიშვნელო ბრძანებასაც არ ასრულებენ, არ დაემორჩილებიან ამ ბრძანებას, მაშინ ჰარმონია ირღვევა, მაშინ დისციპლინა მკვდარია, მაშინ შევირდები თავს გავლენ.

— მე აქ ვერაფერსა ვხედავ გასაჯავრებელს.

— არ გინდათ და იმიტომ.

— ნახევარი გითქვამს, — ნახევარი დაუსწავლიათ; თავიდან არ დაისწავლეს დღეისათვის, — ხვალ დაისწავლიან.

— მაშ, თქვენ უწონებთ რაღა შევირდებს ამ საქციელსა? ეგ უნდა ვიცოდე.

— კარგია ერთი, მამა-შვილობას, ნუ ფხუკიანობ იმერელივითა! აქ გასაჯავრებელს ვერასა ვხედავ.

— წაიკითხეთ ლოცვა, — შეუტია მამა პროკლემ და ერთი ისეთი გადააპურქყა, რომ კედლის კუთხეში ჭყაპანი მოიღო. — მე აქ დამდგომი აღარა ვარ: როგორც გიწირნიათ, ისე სწირეთ; თქვენში არც კანონი ყოფილა, არც რაიმე წეს-რიგი და ვერც შემოიტანს აქ მას აღამიანი.

შევირდებმა პირები დაადეს; პურქყიას მუქარა ვერ გაიგეს და უძრავად ისხდნენ. ამ დროს პარტაზე დაიჩოქილს „კერპს დიკარას“ წასთვლიმა და იატაკზე პლაკვანი მოიღო; ამან გამოათხიზლა შევირდები და ყველანი წამოცვივდნენ; „დიკარა“ მშვიდობიანად წამოდგა, გაიბერტყა გვერდზე აკრული მტვერი და როგორც კი დააპირა აჩაჩხვა ისევ პარტებზე დასაჩოქებლად, პურქყიამ შეუტია და უთხრა, რომ დღეის უკან იატაკზე დაიჩოქოს ხოლომე.

— წაიკითხეთ ლოცვა, მე კლასში ყოფნა არ შემძლიან, ისე ვარ აღელვებული.

— მოიცა, მამის თქვენის მზესა!... როგორ შეიძლება.

— არა, არ შემძლიან.... — ლოცვა-მეთქი?! — შეჰყვირა პურჰყიამ.

„დეჟურმა“ - შეგირდმა კლასიდან გასასვლელი ლოცვა „ღირს-არს ქეშმარიტად“ წაიკითხა; პურჰყიამ მოჰკიდა ჯოხსა და ქუდს ხელი და კარებისაკენ გასწია.

— მამაო, რად ჯავრობთ, არ გადაეწყვიტოთ, რა ვუყოთ ურჩობისათვის ამ შეგირდებს! — უთხრა „ბორამ“

— რაც გინდა, ის უყავით; მე დღესვე ქაღალდს ვგზავნი, რომ გადამიყვანონ აქედან, ან სულაც თავს დავანებებ, მაკლდეს აქაური ოცი მანეთი თვეში, მარტო მრეველში ვიქნები.

— მამაო პროკლე, მე ამათ „ბეზაბელად“ დავაყენებ ერთის საათით და ეუბრძანებ, რომ ყოველთვის მორჩილნი იყვნენ თქვენის ბრძანებისა.

— არ შემძლიან.

პურჰყიამ გაიბრახუნა კარები და გავარდა. მაინც თავისი აასრულა და ორი დღე კლასში აღარ მოსულა გაკვეთილებზე; თავისი ნათქვამი მაინც აასრულებინა: მისგან შემოდებული წესები კლასში წმინდად სრულდებოდნენ შეგირდებისაგან.

## XVII

### სოლოკო-ოსი

სოლომონ კვანჭახაძეს\*) შეგირდები ეძახდნენ „სოლიკო-ოსსა“. შესანიშნავი რამ სულიერი იყო ეს სოლიკო. დაბალ

\*) სოლომონ კვანჭახაძე ნამდვილი გვარია იმ შეგირდისა, რომელსაც ამ თავში ვასურათებთ; იგი ამ ქაშად ცოცხალი აღარ არის; საშუალო სასწავლებელში დიდი ნიჭი გამოიჩინა; თუმცა ერთობ ღარიბი იყო, მაგრამ, როგორც იყო, მოახერხა პეტერბურგში წასვლა და იქ სატყეო ინსტიტუტში შევიდა. პეტერბურგში

კლასებში შეუმჩნეველი იყო, მესამეში ცოტათი თავი იჩინა თავისის თავისებურობით, მაგრამ მეოთხეში ისეთი თავისებურობა, ორიგინალობა გამოიჩინა, რომ მთელი შეგირდების ყურადღება მასზე იყო მიქცეული. ტანათ წვრილი, წერწეტი, თავი ცოტა შეწოწლავებული, შუბლი გადაწეული, წარბი სწორედ კალმით ნახატს წარმოადგენდა, იგი ჰქონდა შავი, როგორც ყურქი, ხშირი და ლამაზად გაწოლილი თავის ალაგას, ცხვირი ნამდვილი ქართული—აი სურათი, „სოლიკო-ოსისა“; როცა იგი იჯდა წყნარად, იმის თვალ-წარბის ცქერით ადამიანი ვერ გაძღებოდა, მაგრამ მაგიერში წრეს-გადასული, ბინძური ადამიანი იყო, ძნელად თუ იმისთანა ცინიკს მაშინდელს შეგირდებში შეხვდებოდა კაცი. მამა მისი იყო ოსების სამრევლოში მღვდლად. სოლიკო ოსებში იყო დაბადებული და თავის დედა-ენაზე არა ნაკლებ იცოდა ოსური ლაპარაკი; ტანზე ეცვა გრძელი ოსური ჩოხა, მასრებით მოწყობილი, ჩოხის ქვეშ ხან ჩითის, ხან შავი დიბეტის ახალუხი ეცვა, თავზე ეხურა ოსურივე ფაფახი, შარვალი კი განიერი, მალალ ყელიან წაღებში ჩატანებული; წაღებზე ისეთ ნაირს ქუსლებს აკეთებინებდა, რომ სულ ბაკა-ბუკით დადიოდა და ქუსლების წვერებით სულ დაჭვრეთილი იყო იატაკი; თმას ძირში იკრეკდა, წინ კი ქოჩორს იყენებდა და გვერდებზე კიკინებს, როგორც ურიებმა იციან; თავს თავის დღეში არ დავარცხნიდა, არც პირს დაიბანდა; სავარცხელის მაგიერობას უწევდა მას გასაოცარი, რკინასავით მაგარი, ფრჩხილები, რომელიც გრძლად ჰქონდა დაყენებული; რაც უნდა მკრელი დანა ყოფილიყო, მის ფჩხილს პწკალს ვერ შეაგდებინებდა; თავი სავსე ჰქონდა წილით და მოკრუხებული იყვნენ მის თავში

მას ხელს უმართავდა თავ. ა. მ. ერისთავი (გურული ერისთავთაგანი), ეს ის ერისთავია, რომელიც ამ ეპოქაში, თუ არ ვცდები, ფოთის საურთიერთო ნდობის თავმჯდომარეა. როდესაც სოლომონ კვანჭახაძე პეტერბურგიდან დიდი ავადმყოფი ჩამოვიდა, გორში ჩემთან ცხოვრობდა; ავადმყოფსაც კი უგზავნიდა თავ. ერისთავი ფულსა. ბოლოს ერთად სამოც და ათი მანეთი გამოუგზავნა, რომ თავისთვის ეწამლნა, მაგრამ საბრალო სტუდენტი სოლომონ კვანჭახაძე სწორედ ამ დროს გარდაიცვალა ქ. ტფილისში და ის ფულები მის დამარხვას მოეანდომეთ. ეს გარემოება მე რვეულში მქონდა აღნიშნული.

ათასობით უფთო ცხოველები,—ტილები; ფუთფუთებდნენ იგინი როგორც ფუტკრები; ფუილით შესდიოდნენ და გასდიოდნენ კიკინებიდან საქორესაკენ; სალორეში ხომ მათი ტევა აღარ იყო (სალორეს მდაბიურად კეფას ეძახიან). როდესაც ის წყეული ტილთა ხროვა ამორგდებოდა ხოლმე სოლიკოს თავში და გაუჩნდებოდათ არსებობისათვის ბრძოლა, სოლიკო ჩამოჰკრავდა ხოლმე თავისს ბასრსა და მაგარს ფრჩხილებს და მწიფე თუთასავით სულ პანტა-პუნტით ცვივოდნენ პარტებზე და-ტუტუნული მცხტვრებნი სოლიკოს ზედა-სართულისა. როცა ძლიერ შეაწუხებდნენ ხოლმე სოლიკოს ცხოველები, მაშინ ფრჩხილებით ისე ჩამოივარცხნიდა თავს, რომ ზოგი სავარხლითაც ვარ დაივარცხნიდა ისე ლამაზად; მაგრამ ერთ წყებას რომ გაიყრვეინებდა, მეორე წყება იჩეკებოდა და იზრდებოდა. ამასთან იგი საოცარი მეხსიერების ადამიანი იყო; რასაცკი წაიკითხავდა, ისე დაამახსოვნდებოდა ზეპირად, რომ თავის დღეში აღარ დაავიწყდებოდა. ის რუსული საზეპიროებიც კი, რომლიდანაც ერთი სიტყვაც არ ესმოდა ქართულად, მტკიცედ იყვნენ შთაბეჭდილნი მის ტვინში. საეკლესიო წიგნების კითხვა, ტიბიკონი, ყოველივე ეკლესიური წესები ზედ-მიწევნით იცოდა; წირვის, ცისკრის და საღამო ლოცვის ჟამნობას მუდამ ზეპირად ჰკითხულობდა საყდარში. როდის რა ტროპარი და კონდიკი იკითხებოდა; რომელიმე საუფლო დღესასწაული რომ დაემთხვეოდა კვირაობით, რა წესით უნდა შესრულებთლიყო ზოგიერთი საკითხავები,—მან სულ იცოდა. აი ამ უცნაურს სულიერს ამხანაგებმა დაარქვეს „სოლიკო-ოსი“. სოლიკო საყვარელი შეგირდი შეიქმნა მამა პროკლესი,—პურჭყიასი. შაბათ-კვირია და უქმე დღეებში დიაკვნის მაგივრად სულ ის დაჰყავდა პურჭყიას თავის ეკლესიაში. ყველა ამასთან ძალიან ხელღონიერი და მარდი ბიჭი იყო; ყვინჩილას შემდეგ მან დაიჭირა მისი ადგილი საკრივო ასპარეზზე; საშინელი კერპი და გაუტეხელი იყო: რკინის კეტი რომ გეცემათ თავში, წარბებს არ შეიხრიადა, არ მოერიდებოდა არავითარიმე განსაცდელს; რა იყო მისთვის დიდი სიცხე, დიდი ტეხვრა-სიცივე! როგორც სი-

ცივეს, ისე სიცხეს ერთს ტანისამოსში ატარებდა; სიცივისაგან აძაგდაგებული არ უნახავთ იგი ამხანაგებს; აძაგდაგებულს ამხანაგს რომ დაინახავდა, ზიზლით შეუტევდა, გალანძღავდა და ლაჩარს დაუძახებდა ხოლმე. ეკკლესიური კითხვა და ტიბიკონი რომ კარგად იცოდა, მაგიერში გალობისა არა გაეგებოდა; ყვავის ჩხაყილი ბევრად სასიანოვნო იყო მის სიმღერა-გალობაზე; ქართულად გემოიანად ლაპარაკობდა, მაგრამ ღმერთმა შეინახოს მისი რუსული ლაპარაკი; ისე ამტვრევდა რუსულს, ისეთს ადგილას დაარტყამდა ხმის ამალღებას, რომ მსმენელს გულს შეუწუხებდა; რომ შესაძლებელი ყოფილიყო და ფეხები, ან ფრთები გამოსხმიყო სოლიკოსაგან წარმოთქმულ რუსულს სიტყვებს, ცხრა მთას იქით გადასცვივდებოდნენ, მაგრამ ვაი მათ, რომ ეს არ შეიძლებოდა! გაუდრეკელობასთან გასაჭირში სოლიკო იყო პირდაპირი, გულადი, უშიშარი, საამხანაგო და სამეგობრო. ამხანაგის გულისათვის ცეცხლსა და ნავთში გაივლიდა, სასიკვდილოდ ამხანაგებისათვის თავს არ დაზოგავდა. თავის ღღეში ამხანაგების დაცინვაზე არ გაჯაგრდებოდა, და მათს სიცილს ფილოსოფიურად უცქეროდა.

სასწავლებლის პირდაპირ ერთმა ბერძენმა ფურნე გამართა. სხვათა შორის იგი გასასყიდად ბუბლიკებსა და იაღლოებს აცხობდა; შეგირდები ამ ბუბლიკებსა და იაღლოებს ძლიერ ეტანებოდნენ. სადილთ უკან, როდესაც მასწავლებელი დაიგვიანებდა, ან როცა მთელი კლასი უსადილოდ იყო ხოლმე დარჩენილი, შეგირდები სანაძლეოს დასდებდნენ და ვინც წააგებდა, ის ყიდულობდა ან ბუბლიკებს, ან იაღლოს და უყოფდა ამხანაგებს.

ერთხელ მთელი კლასი ზედამხედველმა გეოგრაფიის უცოდინარობისა გამო უსადილოდ დასტოვა. მოხერხებულმა თხუნელამ საოცარი სათამაშო გამოიგონა.

— ბიჭებო, ისეთს სანაძლეოს მოვიგონებ, რომ სიზმარშიაც არ გენახოთ, სიზმარშიო, — დაიწყო თხუნელამ და თან თითს აქანქარებდა.

— აბა ერთი, აბა ერთი!! — და შემოეხვივნენ გარს შევირდები.

— ბიჭებო! რას გამოვრჩეთ ამ სოლიკოს დასუქებულს ტილებსა, მოდი ერთი სანაძლეოს მოვიგონებ; ლუწ-კენტი ვითბმაშოთ სოლიკოს ტილებითა.

— თფუ, თფუ, თფუ! შენი ოჯახი ამოაგდო ღმერთმა, შენი! — უთხრეს ამხანაგებმა თხუნელას.

— თქვე ოხრებო, რას აფურთხებთ! იმის შექამანდს ხომ არ გაქმევთ, ან ფლავსა; მოიცათ და!... ჩამოისვას სოლიკომ ფჩხილები, მერე დავთვალოთ ხოლმე, ლუწი ჩემი იყოს და კენტი ვისაც უნდა, იმისი იყოს. აბა თხის-ტვინა, აარჩიე, ვინც წააგოს, იმან ბუბლიკები იყიდოს. ვისაც კი თითო-ოროლა გროში გაქვთ, ყველა სათითაოდ უნდა შემოვიდეს სანაძლეოში, თორემ ერთი ბრალი მოვა. აბა ჯერ მე და შენ, თხის-ტვინავ!.. აბა, სოლიკო, ჩამოისვი ფჩხილები.

— დაიცა, კაცო, ჯერ გავრიგდეთ: რამდენი გროში იყყეს თითო სანაძლეო.

— თითო გროში იყოს, თითო!... ხუთი ბუბლიკა მოვა, — იყვირეს შევირდებმა. და შემოეხვივნენ იმ ადგილას, სადაც სოლიკო იჯდა.

— რათა შევილო, რათ ჩამოვისვამ ჯერ ფჩხილებს, ჯერ მამირიგდით, მე რამდენს ბუბლიკს მომცემთ, — სთქვა ამაყად სოლიკომმა.

— ხუთში ერთსა, — უთხრა თხუნელამ.

— ნწარა, ყაბუღი არა მაქვს.

— მაშ რამდენი გინდა?

— ხუთში ორი მამეცით.

— ბევრია.

— მაშ არ იქნება.

— რას იტყვი, ბიჭებო? — დაეკითხა თხუნელა ამხანაგებსა.

— ჯანი გავარდეს, ორი მივცტო.



— თხის-ტეინ, დაიწყეთ: ლუწი თუ კენტი?—სთქვა თხუნელამ.

— კენტი მე.

— აბა, სოლიკო, ჩამოისვი ფსხილები.

შეგირდები მიეხვივნენ იმ ალაგს, სადაც სანაძლეო სრულდებოდა, ერთი ერთმანეთს ეკიდებოდნენ ზურგზე, ერთმანეთის შუაში თავებს ჰყოფდნენ, ოღონდ კი ეს სასაცილო სერი ენახათ.

— უჰუ! ბა, ბა, ბა! ე ვერანები, რა კიტრებივით გორავენ და!

— სუ ოსური ყველითა და ერბოთი არიან დასუქებულნი, — ოხუნჯობდნენ შეგირდები.

— ერთი, ორი, სამი, ოთხი. ლუწია, მოვიგე, მოვიგე! აბა თხის-ტეინა, იყიდე ბუბლიკები.

— ახლა რა ვითამაშოთ?...

— დაიცა, დაიცა!... ჯერ ერთი ეს ბუბლიკები გავათავოთ და მერე სხვას მოვიგონებ რასმესა, — დაიწყო კვალად თხუნელამ.

— იცი, ბიჭებო, მე რა ვისწავლე, — წამოიყვირა ოროსპოლი.

— დაიკარგე, შენი არა ევარგება-რა. ისევ თხუნელამ, თხუნელამ, — სთქვა სოლიკომა.

— შენა, შეილოსა, იმიტომ ჰკერძავ თხუნელას, რომ შენს ზღარტებს კაი ბაზარი გაუკეთა.

— დაიცათ!... ეხლა ტილების დოლი გავმართოთ. მაგრამ სოლიკოსი, კაცო, ერთობ დაკუტებულნი არიან, მარტო კოტრილოზბენ და სადლოდ არ გამოდგებიან... არა, თუ ჰატარა არ მოვამშიეთ ე სოლიკოს ბიძაშვილები, არ გამოდგებიან, — დაიწყო სიცილით თხუნელამ.

— შენ ეი, ბიძაშვილებს მოგცემ მაგ კისერში, კიდევაც დაიცინები!

— ეე, სოლიკო, ვინ გაგიბედავს დაცინვას მამი-შენის შეილოსა. ნწარ, რას ამბობ? იმათ კი ვენაცვალე ი თეთრ-ყირ-

მიზ სულშია, ისინი რომ არ ყოფილიყვნენ, დღეს ბუბლიკებით ვერ გამოვძღვებოდით.... აბა, ერთი კიდევ, ერთი კიდევ! სანამ-ღეოს ვინ იჭერს, ვინა.

შეგირდებმა კვლავ შეჰქმნეს ყვირილი, კვილი, მისცვი-დნენ სოლიკოს ადგილას და შეზედახორავდნენ, სცემდნენ ერთმანერთს თაეებსა და გაჰქონდათ და გამოჰქონდათ ერთმანეთი. ამ ყვირილზე შემოვიდა ზედამხედველი, მისი თანაშემწეც და ზედ წაასწრეს.

— ღმერთო, შემიწყალე! რას შვრებით ამას?... ერთი შეხედეთ რასა ჰგავს ეს შეგირდი, — მიუბრუნდა „ბორას“ და უჩვენა სოლიკოზე; რამდენჯერ ეუთხარი, ეს ტანისამოსი გაეხადნა; მიიღეთ ზომა, რომ გაიხადოს; ან რა არის ეს შენი თავი; მოდი ერთი უნახე, რას უგავს.

— ბიჭო, შვილო! თუ ოსი ხარ, არც ოსი ხარ; თუ შეგირდი ხარ, არც შეგირდი ხარ... რატომ არ შეიკერავ სერთუქს? — უთხრა ბორამ.

— ვერ ჩავიცვამ.

— რატომ?!

— ამასა ვარ დაჩვეული.

— აბა რომელს აცვია ჩოხა?

— მე ვერ ჩავიცვამ. — და სოლიკომ ჩაღუნა თავი, წარბები მოიხუშა და აღარც ერთს კითხვაზე პასუხი არ გასცა.

— ე თავი რალაზე გაგიტენია ამ ოხრებითა; მაგოდენა ვაეკაცი ხარ, აგერ კურსი უნდა გაათავო ამ წელიწადში და საცა წახვალ, ვინც გნახავს, რას იტყვის, ჰა?... სწორედ ღორის ბარკალივით ჩაგსხილვია და ჩაგმატლებია თავი.... ხვალ აღარ გინახო, თორემ ვაი შენს დღეს!...

— ვაიმე, დავილუპენით, ბიჭებო, დავილუპენით! ხვალ დღი უნდა გამემართნა და დახე რა გვიყვეს, — წასჩურჩულა თხუნელამ აქეთ-იქით ამხანაგებს, რომელთაც სიცილი ვერ შეიმაგრეს თხუნელას ოხუნჯობაზე და შეჰქმნეს ფრუტუნნი. ფრუტუნმა იფეთქა და ღრმა და ხმა-მაღალ სიცილად გადაიქცა. სასწავლებლის უფროსები გაოცდნენ, გამოიკითხეს. მიზეზი ამ უც-

ნაურის სიცილისა; შეგირდებმა უჩვენეს ჩვეულებრივად თხუნელაზე, რომ ამან გაგვაცინაო. ააყენეს თხუნელა; თხუნელამ უამბო, როგორ ერთობოდნენ დღეს სანაძლეოთი და ხვალისათვის დოღს აპირობდნენ. უფროსებმა სიცილი ვერ შეიკავეს. თხუნელა ტუჩებს იკვნეტდა სიცილის შესაკავებლად და მხოლოდ წარბები უთამაშებდა, თითქო ტუჩებიდან სიცილის ნდომა მასზე გადავიდაო, ისე უხტოდნენ.

— რასა ჰგავს შენი საქციელი?... არა გრცხვენიან, მეოთხეში კაცი იყოს და საცინლად აგდებინებდეს თავს თავის ამხანაგებსა, მერე რისათვის?... სწორედ გითხრა, წარმოთქმაც კი შეძენლება... უცხო რომ მოვიდეს ვინმე და ნახოს მისი თავი, რას იტყვიან... ხვალ აღარ ენახოთ, გესმის? თუ კიდევ ეგრე მოხვალ, დაგაჭერინებ სტოროუებსა და მთელ თავზე ტილების წამალს წაგისვამთ და კლასებში აგატარ-ჩამოგატარებთ, რომ ყველას შეზიზღდეს შენი ბინძურობა, — უთხრა ინსპექტორმა და ორივე უფროსები გავიდნენ. ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა კლასში, მაგრამ თხუნელა ვერ გაჩერდა.

— ე-ე-ე-ეჰ! — ამოიოხრა თხუნელამ ისე მაგრა, თითქოს გულ-ღვიძლი თან ამოადევნაო.... თქვე ოხრებო, თქვენ რომ არ აღრიალებულთყავით, უფროსები არ მოგვასწრებდნენ, ახლა წადით და ბუბლიკების მაგივრად ჩემი ფეხები ქამეთ... შენი ჭირიმე, სოლიკო, მანამ გაგაყრევინებდნენ, ერთი-ორი წყვილი ჩამოაგდებინე კიდევ, შევინახავ ქალალდში, ხვალ ერთ დოღს მაინც გავმართავ, რომ თუნდ გამოპრისხავდნენ. სოლიკო თავჩალუნული იჯდა და ფიქრს მისცემოდა: ამ ტილებს ჯანი გავარდეს, მაგრამ ჩოხა რომ გამხადონ, რაღა მეშველებაო.

### XVIII

#### გაუტეხარა გაკვეთილი

ახლად დანიშნული ზედამხედველი ასწავლიდა მეოთხეში გეოგრაფიას და რუსულს ენას. რუსულის გაკვეთილებს, რასაკ-

ვირველია, შეგირდები შეჩვეულები იყვნენ; მაგრამ გეოგრაფი-  
 ამ სულ სულები ამოჰხუთა; ახლად-ახალი საგანი იყო მეოთ-  
 ხელებისათვის, რადგან ძველად ამ კლასიდან იწყებდნენ გეოგ-  
 რაფიის სწავლებას; ყველა საგნებზე საძნელოდ ეს მიაჩ-  
 ნდათ, რადგან რიგიანი გადმომკეპი და ამხსნელი გაკვეთი-  
 ლისა არავენ იყო. ზედამხედველი ივანე პეტრეს ძე სწავლება-  
 ში ძლიერ ზარმაცი იყო, საგნებიც ერთობ ნაკლებად იცოდა,  
 ესე იგი, უფრო რომ გარკვევით გამოეთქვათ ჩვენი აზრი, მან  
 საგნები იქნება იცოდა, როგორც აკადემიაში კურს-დამთავრე-  
 ბულმა, მაგრამ სწავლება არ შეეძლო, გადაცემა სრულიად არ  
 უვარგოდა. ივან პეტრეს ძე განსაკუთრებითს თვისს ყურადღე-  
 ბას აპყრობდა გარეგნობასა: სასწავლებლის შენობა გადააკე-  
 თებინა, ეზო გაამშვენებრა, ხეები ჩარგო საგრილობელად, აღ-  
 არც იმდენი შინაური წვრილ-ფეხობა ირეოდა, განებიერებული  
 ვირიც გააძევეს, „მოკლე თედოც“ სამსახურს დაეთხოვა და  
 უფრო რიგიანი მსახური დაიჭირეს; კლასებში სისუფთავე იყო:  
 მუდამ აწმენდინებდა. მასწავლებლებს სთხოვდა. ყურადღება მი-  
 ექციათ რუსულის ენისათვის, გააჩინეს ბილეთები, რომ რუსუ-  
 ლი ელაპარაკნათ და გამართულიყვნენ; ვინც ქართულად და-  
 ილაპარაკებდა, მაშინვე ბილეთს მიაჩეჩებდნენ ხელში; რომელ-  
 საც გაკვეთილების ვათაეების შემდეგ შერჩებოდა წყეული ბი-  
 ლეთი, იგი უსათუოდ უსადილოდ უნდა დარჩენილიყო ერთის  
 საათით.

ზედამხედველის მშვენიერი გარეგანი სანახაობა არ შეესა-  
 ბამებოდა მის სულის სიმშვენიერესა: ივანე პეტრეს ძე იყო  
 ბრვე, წარმოსადეგი ახალგაზდა კაცი, ლამაზის და ეშხიანის  
 სახისა; პირს სუფთად იპარსავდა და უღვაშები კოხტა გურუ-  
 ლივით ჰქონდა გაბზიკინებული; იცვამდა სუფთად და ყოველ  
 დღე სულ-სხვა-და-სხვა ტანთსაცმელსა. მაგრამ ამ მშვენიერს  
 არსებაში კი შიგ არა ეყარა-რა: ქარაფშუტა, ჩქარი, გაუგება-  
 რი, სწავლებაზე ზარმაცი და მყვირალა. სულ ორს თვეს არ  
 გაუვლია ივან პეტროვიჩს გამომწესებიდან, რომ მან სატრფი-  
 ალო საგანი გაიჩინა ერთს ძველის ჩინოსანის სახლში და მა-

ლე ცოლად შერთვაც დააპირა მისი. ამ გარემოებამ ხომ-სულ შესცვალა ივანე პეტროვიჩი: სრულებით გული არა ჰქონდა სწავლაზე; კლასის ყურნალში გაკვეთილის დაწერაც კი ეზარებოდა და მის მაგიერ, დეჟურნი შეგირდი სწერდა, ხელი მისი, მისი გვარის მოწერა ორმა შეგირდმა, რომელთაც ჩვენ ზემოდ პობრო და ბაკმანა ვუწოდეთ, ისე ზედ მიწვევით შეისწავლეს, რომ ყურნალში ესენი აწერდნენ მის გვარსა და ის ჩერჩეტი ივან პეტროვიჩი სრულიად დარწმუნებული იყო, რომ მისი მოწერილი იყო. სწორედ იმ ხანებში მოხდა ივან პეტროვიჩის გამიჯნურება ჩინოსანის ქალიშვილთან, როდესაც გეოგრაფიის გაკვეთილები დაიწყო. კლასში გამოჰკიდეს გეოგრაფიული რუკები; რომელზედაც უნდა შეესწავლათ შეგირდებს პირველდაწყებითი ცნობანი გეოგრაფიიდან, მაგალითად, რა არის ეკვატორი, მერიდიანი, ნაწილნი ქვეყნისანი და სხვანი. გაუგებარი გაკვეთილი შეიქმნა შეგირდებისათვის იმ ხაზების ახსნა, რომლებიც გავლებულია გლობუსის მსგავს რუქაზე. თუმცა ივან პეტროვიჩი აღარ როზგავდა შეგირდებსა, — ეს ამბავი იყო 1866 წელში, — მაგრამ თმის გლეჯა, რუქაზე თავის ცეცქვა, დაჩოქება, უსადილობა სულსა ჰხუთავდა საბრალო შეგირდებს. ღმერთი იმითი სწყალობდა შეგირდებს, რომ ივან პეტროვიჩი სულ ხუთ-ექვს წამს დარჩებოდა ხოლომე გაკვეთილზე და მერე გაიქცეოდა თავის მიჯნურთანა.

— თხის-ტვინავ, შენ დერეფანში გადი, წამოვიდეს თუ არა სმოტრიტელი, მაშინვე შემატყობინე, მე თუ იმას არა მოვუხერხებ-რა, დღესაც კიკინებს ამაგლეჯს, — უთხრა თხის-ტვინას თხუნელამ, გავარდა გარედ, შემოიტანა საგველი ჩოთქი და კლასს დაგვა დაუწყო, ისე ამტვერა, რომ თვალთა წინა აღარა სჩანდა-რა. თხის-ტვინა კი დერეფნიდან ზვერაგვდა.

— არიქა! მოდის, მოდის!

ივან პეტროვიჩი, რომელსაც მეტ სახელად ჩიბუხას ეძახდნენ, კობტად გამოწყობილი შემოვარდა დერეფნში, პირში სიგარა ჩაეჩარა, ცალი ხელით ჯოხს ატრიალებდა; გამოალო-თუ არა კლასის კარები, მაშინვე შესდგა.

— რა არის ეს ამოდენა მტვერი?

— ეს არის ეხლა დაგავა „სტაროჟმა“, — მიახალა თხუნელამ.

— ფუი, შეგარცხვინოს ღმერთმა!... ისევ ის გაკვეთილი დაისწავლეთ ხვალისათვის... რა არის, ლორიც კი არ შეიგდება ამ მტვერში....

— სახლში გიხალოთ!? — ჰკითხავდნენ შეგირდები, რომელიც მზად იყვნენ კლასიდან გასაფრენად.

— სტარში, „პაულსონა“-დან წაუკითხე რამე, მანამ დაგეკავდნენ.

იმ დღეს გადარჩნენ გაუგებარს გაკვეთილს; თხუნელას ხერხმა ბევრჯელ გადაარჩინა; ახლა თხის-ტვინამ იკისრა კლასის გვა; როცა კი წამოვიდოდა „ჩიბუხა“ კლასისაკენ, მაშინვე ჩოთქს დაავლებდა ხელს და გვას შეუდგებოდა; ჩიბუხასაც ის უნდოდა, — გაჰკრავდა სატრფოსაკენ. მაგრამ ხშირად ამტვერებაც არ სჭირდებოდა; როცა კი საღერღელი წასვლისა აშლილი ჰქონდა, შემოვიდოდა გამოწყობილი ჯოხით, პალტოთი და სიგარითა, დაჯდებოდა სკამის კინწიბუროზე გასაქცევ ჩიტსავით და დაიძახებდა:

— ხორბალაძე, (გვარი იმ შეგირდისა, რომელსაც „დიკარას“ ეძახდნენ), გაკვეთილი სთქვი.

„დიკარა“ წამოდგებოდა კი, მაგრამ გაკვეთილი სხვებმა რომ არ იცოდნენ, იმას საიდან ეცოდინებოდა, როდესაც არც ერთი გაკვეთილი მის დღეში არა სცოდნია.

— არ იცი?

— არა, და ამ „არას“ ისე გაპარებით იტყოდა, რომ მისი ტუჩების იქით აღარ მოისმოდა.

— მაშე ყველანი უსადილოდ დარჩით.

ასე ატარეს შეგირდებმა პირველი გაუგებარი გაკვეთილი გეოგრაფიისა, მაგრამ განსაცდელს მაინც ვერ წაუვიდნენ. ერთს საღამოს ნაწყენი მოვიდა სახლში ივან პეტროვიჩი, ისე ნაწყენი, რომ მეორე დღეს ჩვეულებრივად აღარ წავიდა სატრფოს-

თან; კლასში შესვლა თუმცაღა ეზარებოდა, ხან იქით მიდგა, ხან აქეთ მოდგა, იქ „სტოროჟს“ დაუწყო ლანძღვა-გინება, აქ გარედ გამოსული შეგირდები კარცერში გაგზავნა. მაინც შევიდა კლასში.

— ხორბალაძე, გამოდი რუკასთან.

ხორბალაძე-დიკარა ზღაზენით ადგა, ბაიბურშიც არ იყო. დადგა შტერივით.

— გამოდი-მეთქი!... რაო, არ იცი?... დღეს შენ სარაიაში დაგამწყვდევ სალამომდისა, გამოდი, დაიჩოქე!

— გამოდი შენ,—დაუძახა ოროსპოლლის, რომელიც გავიდა და დადგა რუკასთან.

— ხედავ შენ მაგას?

— ვხედავ.

— რა არის ეგა, ამისთანა ქალაქს რა ჰქვია?

— ქარტა ჰქვია.—ეს ტერმინი, რასაკვირველია, იცოდნენ და ოროსპოლლიმ თამამად მიუგო.

— შუაზე დიდი ხაზი რომ არის გავლებული, მაგას რა ჰქვია? ოროსპოლლი გაჩერდა, აათვალიერ-ჩაათვალიერა, ჰხედავს, რომ ერთი დიდი ხაზია გავლებული თავიდან ბოლომდის, ზემოდან-ქვემოთკენაც არის ხაზები; იფიქრა, ამ პირდაპირ გავლებულს ხაზზე შეკითხებაო, მიაშტერდა და დაინახა, რომ სწორედ ამ ხაზთან აწერია სიტყვები: „ЖАРКИЙ ПОЯСЬ“ და წამოიყვირა:

— ამ ხაზსა ჰქვია „ЖАРКИЙ ПОЯСЬ“ (ცხელი მხარე).

— რაო, რაო? ვინ გასწავლა შენ ეგა?

— აი ამ ხაზს ზემოდან აწერია.

— არა გცოდნია... აბა მითხარი, რასა ჰქვია ეკვატორი?.. მიჩვენე მაგ რუქაზე—ეკვატორი რომელია. შეგირდი სულ დაიბნა; ატარა თითი რუქაზე, ხან იქ დაადო, ხან აქ, მაგრამ არც ერთი არ გამოდგა ეკვატორი. ივან პეტროვიჩი წამოდგა და ზედ რუქაზე მიუცეცქვა თავი. შეგირდებში შიში ჩაფარდა; ყველას ოროსპოლლის ბედი ელოდა. შენც დაიჩოქე, მინამ გა-

კვეთილი გათავდებოდეს და მერე უსადილოდ დარჩი... მოიცათ, ნუ იყვირებთ, ეხლავე შემოვალ და სისწრაფით გავიდა კლასიდან.

— აი წასვლა შენი და აღარ მოსვლა! — მიაძახა თხუნელამ; — ახლა ჩემი რიგია; ოროსპოლლის შემდეგ მე ვზივარ.

ივან პეტროვიჩი მალე შემობრძანდა, კბილებში გაჩაღებული სიგარა ეჭირა; შემოალა თუ არა კარები, ერთი უცნაურად დაიღრიჯა და წამოიძახა კარებიდან.

— ფუჰ, ფუჰ! ვის აუყროლებია, ვის აუყროლებია! — თხუნელამ ისარგებლა ამითი და თავისთან მჯდომს შეგირდს ისეთი წაჰკრა გვერდში იდაყვო, რომ ვეება შეაყვირა. „ჩიბუხამ“ შეჰნიშნა ესა და დაუყვირა: სწორედ თქვენ იქმნებოდით, გადით გარედ და მინამ არ დარეკონ, თქვენი ფეხი არა ენახო კლასში, თორემ მაგ ფეხებს ზედ შემოგამტვრევთ, თქვე მყრალეხო, თქვენა!! თხუნელას და მის ამხანაგსაც ის უნდოდათ, წამოცვინდნენ და ერთს წამს გაჰქრნენ კლასიდან. მთელმა ამხანაგობამ გულში შენატრა იმათ ბედსა: ისინი წმინდა ჰაერზე გავიდნენ, ესენი კი ჯოჯოხეთის ალით იწვიან; ეხლა თხუნელა იქიდან ნიშანს გვიგებს და უყურე, რამდენს დაგვცინებსო.

— შემდეგო, — დაუძახა თხუნელას შემდეგ მჯდომს შეგირდსა. გამოდი... აბა მერიდიანები მაჩვენე, რასა ჰქვიან მერიდიანი? მიჩვენე კუნძული ფერრო?... არც ერთი არ იცი, რატომ, ჰა? — უცეცქევა ამასაც რუქაზე თავი და ისე ააწიწკნა ყურები და კიკინები, რომ ყურებმა სულ წითლად დაუწყოა ღუილი.

ვინ რას იტყოდა, როდესაც რუქას პირველად ჰხედავდნენ და ძე-ხორციელს ადამიანს არ უჩვენებია რუქაზე არც ეკვატორი, არც მერიდინი, არც სხვა რამე. ჩვენების გარდა არავის არ აუხსნია, თუ რას ჰქვიან ეკვატორი, მერიდინი და სხვანი. მაგრამ ამისი მთქმელი ვინ იყო; შეგირდებს ეგონათ ასე უნდაო, ჩვენ აღბად უგუნურები ვართ და ამ ფილოსოფიას ვერ მივხვდებითო; ივან პეტროვიჩი ბატონი იყო და ვინ



რას მოჰკითხავდა იმ უბედურს დროში, როცა რევოზორი მართო ეგზემენიების დროს მოვიდოდა, შევირდებს გამოცდაზე დაესწრებოდა და გასწევდა ისევ თავის გზაზე. ისე გაათავეს შევირდებმა გეოგრაფია, რომ არავითარმე ცოდნა არ შეუძენიათ, განსაკუთრებით პირველის ნაწილიდან. მხოლოდ ზოგიერთმა შევირდებმა ზებირად თუ დაისწავლეს რამე **აბოღოგ-სკის** გეოგრაფიიდან რუსეთის შესახებ, სხვა არაფერი; თავისით ეძებდნენ რუქაზედ გუბერნიებს, ქალაქებს და შესანიშნავ აღგილებსა.

## XIX

დამდეგ ენკენისთვის დღეებია; მზე სასიამოვნოდ ათბობს ქვეყანას; დიდი მოძრაობა და ფაცო-ფუცი აქვთ ფრინველებს; არც თუ მიდიან ჯერეთ სამშობლო ქვეყანაში, არც თუ აქა-აქვთ სადგომი პირი; ხალხიც ფაცა-ფუცობს. სართვლოდ ამზადებს ქვევრებს და ჭურებს, სხვა-და-სხვა საღვველს ინახავს საზამთროდ, გასაყიდად, საფეშქაშოდ; ვენახებში ყურძენი მწიფდება, ღუის ყვითელ-წითლად; ქალებში ტყის პანტა შემოდის, კუნელი დაშავდა და დამწიფდა, კვრინჩხსა და შინდს. ხომ ლეცა არა აქვს. ქალაქ სამატრაბაზოში ქარავანი და ქარავანი მოდის ურმებისა სამაჩაბლოდან და მიეზიდებიან დედა-ქალაქს ტფილისში გასაყიდად. დილაა მშვენიერი მზიანი, თბილი; ქუჩაზე გამოვიდა აბგით შევირდი; შეხედა, რომ მიდიან ურმები, ხილის გოდრებით დატვირთულნი; მიიბრინა ერთ ურმთან, შეიჭყიტა გოდრებში, დანახა ყვითლად დამწიფებული ხეჭეჭური, თვალები აუთამაშდნენ, კბილებმა კაწკაწი დაუწყო მელიასავით, მაგრამ ღონე არ ჰქონდა გამოღებისა: პატრონი გვერდზე ოსდევდა დიდის იფნის სახრითა. დაუცადა ბოლო ურემს და გაჰყვა უკანა; ატანა ხელი და როგორც იყო ერთი ხეჭეჭური გამოაძრო გოდრიდან, პირი ჩაიგემრიელა, მეორეც გამოაძრო; წინ შემოხვდა მეორე ამხანაგი; ამანაც მიჰბაძა პირველს და გაჰყვნენ ურმებსა, კარგა დაშორდნენ სასწავლებელსა.

— მოდი, ბიჭო, დღეს მაინც ამ ოხერ გეოგრაფიის გაკვეთილს ვერ გადვურჩებით; გავიდეთ ქალაქში, ისეთი მწიფე შინდი ვიცი, რომ ქამით ვერ გაძლება კაცი, იქიდან ხიდის თავის ვენახებში გავიდეთ და ყურძენიც ვიზურგოთ.

— იპ, რა კარგად მოიგონე; წავიდეთ, — უთხრა მეორემ და შეუდგნენ გზასა.

თხუნელას ამ დილას ძრიელ აღრე გაეღვიძა; ძილში ეკვატორი და მერიდიანი ჩაჰყვა და ძილი გაუფუტხო; ატრიალა თავში გეოგრაფიის გაკვეთილი, მაგრამ ვერც თავი გაუგო, ვერც ბოლო. ერთი საშინლად გააზმორა; გადატრიალდ-გადმოტრიალდა ლოგინში და იფიქრა: მოდი დღეს არ წავალ; მაინც ივან პეტროვიჩი გაკვეთალზე არ შევა, თუ შევა, ერთს წამს გაჩერდება, მაგრამ ოხერი ბედისა ვარ, ეი თუ მაშინვე მე მომიკითხონ. ნწარა! წავალ. ხაზი არ გამისვან და არ გამომრისხონ ამ სიკეთის დროსა, თორემ მამა-ჩემს ვინ მიუვა სახლში... უუჰ! რა მეზარება, ჩემს დღეში ასე არ დამზარებია წასვლა, გული მეუბნება, რომ დღეს ჩიბუხა ცემით ამოგვხოცავს... მოდი ერთი ქალაქში წავალ, ამ ოხერს ~~აბოღვსკის~~ წავიღებ თანა და იქნება ამ ჩემს სატიელო თავში შევიდეს როგორმე ის ოხერა მერიდიანი... გასწია ქალისაკენ.

თურმე ნუ ბრძანებთ, თითქმის ყველა შეგირდს ამ აზრით გაჰღვიძებია; მოდი, დღეს არ წავალ კლასში, ქალაქში მივიმაღლები, მარტო მე რომ დავაკლდე, იმით რა იქნება, თუ დამსჯიან და ჯანი გავარდეს; კლასში შიშით ბაბანსა და შეწუხებას იმ ოხერს გაკვეთილზე, ისევ თავის მორიდება სჯობიან. ყველამ ქალას მიაშურა; იამათ თავისუფლად ამოსუნთქვა ლამაზს ქალაქში, სადაც სხვა-და-სხვა ტყის ხილი შემწიფებული იყო; მზე სასიამოვნოდ ათბობდა და ჰნიბლავდა ადამიანსა. ვნახოთ, ერთმა ამოჰყო თავი ჩირგვიდან, მეორემ, მესამემ. შეიყარა მთელი ჯარი მოსწავლეთა.

— ბიჭო, შენ რა გინდა აქა? — ჰკითხა გოაცებით თხუნელამ თხის-ტვინას.

— შენ რაღა გინდა?

— მე ღღეს გამოვიპარე!

— მე კი ველარ გამოვიპარებოდი!

— თხის-ტვინავ, ჩუ! რაღაც ხმაურობა ისმის; რა ექნა, ეს თითქო სოლიკოსი და ოთარაანთ მიხას ხმა არის... ისინი არიან, სწორედ მიხას ვენახში მიჰყავს... დაგინახეთ, დაგინახეთ!—მიაყვირა თხუნელამ.

— უჰ, შენ ამოგაგდო ღმერთმა! ბიჭო, აქ რა გინდათ. —იკითხეს გაოცებით მიხამ და სოლიკომ.

— ის, რაც თქვენ გინდათ!—უპასუხა მკვირცხლად თხუნელამ.

— ვაიმე დედავ, მთელი კლასი აქა ეყოფილვართ!—სთქვა მიხამ.

— საით?—ჰკითხეს მიხას.

— ვენახში წამოდით თქვენცა; ისეთს ატამსა და ყურძენს გაჰმევთ, რომ სიტკბოთი სულ ყელი დაგეწვათ.

— უჰ, უჰ, რა კვრინჩხია! ყურძენივით არ არის ეს და-ლოცვილი,—მოისმი ქალიდან ხმა.

— ერთი აქეთ მოიარე, რა შინდია და!—გამოეხმაურა რამდენიმე კაცი კვრინჩხის მაძებარსა.

— დავილუპენით! ყველას დაგვრიცხვენ!—წამოიძახა თხის-ტვინამ, რომელიც ამისთანა დროს ძლიერ მშიშარა იყო.

— მამა გიცხონდა, თუ გამოგრიცხეს, ქვეყანას ბოძი გამოეცლება; თუნდა ნუ გდებულხარ დამპალი წიფლის კუნძივით ი ოხერ კლასში.

— არა, მაინც რაღა ღღეს მოგვინდა ყველას წამოსვლა.

— ეი, რომელი ხართ მანდა? აქეთ მოდით! — დაიყვირა თხუნელამ.

— რას უყვირი, რად გინდანან?

— მე ვფიქრობ, რომ ძებნას დაგვიწყებენ; არ შეიძლება, რომელიმე შევირდს ჩვენთვის თვალი არ მოეკრას; დაგვაბეზ-ლებენ, ბორა მაშინვე საძებნელად წამოვა.

— წავიდეთ, კაცო, ვენახში, იქ ხომ ვერ მოვლენ, — უთხრა მიხამ და სახელო მოსწია თხუნელას. ამასობაში მოვიდნენ სხვებიც, — სულ შეიყარნენ შვიდნი.

— მთელი ნახევარი კლასი ეყოფილვართ აქა!... მოდი, შეილოსან, მე ჩიბუხად გაკვეთდები, ე მიწაზე გლობუსს დაგხატავ და გეოგრაფიის გაკვეთილს გკითხავთ, — დაიწყა თხუნელამ; — თუ მოგვასწრობს ვინმე, ვუთხრათ, გაკვეთილს ვიმეორებ-თქო.

— ხა, ხა, ხაა! — გაისმა ხარ-ხარი ქალაში, რომელმაც შორიდან მოსცა ხმა.

— ბიჭო, ძლიერ ნუ ყვირი... — აბა გაკვეთილი იწყება.

— შენმა სიცოცხლემ, შენ ხომ ბევრი იცი და ახლა ჩვენ გვასწავლე.

— ტყუანს გაუწყრეს ე მზის თვალის მადლი და აი ზემოდან რომ გადმოგვცქერია, გორის-ჯვრის წმიდა გიორგი, იმან დაკრუნჩხოს, რომ მე თქვენზე კარვად ვიცი ყოველიფერი... აი დაგხატავ ჯოხით გლობუსსა... რას იცინით, მა რა გავაკეთოთ ამ ოხერს ქალაში... კბილები დამაჭრა ამ მუავე კვრინჩხმა... აბა, თხის-ტვინა, მიჩვენე, ეკვატორი რომელი ხაზია ამ ხაზებში... სთქვი ჩქარა! — და წაუთაქა თხის-ტვინას...

— ხა, ხა, ხაა! — გაისმა ძრიელი ხარხარი, — ქალამ წკრილით აღბეჭდა იგივე და უკანვე მოახალა ყურში მათი ხარხარი.

— შენ უნდა ამიხსნა, შე ოხერო, შენა, თუ კაი მასწავლებელი ხარ!

— ყური, სმენა!... ეკვატორი ჰქვიან იმ ხაზსა, — ყველამ ყურები დაცქვიტეს, მიაჩერდნენ თხუნელას, იცოდნენ, ფარსაგს არას იტყოდა იგი...

— გვაჩვენე, გვაჩვენე!

— დაიცათ, თქვე მხეცებო! ნუ მიშლითო!... როგორ არ იცი, მაგოდენა მხეცმა, — მიუბრუნდა თხის-ტვინას თხუნელა, — წარბები შეიკრა და გაიარ-გამოიარა... როგორ არ იცი, რა არის ეკვატორი, ანუ რასა ჰქვიან ეკვატორი?... შე მხეცო!

ეკვატორი ჰქვიან იმ ხაზსა, რომელსაც შენ წავისმენ და გამოგრისხავენ.

— მერიდიანი, მერიდიანი? — ჰკითხეს ამხანაგებმა.

— ჰმ! მერიდიანი!?

— ჰო, ჰო!

— მერიდიანი ჰქვიან იმ ჯოხს, რომელსაც თხის-ტეინას მისცემენ ხელში და ეტყვიან: აჰა, დაიჭი, გზაში დაილალები, ამ ჯოხზე გადასჯექ და შინ მიბრძანდიო.

— მამა გიცხონდა, შენ კი თვალებს ამოგიკოცნიან აი....

— შენ გლების შვილი ხარ, მე მღვდლისა, უწინ შენ ამოგიჭერენ კუკუსა.... მაჯრამ მე მაგას არ ვიკადრებ, რომ ხაზი გავისვა და გამოგრიცხო, — შევიდა ისევ თავის როლში, — თხუნელა, არც ჯოხს მოგცემ ხელში; წაგაქცევ და ერთ ორიოდ მერიდიანს მოგარტყამ. წააქციეო, ეს ეირი, ესა! ერთი კვირაა ვეჩინები და ორი სიტყვა ვერ დავასწავლე. შეგირდებმაც წარმოიდგინეს, რომ კლასში არიან, და ეცნენ თხის-ტეინას, მაგრამ თხის-ტეინამ გაითითოვა და სულ პანტა-პუნტით გადაპყარა აქეთ იქით ჩირგვებში თავისი ამხანაგები.

— რას ჩასცეცებიხარ, სოლიკო? — ჰკითხეს ამხანაგებმა სოლიკოს, — რომელიც ჩირგვის ძირს ჩამჯდარიყო და მართლა რაღაცას ჩასცქეროდა.

— ერთი შეხვით ამ კიანჭველებს, რა ამბავი აქვთ და! ჩვენც ვიტყვით, ვცხოვრობთო, რაღა! დაიწყო სოლიკომ. ჩვენ გეოგრაფიის გაკვეთილს გამოვექეცით და ესენი კი რა რიგ შრომობენ, რა რიგ ეზიდებიან საზღოს ზამთრისათვის.

— ჰაი თუ მაგათაც მოჰკითხავდა ჩვენი ჩიბუხა ეკვატორსა და მერიდიანსა, მგონი თავის დღეში სოროდან თავი არ ამოეყოთ.

— ნეტავი შენა, პეპელავ, რომ ვგრე უდარდელად დაჭფრინავ, დაჭფარფატებ! არც ეკვატორს გკითხავს ვინმე, არც მერიდიანსა, არც კუნძულს „ფერროსა“!... ეხლა მეც პეპელად ვიქცეოდე, მოვრჩები ამდენს დავი-დარაბასა, — დაიწყო მიხამ, — თავი მე აღარ შემრჩა, სულ გამოლაყებულნი მაქვს ცე-

მისაგან; მუხლის თავები გადალტეტილი ჩოქებისაგან, ტანზე ხომ სულ ბებერები ჩასხედან...

— შენმა მზემ, კაი პაწია ჰეპელაც კი იქმნებოდა აი! — უთხრა თხუნელამ.

— რაც ვიქნებოდი, ხომ ვიქნებოდი! აგერ ოცის წლისა ვარ და ოცი სიტყვა არ ვიცი.

— ბევრი გცოდნია, მე და ჩემმა ღმერთმა! მე ათიც არ ვიცი-და! იცი, შენ რა გეკუთვნის მაგისტანა ცოდნისათვის?

— რა, რა? — მიატანა თხის-ტვინამ.

— შენ რაღას ეჩხირები? შენ ხომ ხუთი სიტყვაც არ იცი? — უთხრა მას თხუნელამ.

— მიჰქარავ, მე რუსთან ვდგევარ და სულ სხაპასხუპით ვლაპარაკობ რუსულსა. თუ მეკუთვნის, მე მეკუთვნის და სხვას არავისა...

— ცინდლის მენდალი პრასის ლენტით, — დაათავა თხუნელამ და ჩამოჰკიდა კიდევ გულზე.

თხის-ტვინა წამოუფარდა, შეიქმნა ჭიდაობა და ბლლადუნნი. ამდროს შემოესმათ ხმაურობა, ყველანი შეჩერდნენ; ხმა ემცნაურათა წაუგდეს ყური. ხმა უფრო და უფრო ახლოს ისმოდა, ბოლოს კარგად გაარკვიეს: ინსპექტორი ბორა წამოსულიყო შეგირდების საძებრად და თან მოჰყვანდა ადგილის მაჩვენებლად ჭალაში მყოფთა ამხანაგი.

— იცი კი ნამდვილად, რომ აქეთ იქმნებიან?

— როგორ არა, ბატონო, ურმებს გამოჰყვინენ ორნი; მერე სოლიკო და მიხაც ასე გამოვიდნენ, მე ხიდის ყურთან ვიდექი იმ დროსა და კოკას წყლით ვავსებდი.

— აა, ლევანა ტყლარჭაძეს დავუბეზღებივართ! — და შეგირდებმა კბილები დააკრჭიალეს სიბრაზითა.

— აბა დაუძახე, გამოვიდნენ, თორემ თუ არ გამოსულან, არცერთს აღარ დავაყენებინებ სკოლაში და ამ სიკეთის დროს, ყველას დავარისხვინებ, — მოისმა ბორას ხმა.

— გამოდით, ბიჭებო, გამოდით! — ჰყვიროდა ლევანა, — რომელმაც მერე დაასახელა ყველანი.

ყველა დამნაშავე მხდალია: მეტი რაღა ღონე ჰქონდათ, გამოვიდნენ. ბორამ ლანძღვა დაუწყო და მერე დარიგება.

— მაგოდენა კაცები ხართ, რაღა დროს თქვენი გაპარვაა; პატარა ბავშვმა რომ ჰქმნას ესენი, კიდევ ეპატივება, მაგრამ თქვენ?... თქვენ არ გეპატივებათ, მაგრამ აბა რა გიყოთ: ავიფურთხე უღვაშს მომხვდამო, დავიფურთხე, — წვერსაო, ორთავე საწყენია; ამისი არ იყოს, გამოგრისხოთ, თქვენი მშობლების საცოდაობა საფლავშიაც არ მომასვენებს, დაგსაჯოთ, მცხვენიან, მაგოდენა ვაჟკაცები, როგორ წამოგაქციოთ და დაგროზგოთ. წადით ემ საათში თქვენის უნამუსო პირითა, წადით კლასში; ბედი თქვენი, რომ დღეს ზედამხედველმა სულაც არ გაიქაჟანა სასწავლებელში.

შეგირდები წყნარად, თავ-ჩაქინდრულნი წავიდნენ კლასში... დიდხანს აღარ გასტანა ივან პეტროვიჩის ბატონობამ: იგი იმ დღეებში უმაღლესს ადგილზედ გადაიყვანეს ქ. ტფილისში, მაგრამ ვაის გამყრელნი, ვუის შეეყარნენ.



### ახალი უფროსი

ივანე პეტროვიჩის ალაგი დაიჭირა ახალმა უფროსმა იგი თავიდან მოიშორეს ერთი სასწავლებლიდან და თავი ამოუყვეს სამატრაბაზოს სასწავლებელში. თუ ერთი კლასიკურის სიზარმაცით იყო სახელ განთქმული, მეორემ სასწავლებელს ცეცხლზე ნავთი დაუსხა: იგი იყო უსაშველო ლოთი, რომელიც ზღაპრადაც არ გაეგონება ადამიანს. ყველას იამათ ამისი მოსვლა, ეგონათ, ჩიბუხას დაგვავიწყებსო, მაგრამ მოსტყუდნენ. ახალი უფროსი, ალექსეი პეტროვიჩი, ძალიან ტანოვანი კაცი იყო, ერთი რაღაც ახმახი და უშნოდ აწოწვილი. წვერ-უღვაშს იპარსავდა და დიდი მალმერთებელი იყო „პილატეს ცრემლისა“ \*);

\* ) „პილატეს ცრემლს“ ეძახიან არაყეულობას.

მუდამ გაჭარბებული დადიოდა; თვალები წამოსივებული, ჩახრინწული ხმა,—ყველა ეს ამტკიცებდა მის თაყვანის-ცემას ბახუსისადმი. ერთი დიდი ღირსება კი ჰქონდა, ღვთის წინაშე: ცემა სრულებით ამოჰკვეთა და დიდს ყურადღებას აქცევდა იმ გარემოებას, რომ შეგირდები წირვა-ლოცვის წესებში განვითარებულიყვნენ; მაგათი პირდაპირი დანიშნულება ეგ არისო, ხშირად იტყოდა ხოლმე, საგნებიც ძალიან კარგად იცოდა, მაგრამ რა გამოვიდა, კვირაში ერთხელ ძლიერ ნახავდა კაცი ფხიზლად. დანარჩენი დრო გამოფხიზლებას და „გამოპანხმელიაობას“ უნდებოდა. კიდევ კარგი, რომ ალექსი პეტროვიჩის ცოლი ძლიერ სასტიკი ადამიანი ჰყავდა, თორემ სულ დაეკარგებოდა საბრალოს დავთრები. თუ ცოტა ნასუნნი ჰქონდა „პილატეს ცრემლი“, მაშინ არა უშავდა—რა, ქეიფუხედაც იყო, ლაპარაკსაც მოუმატებდა, გიჟივით ღრეჟასაც მოჰყვებოდა, მაშინ ახსნიდა კიდევ რასმეს გაკვეთილიდან; მაგრამ ვაი შენს მტერს, თუ ფხიზელი იყო; მოაყოლებდა ხველას და საბრალოს სულ თვალები გადმოუბრუნდებოდა და ცრემლით დაეტენებოდა ხოლმე; აღარც ხმა ჰქონდა, აღ-რც სახე, დაღონებული-დაძმარებული იჯდა, თითქო, ქვეყნის დარდი და მწუხარება სულ ამის გულ-გვამში მოქცეულაო; იქამდის შეპყრობილი ჰყავდა „პილატეს ცრემლს“, რომ ჩუმად ედვა გძელს პალტოს ჯიბეში პატარა შუშა, „პილატეს ცრემლით“ სავსე; კლასში რომ მოდუნდებოდა, ამოდენა კაცი თითქმის სკამზე ჩაიშლებოდა და ჩაიკეცებოდა, ისე რომ ლაპარაკის სავატობა აღარა ჰქონდა, მაშინ ფეხ-აკრეფით გავიდოდა კლასის დერეფანში და შუშას მოიძაგრავდა; არაყი ცოტაოდნავ მოაცოცხლებდა და კიდევ განაგრძობდა გაკვეთილებს. სრულიად დაეცა დისციპლინა სასწავლებელში: შეგირდებმა სულ აიშვეს თავები, აღარავისი რიდი და შიში აღარა ჰქონდათ. პატივს სცემდნენ მამა პროკლეს, რომელსაც თავისი საქმე მაგრად ეჭირა, და აგრეთვე მეორე კლასში ქიშმიშას მაგივრად გამომწესებულს ახალს მასწავლებელს, რომელიც მხარს უჭერდა მამა პროკლეს; ამ ორმა კაცმა გადაარჩინეს შეგირდები ზნეობით გარყენილობას; ეს ორი კაცი იყო სწორედ ის



სვეტი, რომელიც ებრაელებს უდაბნოსა შინა მოგზაურობის დროს დღისით იცავდა მწვავის სიცხისაგან და ღამით ბნელს უნათებდა.

მოვიდა თუ არა ახალი უფროსი, მეორე დღეს მოიკითხა „დეჟურნი“, რომელსაც გადასცა ტემა: „აღწერა იმ ქალაქისა, სადაც თქვენა სწავლობთ“; ამასთანავე დაეწერა გეგმა, თუ როგორ უნდა შეედგინათ შეგირდებს თხზულება. მამა პროკლესაგან თუმცა შეჩვეულები იყვნენ წერას, მაგრამ იგი აწერინებდა მარტო თავის საგნებიდან; ამგვარი ტემა კი პირველად ნახეს შეგირდებმა.

— ვინც კარგად დასწერს, — ეთქვა უფროსს, — იმას პატარ-პატარა წიგნებს ვაჩუქებო.

იამათ შეგირდებს; არიქა, დავბროწიალდეთ, ერთმანერთს ვუშველოთ, იქნება გული მოვიგოთ ამ ახალის უფროსისაო, — ფიქრობდნენ შეგირდები.

— როგორი კაცია, პა? — ჰკითხა თხუნელამ სოლიკოს, რომელმაც ტემა გამოუტანა უფროსიდან.

— მითხრა, ეს დაწერეთო, მე დაღალული ვარ, და ორსამ დღეს ვერ შემოვალ კლასშიო...

— ააშენოს ღმერთმა! — იყვირეს შეგირდებმა.

— ძლივს არ მოისვენებს ე ჩვენი „დიკარა“.

— ეკვატორისა ან მერიდიანისა არა უთქვამს-რა? — ჩაურთო თხუნელამ.

— დაიცათ კაცო, არ მათქმევინებთ?... — ამ სამ დღეს ვერ შემოვალ კლასშიო და ეს მინამდის დასწერეთო... ისეთი მაღალია, რომ ამ კლასში არ გაიმართება, — სთქვა სოლიკომამ.

— მაღალი ე ჩვენი თხის-ტვინა კი არ არის,, რომ შიგ არა ყრია-რა! — უპასუხა სოლიკოს თხუნელამ.

— შენ თუ მე არ ვადმომწვდი, ხომ არ იქნება; ნეტა კაცს შინც ჰგვანდეს ეს უბედური, ესა!

— რა ძლიერ მოტყუებულა, ვინც ამას თხის-ტვინა დაარქვა: თხას რა უშავს, ის ცხვარზე ბევრად ჰკვიანია, ეშმაკი და ცუდლოუტი, ამისათვის ბატის, ან ინდოურის-ტვინა უნდა დაერქმიათ.

— რა ვქნა, აგიყვანო და დაგაწიწკნო, ვაი თუ შემომაკვდე, მერე იტყვიან, კაცი მოკლაო, — უთხრა გულ-დამწვარმა თხის-ტვინამ.

— როგორ იყო, თხუნელა, თხის-ტვინას რომ აპოიკის წაღები აყიდვინე შარშანა და ერთი კვირის უკან დასცვინდა... ერთი გვიამბე, თუ ძმა ხარ.

— განა არ შიამბნია?...

— არა, არა! თქვი, თქვი! — მისცვივდნენ ამხანაგები.

— ჰა, კრინტი, თორემ მაგ ენას ამოგაგლეჯ! — და წამო-უტროლია ლდა თხის-ტვინა. მაგრამ შეგირდები ჩაუდგნენ შუაში, თხუნელა პარტებზე დააყენეს და უთხრეს: ნუ გეშინიან, შენ დაიწყე, აქ არა ვართ!

— თხის-ტვინა გამომიტყდა და მითხრა, რომ მამა-ჩემი მოვა ამ დღეებშიო... ეს შარშან იყო, მეოთხეში რომ გადმოვედით... შენ უთხარ მამა-ჩემსაო, რომ შენი გიო, (თხის-ტვინას ნამდვილი სახელია), პირველი შეგირდია-თქო, იმას გაეხარდება, შენც დამეხმარე და იქნება აპოიკის წაღები მიყიდოსო. რასაკვირველია, მე ძალიან დავიჩარჩე, დავძლიეთ ამისი მამა და აჩუქა წაღებისათვის ფულები. მერე მე ვკითხე: ბიჭო, რად გინდა ე აპოიკის წაღები-მეთქი? შე სულელოვო, საჭრიკინებელს დავადებინებ... აი სკრიპას რომ ეძახიან, იმასაო... უყურე, სოფელში რა ამბავი იქნება, სულ შე დამიწყებენ ცქერასაო... იქ ქალები მეძლევიანო...

— ჰაი, შენ კი ამოგადღოს ღმერთმა! სტყუის, ღმერთმანი, ეგ არ მითქვამს, ეგ არ მითქვამს.

— ბიჭო, მართლა ქალები გეძლევიან? ქალაქის სკოლაში არ წამოხვალ? — ჰკითხეს ამხანაგებმა...

— სტყუის, კაცო, სტყუის!

— ჰო, ქალები მეძლევიანო და გაპრიალებულის და კრინა წაღებით რომ გაგივლი, ფასი მომემატებაო... წავედი პეტრე ძაბხიძესთან, რომელიც აპოიკის წაღებსა ჰკერავდა, იმის მეტი ხომ არავინ არის ახლაც... შევეხვეწეთ მე და ეს ოროს-პოლლი: შენი ჭირივე, ჩვენო პეტრე, გიგას წაღები უნდა, და

ერთი შტუკა უყავიო; წაღები შეუკერე, ძლიერ ჭრიჭინა იყოს, მაგრამ დასველდეს თუ არა, ძირები ასცინდეს. დაგეყაბულდა... გიგამ წაგვიყვანა ჩვენ სოფელში საორთვეოდ... ის ოხერი წვიმა არსად არ გაჩნდა, მისმა წაღებმა ყურთა სმენა წაგვართვა ჭრიჭინითა. კვირა დღე გათენდა, ავიპარე დილა ადრიან, კარგა დავუღბე წაღებს ქირები, ვიცოდი, რომ კარდონის ძირები ჰქონდა, ჩევაკვით და გავყევით მე და ეს ოროსპოლლი ეკკლე-სიაში.... აი გამამტყუნოს, თუ ტყუილად ვლაპარაკობდე...

— მართალია, ზიარების მადლობა, — დაემოწმა ოროსპოლლი.

— პატარა ხან ვიდექით, — განაგრძო თხუნელამ, — წაღის ძირები ძალიან მოღბა და იმ ოხრებმა ჭრიჭინს უფრო მოუ-მატეს; გათავდა წირვა, ჩვენი თხის-ტვინა შარაშურით გამო-ვიდა ეკკლესიიდან, სულ ორი ნაბიჯიც არ გადუდგამს, რომ ძირები ასცვინდა წაღებსა და დარჩა ცარიელი საპირეები, მოდის შენი თხის-ტვინა და მოაფრატუნებს ფეხებსა. ასე კი გათავდა მაგის ჭრაჭუნა წაღების ამბავი.... ჩვენ რალა დავგაყენებდა მა-გისას შიშითა, დავკარით ფეხი და ეკკლესიიდანვე ჩვენ-ჩვენს სახლებში წამოვედით....

გავიდა სამი დღეც, შეგირდებმა მოამზადეს ზემორე აღ-ნიშნულს ტემაზე თხზულება; შემოვიდა ალექსი პეტროვიჩი; შეგირდები ჩუმად ისხდნენ; ალექსი პეტროვიჩს „პილატეს ცრემლი“ გადაეკრა, მხიარულად იყო და სულელივით იღრი-ჭებოდა; ბავშვებს ჩამოართვა რვეულები. გაკვეთილი აუხსნა და მერე წიგნიდან პატარა ამბავი წაუკითხა; საზოგადოდ იმ დღეს გაკვეთილი კარგად ჩაატარა, მხოლოდ ეს იყო, რომ კლასში უცნაური არყის სუნის დადგა; შეგირდებმა მაშინვე მო-ისაზრეს, რომ ამას გადათხლეშა ეყვარებაო.

— მაგისმა რა მიყო, თუ არ დავიმეგობრე უ ჩვენი ახალი ზედამხედველი, — სთქვა თხის-ტვინამ.

— ერთი ოსური არაყით თუ არ ჩავახჩე, არ იქნება, — დაუმატა სოლიკომა.

— მე შენ გითხრა, სამიკიტნოს ვერ იშოვის კაცი აი! — სთქვა თხუნელამ, მაგრამ; კაცო, მაგოდენა კაცს რა გააძლობს,

მგონი ორი-სამი „ტრიცეტკა“ არ ეყოს... იცი, ბიჭებო, ეგ ღვი-  
ნოს არ იქნება დაჩეუული, ღვინო მალე მოუგრებს კისერსა.

— ნურც აგრე გათამამდებით, რა თქვენი ტოლია, ან რო-  
გორ გაუბედავთ!—დაიწყეს ამხანაგებმა.

— მე მაგისი ამბები გამიგია, ქალაქლებმა მითხრეს და  
ამიტომ ვამბობ, — მიუგო თხის-ტვინამ.

პირველი ნახვის შემდეგ, გავიდა რამდენიმე ხანი; ალექსი  
პეტროვიჩი შეეჩვია შეგირდებს, აღარ ერიდებოდა და ძალიან  
ხშირად ძალზე გადათხლეშილი შედიოდა კლასში; დიდრონი  
შეგირდები დაიხლოვდა და მათთან ერთად დადიოდა ქალაქში,  
ვითომ-და შეგირდების ბინების სანახავად; იმ დროს ვილაც დიდ-  
კაცს მოელოდნენ და შეგირდებს არიგებდნენ, როგორ უნდა  
დახვედრიყვნენ. ერთს დღეს წვიმს კოკისპირულად, კარზე ძალღი  
არ გაიგდება, შორს, მიყრუებულს ქუჩაზე; სამიკიტნოში შესულა  
ალექსი პეტროვიჩი, თან ახლავან თხის-ტვინა, თხუნელა და  
სოლიკო; სოლიკოს, როგორც კარგს მეტიბიკონეს, ხომ არ  
იშორებდა გვერდიდან. ჰხურავს მას თავზე სოლიკოს ოსური  
ფაფახი, ზის დახლზე და ფეხები ოშთაყვირებივით ჩამოუკიდნია;  
უჩახუნებს შეგირდებს სტაქნებსა და გადაუდით ღვინო.

— მომეცი ე შენი ჩოხაც ჩავიცვა, მე ძლიერ მომწონს  
ამნაირი ტანისამოსი, — უბძანა სოლიკოს, — რომელმაც მაშინვე  
გაიძრო თვისი ჩოხა. შეგირდებმა დახლიდან ჩამოაბძანეს ალე-  
სი პეტროვიჩი, გადააძრეს პალტო, სერთუკი და, როგორც იყო,  
ჯაჯვით ჩააცვეს მას სოლიკოს ჩოხა; ჩოხა ერთობ ვიწრო გამოდ-  
გა; მხრებში ძლიერ მოუჭირა, მაგრამ მაინც არ დაეხსნა, შე-  
მოიკრა ზემოდან სოლიკოსავე ქამარი, მისი ფაფახი თავზე და-  
იხურა და მოჰყვა ყვირილსა:

— Я качаю, я качаю! (მე ყაჩალი ვარ), — უტურტურებდა  
მუშტს დახლიდარს და ფეხებს უტყაპუნებდა, — მოიტა ჩქარა  
ღვინო, თორემ თავს მოგჭრი, და ხელს ისე აქნევდა დახლი-  
დარისაკენ, თითქო მართლა თავი უნდა გააგდებინოსო.

— აი ოხრად დამირჩი, კაი ყაჩალი შენ იქნები! — წაიტუ-  
ტუნა თხუნელამ, — მივიდა დახლთან, აიღო ჭიქა, მიუკაკუნა მის

ჭიქას და სთქვა:—ეს ღმერთმა აღდგერძელოს ამისი გამომგზავნელი; ღმერთმა უშველოს, პატარა ამოვისუნთქე და ჩემს ცემას ბოლო მოეღო, და გადაუსვა. ალექსი პეტროვიჩმა დაუმაღლა და „ჩაპროსტა“ თხუნელა.

— ჩვენი დიდი უფროსი რომ მოვა, უნდა ყველანი გამოვექიმნეთ, — აი ასე, — და აქ ალექსი პეტროვიჩი ერთი უცნაურად გაიჭიმა; — როცა გეტყვით: გამარჯობათ თქვენი, ყმაწვილებოვო! — თქვენ ასე დაიძახეთ: ვისურვებთ თქვენის მაღალხარისხოვანების ღღერძელობასა-თქო! შეგირდებს რამდენჯერმე გაამეორებინა და მუცლები დაახეთქა ღრიალით. რომ აღარ ეშველა მის დაჟინებას, თხუნელამ ისეთის მაღალის ხმით მორთო „მრავალ-ჟამიერი“, რომ გადააჭარბა ალექსი პეტროვიჩს, რომელსაც თხუნელას საქციელი ძლიერ მოეწონა და უთხრა:

— Ах да молодецъ! маленький да удаленький!... (აი ყოჩად! პატარაა, მაგრამ მარჯვეა!) წაველო კისერში ხელი, შიითრია და ხელ-გაყრილი დალია თხუნელასთან ღვინო....

დუქნის წინ დიდი გუბე დამდგარიყო; ალექსი პეტროვიჩმა შექნიშნა ეს გუბე, გამოქანდა დუქნიდან, ჩაწვა გუბეში და მორთო გალობა: „რაჟამს იორდანეს ნათელ იღე, უფალო“... სთხოვდა შეგირდებს, ბანი მიეცათ.

— ოჰ, შენი ოჯახი დაიქცა, — ამბობდა სოლიკო, — ტანისამოსი დამისველა მაგ საღვათ ძაღლიმა; მოდით, ბიჭებო, ავაყენოთ; მისცვინდნენ, როგორც იყო, ააყენეს და ეს ამოდენა ვეშაპივით კაცი თხის-ტეინამ მოიკიდა ზურგზე და ხენეშით გააძუნძულა სახლისაკენ.

გადიოდა ღღერები ამგვარად; შეგირდები, თუმცა ცემას მოშორდნენ, მაგრამ სრულიად არა გაუკეთებიათ-რა ლოთობის მეტი, რომელსაც ისე შეეჩვივნენ, რომ თითქმის ყოველ უქმე ღღერების შემდეგ აკლდებოდნენ კლასებს და ხშირად გადაკრულებიც მოდიოდნენ. ეს ამბავი იყო 1867 წელში. ჩვენმა გმირებმა გაათავეს დაბალი ოთხ-კლასიანი სასწავლებელი და გამოუცხადეს, რომ თქვენ გადაყვანილი ხართ საშუალო სასწავლებელში და პირველს ენკენისთვის უნდა გამოცხადდეთ ქალაქს ტფილისშიო.

## ს. მკაღობღაშვილი

(დასასრული მეორე ნაწილისა)

# შემუსერილი სამი მცნება

(ლეგენდალური ამბავი)

## I

...მონადირენი არ სცხრებიან. მრავალი ირემი, ტახი და ქურციკი დასჭრეს და მოჰკლეს; დამფრთხვალი ნადირი უგზო-უკვლოდ გარბის: ლომი, ვეფხი, ირემი, ქურციკი ერთმანერთში აირივნენ და ყველა ერთსა: ცდილობს, მოარიდოს თავი მონადირეთ.

ხმაურობს ტყე... საითაც კი სპილონი ხორთუმს გაიქნევენ, ლაწა-ლუწით გზას უთმობენ ხეები. ამ უცნაურ ნადირთა მოძრაობაზე ფრინველთაც ხმაურობა ასტეხეს.

დიდებული დიდებულის ხმაურობით მიიღო ტყემ. სეფის-წული თავისის მხლებლებით ნადირობს და ძლიერადაც გაიტაცა ნადირობამ; ველი მოიფინა ტყიდან გამოცვივებულ ნადირით. მხლებლები მოკლულ ნადირის შეგროვებას ველარც კი ასდიან. ნადირობამ გაიტაცა. იმას აღარა ახსოვს-რა ამის მეტი. თან-და-თან ნადირობის სურვილი უფრო უცხოველდება.

აგერ ტყიდან გამოხტა ვეფხი. თან ირემთა და ტახთა ფარა გამოჰყვა. ყურადღება აღარც კი მიაქცია ირემთა და ტახთა, რადგანაც უკვე მრავალი დახოცა. მოისურვა თავის ტაიჭის გამოცდა. ვეფხს ცხენდაცხენ გამოეკიდა და ჰსურდა, ლახტით მოესპო მისთვის სიცოცხლე. ბგრძნო ტაიჭმა მხედრის სურვილი და, ვითა ფრინველი, ისე გამოეკიდა. უგზო-უკვლოდ განელეს მინდორი, ველი, ყანები. შემკრთალი ყანებშიმ ომუშავენნი თაყვანსა

სცემენ და მუშაობა ავიწყდებათ. მთლად მხედველობად გარდაქმნილნი უმზერენ სეფის წულს. მათ თვალს უკეთესი არა უნახავს-რა...

სეფის-წულმა შორს ტყეს თვალი მოჰკრა. ჰხედავს, ნადირი ტყეში შეასწრობს და ამისთვის, რაკი თავის სურვილი ვერ შეისრულა, შეილდ-ისარს მიჰმართა...

ტაიჭი გაშეშლა. აჩქარებული სუნთქვა, ცხვირის ნესტოების საბერველსავით ბერვა ამხელდნენ მის დაქანცვას...

მხედარი თვალის დახამხამებაზე უმალ ძირს გადმოხტა და ჯერ ისევ მფორთხიალე ვეფხს ხელი წაავლო, რომელსაც ისარი მარცხენა მხარის უკან დაჰსმოდა და ზედ მიჰლურსმობდა....

— კაკ-კუკ!... კაკ-კუკ!... — შემოესმა სეფის-წულს ამდროს ყანიდან კაკუნნი.

მიიხედა იქით, საიდანაც კაკუნი მოისმოდა და დაინახა: ვილაც თმა-გაწეწილი, ხნულში მჯდომი კაცი გულ-მოდგინედ და ღინჯად ორივე ხელებით ქვას ქვას ურტყამდა და თან ოღნავ კაკუნს თავსაც აყოლებდა.

სეფის-წულს უცნობი კაცის ამგვარი უკმეხი საქციელი ეოცაყველა თაყვანს სცემს, ყველა მოწიწებით ეპყრობა და ეს კი, — თითქოს მის ახლო არაეინ არისო, — თავისთვის ქვებს აკაკუნებს...

ვეფხს ხელი უშო და უცხო კაცს უყვილა:

— ჰოი, კაცო, ეინა ხარ, ან რა სულიერი?!

უცნობი არც კი შეინძრა სეფის-წულის ხმაზე. ის ისევ ისე ქვებს აკაკუნებს და თავის ქნევასაც ისევ-ისე აყოლებს...

უარესად განრისხდა სეფის-წული და სწრაფ უცნობს მიექრა.

— თუ ენის მოძრაობაც მაგრევე შეგიძლიან, როგორც ხელებს და თავს ამოძრავებ, მიპასუხე, თორემ, ვფიცავ ჩემ წინაპართ, მოძრაობას მთლად შეგიყენებ? — ოღნავ ხელის შეხებით შესძახა სეფის-წულმა.

უცნობმა შეაყენა კაკუნი. ცერად შეჰხედა სეფის-წულს და ცალი თვალის მოხუჭვით ჩაეინებით. მზერა დაუწყო.

— გამიგონე!..—დაეკითხა სეფის-წული, თუმცა კი სახის გამომეტყველებაზე შეატყო უცნობ კაცს შემოილობა:—ვინა ხარ?...

— ადამიანი!..—იყო პასუხი შემოილობისა,—და მისი თვალი მაინც არ ჰშორდება სეფის-წულს.

— სულელო, ადამიანისა რა გაქვს?!—ლიმილით შეეკითხა სეფის-წული.

— ხიპ!.. სისულელე!..—ღრეკით უპასუხა შემოილობმა და სწრაფ თავის გულ-მოდგინე მოქმედებას მიჰმართა: ისევ ქვების კაკუნი, ისევ თავის აყოლება, თითქოს ის ამით სეფის-წულს ეუბნებოდეს: „მომშორდი თავიდან; შენ შენი საქმე გაქვს, მე კიდევ ჩემიო!...“

სეფის-წულს, თითონაც არ იცის, რად, მოღიმარი სახე თან-და-თან ეღრუბლება და სულ რამდენისამე წამის შემდეგ მთლად მოექუშა.

„ადამიანი!.. სისულელე!..“ აი, ეხლა რამ შეიპყრო სეფის-წული. ამის გარდა სხვა აღარა ახსოვს-რა. დაავიწყდა ტაიქი, მოკლული ვეფხვი, ნადირობა, რასაც ამ რამდენისამე წუთის წინად მთლად შეპყრობილი ჰყვანდა...

— უმსგავსო, სეფის-წული თავს გადგას, და შენ კი თავყვანს არა სცემ!..—უეცრივ სეფის-წულის გვერდით გაჩნდა ერთი მხლებელთაგანი, ძლიერის ხმით შეუყვირა და თვალის დახამხამებაზე უმაღლ შემოილობს ლახტი თავში დასცა.

სეფის-წულმა ხმის ამოლება ვერც კი მოასწრო, ისე სწრაფად მოხდა ეს ამბავი.

თავ-ჩაჩქვილი შემოილობი გადაგორდა, რამდენჯერმე გაიკლაკნა და მოძრაობა მთლად შეუდგა...

— ჯავალი?!..

— სეფის-წულო...

— თუ კი მდომნოდა, მეც შემეძლო იამას საშინელ სახლისკენ მაგისი გასტუმრება.



— მე...

სეფის-წული გატრიალდა, ტაიქს მოახტა და აუჩქარებლივ, ხმის-ამოუღებლივ სასახლისკენ გაემგზავრა...

## II

.... ორასამდის ბუმბერაზთ უღრან ტყის პირას უღარდელად სძინავთ. მათი მკერდი მძიმედ აღის და დადის კაშკაშ მთვარის შუქზე. ეს პირველი ღამეა, რაც სეფის-წული მამის ბრძანებით სახლიდან გამოვიდა. დღისა ათისა სავალი კიდევა აქვთ და აგრეთვე უღარდელად დაიძინებენ ათ ღამესაც ცის ქვეშ. ორასი რჩეული ბუმბერაზი არას შეუშინდება, თუნდაც მთელი ქვეყანა მასზე ამხედრდეს. ხშირად, ძალიან ხშირად უღრან ტყეში თვითეულ მათგანს თვეობით გაუტარებია და ეხლა შეეცდებულთ რა გაუკრთობს ძილს?!...

მათი ტაიქნიც განაპირას ხასხას, უმწიკვლო ბალახს მადიანად სძოვენ. პატრონებსავით უშიშრად შეექცევიან და დროგამოშვებით ოღნავ ფრუტუნით აცხადებენ თავიანთ არსებობას...

წყნარად მოსისინე ნიავი თავს ევლება ტყეს; ყოველ ხეს ერთად ეკონება და საიდუმლოდ ეჩურჩულება, ესიყვარულება; ალერსით აღფრთოვანებული ტყე გუგუნებს, ბუტბუტებს და ბანაკის განაპირას ხის ძირზე ზურგით მიყრდობილ სეფის-წულის გონებას სააზროვნოდ, საფიქროდ გამზადებულს ხელს უწყობს...

ერთი თვეა მის გონებას თავს არ ანებებს ერთი და იგივე კითხვა. არც დღე და არც ღამე მოსვენებას არ აძლევს. განმარტება სურს ამ კითხვისა. უნდა შეიგნოს. თითქოს კიდევაც სწვდება გონება მისი, შორს, შორს ეხატება მისი აღსნა, განმარტება; შორით უღიმის. აგერ კიდევაც ფრთოვანდება სიხარულით ამის არსება, უნდა დაიძახოს: „ეხლა კი გამოვარკვეიო“... მაგრამ, მისდა სამწუხაროდ, სწორედ იმ დროს, ან მამა მიიხმობს, ან რომელიმე დიდებული შევა მასთან და გადასკ-

ცემს მამის ბრძანებას, და ასე ახლოს, მოტანებული აღსნა, განმარტება უეცრივ უფსკრულში იკარგება, წყვლიადით იმოსება; ხოლო ამის მაგივრად მისი გონების თვალი ხედავს თავჩაჩქვილ, მკლანკავ შეშლილის გვამს, და მოცემის მისი პასუხი: „ადამიანი!... სისულელე“!..

ისევ ისე ხელ-მეორედ იწყება მისი ტანჯვა, ისევ ისე ტვინს უღრღნის კითხვა. სურვილი განმარტებისა უფრო უცხოველდება, ხოლო ხელის შემშლელნი სძულდება. მშობლებთან უონა, დიდებულთა ხილვა მისთვის აუტანელი ხდება.

სასახლეში ყველა ხედავს სეფის-წულის გუნების შეცვლას და თავისებურად ხსნის ამგვარ გამოცვლას. მეფემ დიდებულთათანა თათბირის შემდეგ მოიხმო თავისი ძე და ამ სიტყვებით მიმართა: „ძეო ჩემო, ეხლა კი დაუძლურდა ხორცი ჩემი. აღარ ძალ-უძს გვამსა ჩემსა ურვება ქვეყნის სიკეთისათვის. აწ შენ უნდა იზრუნო ქვეშევრდომთათვის; ხოლო ვიდრემდის გარდმოგცემ ტახტსა ჩემსა, გაემგზავრე მეფე ლაქშმანთან; თან წაიყოლე რჩეული ბუმბერაზნი და მეომარნი. მეფე ლაქშმანს ჰყავს ასული, რომელიცა ემგზავსების მზესა მას უბინდოსა. მიდი, დაამარცხე მისი ბუმბერაზნი და წამოიყვანე ასული იგი ცოლად. მე კი, ვიდრემდი შენ დაბრუნდებოდე, შეგამზადებ ერს შენდა მოსაგებებლად...“

სეფის-წულმა დაბლად თაყვანი სცა მეფეს და, აი, შედეგი ამ ბრძანებისა: ორასამდის ბუმბერაზი თან წამოიყვანა მეორე დღესვე ხმის ამოუღებლივ და პირველ ღამეს ამ ტყის პირას დაბანაკდა...

ღრმა ძილში არიან ბუმბერაზნი. მხოლოდ სეფის-წულს არ სძინავს და ეხლაც, როდესაც იგი მზისა დარისა მოსაყვანად მიდის, მწუხარების მეტი მის სახეზე არა იხატება-რა. იქნება იმისთვის სწუხდეს, ვითომ ეფიქრებოდეს, ვაი თუ გაწბილებული გამომაბრუნონო, როგორც მრავალი სხვა გამოუბრუნებიათ! არა, ამის ფიქრი სრულებით არა აქვს. ამის მსგავსი კაბუკი ჯერ დედამიწას არ უნახავს. ამას თითონაც კარგად ჰგრძნობს. მარტოდაც გაემკლავება. თუნდ ყველა ერთად შეკ-

რეფილთ ქალის ბუმბერაზთ და იმედიც აქვს გამარჯვებული გამოვიდეს. ან კი რად უნდოდა ეს ორასამდის ბუმბერაზი, როდესაც მარტოკასაც შეეძლო ქალის ბუმბერაზებზე გამარჯვება. მაგრამ მამის სიტყვას ველარ გადავიდა და ამისთვის იახლა თან...

ეხლა კიდევაც რომ მივიდეს, როდესაც გული არ მისწევს, გაიმარჯვებს-ლა?! თუნდაც გაიმარჯვოს, ესამოვნება-ლა ეს?! სეფის-წულისთვის ამ ჟამად მხოლოდ ერთია სასიამოვნო; ეს განმარტება თავის არსებისა. კარგად იცის, მას ადამიანი ეწოდება, როგორც მის მგზავს სხვებსაც, და იმანაც კი, ვისაც ამ ერთი თვის წინად იმისმა მხლებელმა თავი ჩაუჩქჩქვა, თავის თავს ადამიანი უწოდა. მაშ...

— უაა!—ამ დროს მოისმა შორი-ახლოდან თავზარ-დამცემი ღრიალი.

ტაიჭთ ყურები ცქეიტეს, ძოვნა შეაყენეს და მოუსვენრად ფეხების ბარტყუნი დაიწყეს...

სეფის-წულმა იცნო მხეცთა მეფის ღრიალი და ყურადღება სრულებითაც არ მიაქცია, ის ისევ თავის ფიქრებს მიეცა: „ისაც, მეც და სხვა მრავალი,—ფიქრობდა სეფის-წული,—ადამიანები ვართ, აგერ გადაშლართულებს სძინავთ. ეგენიც ადამიანები არიან, მგზავსი მზისა უბინდოისაც ადამიანია?! ადამიანია: მეც და სხვანიც დავდივართ, ვჭამთ, ვსვამთ, ვიბრძვით, ვქორწინდებით და ბოლოს ერთი წამი და...“

შეშლილის გვამი ცხადლივ ეკლაცება თვალ-წინ. მკაფიოდ მოესმის მისი ჰასუხი... „ეს ხომ, აგერ, ტაიჭთ, სხვა ცხოველთაც ემართებათ?!... თვით იმ მხეცთა მეფესაც ეგვევ მოეღის, რომელმაც ასე შედიდურად დაიღრიალა... მაშ...“

თითქოს მისმა სხეულმა იგრძნო საფრთხე, რომ სულ უნებურად მოიხედა ტყისკენ. ფეხზედ წამოხტომა ვერც კი მოასწრო სეფის-წულმა რომ მხეცთა მეფემ ტყის ნაპირიდან შეჭკრა კამარა და... საშინელი ჭექა მოისმა. სეფის-წულმა ჯდომელამ სწორედ დროზე მოუქნია ლახტი და ლომს თავი შუაზე გაუ-

პო. მხეცთა მეფე მის წინ უსულოდ დაეცა და მხოლოდ რამდენჯერმე გაიკლაკნა...

არა ჩვეულებრივ ქექაზე ტაიქნი ყალბზე შესდგნენ, ბუმბერაზნიც წამოიშალნენ, მაგრამ გამოუფხიზლებელი თვალები უაზროდ აქეთ-იქით მიატრიალეს, შეიშმუშნენ, ისევ მიწვნენ და ღრმად ქშენვა დაიწყეს...

თუმცა ყოველივე ეს სწრაფად მოხდა, სეფის-წულმა მაინც მკაფიოდ შენიშნა, და ტუჩებზე მწუხარების ღიმილი გაუელვა. „აჰა, ისაც და ესაც, უხმო, — წარმოსთქვა სეფის-წულმა, — თავჩაჩქვილნი უსულოდ ჩემ თვალ-წინ გაიკლაკნენ. ორთავეს ხვედრი ერთი და იგივეა... მაშ რაღაა ადამიანი?“

„ადამიანი... ადამიანი... ეჰ!“ — სახის დაქმახვნივით მხრები აჩიჩა და ზიზლით გადაჰხედა ბუმბერაზთ, თითქოს იგინი ყოფილიყვნენ დამნაშავენი, რომ კითხვა ვერ განმარტა... „შეუძლებელია, ადამიანი ცხოვრობდეს და კი არ იცოდეს, რას წარმოადგენს, რა ადგილი უჭირავს სხვა ცხოველთა, მცენარეთა და სხვათა შორის!... ჯერ ეს უნდა შევიგნო და შემდეგ მზისდარიც იქმნება, და მეფობას... ...მანამდის კი — არც ერთი...“

„ჯერ... მაგრამ, როგორ, როგორ გამოვარკვიო, როდეს ყოველ ჟამს ხელს გიშლიან და მოსათეპრებლად ერთ წუთსაც თავისუფლად არა გტოვებენ?!..“

„არა!.. ასე შეუძლებელია!... უნდა გავმარტოვდე, წავიდე, გადავიკარგო. არავინ არ უნდა იცოდეს ჩემი სამყოფო. მხოლოდ მაშინ შემეძლება აღსნა, განმარტება!“... გარდაწყვეტილ წარმოსთქვა და ზეზე წამოდგა....

### III

.... — ოხ, მშვენიერება!... — ხმის კანკალით წარმოსთქვა მოხუცმა, პალაზას\*) ქვეშ რო, ვითა ბრინჯაოსაგან გამოქანდაკებულ, ქალს თვალი მოჰკრა და ნაბიჯი წინ ველარ გადა+

\*) „პალაზა“ ხეა, მშვენიერ წითელ ყვავილებსა და უვარვის ნაყოფს იხსამს.

დგა, თითქოს ეშინოდა, ქალის მყუდროება თავის მოძრაობით არ შეერყია.

დიდხანს, დიდხანს იდგა დამუნჯებული მოხუცი, რომელსაც გულზე ქეის ფიცარი ჰქონდა მიფარებული და სუნთქვაც კი შეუდგა. უმზერდა მოხუცი ღრმად ჩაფიქრებულ ახალგაზ-და ქალს, მის დახუჭუტებულ თმას, რომელსაც გვირგვინად ჰალა-ზას მშვენიერი ყვავილები დასდგომოდნენ, მის აღზნებულ თვალებს, რომლებიც ერთ წერტილს მისჩერებოდნენ; მის ოდ-ნავ მოძრავ მკერდს, მკლავებს; მის ერთად-ერთ სამკაულს, რომელიც ბუმბულებსაგან შესდგებოდა და ქალის ხოლოდ-შობილობას წელს ქვევით მუხლებამდის ჰფარავდა; მის წვი-ვებს, მთლად მის სხეულს, რომელსაც არავითარი ხინჯი, უსწორ-მასწორობა არა მოეპოვებოდა - რა და მთლად ვნებამ შეიპყრო.

თვალთ აუჭრელდა მოხუცს, ჰალაზა თავის მშვენიერ ყვა-ვილებით თან-და-თან დიდდება, ფართოვდება; ჩქარა სივრცედ გარდაიქმნა, რომელშიაც მხოლოდ მშვენიერი ყვავილები და-ცურავენ და მათ შორის უმშვენიერესი ასული...

„ჩაჭუუ!...“ — მწარედ წაიფუთილა მოხუცმა, და შიშისა-გან ტანში ჟრუანტელმა დაურბინა.

ეგონა, ქალი ეგ-ეგ არის სივრცეში გაიბნევა, ყვავილებში აირევა და სამუდამოდ დამეკარგებაო. თვალები მაგრად დაის-რისა და, როდესაც გაახილა, ისევ ის ხე, ისევ ის ქალი ხის ძირზე მხრით მიყრდნობილი დაინახა. სხეულის თახთახმა აიტა-ნა მოხუცი: მკლავები, მუხლები, მთლად მისი სხეული, ყო-ველი წერტილი მისი სხეულისა თრთის, კანკალებს... უხარი-ან მოხუცს, რომ ასული ისევ მის ახლოს არის, მაგრამ ვერც გაუბედნია მივიდეს, მიუახლოვდეს; ისაც ვეღარ მოუხერხებია, აღარ იცის, საით გადაადგას ნაბიჯი, რომ მიუახლოვდეს.

ჭბუკურ ვნებათა-ღელვას ვეღარ შეუძლო მოხუცის სხე-ულმა. თახთახი შეუდგა, ძარღვები მოუუძლოურდა და ლაფან-სავით ჩაეხვია. თითქოს თვალთაც დაუბნელოდა, მის გონებას რაღაც გაეკრა, შეკბოჭა მისი თავი და აზროვნება შეუყენა...

კარგა ღრომ განვლო, ვიდრემდის გონს მოვიდოდა მოხუცი....

„ოხ!...“—მისუსტებულის ხმით წამოიძახა მოხუცმა და გამოურკვეველი სხეულის სასიამოვნო სისუსტე იგრძნო, როდესაც მისმა თავმა აზროვნობა დაიწყო.

აღარა ახსოვდა-რა. მხოლოდ ერთ სასიამოვნო გრძნობას შეეპყრო, რომელიც მთლად მის სხეულში გაბნეულიყო და ასე მძლავრად მიესუსტებინა. სხეულის ყოველი წერტილი ჰტეხავდა, მაგრამ სასიამოვნო, ნეტარი ტეხვა იყო, და უნდოდა, სწყუროდა დიდხანს გაგრძელებულიყო ეს სიამოვნება...

— ვიჰ!...—უნებლიედ წამოიძახა, როდესაც უეცრივ თვალი მოჰკრა თავის დამბნედავს, და სწრაფ ზეზე წამოიჭრა.

ტეხვა, ნეტარი ტეხვა დაეკარგა. ძალა მოეკრიფა, და ფეხაკრებით ქალს მიუახლოვდა...

— ვინა ხარ, მშვენიერო, ქვეყნად ვინ მოგავლინა?!...— ჩუმად, ნიავსავეთ ჩუმად ეჩურჩულება მუხლ-მოდრეკილი მოხუცი:—იქმნება განრისხებულმა კუვერამ ჩემ სანუგეშოდ ქვეყნად გადმოგაგდო\*)?!... მაგრამ რას ვამბობ?!.. ნუ თუ შენი სიმშვენიერე კუვერას წინ, რაც უნდა დიდი დანაშაული გქონოდა, არ დაჰფარავდა?! არა!.. იქმნება, როგორც ეს ხე—მშვენიერი ხარ და ამასავეთ უსარგებლო?!.. შენც...

ქალი ისევ ისე გაშტერებით მისჩერებოდა სივრცის ერთ წერტილს და მას მოხუცის ბაასი არ ეყურებოდა.

მოხუცმა ვეღარ მოითმინა; ხელი წაავლო ქალის ერთადერთ სამკაულს და ოდნავ დასწია. ქალმა იგრძნო. ის ვერხვის ფოთოლსავეთ ათრთოლდა და მშველსავეთ განზე გახტა; სამკაული კი მოხუცს ხელში შეჰჩა....

\*) კუვერა ღმერთია. ინდოელთა რწმენით მას ახვევია მშვენიერ მხეველთა გუნდი და რომელიც მათგანი გაარისხებს, დასასჯელად ქვეყნად, კაცთა შორის, ისტუმრებს. (გრამას განდევნა.—სლის თარგმანი).

— ჰაა, ჰაა!... — ერთი-ორჯერ დაბნევით და ტანის კანკალით წამოიძახა მოხუცმა, შემკრთალ ქალს რომ თვალი მოჰკრა, და მერე?...

მერე იგი გონება მიხდლილი იქვე გაგორდა...

— უეჭველად ბრამანთავანი იქმნები?!.. — როდესაც, როგორც იყო, ქალმა მოასულიერა მოხუცი და თავისი სამკაული ისევ გაიკეთა, ამ კითხვით მიჰმართა.

— არა, მშვენიერო, მე... მე... — ხმის კანკალით ეუბნება მოხუცი: — მე სეფის-წული ვარ!...

— შენ?! — განცვიფრებით დაეკითხა ქალი და, თითქოს რაიმეს იგონებსო, შუბლი შეიჭმუხვნა და ღრმად ჩაფიქრდა.

— ჰო!... ჰო! მე სეფის-წული ვარ!...

— ძალნო ცისანო! — ხელების მალლა აპყრობით ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ წამოიძახა ქალმა და განკვირვებით მიჰმართა მოხუცს: — ნუ თუ შენ ის სეფის-წული ხარ, რომელზედაც ზღაპრად მოგვითხრობენ?!

— როგორ თუ ზღაპრად?! — განცვიფრებითვე დაეკითხა სეფის-წული...

— ამ ოც და ათის წლის წინად... — დაიწყო ქალმა...

— როგორ თუ ოც და ათის წლის წინად?

— ჰო, რას გაიკვირე?... გუშინაც მაგრე მიაშბო დედაჩემმა!... იყო გმირი, იმისთანა, — ამბობდა დედაჩემი: — დედამიწის ზურგზე არ დაბადებულყოფო... მამას უნდოდა მეფობა გარდაეცა, მაგრამ მეფობის გარდაცემამდის ჯერ ცოლის მოსაყვანად გაჰგზავნა და თან რჩეულნი ბუმბერაზნი გააყოლაო...

— ჰო!... ჰო, მართალს ამბობ, მართალს! მერე?!

— მერე, თურმე იმ ლამეს მინდორში ლომი მოეკლა და თითონაც სადღაც გადავარდნილიყო... ამის შემდეგ იმის ვზა და კვალი დაიკარგა...

— ღმერთო, ღმერთო!... ნუ თუ ოც და ათი წელიწადია მას შემდეგ?!

— მაშ, შენა ხარ ის სეფის-წული?!..

— რომელიც შენ ასწერე, ისა ვარ, მაგრამ ოც და ათი წელიწადი....

— ოჰ, სეფის-წულო!!... — სიტყვა აღარ დაათავებინა ქალმა. იგი ფეხებ-ქვეშ ჩაუვარდა და მის ფეხებს კოცნა დაუწყაო...

სეფის-წული დაიბნა... მის სიამოვნებას საზღვარი აღარაჰქონდა... თვითონაც ჩაიკეცა და ქალი გულში ჩაეკრა. სრულებით მოულოდნელი იყო იმისთვის იმისთანა შედეგი...

— სეფის-წულო!...

— მშვენიერებავ.

ერთი-ერთმანეთს აღარ აცდილდნენ სიტყვას. ორივე თრთოდა, ორივე ვნებად იყვნენ გარდაქმნილნი.

— გუშინ დედა-ჩემს ვუთხარი...

— მშვენიერებავ, რას მოვიფიქრებდი...

— ის ცოცხალი იქნება და მოვა-მეთქი..... გმირთა-გმირი....

— ჰაა?!.... შენ... მშვენი....

— გმირთა-გმი....

— ყიიიი!... უეცრივ დასკყვილა-შორი-ახლოს ფარშევანგმა და ტყეს აუწყა გმირთა-გმირის დაბრუნება....

#### IV

...მთლად მოკუმშულა სეფის-წული. პალაზას ქვეშ მოკეცილი ზის და ჭირის ოფლს ასხამს. ეწვის ტანი. სხეულის ჩხელეტა, ტეხვა აქვს... განძრევისა ეშინიან.... ეშინიან უკან მიხედვისა. ჰგრძნობს მის სიახლოვეს. თვალით არ უმზერს, მაგრამ ჰხედავს კი, რომ იგი, რომელსაც ამ რამდენისამე წამის წინ გულში სიყვარულით ეკრავდა, რომელსაც უერთდებოდა, გულ-ხელ დაკრფილი მის უკან სდგას და ზიზღით უცქერის... ოო, რა ცეცხლის მფრქვეველი თვალგებია!... თვით ყოველი



არსების შემმუსგრელ აგნისაც არ ექმნება მაგეთი მრისხანე თვალები!... შუბლზე ხელი მოისო, ჩაიჟყოლიტა თვალები სეფის-წულმა და მწარის ღიმილით თავი გაიქნივ-გამოიქნია. ამ დროს თვალი მოჰკრა მის წინ მგდებ ქვის ფიცარს და, თითქოს პირველად ჰხედავდესო, გულმოდგინედ კითხვა დაუწყო ჯვარედინად ზედ აღწერილს:

ჰოა, კაცო!

«ნუკა დროს ნუ დაეკი-  
თხები შენ თავს: რა შენ ცხოვრებაში გუფ-  
ახის ადამიანი?»  
«ყოველ გვარ მოფლენას  
გრილად შეხვდი?»

«ეცადე, შენი ცხოვრება მხო-  
ლოდ სიამოვნებით გაატარო!»

„გულ-გრილად შეხვდი!... მხოლოდ სიამოვნებით გაატარო!... ხა, ხა, ხა!... ხა, ხა, ხა!...“ — დაიწყო გაბრაზებულმა საშინელი ხარხარი და ამავე ხარხარით განაგრძო: „ოც და ათი წელიწადი, ჰოა, ადამიანო, იტანჯე, იწვალე; რამდენი მწარი ცრემლი აფრქვიე, ეს სისულელე დაგეწერა?! მთელი შენი ძალა შეალიე და ეხლა... ეხლა რატომ ვერ მისწვდი სიამოვნებას, როდესაც შემთხვევა გქონდა, ან რატომ გულ-გრილად არ შეხვდი ამ შენს უძლოურებას?!.. ააა!... ხა, ხა, ხა, ხა!... ადამიანო, ადამიანო?!... — ზეზე წამოიჭრა, ქვის ფიცარი ზედ აღწერილ სამი მცნებით მალლა ამართა....

— რა ხარ, რა, ადამიანო?!... — დაიღრიალა სეფის-წულმა და ისე მაგრად მოუჭირა ქვის ფიცარს ხელები, რომ თითქოს მის დაქუცმაცებას ჰლამოდესო.

— ხა, ხა, ხა, სისულელე!... — მკათიოდ მოესმა ნაცნობი ხმა შეშლილისა და მისი ქვის კაკუნი....

— სეფის-წული გამოერკვა. ქვის ფიცარი — ოც და ათის წლის ნაშრომი — ძლიერად მიანარცხა პალაზას ძირს და ლუკ-

მა-ლუკმად შემუსრა. მასთან ერთად თითქოს თავისი ძალაც  
მიაყოლაო, თვითონაც შემუსრა და იქვე ჩაეხვია.

ქალის მრისხანება კი განცვიფრებდად შეიცვალა ამ სურათის  
შემდეგ...

შ. ანაგვისზარელი



მდგმურა ქალი

(სანტერი ინგმანისა)

შემოდგომის ბნელი საღამო იყო, როდესაც ისინი, დედა და შვილი, ვიერტოლში ჩამოვიდნენ; უკეთ რომ ვთქვათ, ჩამოვიდა დედა და ჩამოიყვანა გულზე მიკრული ძონძებში გახვეული ხუთის კვირის ბავშვი. ქალი სოფლიდან ჩამოვიდა და ვიერტოლის მცხოვრებთ სთხოვდა რამოდენიმე ხნით შეენახათ მათს განიერ ოღაში. აგერ ერთი წელიწადია, რაც აქ ჩამოვიდა და მდგმურად დარჩა. სახელად მარგალიტა ერქვა. ზაფხულში მუყაითად ეხმარებოდა სახლის პატრონთ მკაში და თიბვაში; ზამთარში მატყლს ართავდა მედუქნისათვის და უვლიდა თავისს პაწაწას. ვერ ვიტყვით, რომ დიდის სიხარულით მიიღეს ისინი. სოფელში ხალხი ბლომად იყო, მიწა კი ნაკლებად ჰქონდათ. მაგრამ არც უარი ეთქმოდა საბრალოს, — სადღა უნდა წასულიყო? სარგებლობას დიდს ვერას ჰხედავდნენ მისგან. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მეტის-მეტი წყნარი იყო და სამსახურის გამწევი; არასოდეს არავის ხელს არ უშლიდა და ჩუმად ართავდა თავისთვის თავისს კუთხეში; ბავშვიც წყნარი იყო, ჩუმად იწვა დედის გვერდით და ისე იშვიათად ამოიღებდა ხმას, რომ ყველას უკვირდა, ხანდახან რომ წამოიტირებდა ცოტას. ამასთან მარგალიტა ყველაფერს აკეთებდა, რაც უნდა

\*) იხ. „უინლანდიელების ლიტერატურა“ მეორე განყოფილებაში.

მძიმე სამუშეო მინდოთ მისთვის: როდესაც, მაგალითად, საჭირო იყო მისი დახმარება მძიმე ბაღის ამოსათრეველ, ის ყოველთვის მზად იყო ამისათვის და ითხოვდა მხოლოდ, რომ მის სახლში არ ყოფნის დროს მის ბაღლისათვის მიეხედნათ. ხალხი არ უყურებდა მაინცა და მაინც მტრულად. საბრალო ისეთი ახალგაზდა იყო და ამასთან ისე დაფრლომილად და საწყლად გამოიყურებოდა, რომ ცოდვა იქმნებოდა; ცუდად რომ მოჰქცეოდნენ. მაგრამ სახლის-პატრონი ქალი, ამისდა მიუხედავად, ხანდა-ხან გადაჰკრავდა ხოლმე და გაახსენებდა მის „უბედურ შემთხვევას“. ამას იმიტომ შვრებოდა, რომ ეშინოდა, მეტად არ დაურბილოს გული ჩემს ქმარსა და დანარჩენ სოფლელებს ამ შავ-თვალა და ლამაზ სახიან მდგმურ ქალის მწუხარებამო. ასე, მაგალითად, „ოდაში“ რომ ვინმე უცხო შემოვიდოდა და ლაპარაკში იკითხავდა, ვისი ბავშვია იმ აკეანშიო, სახლის-პატრონის ცოლი ჩვეულებრივად უპასუხებდა:

— ეს ჩვენი მდგმური ქალის ბავშვია. — დედა-მისიც ეგერ არის. მამის ამბავი იცის ვინმემ თუ არა, მაგისი კი რა მოგახსენოთ...

— მაშ ეგრე! ბავშვი ტყეში ნაპოვნია მაშ?

— სჩანს, მასე უნდა იყვეს. ამბობენ, რომ ტყის პირას ჯვართან იპოვაო, და ვისთან ერთად, ეს კი არ გიმიგონია.

— ჰმმ! მოხდება ხოლმე, რასაკვირველია...

— მოხდება, რასაკვირველია, მოხდება! ვის არ შეემთხვევა მაგისთანა.

ამგვარ შემთხვევაში მარგალიტა დაბლა ჩაღუნავდა ხოლმე თავს თავისს კუთხეში და დააჩერდებოდა აკეანს — სახე არ უჩნდა, და ტიროდა თუ არა, ვერავინ შეატყობდა.

მხოლოდ გულმოდგინედ გაახვევდა ბავშვს, დაუწყებდა ხოლმე რწევას და დაბალის ხმით დაამღერდა:

ჩადეკ, ჩადეკ, ნიავო,  
დაიძინე, ჩემო საბრალო შვილოვო!...

თუ მასზე ლაპარაკს აღარ განაგრძობდნენ, ცოტახანს უკან აიღებდა ხელში თითის ტარს და შესწყვეტდა სიმღერას,

მაგრამ ჩუმ-ჩუმად გადახედავდა ბავშვს. შეიძლება, სხვა რამეზე ჰფიქრობდა და უნებლიედ შერებოდა ამას; ან კიდევ შეიძლება, ჰფიქრობდა, აი ავერ დევს ჩემის უბედურობის და მარტოობის, სიღარიბისა და ვაების მიზეზით, მაგრამ მაინც კიდევ ყველაჭერზე უძვირფასესი და საყვარელი. შეიძლება, ჰფიქრობდა: „რა მოვივა, ჩემო საბრალო ჩიტუნა, როდესაც გაიზრდები და გაფრინდები ბუდიდან“?

გაუძნელდება თუ არა სიცოცხლე შერცხვენილ ქალწულის შეიღებს? შეიძლება თუ არა პატიოსნად განლიო ცხოვრების გზა, ჩემის დედობის არ შეგრცხვეს და შენის კარგის კაცობით დაბადების სირცხვილი განწმინდო? შეიძლება საცოდავ დედი-შენის დაჩდისა და ცრემლების გაგებას და ხალხის თვალში მისთვის პატიოსნების დაბრუნებას? ან მამიშენის კვალს მისდევ და გააუბედურებ იმათ, ვისაც შენთვის არ უენია?“

შეიძლება, არაფერს ამას არ ჰფიქრობდა, და მხოლოდ გამოურკვევლად ჰგრძნობდა, როდესაც მატყლს ართავდა და ჩუმ-ჩუმად გადახედავდა ხოლმე ბავშვს.

— რომ არ შემცდარიყო, იშოვიდა ქმარს და არც ურიგოს, — ამბობდნენ გლეხები, როდესაც ქალი ოდაში არ იყო. — კარგი ქალია: წყნარი, მუყაითი, და სახით ხომ რა კარგი, უკეთესს ძნელად თუ ნახავ.

— საკვირველია, რად არ მოსთხოვა ცოტა რამ თავის შესანახი იმას, ვინც ჯვარის წერაზე უარი სთქვა. ცოტა დაეცლებოდა ჯიბეები, ეკლესიაში წასვლა რომ არ მოინდომა.

— იცის კი, ვინ არის მამა? — გაერია ლაპარაკში სახლის პატრონის ცოლი. — ამბობენ, ხან ვისთან დადიოდა და ხან ვისთანაო. ვის უნდა მოსთხოვოს ხარჯი?

— ტყუილია! ვერ გახედა სასამართლოში ჩივილი და მაგისტანები და ეგ არის. — ისეთი ახალგაზდაა და წყნარი, — რცხვენია... და რომ მამა პესუნენის შვილია და სხვა არავინ — ეგ ხომ ყველამ იცის სოფელში. იმათთანა მდიდრებთან გამკლავებაც ხომ სახუმარო საქმე არ არის, — თუ გინდ ვისთვინაც არ იყოს...

და აი გამოიქცა, საწყალი, თავის სოფლიდან ჩვენს უდაბნოში და თავისის უფლებისათვის თავი დაუნებებია.

— ასეთი ახალგაზდა და მუდამ ასეთი წყნარი, დადარდინებული!... ან კი როგორ არ იღარდოს, როდესაც ყველა არცხვენს და დასცინის.

ღილიდან ლამემდის ართავდა მარგალიტა და როგორც გაათავებდა სამუშაოს, მაშინვე გაემზადებოდა დართულის წასაღებად მედუქნესთან. ამ შემთხვევაში ის იცვამდა საკვირაო კაბას და იკეთებდა თმას.

ჩაიცვამდა, გამოეწყობოდა და დაფიქრდებოდა სარკის წინ. შეიძლება, თავისს წარსულ სილიმაზნეზე ფიქრობდა, რომლითაც ერთ დროს ისე ამყობდა. ან, შეიძლება, იგონებდა ბავშვობის ბედნიერ დღეებს და იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ პატივის სცემდნენ და მას შეეძლო პატივცემულ და ბედნიერ ცოლად გამხდარიყო, ახალგაზდა ბიჭები ხომ ისე ეტრფოდნენ. მაინცა და მაინც არა სასიამოვნო ფიქრები მოსდიოდა თავში სარკის წინ, რადგან უფრო სევდიანი უბრუნდებოდა აკვანს, და ღიღ ხანს უფლიდა და ფუთენიდა მძინარე ბაღს.

— ხედავთ, მაინც კიდევ უყვარს უწინდებურად პრანქიაობა, — სთქვა ერთხელ დიასახლისმა, როდესაც ის სახლიდან გავიდა. — რა თავმოყვარეა ჯერ კიდევ!

— სამაგიეროდ თვალებიც ისეთი აქვს, რომ არც ერთ სხვა ქალს არ აქვს იმისთანა, — უპასუხა სახლის პატრონმა ცოლის გასაჯავრებლად.

— რასაკვირველია! მაგისთანა მაწანწალა!...

როდესაც მარგალიტა ბრუნდებოდა სოფლიდან, ჩვეულებრივად უფრო გულ-დათუთქული იყო: სოფელში ის ხედებოდა უწინდელ ნაცნობებს, და საბრალოს არა ერთი მკვახე და უგემური სიტყვა ესმოდა; ამიტომაც იქ უფრო ობლად და განმარტოებულად ჰგრძნობდა თავის თავს. და დაბრუნდებოდა შინ თუ არა საღამოს, გაეშურებოდა აკვნისაკენ, თავის პაწაწკინასთან, ერთად-ერთ არსებასთან, რომელიც მისთვის სიცოცხლის კავშირი იყო, ამისთვის ღირდა სიცოცხლე! ნაზად

აიყვანდა ბავშვს ხელში, მიიკრავდა გულზე და სიყვარულით სავსე თვალებით უყურებდა მას... ამ დროს ის ჰგრძნობდა, რომ მთელი ქვეყანა რომ ამდგარიყო მის წინააღმდეგ მის საწვალეებლად, საგინებლად და გასათახსირებლად, ის მაინც არ წარიკვეთდა სასოებას, რადგან მას კიდევ რჩებოდა იმედი, რჩებოდა აუსრულებელი ვალი. შემდეგ დააწვეწვდა ბავშვს, დააუხურავდა თბილად და არწევდა; თან თვალს არ აშორებდი საყვარელ სახეს. ბავშვს დიდი ხანია სძინავს. ის კი არწევს აკვანს და ძლიერს გასაგონის ხმით დამღერს:

ჩადეკ, ჩადეკ, ნიავო,  
დაიძინე, ჩემო საბრალო შეილოვო!...

სულ დაბლა-დაბლა მღეროდა. მისს ხმაში კი რაღაც განსაკუთრებული, რაღაც ისეთი სევდა ისმოდა, რომ ყველანი არა-ჩვეულებრივს რაღასაც ჰგრძნობდნენ. გაჩუმდებოდნენ გლეხები, გაჩუმდებოდა ხოლმე თვით დიასახლისიც და სიცილის სურვილი აღარაღვის ჰქონდა. ყველანი ყურს უგდებდნენ ბეჩავ მდგმური ქალის სიმღერას, ის კი იჯდა თავისს კუთხეში. ეხლა აღარაღვის აღარ ახსოვდა მისი სირცხვილი: ის ყველასათვის მხოლოდ უბედური დედა იყო, რომელიც აწ თავის ბაღლისათვის სცოცხლობდა.

## II

### ე უ თ ა ს გ ა მ ე

(ამბავი ალკიოსი)

ყუთი, რომელსაც ურემზე სდგამენ და რომელშიაც გადააქვთ იაფ ფასიანი ნივთები, ყოველთვის თითქო საზოგადო ქონებას შეადგენს. გაიკეთებს ერთი ვინმე ამგვარ ყუთს და ყველა მეზობლები კი დაუკითხავად და მოურიდებლად სარგებლობენ მით.

ელლოუ კარტუნენს ჰქონდა ყუთი, რომელიც მუდამ ბელელთან ეგდო. ამ ყუთს ზედ აწვიმდა და ამიტომ საკმაოდ მოძველებული იყო. ერთხელ ეს ყუთი ინათხოვრეს ქვრივ ქალის პაკარინენის შვილებმა: ქალაქში ჰქონოდათ რაღაც წასაღები. ეს ვაჟბატონები მეტის-მეტი დაუდევარნი იყვნენ და ამიტომაც გადაავიწყდათ მიეტანათ კარტიენენისთვის მისგან ნათხოვარი ყუთი. აიღეს და თავიანთ სახლს უკან დააგდეს ეზოში. აქ ეს ყუთი ერთხელ დაინახა ლენას ტუპუმ. ამ უკანასკნელს იჯარით ჰქონდა აღებული ნაცრის ზიდვა ერთს შუშის ქარხანაში და ყუთი კი არ ჰქონდა საზიდავად. სთხოვა, — მათხოვეთ ეგ ყუთიო და შერე მევე მივუტან ელლოუ კარტუნენსო. მაშინ აღმოჩნდა, რომ ყუთი თურმე თითქმის ერთი წელიწადია სახლის უკან გდია, ქრივი გაუწყრა თავისს შვილებს. მაგრამ შვილებმა თავი იმართლეს; მართალიც რომ ვთქვათ, არც კარტუნენს გახსენებია არც ერთხელ თავისი ყუთი, რადგან არ დასჭირვებია ალბად. ბოლოს, ან კი ღირდა სალაპარაკოდ, თუ კი მოხუცი ტუპუ პირობას იძლეოდა, ყუთს მისს პატრონს მევე ჩავაბარებო.

ტუპუ მთელ ზამთარს ნაცარს ეზიდებოდა, გაზაფხულზე კი ავად გახდა და მოკვდა. აბა საიდან ეცოდინებოდა მისს ბებრუხანა ქვრივს, სად და როგორ იშოვა მისმა ქმარმა ის ძველი, თითქმის დაშლილი ყუთი, რომელიც ეხლა ბოსელთან ეგდო? ქმრის სიკვდილის შემდეგ ამან მხოლოდ ერთხელ ისარგებლა ამ ყუთით: ერთი წალეა ნაცარი დაჩენილიყო კიდევ, ეს ნაცარი გადაიტანა და ამ რიგად ქმრის გასასვენებლად საჭირო ფული იშოვნა.

ტუპუს ვალები დარჩა. მოვალეებმა ითხოვეს, რომ რაც კი დარჩა მას, — უძრავი თუ მოძრავი, ყველაფერი გაყიდულიყო. ამის წინააღმდეგ ვერავინ იტყოდა და ნაადღომევეს დაინიშნა საჯარო გაყიდვა. სხვათა შორის გაიყიდა ძველი ყუთიც, რომელიც იყიდა მემწვარე მეტკუნენმა; სულ დაუჯდა რამოდენიმე გროშად. გარდა ამ ყუთისა მეტკუნენმა, რაც კი მჩვარი იყო ტუპუს სახლში, ისიც იყიდა.



— დიდი გაიძვერა კი არის ეს მეტკუნენი! — დასცინოდნენ გლეხები. — ყუთი იყიდა და ცარიელ ყუთის წაღება არ მომივიდესო და რაც რამ იყო სახლში, ყველაფერი მან იყიდა.

— სწორედ მაგისთანა ყუთი ჰქონდა კარტუნენსაც, — სთქვა ვილამაც.

კარტუნენისაგან თუ იყიდა ტუპპუმ, ნაცარს რომ ზიდავდა, — მოისაზრა მეორემ.

ეს იყო და ეს, მეტი ყუთზე არ ულაპარაკნიათ.

მეტკუნენმა შეაკვეთა ყუთი, და შიგ თავის საქონელს დაუწყა ტარება.

ერთხელ, მწვრების სასყიდლად მოგზაურობის დროს, კარტუნენს შეუარა.

— ერიჰა, — სთქვა ელოუმ, გარედ რომ გამოვიდა და მეჩვარის მარხილი დაინახა.

— მეტკუნენ, ეგ ხომ ჩემი საკუთარი ყუთია! შენ საიდან გაქვს?

— რაო? შენია? ე, შენი წვინტილიანი ცხვირი მოიხოცო, გიჯობს, ძმობილო, მაგისთანა ტყვილის თქმას! მართალი თუ გინდა გითხრა, ეს ყუთი ლენას ტუპპუს შემდეგ რომ ბარგი იყიდებოდა, მაშინ ვიყიდე და ფულიც მიმიცია მასში.

— შეიძლება... ყუთი კი მაინც ჩემია და ჩემს საკუთრებას ეხლავ გამოგართმევ. ჩემს დღეში არ მიმიყიდნია ეს ყუთი ტუპპუსათვის... ღმერთმანი, უნდა წაგართვა!

— ყუთი გინდა წამართვა? — გაეცინა მეტკუნენს. — აბა ერთი ვნახო, როგორ წამართმევ?!

— ჩემი საკუთრების დაბრუნება ყოველთვის შემიძლია, სადაც კი მოვასწრობ! — გამწვავდა კარტუნენი, — სამი წელიწადია დაკარგული იყო ეგ ყუთი, მაგრამ ეხლა ვედარავინ ვერ დასძრავს მას აქედან! მაშ! ამოიღე, ამოიღე ეგ შენი ჩვრები და ნებით დამიბრუნე ჩემი ყუთი.

— რასაკვირველია! პატიოსნად, ჩემის ფულით მიყიდნია, თუ გინდ სახარებაზე დაეფიცავ... მაინც არ დაგიტოვებ ამ

ყუთს, თუ გინდ რომ... შეგიძლია ტუპპუს ქვრივს მოსთხოვო ფული.

— ტუპპუს ქვრივთან რა საქმე მაქვს!? თუ გინდა, წადი და შენ ელაპარაკე. მე ჩემს ყუთს ვიტოვებ და გათავდა!

ეს რომ სთქვა, ელლუმ მართლა მოინდომა ყუთის გადმოღება მარხილიდან, მაგრამ მეტკუნენმა არ დააცალა.

— ვერ მოგართვი, ჩემო კარგო, — დაცინვით უთხრა ამან, — ნუ აჩქარდები, ამ ყუთს ვერ მიიღებ, ასე იცოდე.

ამ სიტყვებით ჰკრა ხელი კარტუნენს, ჩახტა ყუთში და სიცილით გააქენა ცხენი.

კარტუნენი მშრალზე დარჩა. გულ-მოსული გამოვიდა, დადგა ჭისკართან და მრისხანე თვალი გააყოლა მემჩვარეს.

— მაშ ასე მომექცა და მერე ჩემსავე ეზოში, თუმცა კარგად იცოდა, რომ კანონი ჩემს მხარეს არის! — ჰფიქრობდა ისა — გამოდის, მეტკუნენი დიდი ღლეტია ყოფილა, თუ არა რცხვენია სხვისის ნავთის მითვისება.

მთელს სალამოს კარტუნენი ცუდს გუნებაზე იყო და ყოველ სიტყვაზე ეშმაკის სახელს ახსენებდა. სულ იმის მოგონებაში იყო, უკანასკნელად ვის ვათხოვე ყუთიო, მაგრამ ამის გახსენება წარც მას და არც ვისმე სხვას შეეძლო, რადგან სხვადა-სხვა დროს ყველას ჰქონდა ნათხოვარი მისგან ყუთი. რამოდენიმე დღის შემდეგ კარტუნენმა არ დაიზარა და მივიდა ტუპპუს ქვრივთან, მაგრამ ამან ვერა აუხსნა-რა. ქვრივმა მხოლოდ ის იცოდა, რომ ყუთი დიდ ხანს ეგდო მათ ეზოში და ამიტომ თავისი ეგონა. საჯარო გაყიდვის დროს კი მოვალეები პატრონობდნენ და მთელი შემოსული ფულიც მათ აიღეს. მე არაფერ შუაში ვარ და პასუხსაც არ ვაგებო.

კარტუნენი დაბრუნდა შინ და ყველაფერი თავის მოჯამაგირეს უამბო.

— ყოჩაღად უნდა ყოფილიყავით და ძალად წაგერთმიათ მეტკუნენისათვის ყუთი, — სთქვა მოჯამაგირემ.

— ჰმ... არა, ეგ არ ღირდა! — შემოიტანა იქვი კარტუნენმა. აი სასამართლოში ჩივილის უფლება კი მაქვს. მე იმას უნდა ვუჩვენო, რომ ჩემთან...

ელლუმ არ დააბოლოვა თავისი მუქარა, მაგრამ ამის გამო მუქარა უფრო მტკიცე გამოვიდა.

სთქვა და გაათავა. კარტუნენი გაემართა მსაჯულ მელონენთან. გზაში სულ იმას ოცნებობდა, თუ როგორ გასამართლებენ მეტკუნენს ქურდობისათვის ან ნაქურდალის დამალვისათვის. ის ვერ გაიხსენა მხოლოდ, რა სასჯელი ელოდა მოპასუხეს, მაგრამ იმედი ჰქონდა, მალე გავიგებ მსაჯულისაგან — იმან ამდენის ხნის სამსახურში ხომ კარგად შეისწავლა კანონებიო.

მელონენმა, როდესაც გაიგო საქმის ვითარება, გაიცინა.

— რაღაც ძველ ყუთის გამო სასამართლოში საქმეს იწყებო? — სთქვა მან, — გავიგონია მაგისთანა! არა, ის სჯობს, კარგად მოისაზრო, ძმობილო, და გაიხსენო, რომ სასამართლო ხარჯი პატარა კი არ არის, შენი ყუთი კი სულ რამდენიმე გროში ღირს!

— ეგ ყველა კარგად ვიცი, — უპასუხა კარტუნენმა, — მაგრამ მეტკუნენი ისე ცუდად მომეჩქა, რომ უნდა დაისაჯოს და სასამართლოს ხარჯიც ხომ მას უნდა გადახდეს....

— გარწმუნებ, სისულელეს სჩადიხარ. მაინც და მაინც ეშმაკსაც წაუღია ჩემი თავი, თუ მაგისთანა სულელურ საქმეში დაგეხმარო.

ელლუს გული მოუვიდა და გულ-ნატკენი წავიდა.

— არა, რა რიგ გაამაყებულა ეს მელონენი! — ჰფიქრობდა ელლუ. — ხუმრობაა განა, იმ კაცმა ქურდობა ჩადინა! ნაცნობობა ხომ არ აქვთ ერთმანერთში და ან თუ უდგება?

გაახსენდა, რომ არჩევანებზე მეორე მსაჯულად ადამ ნეტულა იყო ამორჩეული. ის პატიოსანი გლახია, ამას კი არ ჰგავს და ჯერ მაინც არ გარყვნილა. იმას უფრო ენდობა კაცი, ე მელონენი კი... არა, რა ნება ჰქონდა არ მიეღო კანონიერი საჩივარი? სწორედ თითონაც სამართალში მისაცემია... კარგი კი იქნებოდა თვითნებობისათვის რომ დასჯიდნენ.

მეორე ღღეს მსაჯულს ნეტულას მიადგა კარზე.

ამასთან დიდი ხნის მეგობრები იყვნენ. დაინახა თუ არა ელლუ, ადამი მის შესახვედრად გამოეშურა, თვითონ ჩამოართვა ცხენი, შეიყვანა სტუმარი ოთახში და ჩიბუხიცი მიართვა. კარტუნენი კარგს გუნებაზე დადგა, — ძალიან იამა, რომ მისს მეგობარს ჯერ კიდევ არ გამოსცვლოდა ხასიათი.

ათას რამეზე დაიწყეს ლაპარაკი, როგორც მიღებულა, და იმდენიცი ილაპარაკეს, რომ კარტუნენს კინალამ გადაავიწყდა, რა საქმეზედაც მისულიყო. მით უფრო ზრდილობიანი გამოდგა მისი საჩივარი, რომ მის შესახებ ბოლოს დაიწყო ლაპარაკი. სრულიად დამშვიდებული იყო და კიდევ იცინოდა, როდესაც სთქვა:

— მართლა! პატარა საქმე მაქვს შენთან, მეგობარო. მინდა გთხოვო გამასამართლო მეტკუნენთან, რომელმაც ჩემი ნივთი მიითვისა!...

— რას ამბობ! მართლა?... რა გაეწყობა... მოხდება ხოლმე.... მაშ რაშია საქმე?

კარტუნენმა უამბო ყველაფერი, როგორც იყო.

— ყუთის ფასი, რასაკვირველია არაფერს ნიშნავს, — დაათავა მან თავისი ამბავი, — საქმე ის არის, სიმართლეს გადაუხვია და შეურაცხყო.

.... ისიც რომ ვაქვათ, არაფრად ღირსო, მართალია ყუთი ძველი იყო, მაგრამ, თუ დავუთმეთ, ჯერ მაგისტანა რამეს მოგვპარავენ და მერე უფრო ძვირფასს ნივთებსაც დაუწყებენ ზიდვას; უარარაოდ დავგტოვებენ...

— მართალია, მართალია! — დათანხმდა მსაჯული: — არაფერია, ზლოს...

— სასამართლოს ხარჯი რა გადახდება?

— ერთი მარკა და ათი პენნი საქმის გარჩევისა... მოწმეები დაგჭირდება?

— რასაკვირველია!

ადამი დაჰპირდა ყველა მოწმეებს დავიბარებ, თითოს სამოც პენნადღა.

კარტუნენი სიამოვნების ნიშნად ხელებს იფშენეტდა. გამოდიოდა, რომ იმ გაიძვერას კაი ძალი გადახდებოდა! ახიცი არის მასზე! ის არა სჯობდა, საქმე არ გაეძალღებინა და ნებით დაებრუნებინა ყუთი?... მაშინ ხომ ამდენი არ გადახდებოდა? მაგრამ თუ ასეა, თუ არ შეშინდა და შეურაცხ-ჰყო კარტუნენი... ჰმმ!... ნახავს თავის თვალის სეირს!

მართლად რომ თვალის სეირი ნახა მეტკუნენმა, როდესაც სასამართლოდან დაბარების ბარათი მიიღო, რომელშიაც ეწერა, რომ ნაქურდალის დამალვა ბრალდებოდა. ჯერ დაიწყო ლანძღვა და წყევლა და ბოლოს დაიფიცა, მე თითონ ვუჩივლებ კარტუნენს შეურაცხყოფისა და ცილის-წამებისათვისო.

— თუ გინდა, დღესვე ჩავაბარებ კარტუნენს დაბარების ბარათს, თუ იჩივლებ, — უთხრა მსაჯულმა. — ერთად გავარჩევთ ორივე საქმეს ბარემ,

ეს ძალიან მოეწონა მეტკუნენს და მან აქვე დაამზადა საპირდაპირო საჩივარი და რაც ხარჯი იყო საჭირო, ხმა-ამოუღებლივ გადაიხადა.

წასვლისას ადამს გაახსენდა, რომ ის მოვალე იყო ყოველივე ღონე ეხმარა მომჩივანეთა მოსარიგებლად, და ურჩია მეტკუნენს შერიგება, მაგრამ ამან უფრო გააბრაზა მეტკუნენი.

— დიად! ეხლა შევეურიგდე? არა, მაღლობას მოგახსენებთ! ჯერ გაიგოს კარტუნენმა, რა არის სასამართლო და კანონი, გაიგებს კიდევ, გარწმუნებთ! ჩამომახრჩვეთ, თუ არ გაიგოს.

გაიარა რამდენიმე კვირამ; დადგა ამ დიდის საქმის გარჩევის დღეც. ხალხს თავი მოეყარა სოფლის სასამართლოს წინ და საქმეების გარჩევას ელოდდა; ზოგმა თავის ვასართობად მომჩივანთა შერიგება მოინდომა.

— სასაცილო საქმეა მაგისთანა პატარა რამეზე ჩივილი! — ამბობდა ერთი მოახუცი. — არც მსაჯულებს უყვართ მაგისთანა ები. სანანებლად არ გაგიხდეთ ეგ საჩივარი.

— გთხოვთ ჩემთვის თავს ნუ იტკივებთო, ამბობდა კარტუნენი. — მე კი ღვთის მაღლით შიში აღარაფრისა მაქვსო. მე ხომ

სიმართლეს ვეძებ და სხვას არაფერს და აშლა არავისთან არ მინდოდა და არც მინდაო....

მეტყუნენი მხოლოდ იღიმებოდა. მისის აზრით, შერიგება შესაძლებელი იყო... რადგან კარტუნენს შიში ეტყობოდა.... სასამართლოს ხარჯი რაც გამიწევია, მიზლოს და აქვე აღიაროს, რომ მოისულელა და ტყუილი დამწამაო და გათავდა.

სთქვეს თავთავიანთი და ნათქვამიდან ერთი სიტყვაც ველარ გადაათქმევინეს ვერც ერთს და ვერც მეორეს. მაგრამ მოვიდა მათი ჯერაც და სასამართლო ოთახში დაუძახეს. მომჩივანები შევიდნენ: წინ კარტუნენი და უკან მეტყუნენი.

— აბა, ძმობილო კარტუნენ, მარჯვედ იყავ, გადაგიჭრიან, რაც გერგება! — წასჩურჩულა მას მემჩვარემ.

— ოო, შე ცუდლუტო, მეტყუნენ! — ჩურჩულითვე უპასუხა მომჩივანმა. — ნებით რო დაგეთმო მოპარული ნივთი, ეხლა ხომ არა დაგჭირდებოდა აქ, მოსამართლის წინ, კანკალი.

საქმის გარჩევა არ გაგძელებულა; საქმე ხომ ყველამ დაწვრილებით იცოდა, რაშიაც იყო. მოწმეები არ დაუფიცებიათ. შემდეგ ყველანი გარედ გამოისტუმრეს და მოსამართლეებმა ჩაიკეტეს კარები განაჩენის დასადგენად.

მომჩივანი და მოპირდაპირე დანარჩენებთან ერთად წინაკარში ელოდნენ გარდაწყვეტილებას.

— ნეტა, რამდენის ხნით ჩასმენ ამ ჩვენს მემჩვარეს?

— დაიცა, დაიცა, კარტუნენ, ეხლავე გაიგებ, ვინ არის ჩვენში მართალი და ვინ მახეზლარი და ცილის მწამებელი.

მომჩივანთ ისევ ოთახში დაუძახეს განაჩენის მოსასმენად. მათ მოწმეები და ცნობის მოყვარულნიც შეჰყვნენ.

დაიწყეს განაჩენის წაკითხვა. „...და ამიტომ სასამართლომ დაადგინა: ელია კარტუნენს დაუბრუნდეს მოპასუხესაგან ყუთი, ვითარცა ის არის მისი კანონიერი საკუთრება“....

— გესმის, ძმობილო? მა როგორ გეგონა, შე გაიძვერა, შენა!

„... მაგრამ მიიღო სასამართლომ მხედველობაში რა, რომ ორთავენი ჩივილის მოყვარულობით არიან გამსჭვალულნი, რაი-

ცა კანონით აკრძალულია, კანონის ამა-და-ამ მუხლის მიხედვით დაადგინა: ორივეს თორმეტ-თორმეტი მარკა ჯარიმა გადახდეს, სასამართლოს ხარჯი კი თანასწორად გადახდეს ორთავეს.

— თუ კიდევ შემოგიტანიათ ეგეთი საჩივარი, ჯარიმა ორჯერ მეტი გადაგხდებათ! — დასძინა მოსამართლემ, როდესაც განაჩენის კითხვა გაათავა.

— მოწმეებმა და დანარჩენმა ხალხმა სიცილი დაიწყეს; მოსამართლემ ძლივს იკავებდა თავს.

მეტყუნენი და კარტუნენი, დიდად შერცხვენილნი, საჩქაროდ იხდიდნენ ფულს. გარედ რომ გამოვიდნენ მხოლოდ მშინ მოვიდნენ ცოტათი გონს. გადახედეს ერთმანერთს.

— ვერც მე გაეიტანე, მაგრამ ვერც შენ გაგივიდა-რა!



### შამშილობის წელიწადი

(იუზო რეიონენი)

არ არის დიდი ხანი, რაც კარელიის ჩრდილოეთით ერთს ყრუ მაგრამ მშვენიერ კუთხეში, კაინუსა და რუსეთის სამზღვარს შუა, „წმინდა ჰურის ფქვილი“ და „გაურეველი ჰური“, მეტად იშვიათი იყო შეძლებულ გლეხების სუფრაზედაც კი. ამ ოცდაათის წლის წინად სოფელს კუოხატში ვისმეს რომ ექმნა ეგა, მთელს წელიწადს რომ ჰური ეჭამა, ზეცის მონიჭებულს უღვთოდ ჰფლანგავსო, იტყოდნენ, მაგრამ არც არავინ შერებოდა ამას და ყველაზე ნაკლებად სცოდავდა ამ მხრივ პერტუ და მისი ოჯახი.

ეგ პერტუ ახალგაზღობისას იმდენად სულელი იყო, რომ, აქაო და ჩემი პატარა ნაკვეთი მიწა მქონდეს, სამალამპის სილიან ნაპირზე, სადღაც ტყის ნაპირას აიშენა სახლი. ძლივს-ძლიობით იკვებადნენ იქ თავს პერტუ და მისი ცოლი, ღმერთი კი ყოველ წელიწადს აძლევდა თითო თითო შვილს. იმდენ-

ნი დაესიათ ბავშვები, რომ პერტუს ცოლი, ანნი, არა ერთხელ იტყოდა ხოლმე, ამდენის ღეთის წყალობით სული ამომხდეს ლამის. ხუმრობაა განა, ხან-და-ხან გაცხარებულს მუშაობას უნდა მოჰკლებოდა და მერე ხუცესთან თრეულიყო. მაინცა-და-მაინც პურს კი ისე უხვად არ იძლეოდა გამჩენი, როგორც ბავშვებს; თუმცა მღვდელი არწმუნებდა მათ, რომ სამალამპი გაკეთდებო, რადგან მრავილი მომავალი მუშა ხალხი იზღებო იქაო. ამას იმასაც დასძენდა, გაივლის გაჭირვების ხანია და ყველაფერი ბლომად შემოგივით, რადგან ვინც შვილებს გაძლევთ, ისევე ზრუნავსო მათ არსებობაზე.

ჯერ-ჯერობით ამას მხოლოდ ანნი ზრუნავდა. ეს საბრალო დღე და ღამ სულ იმის ფიქრში იყო, საიდან ვიშოვო საჭირო საკვები და ტანთსაცმელიო. პერტუ თავის მხრივ გულმოდგინედ მუშაობდა, უვლიდა თავის მიწას და რაც შეიძლებოდა, ცდილობდა რამეს გამორჩენოდა ტყესა და ჭაობს. მაგრამ ვერც პერტუ და ვერც მისი ცოლი ვერ ახერხებდნენ დიდ მანძილზე მოეშორებინათ გაჭირვება თავიანთ სახლზე.

რაკი ვერა გააწყო-რა, პერტუმ ერთ დღეს განიზრახა თავისი მამული გაეფართოვებინა და ამისათვის ცოტაოდენი ჩამოსჭრა ხაზინის ტყეს. მაგრამ ეგ დიდი სისულელე იყო, როგორც აუხსნა შემდეგ ტყის მცველმა, რადგან „ეს მიწა და ეს ხეები ხომ შენი არ არიან, არამედ ხაზინის, ესე იგი, საზოგადოების, განა არ გესმის ეგა?“

პერტუ ჰფიქრობდა, მეც ხომ საზოგადოების წევრი ვარო და უფრო სამართლიანია, რამოდენიმე ფიჩხის შენახვას რამოდენისამე კაცის სიცოცხლის შენახვაო. ტყის მცველი ეცადა პერტუსათვის წინააღმდეგის დამტკიცებას და ამიტომ ხელი მოუწყო და ხაზინის ხარჯით გაისტუმრა საოლქო ქალაქში და იქ რამოდენიმე ხანი გაატარებინა სახაზინო სახლში—ციხეში. პერტუმ რამოდენიმე ხანი დაჰყო იქ, რადგან ჯარიმის გადასახდელი ფული არ ჰქონდა.

დადგა ისევე ზაფხული და მზე ბზინავდა ცაში, როდესაც პერტუ გაემგზავრა ქალაქიდან თავის სახლისკენ.



დრო გამოშვებით მოისმოდა ხმა; ჩიტებს ერთი ამბავი ჰქონდათ ტყეში. პერტუც გამოცოცხლდა, გამხიარულდა, როდესაც საღამო ხანს შორიდან დაინახა სამალამპის ტბის ლურჯი წყალი და ამწვანებული ჯეჯილი თავისს ყანაში.

„საუცხოვოდ ვიმუშავებთ მე და ანნი ამ ყანაში, მკის დრო რომ მოვა,—ჰტიქრობდა ის.—რა კარგი სანახავი იქმნება, პატარა ბავშვები რომ თამაშს დაიწყებენ, მინამ უფროსები ძნების შეკვრით იქმნებიან გართულნი“...

გახსენდა თავისი გადაპარსული თავი და ერთბაშად შესწყვიტა ოცნებობა. ცუდი დალი დაასვეს ამ თავის გაპარსვით! მალე გაეზღებოდა თმა და ან კი გაეზღებოდა? „ვერ გამიგია, როგორ უნდა ვეჩვენო ეხლა ხალხს, ნამეტნავად ანნისა და ბავშვებს“, — ჰტიქრობდა ის.

მოინდომა. ამ საქმისათვის უფრო ვაჟკაცურად შეეხედნა, მაგრამ, რაც უფრო უახლოვდებოდა თავისს სიხლს, უფრო და უფრო ნელა მიდიოდა.

„ნეტა ანნი შინ არ დამხვდებოდეს! — ჰტიქრობდა ის სასო-წარკვეთით. — მაინც ასეა, ვგონებ: ალბად ბადის ამოსათრევად წავიდა; არც ნავი სჩანს ჩენი... ბავშვებიც ძლიერ ხმაურობენ“...

პერტუ შეჩერდა და ყური დაუგდო ბავშვების ხმებს.

— აი ავიღებ ხელში და ვნახავ მაშინ, რაც ლუა ხარ!

ეს პატარა ანტის ცქრიალა ხმა იყო. ის აჯავრებდა და ნარჩინთ. შემდეგ მოისმა ფომკის მტირალა ხმა. ეს სამის წლით უფროსი იყო ანტიზე, მაგრამ ვერასოდეს ვერ ერეოდა.

რასაკვირველია, ეხლავ სახლში უნდა მისულიყო, მაგრამ პერტუმ არ მოინდომა ბავშვების შეშინება თავისის გაპარსულის თავით. ან კი რატომ არ დაესვენებია აგერ ხის ძირში. პერტუ დაჯდა და ჩიბუხი ააბოლა.

დიდ ხანს იჯდა აქ და ბევრმა არა მხიარულმა აზრმა გაურბინა თავში. იქნება ყველას ის სჯობდეს, — გაითიქრა მან, — მიწის მუშაობაზე ხელი ავიღო და ქალაქში გადავსახლდე: ხომ ამბობენ, რომ ქალაქში კარგი მუშები საჭირონი არიან და

არც ცოტას შოულობენო. ამ გაზაფხულზე შიმშილობას მაინც გადავრჩებოდით. ეს სწორედ მოსაფიქრებელი საქმეა, მით უმეტეს, რომ ქალაქში ყველანი იპარსავენ თავს, ბატონებიც კი, რომელნიც, რა თქმა უნდა, სატუსაღოში არასოდეს არ მჯდარან. სჩანს, — იქ ეს მიღებულია... მაგრამ მაინც კიდევ ძნელია მიწის დატოვება. აქ ბავშვობიდან დაწყებული ვაგების მეტს ვერას ჰხედავს მთელ თავის სიცოცხლეს, მაგრამ ეგ სიცოცხლე აქ აქვს გატარებული ბავშვობიდანვე და თითქო სულაც ამ მიწაზე ამოსულაო, ველარ შორდება!

ასე გაიარა დრომ და შუალამე იყო, როდესაც პერტუქურდულად შეიპარა თავის სახლში. დილას ანწიმ თითქო ვერც კი შეამჩნია ვერაფერი ცვლილება. ეტყობოდა ბავშვებისათვის დაერიგებინა ხმა არ ამოეღოთ მამის თმაზე. არავინ არაფერს არ ამბობდა ამის შესახებ, მხოლოდ ბავშვებს ეჩოთირებოდათ ერთს ხანს მამის გადაპარსული თავი.

ივლისისათვის თმა იმდენად გაეზარდა, რომ შეიძლებოდა მისი დავარცხნა. ამავე დროს მწიფდებოდა პურიც, რომელსაც კარგი პირი უჩანდა. სამალამპის მცხოვრებთ ამ მოსავლის დიდი იმედი ჰქონდათ. მაგრამ აღრე დაზამორდა, სიცივები დაიჭირა და პური მთლად დამწიფებული არ იყო... ამას გარდა გადამდები ავადმყოფობაც გაჩნდა. ანწი. რამდენსამე კვირას ავადმყოფი იწვა. დახდნენ ავად ბავშვებიც. თჯახის საყვარელი თავის ნება ანტი დედას გვერდით უწვა და ბოდავდა. ფეხზე მხოლოდ მამა და მუდამ ზოზინა ფომკა-ლა დარჩნენ მიუხედავად იმისა, რომ სახლში ყოველ კუთხიდან საშინელი სილარიბე გამოიყურებოდა.

ფომკა საკვირველის მოთმინებით უვლიდ დანარჩენებს და სრულს ნებას აძლევდა. ანტის თმა მოექინჩა მისთვის, როდესაც ავადმყოფის გასართობად სხვას ველარას ახერხებდა. იგივე ფომკა დადიოდა ახლო-მახლო სოფლებში სათხოვრად და იმ რამდენსამე ნაჭერსაც, რომელსაც მას აძლევდნენ, შინ მობრუნებინებდა დედასა და ბავშვებისათვის. მაგრამ მეტ ნაწილად

ხელ ცარიელი ბრუნდებოდა შინ, რადგან გარშემო სოფლებშიაც ისეთივე შიმშილობა იყო, როგორც სამალამში. ასე დაიწყო ზამთარი პერტუს ოჯახისათვის; მაგრამ წინ უარესი ელოდა. შუა ზამთარში სამალამში ჩამოვიდა მამასახლისი და გამოუცხადა პერტუს, რომ მაზრაში გამოილია, რაც რომ საზოგადო ქირნახული იყო და დახმარებას ნუღარას მოელოო.

ეკლესიებშიაც გამოაცხადეს, რომ მმართველობა აწი მხოლოდ იმათ აღმოუჩინს დახმარებას, ვინც სამუშაოდ გამოვაო. მოხელემ, რომელმაც ეს ამბავი სხვათა შორის ბრძანა; „იქნება თქვენი დამწეულები მეტსა ჰყვირიან, ვიდრე შიოდეთ? მიწა კარგი გაქვთ და ჭაობებში მშვენიერიც“...

— ასე, ჩემო პერტუ! — სთქვა ბელოს მამასახლისმა. — მალე ჩვენს სოფელშიაც ვეღარ მოიძებნება ლუკმა-პური. მართალია, დიდი გაჭირვებული ხარ, მაგრამ არც ჩვენა ვართ კარგად.

— არაფერია, პირველი ხომ არ არის ჩვენში შიმშილობა! — უპასუხა პერტუმ და იმავე საღამოს მოწილა დანაყული ხის კანის ცომი; შიგ სულ ცოტა ფქვილი გაურია. მამასახლისს წასვლის წინ ჰკითხა:

— შეიძლება კა სახაზინო ტყიდან ხის კანის გამოტანა? ეს თუ შეიძლება და ცოტა ბზეც თუ ეიშოვნე, რომ ხის პურს მივუმატო, მაშინ სულაც არ ვინადვლი შიმშილობას!... ცოტა კარგ გუნებაზე დავდგებოდით და სამუშაოდაც გავიდოდით...

ხის კანის შესახებ მამასახლისმა ვერაფერი გადაწყვეტილი ვერ უთხრა, ხოლო ბზის პურის გამოგზავნას კი დაჰპირდა, ჩემი ცოლი საუცხოვოდ აცხობსო.

— როგორმე გამოხვალთ, პირი თუ მუცელს არ წაეკიდა, — სთქვა მან და წავიდა.

პერტუმ არ იცოდა, როგორ გადაეხადნა მადლობა მამასახლისისათვის და ფომკა დედასთან გაიქცა და წასჩურჩულა:

— ეხლა მორჩები, დედა. მამასახლისი ნამდვილ ბზის პურს გამოგვიგზავნის.

ბზის პურის გამკურნავემა ძალამ მართლადაც მალე იჩინა თავი. დაიწყეს თუ არა ავადმყოფებმა ხის პურის მაგიერ ბზის პურის ჭამა, უკეთ გახდნენ. სხვა სოფლებში ბუზებისავით იხო-ცებოდა ხალხი.

შუა იანვრისათვის პერტუს ოჯახში ყველანი კარგად იყვნენ. ტანსაცმელი ზოგს არ ჰქონდა და ზმითომ ისინი სახლში ისხდნენ; დანარჩენები კი დაწანწალებდნენ სოფელ-სოფელ და ან თხოულობდნენ და ან ჰყიდდნენ თავიანთის მამის სხვა-და-სხვა წვრილს ხის ნაკეთებულობას. ანნისა და პერტუს იმედიც დაებადა, იქნება და მართლა გაეძლოთ ახალ მოსავლამდეო. მაგრამ აი მოჩჩა ანნი და ტყუბი ბავშვი ეყოლა. მოიმატა გაჭირვებამ. ამას გარდა, როდესაც პერტუმ ტყუბები მოსანათლად წაიყვანა და გზაში ერთ ნაცნობ ვაჭართან შევიდა, გაიგო, რომ მისი სახლ-კარი საჯაროდ უნდა გაყიდულიყო. საქმე იმაშია, რომ პერტუს დიდი ხანია ფული ემართა ერთის თავისის მეზობლის კორმელა-ხეიკისა. ეხლა ისიც გაჭირვებული იყო და პერტუსაგან აღებული ხელ-წერილი ვაჭრისათვის მიეყიდნა ერთ კოდ პურში. ვაჭარი მდიდარი იყო და პერტუს ვალი არ აღემატებოდა ას ორმოც და ათ მარკას \*); ამის-და მიუხედავად ვაჭარმა არ მოინდომა ერთის დღითაც მოცდა და სახლ-კარის გაყიდვა მოითხოვა, რადგან მოძრავი არა ჰქონდა-რა პერტუს.

დიდ ხანს ეხვეწა პერტუ ვაჭარს, მაგრამ ის არწმუნებდა მეც მიჭირსო და ვალის ეხლავე გადახდას ითხოვდა. პერტუ ხომ ფულად ვერ იქცეოდა, ვერც ცოლ-შვილს გაჰყიდდა. ერთიღა დარჩენოდა—დაეთმო სახლ-კარი.

ტყუბებში ერთი მოკვდა. ამას, როგორც ბედნიერებას შეჰხედეს დედ-მამამ, რადგან რვა შვილი-ღა რჩებოდათ, რომელნიც გარედ უნდა გამოეყვანათ, რასაკვირველია თავისისავე ხელით აშენებულის სახლის დატოვება მეტად უჭირდათ, ავ-

\*) მარკა---ცხრა შაურია.

რეთვე ყანისა, რომელიც ისევ მათის ათის წლის შრომამ და-  
ამსგავსა ყანას; მაგრამ რა გაეწყობოდა...

სახლიდან რომ გამოდიოდნენ, არცერთმა არ იცოდა, სა-  
ით წასულიყვნენ; ქალაქისაკენ გასწიეს. მარკულაში სხვა მგზავ-  
რებს შეხედნენ, რომელნიც აგრეთვე ქალაქში მიდიოდნენ სა-  
მუშაოსა და პურის საშოვნელად. ამ მგზავრების მოთავე იყო  
მიხაის პაავო, პერტუს ძველი ნაცნობი. ამათ შეუერთდა პერ-  
ტუს ოჯახიც.

ზამთრის პირს ჩემი შვილი მკვდარი ნახეს ბელელთან, —  
ამბობდა პაავო. — ბავშვს პირი თოვლით ჰქონდა გამოტენილი.  
ექიმი რომ ჩამოვიდა, ვუთხარი, ბავშვი შიმშილით მოკვდა-  
თქო, მაგრამ არ დამიჯერა. გასჭრეს საწყალი მკვდარი ბავშვი,  
თითქო დამხრჩვალნი ყოფილიყოს, და ძლიეს-ძლიეს, ცალიერი  
მუცელი რომ უნახა, დაიჯერა, რომ ბავშვი შიმშილისაგან მოკვ-  
და. სწორედ მაშინ გადავწყვიტე აქედან წასვლა, სხვებიც შე-  
მომიერთდნენ და თუ თქვენც წამოხვალთ, გაქმევთ: ცოტა რამ  
გვაქვს წამოღებული, იქნება გვეყოს.



დილით ყველანი ერთად გაემგზავრნენ. ყველანი ჩამოკრძ-  
კილი იყვნენ და დამწკრივებულნი მიდიოდნენ იქით, საიდანაც  
მზე ამოდიოდა. დილა სუსხიანი, მაგრამ ნათელი იყო. სოფ-  
ლებში, რომელთაც ისინი გადიოდნენ, მათ უხვდებოდნენ მში-  
ერი და გაბრაზებული ძაღლები, რომელნიც ჯერ საშინლად  
ჰყეფდნენ, და შემდეგ სხდებოდნენ თოვლზე და გაგძელებულის  
ღმუილით აცილებდნენ მათ.

ტყეში რომ შევიდნენ, გზა უფრო მყუდრო გახდა. ყინვი-  
საგან კუნძებს ტკაცა-ტკუცი გაუდიოდათ და თითქო თოფის  
სროლით აცილებდნენ მოგზაურებს. ესენი თავიანთის ფიქრებით  
გართულნი ხმა-ამოუღებლივ მიდიოდნენ. სიჩუმეს არღვევდნენ:  
მარხილების კრიალი, რომელზედაც უფრო სუსტნი ისხდნენ,  
ფეხის ხმა და ხან-გამოშვებითი ტირილი პერტუს პატარა ბავ-

შვისა. შემდეგ სოფელ კეკისთან ისევ ახმაურდნენ ძაღლები, რომელთაც რამოდენიმე ვერსის მანძილზე გააცილეს მოგზაურები ყუფით. სამაგიეროდ, ამის შემდეგ დაიწყო ყრუ ადგილები—მანალკის მთის დაუბოლოვებელი ტყეები. აქ მოგზაურთ უკეთ იგრძნეს თავი, რადგან ძაღლების ღმუხილმა საშინლად დააღონა ისინი. უფრო მყუდრო ადგილებიც იყო აქეთ. საითაც არ გაიხედავდნენ—ტყის მეტი არა სჩანდა-რა. სამხრეთით — მალა აეღო თავი უშველებელ კეროს მთას და შავად მოსჩანდნენ ონკუეარის მწვერვალები. წინ ნიემივარის თავი იხედებოდა. იქ კი, განზე, ის თვალ-მიუწდომელი ვაკე ნამდვილად ვალამოს ტბა უნდა ყოფილიყო საზამთრო სამოსით შემოსილი.

მთელი დღია მშვენიერი ღარი იდგა. მაგრამ ერთბაშად აცივდა, ამოვარდა ქარი, საიდანღაც, რუნიის მხრივ წამოვიდნენ გრძელ-გრძელი, წვრილი ღრუბლები. მერე ღრუბლები უფრო დასქელდნენ, იმატნენ და ჩქარა მთელი ტეტრივარას მთა რალაც თეთრს, ოვალით გაუვალ საფარში გაეხვია. იმავე დროს გზის პირას ხეებიდან ჩამოცვივდა თოვლი და დაიწყო ბუქი. დაჰბერა ქარმა, აათამაშა თოვლი, დაუარა ტიტველ შტოებს.

მგზავრები ფეხს უმატებენ. მაგრამ აკვნესდა ტყე! უმატა ბუქმა; მკირე ღრუბლები მიექანებიან ცაზე. უცბად მთა და ბარი, ტყე და კაცები, ცა და მიწა—ყველაფერი შთანთქა ბუქმა, რომელიც წამის-წამზე უფრო და უფრო მატულობს, თითქო თავისივე სიბრაზე უფრო აბრაზებს. მგზავრებმა იციან, რომ საქმე მათ არსებობას შეეხება, რომ მათ ელით არსებობისათვის ბრძოლა და იკრებენ მთელს ძალ-ღონეს. ჯერ კიდევ საკითხავია, ვინ ვის მოერევა: აღმოსავლეთის ტუნდრებიდან მოსული ბუქი, თუ უნაყოფო კარელიის შეილნი. დიდი და პატარა დაჟინებით მიდიან წინ და ერთმანერთს მხარს აძლევენ. იმ მხრით, საიდანაც ქარი ჰბერავს, მათი ძონძები გაყინულან და გამაგრებულან. დაგლეჯილი ფეხსაცმელი ველარ

ინახავს სითბოს და ეყინება ფეხის გულს, რომელიც ჯერ არ გაყინულა სრულებით და მხოლოდ გაბრუებულია სიცივისაგან. აი დაგორდა ერთი ბავშვი, და ბუქი ზედ დაჭიმუის და დაჭხარის თავის პირველს მსხვერპლს.

— ანტი, შექამე ეს ჩემი არჩივი პური, არ გიმტყუნოს ძალამ ამ შუა გზაზე, — ეუბნება ფომკა თავისს უმცროსს ძმას, რომელიც მძიმედ ქშინავს.

— წინ, წინ, ღმერთი შეგეწევა! — წამოიძახა წინამძღოლმა მიხაის პაავომ. — სოფელ ტოლკისამდის აღარ იქმნება შორს.

ერთი ქალი ბარბაცობს და ათრთოლებულის ხმით იწყებს ფსალმუნის მღერას. პაავო ხელს უჭერს, ცდილობს მისს გამხნეებას და ბანსაც აძლევს. გაჩუმებულს და მძიმედ მქშინავს პერტუს მიჰყავს თავისი ცოლი, რომელსაც ეს ეს არის ბავშვი გამოართვა ხელიდან. ძალზე ჩასჭიდებია ანნი მისს ხელს და თითქო ძილშიაო, ისე მიდის.

თითო-თითოდ ეცემიან მგზავრები გზაზე. პაავოს ცხენი ჩაეფლა თოვლში. მაგრამ ცხენი ვინ იღარდოს, როდესაც ადამიანსაც ვერვინ მოხმარებია. თოვლისაგან თვალები გამოტენილი აქვთ ყველას და ველარავინ ვერ ხედავს ცალკე საგნებს და თუ ვინმე ჰხედავს სხვას დავარდნილს, ძალა არა აქვს დაილუნოს და მიეშველოს. ფსალმუნის მომღერალმა ქალმა გაუშვა ხელი პაავოს სახელოს და თოვლში ჩავარდა, მაგრამ პაავომ ვერც კი შეჰნიშნა. „წინ, წინ, ღმერთი მოწყალეა!“ — ბუტბუტებს ის.

უმეტესი ნაწილი ჯერ ფეხზე სდგას. ფომკამ და ანტიმ დაისვენეს კუნძთან და ხელ-ახლავ გზას, შეუდგნენ, დანარჩენებს კი ვერ ჰხედავენ. აი გაუარეს ქალს, რომელიც სანახევროდ დაუმალავს კიდეც თოვლს.

— დედაჩვენი ხომ არ არის? — შიშით ჩურჩულებს ფომკა. ასი ნაბიჯის მანძილზე ზის პაავო. თვალები ახელილი აქვს,

მაგრამ ფომკას ეეჭვება, რომ ისინი ცოცხალი თვალები იყვნენ. ხელში პური უჭირავს და სჩანს, ეს პურის ნაჭერი მიყინული აქვს ხელზე, რადგან ანტიმ ხელი წაჰკრა და პური ხელიდან არ გაუფარდა...

ვინც მოდის კიდევ, საშინელი ოფლი სდით და წყურვილი უდაგავთ შიგნეულობას. ზოგი ცდილობს თოვლის გადაყლაპვას, მაგრამ თოვლი ყბებს უჭერთ. მთელს ტანში რაღაც ისეთს მოდუნებას ჰგრძნობენ, რომ ბრძოლის სურვილი ეკარგებათ და უმეტესობა სასოწარკვეთილებამაა. კიდევ ცოტაოდენს იკრებენ ძალას და შემდეგ ყველას სრული აპათია მოიცავს. არც სასოწარკვეთილება, არც შიში. დამძიმებული თვალების ქუთუთოები თავისად იხუჭებიან. ყველას ეძინება და თოვლი კი ისეთს მშვენიერ ბუმბულად ეჩვენებათ. თითქო იწვევს, დაიძინეთო. სიცრვე ტანსა და ტვინს უშეშებს ყველას, მაგრამ ტკივილს აღარავინ ჰგრძნობს, პირიქით, რაღაც საამური ჟრუანტელი უვლით ტანში. ჩქარა ჩაცვივნილი ლოყები ებერებათ და ურგვალდებათ, როგორც მსუქან კაცს. შემდეგ თვალებში უბნელდებათ, ცოტა თავბრუ ესხმით, მაგრამ ჩქარა ყველა ეს თავდება და მხოლოდ სრულ მოსვენებას ჰგრძნობენ.

ფომკა და ანტი ჯერ კიდევ შიდიან და ეხმარებიან ერთმანერთს; ფადადიან მთებს. აი ხელუხლებელი თოვლიც; სჩანს მათ წინ აღარავინ არ არის, ვერაფერ კვალს ვერ ხედავენ, მაგრამ მათ უკან ვიღაც ქშინავს. ანტი ჩერდება, იხედება უკან და ცნობილობს თავისს მამას, რომელიც რაღასაც მოათრევს ფოვლზე. ბავშვი აღარა ჰყავს ხელში. „სადღა არიან დედა და და?“ უნდა ჰკითხოს ანტიმ, მაგრამ ფომკა არ აცლის და მიაჩქარებს.

— ვერ ხედავ, მამა გონება დაკარგულია!— ჩურჩულებს ის შეშინებული. — შეხედე, როგორ სხვა ნაირად გამოიყურება. ნეტა რას მოათრევს?... ოჰ, წავიდეთ ჩქარა, წავიდეთ!...

სულ წინ მიდიან, თუმცა დაღამდა კიდეც.



— ცოტა დასვენება რომ შეიძლებოდეს! — მაგრამ ფომკა პრ აცლის და რაც ძალი და ღონე აქვს წინ მიეშურება, თუმცა სისხლი ცეცხლსავით დაურბის ტანში.

ძლივს, შორს გამოჩნდა ცეცხლი. ფომკას აზრად მოსდის, მოდი შევატყობინოთ უკანებსო, მაგრამ ხმა ჰღალატობს. იცის, რომ ეხლა აღარ შეიძლება ფეხის კლება და ცეცხლისაკენ უნდა იაროს! არც კი ჰგრძნობს, მიდის თუ არა. როგორც სიზმარში, ესმის ძაღლის ყეფა. მერე აზრები მთლად აერია, მაგრამ მისს ხელს მაინც არ უშვებს და მაინც მიდის და მიათრევს თითქმის გაყინულს ანტის. ძალა თითქმის ელევა, მაგრამ გადარჩენა ისე ახლოა!

სოფელ ტოლკის მცხოვრებლები ძაღლების ყეფით შეშინებულნი გამოვიდნენ გარედ, დაინახეს ბავშვები და შინ შეიყვანეს. იქ კითხვას და ოხვრას მოჰყვნენ.

— ღმერთო ჩემო! სადაურები ხართ? ამ ავდარში საიდან მოდიხართ?

პასუხს რად არ იძლევით, ბავშვებო? ღმერთო შეგვიწყალე!.. ეგ ვინა არის?

— სწორედ მკვდარს მოათრევს! — სჩანს გაუყინავს!

სახლში პერტუს გამოართვეს უსიცოცხლო ანნის გვამი; პერტუს არა ესმოდა-რა და არას ამბობდა. სინჯეს გაყინულ ქალის მოსულიერება, მაგრამ ამოად, და ბოსელში წაიღეს. ბავშვებმა დაიძინეს კიდევ თბილ ოთახში, პერტუ კი იჯდა ბუხართან და გამოურკვეველად უცქეროდა ცეცხლს.

ბავშვებს კარგა ხანს ეძინათ. მეორე დღეს სალამოს მხოლოდ აუხსნეს ბავშვებმა სახლის პატრონებს, რაც მოსელოდათ კეროს მთის ძირში. პერტუ ისევ ისე ბუხართან იჯდა და ხმას არ იღებდა. ასე დარჩა სამუდამოდ.

დილას ბუქი ჩაწყდა. მზე ისევ ბრწყინავდა და აბრწყვილებდა თოვლს. კეროს მთის ძირშიაც ბრწყვილებდა თოვლი.

და ეს თოვლი საუცხოვო სუდარი იყო თექვსმეტის აქ განსვენებულ საწყალისათვის.

გაზაფხულზე თექვსმეტს საფლავზე აიმართნენ ჯვრები და მას აქეთ ის ადგილი „მშიერ ტყედ“ იწოდება.

ივ. ზურაბიშვილი



# ლ ა ზ ა რ ი ლ ი ო

## ტორმესელა

ესპანიური მოთხრობა

### მ თ ა ზ გ მ ნ ე ლ ა ს ა გ ა ნ

ეს პატარა მოთხრობა „ლაზარილიო“ ეკუთვნის, როგორც ამბობენ, გამოჩენილ ესპანიის მწერალს და სახელმწიფო კაცს, დიეგო ჰურტადო მენდოზას, პირველად გამოვიდა 1554 წელს ესპანიურ ენაზე და დიდის სიჩქარით გავრცელდა არამც თუ ესპანიაში, სხვაგან ევროპის ყველა ენებზედაც მალე გადასთარგმნეს. მსოფლიო მწერლობის ისტორიაში დიდის პატივისცემით იხსენიება ლაზარილიო, როგორც წინამორბედი სერვანტესის დონ კიხოტისა და კალდერონის დრამებისა.\*

მრთელი წიგნი დაწერილია მკაფიო მშვენიერის წმინდა (კასტილიის) ენით. მასში ბიჭი ლაზარიკა თავის თავგადასავალს გვიამბობს: ტორმესის წყლის ნაპირას მამა ჩემი მეწისქვილე იყოფო, იქ დავიბადეო; რაკი წამოვიზარდე, დედა ჩემმა ბრმა მათხოვარის ხელში ჩამაგდოო. იმ დროს ესპანიაში ამაზე დამცირებული ხელობა არ მოიპოვებოდა, მაგრამ ლაზარიკამ გამოიყენა. მზიარული გულის და გამჭრიახე მარჯვე გონების ყმაწვილმა მალე შეითვისა ბრმის ცბიერება და სულ-მდაბლობა, ასე რომ თანდა-თან გაიძვერობას და მატყუარობას ახერხებდა. ბრმის შემდეგ მღვდელს ემსახურებოდა, მერმე მედიდურ და მუცელ-ცარიელ აზნაურს, შემდეგ ბერს, შენდობის ქალაღის გამყიდველს, კაპელანს და პოლიციის მოხელეს. ბოლოს დავაჟკაცების დროს ეს ზნეობა წამხდარი ხასიათის პატრონი ცოლად ირთავს სხვის საყვარელს და ურცხვად იმართავს ოჯახს, ვითომდა არაფერიო.

აღწერა ზოგან ისეთის დასურათებით არის, რომ პროზაში იშვიათია. შიგ მოხსენებული კაცები გამოსახულნი არიან მკვირცხლად. ზოგი მათგან-

ნი, მაგალითად მათხვარა ბრმა, აზნაური, მღვდელი გონებაში ებეჭდება მკითხველს, როგორც ნამდვილი ხორც-შესხმული ადამიანები. მოთხრობას თვითონ ლაზარული გვიამბობს, როგორც თავ-გადასავალს მახვილ გონიერის ენითა, მარჯვე გამოსახვითა... ნაამბობი ესპანიის სხვა-და-სხვა წოდების იმ დროინდელ საზოგადოების ზნე-ჩვეულების სატირაა, დაცინვაა. ლაზარული გვიამბობს, რა ხალხშია ცრიალებდა, იცის შინაურულად მათი აფალი, მათი ავლა-დიდება. ერთ მხარეს ვხედავთ თავზე და გაიძვერა მსახურს, მეორეს მხარეს—მედიდურ, დარბაისლურ გულდილობას. ცოცხლად ნაამბობი მოთხრობა ამიტომ საყვარელი საკითხი შეიქმნა.

ამის მსგავსი წერა იმის წინა დროს ესპანიაში არ ნახულა და ეს იყო მიზეზი, რომ მრავალი მიმბაძავი გამოჩნდა მეთექვსმეტე საუკუნეში და განსაკუთრებული გვარის რომანების მწერლობა დაჰბადა, რომელშიაც მატყუარა, ცბიერი, გაიძვერა და პლუტი კაცები გამოჰყავდათ მწერლებსა. ამგვარი რომანების წერას გავლენა ჰქონდა ევროპის სხვა ლიტერატურაშიც. მაგალითად, მეთვრამეტე საუკუნეში საფრანგეთის მწერალმა ლესაჟმა მის გავლენით დასწერა შესანიშნავი თვისი თხზულება „ჟილ-ბლანი“.

როგორ გაჩნდა ამისთანა მწერლობის რომანები და რა იყო ამის მიზეზი, რომ მწერლობას მასალა მიეღო მატყუარა კაცების გამოყვანისათვის?

მიზეზი ის იყო, რომ იმ დროს ესპანია ძლიერი სახელმწიფო იყო, რომელსაც ევროპის სხვა ქვეყანა ვერ შეედრებოდა. გარეთ ესპანია მთელ ევროპაში ბძანებლობდა და ამერიკის მფლობელი იყო. ევროპაში ლაშქრობამ და ამერიკაში ოქროს შოვნამ მთელი ესპანიის ხალხი, თავად-აზნაურობიდან მოყოლებული გლეხობამდის მიიზიდა. ყველას ჯარში შესვლა ჰსურდა ან და ამერიკის სიმდიდრის შოვნა. ყველა იქ ეტანებოდა, საცაკი ადვილი ცხოვრება შეეძლო. ხვან-თესვა, მეურნეობა, ხელოსნობა და ვაჭრობა სათაკილო და საზიზღარ საქმედ შეიქმნა. მაგრამ, რაც უნდა დიდი ჯარი ჰყოლოდა ესპანიის მეფეს, ყველას სად დაიტევდა. ამის გამო უადგილო აზნაური უსაქმოდ დაეხეტებოდა, რაკი სათავისო საქმეს ვერ შოვებდა საზოგადოებაში. ზოგი კიდევ ჯარიდან დაბრუნებული უსაქმობას დაჩვეული ვერაფერ საქმეს ვერ მოსკიდებოდა. ეს ორ გვარი უსაქმო ხალხი ქალაქ ადგილებში იხვეტებოდა და მთელ საზოგადოებას მძიმე ტვირთად აწევებოდა. ამ ჯურის ხალხს სხვა მეტი ხელობა არაფერი გააჩნდა პირფერობისა, სხვების ფეხთ-კაცის, ენა მტანიობის, ლაზლანდარობის, ხან მძიმე დანაშაულის და ავაზაკობის მეტი. უნდა ეცხოვრა სხვის სუფრაზე ლაყანდარასავით. ესენი სულ მკადა დიდგულა აზნაურები (ჰიდალგოები) იყვნენ. ყველა ჰხედავდა და იცნობდა, რა სახით ეთრეოდნენ. ქუჩა-

ქუჩა მაწანწალასავით, უყვარდათ გვერდზე დადება ქუდისა და ატება ჩხუბისა. ან და დიდ-კაცებს ხვეწნით სულს ართმევდნენ, სულ უკანასკნელი მცირე რამე ადგილი გვიწყალობდნენ.

მჭადა ჰიდალგოებს გარდა, სხვა ჯურის კაცებიც იყვნენ დაბალ წოდებისა, რომელნიც მხნე გამრჯენი იყვნენ, თავის გამჭრიახობას, ცბიერობას, ათასგვარ მოხერხებულობას იმაზე ხმარობდნენ, რომ ბუხებევით გარს ეხვეოდნენ ამერიკის ოქროს მხვეჭელებს. ხედავდნენ, რომ ადვილად ნაშოვნო ოქრო ადვილადვე იფლანგება წვიმა-წყალსავით და რა იქმნება ამ ოქროს ნაწვიმი ჩვენც მოგვხვდესო. ამისთვის ყოველ-გვარ მატყუარობას, პირფერობას და ოინებს ხმარობდნენ თავის მწყალობლებთან, რომ ხელცარიელები არ დარჩენილიყვნენ. საზოგადოება გაირყვნა ერთის მხრით მფლანგავების ცხოვრებით და მეორე მხრით მათ გარს შემოხვეულ მატყუარა კაცების ზნე-დაცემულობით.

აი ამ დროს დაიბადა იმ გვარი მწერლობა, რომელშიაც პლუტი, მატყუარა და ცბიერი კაცების ცხოვრებაა ნაამბობი და ამ რომანებში პირველად ჩვენი ნათარგმნი „ლაზარული“ გამოჩნდა.

ესპანურ მწერლობას მსოფლიოსაშრ საპატიო ადგილი უჭირავს. განსაკუთრებით მას, როგორც სამხრეთი ქვეყნების, იტალიისა და საფრანგეთის ლიტერატურის გაცნობას ჩვენის მწერლობისთვის დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია, რადგანაც ჩვენც სამხრეთის შვილნი ვართ და უფრო ადვილად გვესმის, ვიდრე ჩრდილოეთის პოეზია, რომლის ღირსებაც თუმცა დიდია, მაგრამ უფრო ნაკლებად გვენათესავება.

სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით სამხრეთ ენების ცოდნა და კარგის მთარგმნელების ნაკლებობა ჩვენში მეტის-მეტია. ამისთანა შემთხვევაში უსარგებლოდ არ დავინახეთ, აგველო ეს მოთხრობა ესპანურიდან რუსულად ნათარგმნი 1897 წ. პანტელევის გამოცემული და გადმოგვეთარგმნა ქართველ მკითხველებისათვის.

პეტრე უმიკაშვილი.

8 ოქტომბერი, 1899 წ.

### წინასიტყვაობა ავტორისა

მგონია უსარგებლო არ იყოს, რომ შესანიშნავი და იქმნება უნახველი და არ გაგონილი ამბავი ბევრმა შეიტყოს და არ დაიმარხოს დავიწყების სამარეში. ამიტომ რომ იქმნება ვინმემ წაიკითხოს და ნაამბობი მოეწონოს; იქმნება ისეთსაც მოეწონოს, ღრმად რომ არ იცის ჩახედვა გასართობ საკითხავისა. პლინიუსი ამაზე ამბობს, ისეთი წიგნი არ იპოვება; რაც უნდა ცუდი იყოს, რომ შიგ კარგიც არ მოიძებნებოდესო; მეტადრე

იმიტომ, რომ ყველას ერთგვარი გემოვნება არა აქვსო. ერთი, რომ პირს არ მიაკარებს, მეორე იმავე საგნისთვის თავს გასწირავს; ერთი რომ რასმე არაფერს დასდევს, მეორეს ღირსეულად მიაჩნიაო. აი ამიტომ არაფერი არ უნდა დაიკარგოს, დაუდევრობით არ მოვეპყრათ, თუ კი მეტად საქაგელი არ არის. პირიქით, რაც ვიცით, ყველას უნდა შევატყობინოთ, თუ კი ამით ვნება არავის მიეცემა და გამოადგება კიდევ. ასე რომ არ ყოფილიყო, ძალიან ცოტა მწერალი გამოვიდოდა; მარტო თავისთვის ხომ არ დასწერდა, რადგანაც ამას შრომა უნდება. მწერლები რომ წერას მისდევნენ, იმას კი არ ეძებენ, ფულით დაგვასაჩუქრებნო. იმათი სურვილი ის არის, მათი ნაწერი სხვებმა ნახონ, წაიკითხონ და, თუ ღირსია, აქონ. ტულოუს (ციცერონი) ამაზე ლაპარაკობს: „ხელოვნებას სახელის შოვნა ჰქმნისო“. აბა ვინ იფიქრებს, რომ ომში წინა კაცი სხვებზე წინ იმიტომ მიდის, რომ სიცოცხლე ყველაზე მეტად მოზეზრებიაო. რასაკვირველია, ეს ასე არ არის. განსაცდელს პირში ეტაკება, სახელი ვიშოვო. ხელოვნებაში და მეცნიერებაშიაც ასეა. მოქადაგეს, კარგი ქადაგების მთქმელს, ხალხის სულის ცხონების ზრუნვა აქვს მარტო. მაგრამ აბა ჰნახეთ, ეწყინება, თუ არა, რომ უთხრათ: „ღირსო მამაო, რა მშვენიერი ქადაგება სთქვითო“? ერთმა უხვირო იარაღის მოვარჯიშემ თავისი ტანთ საცმელი აჩუქა ხუმარასა. რაო, და ისაო, რომ მან აქო, ვითომ მოპირდაპირის მარჯვეთ მოქნეული შუბი აიციდინეო. მართალი რომ ყოფილიყო, როგორ გადუზდიდა? ყოველიფერი ასეა. ამიტომ მონანულის გულით აღვიარებ, რომ სხვებზე წმინდანი არ გახლავარ, მაინც არ მეწყინება, თუ კი ჩემ ჩმახვას წყალობის თვალთ შემოხედვენ და გავრთობიან. ვისაც ჭკუაში დაუჯდება, შეიტყობენ, რომ ამ წუთ სოფელში ერთი კაცი ყოფილა ამდენის ჭირის და თავ-გადასავალის მნახელი. გვედრებით მიიჩნიოთ ეს მცირე ნაშრომი კაცისა, რომელიც დიდის ხალისით შეამუშავებდა უფრო ღირსეულად, მისი შნო რომ მის სურვილს უდრიდეს. რაკი თქვენ მომწერეთ, დაწვრილებით დაგვიწერე და გვიამბე შენი ამბავიო, მე უმჯობესად დავინახე შუადან კი არა, თავიდან მოვყოლოდი, რომ სრულიად მოგეხსებოდესთ ჩემი ვინაობა და აგრეთვე იმათთვის, რომ ვისაც მამა-პაპის სიმდიდრე და ღირსება რგებია, ბედი მწყალობელი ჰყოლია, დაფიქრდნენ იმ ბედნიერების მოსაპოვებლად რა ცოტას გარჯილან და რამოდენა უშველებელი ჯაფა გაუწევიათ, ვინც შავ-ბედის წინააღმდეგ სამშვიდობოს გასულათვისის მეცადინეობის და სიმარჯვის წყალობით.

ლაზარე თავის ცხოვრების ამბავს ღამარაკობს,  
ვისა შეიღა იყო. — ბრძმასთან ყოფნა

მაშ სულ პირველად ჩემ მოწყალე ბატონებს მოგეხსენებოდესთ, ჩემი სახელი ღამარეა ტორმესელი; შვილი გახლავარ თომე გონზალეცისა და ანტონია პერეცისა, ტეხარესის მცხოვრებლებისა სალამანკის მიდამოში. დავიბადე ტორმესის წყალში, ამიტომ მისი სახელი დამედვა. თურმე ასე მოხდა ეს ამბავი.

მამა ჩემი, ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს, თხუთმეტ წელიწადზე მეტი მეწისქვილედ იყო ტორმესის წყლის ნაპირას; იმისი მოვალეობა იყო საფქვავეზე თვალი სჭეროდა. ერთ ღამეს დედა ჩემი ჩემზე რომ ფეხ-მძიმედ ყოფილა, წყლის საგუბარზე მშობა თურმე. ამ გვარად ყოვლად მართალი სიტყვა იქნება რომ ვთქვა, წყალში დავიბადეო.

რვა წლისა ვიქნებოდი მამა ჩემს შესწამეს, რომ რალაცა კრილობა მივიცია გაუფრთხილებლად საფქვავის ტომრებისათვისაო; ამისთვის დაიჭირეს და ყველაფერში გამოტყდა, უარი არა თქვა და სიმართლისათვის დევნული შეიქმნა. იმედი მაქვს, რომ სასუფეველში ცხონებულია, რადგანაც სახარებაში ნათქვამია: — ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვისო.

ამ ხანებში ააშენეს მაერების წინააღმდეგ სახელოვანი გემი არმადა. დაუნიშნეს სასჯელად მუშაობა და ამის ასასრულებლად არმადას გემზე ერთ ჯარის კაცს მეჯინიბეთ გაუნწესეს. როგორც ერთგული მოსამსახურე თავის ბატონთან ერთად დაიღუპა.

დაქვრივებული დედა ჩემი დარჩა უქმროდ და უსახლ-კა-  
როდ. ქვეყანაზე კეთილი ადამიანი ბევრიაო, იფიქრა; იმათ  
მივმართავო და იმედი ჰქონდა, მეც იმათში გავერევიო. ამ ფიქ-  
რით ქალაქში გადასახლდა.

პატარა სახლი იქირავა, საჭმელს უკეთებდა რამდენსამე  
სტუდენტს და სარეცხს ურეცავდა რამდენსამე მეჯინიბეს კო-  
მანდორ მაგდალინისას.

ამ სახით დედა ჩემს ხშირად მოუხდებოდა ხოლმე საჯინი-  
ბოებში სიარული. იქ ერთი მავრი\*) გაიცნო, ცხენებს რომ სწამ-  
ლობდა. მოხდებოდა ხოლმე, რომ ეს მავრი ჩვენსა მოვიდოდა,  
და მხოლოდ მეორე დღეს დილას წავიდოდა. ხან და ხან დღი-  
სითაც კარებთან მოვიდოდა და შინაც კი შემოვიდოდა, ვი-  
თომ კვერცხის საყიდლად. პირველ ხანებში იმისი სიარული  
მეჩოთირებოდა, რაღაცისა მეშინოდა, რაკი უმსგავსი შავი ფე-  
რის სახე ჰქონდა, მაგრამ რაკი დავატყე, რომ იმის მოსვლას-  
თან ჩვენი სასმელ-საჭმელი უმჯობესდებოდა, მისი სტუმრობა  
მესურვებოდა, რადგანაც ყოველთვის თინ მოჰქონდა პური,  
ხორცი და ზამთარში გასათბობი შეშაცა. ამ გვარ განწყობი-  
ლობით მავრთან დედა ჩემმა კარგი პატარა არაბი მომიძმობი-  
ლა, რომელსაც მე ვათამაშებდი და ვუვლიდი. მახსოვს ერთხელ  
ჩემი შავი მამინაცვალი ყმაწვილს ეათამაშებოდა. ბიჭუნა ხე-  
დავდა, რომ მე და დედა ჩემი თეთრი ფერისა ვიყავით, მამა კი  
შავი ფერისა; შეეშინდა შავი მამისა, მივარდა დედას, თითით  
ანიშნა მავრი და თქვა: „დედილო, ხიხიაო!“ მამამ გაიცინა;  
„ჰაი შე მახხარაო“. მაშინ ხომ ჯერ კიდევ პაწია ბიჭი ვიყავი,  
მაინც ძმობილის სიტყვები გულში ჩამებეჭდა და ჩემს თავს  
ვუთხარი: „ქვეყანაზე რამდენი ადამიანი უნდა იპოვებოდეს,  
სხვებს ერიდება ამიტომ, რომ თავის თავს არ ხედავსო“.

ბედმა ინება, რომ ზაიდას (მავრს ასე ეძახდნენ) და დე-  
და ჩემის ამბავი მოურავის ყურამდის მისულიყო; გაჩხრიკეს სა-  
ჯინიბო და აღმოჩნდა, რომ ნახევარი ცხენის მისაცემი შვრიო

\*) მავრები მოშავო სახის ხალხია, არაბების მსგავსი. მთარგმ.



მოუპარავს; შეშა, საურვებლები, საფარებლები, ქერის ტომრები დაკარგულა და როცა გამოლეულა, ცხენებისათვის ნალები აუყრია და სულ ესეები თურმე დედი ჩემისათვის უგზავნია ჩემი ძმობილის გამოსაზრდელად.

ნუ გავიკვირდებათ სასულიერო კაცის ან ბერის ამბავი, თუ ერთი ღარიბებს ჰპარავს და მეორე მონასტრიდან ეზიდება მრევლისათვის და სხვა საქირიებისათვის, როდესაც რომ საცოდავ მონასაც კი სიყვარულმა ეს საქმე აქნევინა. იმას ყოველივე ზემოხსენებული გამოუაშკარავდა და ამაზე მეტიც, ამიტომ, რომ როდესაც ტუქსვა დამიწყეს და გამომკითხეს, — ბაღლი დავშინდი და, რაც კი ვიცოდი, წამომაროშვინეს. ისიც კი ვთქვი, რომ დედი ჩემის ბრძანებით, ნალები ერთ მკედელს მივყიდეთ. უბედურ ჩემს მამინაცვალს ჯოხით სცემეს. დედა-ჩემს განწესებული ასი ჯოხი დაჰკრეს და აუკრძალეს, კომანდარის სახლში ფეხი არ შესდგა და დასჯილი ზაიდა სახლში არ შეუშვაო. ამავის შიშით და ავი ენის მოშორებისათვის სასტუმრო სოლანის მდგმურების მოსამსახურედ შევიდა. აქ ათას გვარ გაქირვებაში და ხელ-მოკლეობაში წამოიზარდა ჩემა ძმობილი და ფეხი აიდგა, მეც ფეხმარდი ბაჭი შევიქენი. მდგმურებს მოურბევენებდი ხოლმე ღვინოს, სანთელს და რასაც კი მიბრძანებდნენ.

იმ ხანად სასტუმროში ჩამოხდა ერთი ბრმა. მიხედა, რომ სატარებლად გამოვადგებოდი, დედაჩემს სთხოვა ჩემი თავი. იმანაც მიმცა და უთხრა, პატიოსანი კაცის შვილიაო, რომელმაც ჭეშმარიტის რჯულის სადიდებლად თავი შეაკლა მავრებს რომშიო; იმედი მაქვს ღვთისაგან, რომ ჩემ შვილს მამობას გაუწევს, კარგა მოეპყრობი და უპატრონებ ობოლ-ოხერსაო. ბრმამ ამაზე უპასუხა: აგრე მოვიქცევია და მოსამსახურედ კი არ მიმყავს, როგორც შვილი ამიყვანიაო. ამ გვარად მოსამსახურედ დაუდექი ჩემს ახალს მოხუც ბატონსა. რამდენამე დღე სალამანკის სასტუმროში დაერჩით. ჩემს ბატონს საშოგარი ეცოტავებოდა და ამის გამო დააპირა წასვლა. წასვლის წინად დე-

დასთან გამოსათხოვრად მივირბინე, ორმავე ვიტირეთ. დედამ დამლოცა და მითხრა:

— შვილო, გული მეუბნება, რომ ევლარა გნახავ! ეცადე. კარგი კაცი გამოხვიდე. ღმერთმა ხელი მოგიმართოს. გაგზარდე, კარგ ბატონთან დაგაბინავე. ახლა შენ თავს შენვე უნდა მოუაროვო.

წავედი ბატონთან, რომელიც მელოდებოდა. გამოვედით სალამანკიდან და ხიდთან მივედით. ხიდის ყურთან რაღაცა ქვის მხეცი ღვას, ხარსა გავს. ბრმამ მითხრა, ამ მხეცთან მიმოყვანეო. როცა მივიყვანე, მითხრა:

— ლაზარილიო! აბა ყური მიაღე ამ ხარსა, შიგნით რახმა ისმის.

მართალი მეგონა და გულმართლა დავიჯერე, ყური მივადე; რაკი შემატყო, რომ თავი ძეგლთან მეჭირა, ხელი მომავლო თავში და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მიმიხალა დაწყველილ ხარს, ისე რომ სამ ღღეზე მეტი გავიდა და დაფეეილი კოპი მტკივოდა. ბრმამ მითხრა:

— ისწავლე ჭკუა, ბრწყვო. ბრმის მტარებელმა ეშმაკზე მეტი უნდა იცოდესო.

დიდ ხანს იცინოდა თავის ხუმრობაზე. იმ წამს ისე მეჩვენა, რომ აი ეხლა გამოეჭკვიანდიო და ყმაწვილური უსუსურაზბიდან გამოვეფხიზლდიო. ჩემს თავს ვუთხარი:

„მართალს ამბობს, რომ გამჭრიახობა მეჭირება, გონება დავიტანო, მარცხი არ მომივიდეს, რადგანაც თავი ჩემს ამარას დამრჩენია.“

შევეუდექით გზასა და რამდენსამე ღღეში შემასწავლა თავისი ენა. რაკი ნახა რომ გონიერი ვარ, ძალიან გაეხარდა და მითხრა:

— ვერც ოქროს და ვერც ვერცხლს ვერ გაშოვნინებ; დარიგებას კი ცხოვრებაში გამოსადეგს ბევრს მოგცემო.

მართლაც, ღვთის შემდეგ ყველაზე მეტად ჩემ სიცოცხლეში იმისგან ვარ დავაღებული. თითონ უსინათლო იყო, მე კი თვალი ამიხილა და ცხოვრების გზაზე დამაყენა. სიამოვნებით მოვახსენ-

ნებ ჩემ მოწყალე ბატონს, ჩემ ყმაწვილურ ოინებს, რომ დავანახვო, რა დიდი საოწროებაა, დაბალი კაცი ახერხებდეს მალლა ასვლას და რა ბიწიერებაა მალლა მდგომარემ იკადროს დაბლა დაშვება. ისევ აი დაეუბრუნდები ჩემ კეთილ უსინათლოსა და გიამბობთ იმის ოინებს. მოეხსენებოდეს თქვენს მოწყალეებს, რაც ღმერთს ქვეყანა შეუქმნია, იმისთანა გაეშმაკებული და გამოქნილი კაცი არ გაუჩენია. თავის ხელობაში სწორედ გმირი იყო: ასობით ლოცვა იცოდა ზეპირად; დაბალი მისი ხმა, მშვიდი, მკაფიო ზარივით გაისმოდა მთელ საყდარში, როდესაც საგალობელს იტყოდა; მშვიდ ღვთისნიერ სახეს შესაფერ გამოხატულებას დაჩნევდა ლოცვის დროს ისე, რომ არც მიხვრამოხვრას შეიცვლიდა, არც პირს დაიღმეჭდა, არც თვალებს დაატრიალებდა, როგორც სხვები ჩადიან. ამას გარდა ათასგვარი ხერხი იცოდა ფულების დაცინცვლისათვის. მაგალითად არწმუნებდა ხალხს, რიამ ყოველ გვარ შემთხვევისათვის სხვადასხვა ლოცვები იცის: უშვილოსნო დედაკაცებისა, ორსულებისა, მშობიარებისა; იმათი ლოცვაც იცის, ვინც უბედურად გათხოვილა, იცოდა ისეთი ლოცვები, რომ ქმარს შეეყვარებინა. ორსულებს უწინასწარმეტყველებდა გოგო ეყოლება თუ ბიჭი. ექიმობას ისე ჩიემებდა, რომ თვით გაღენმა ნახვარიც არ იცის ჩემოდენა წამლობაო კბილისა, გულ-ყრისა და დედაკაცურ ავადმყოფობისა. ერთის სიტყვით, ვისაც კი რამ ასტკივდებოდა, ეტყოდა:

— აი ესა და ეს უნდა გააკეთოთო, ასე და ასე უნდა გარჯილიყავითო! ესა და ეს ბალახი მოკრიფეთო, ესა და ეს ღერო იშოვეთო!

ამაების გამო მას ყველანი ეხვევოდნენ, მეტადრე დედაკაცობა, რადგან ყოველიფერი სჯეროდათ, რაც უნდა ეთქვა. იმათგან ჰქონდა კარგი შემოსავალი ზემოხსენებულის ოსტატობით და ორიოდ თვეში მეტს შოულობდა, ვიდრე ასობრმა ერთ წელიწადს. მაგრამ ჩემ მოწყალე ბატონებმა ნება მიბოძონ მოვახსენო, რომ თუმცა ასეთი საშოვარი მოსდიოდა, და წინად ნაშოვნიც ჰქონდა, არ მინახავს ამისთანა ხარბი და ძუნ-

წი ადამიანი: შიმშილით მკლავდა და მაკლებდა, რაც რამ ადამიანს მეტად ეჭირება. ნამდვილ მართალს მოგახსენებთ: ცბიერობითა და მოხერხებით მე რომ ჩემი თავის შველა არ შემძლებოდა, ბევრჯერ მომიხდებოდა შიმშილით სიკვდილი. ოსტატობა და თადარიგიანობა იცოდა, მაგრამ ისე ვატყუებდი, რომ ყოველთვის, ან უფრო ზშირად მაინც, მეტი მერგებოდა ხოლმე.

ამის გულისთვის ეშმაკობას ჩავდიოდი. ზოგიერთ ამბავს მოგახსენებთ, თუმცა ზოგი მათგანი ჩემი სასარგებლო არ გახლდათ.

პური და სხვა საჭმელი ტილოს პარკში ჰქონდა რკინის რგოლით გამოკრული და კლიტით დაკეტილი. როცა პარკში რისამე ჩადება ან ამოღება მოუწდებოდა, ისე ფრთხილად გაუხსნიდა პირს, რომ ქვეყანაზე ადამიანი ისე ვერ მოკრუნჩხავდა. მე მეძლეოდა იმდენი ულუფა, რომ ორჯერ ყბის მოქნევა კმაროდა, რაკი პარკს დაჰკეტავდა და დაწყნარდებოდა, ეგონა, მე რასმე გავერთე; ერთ მხარეს პარკს ნარღვევს გაუკეთებდი და მერე შეუტყერავდი; ამ წუწკ პარკს გამოვწლავდი, რასაკვირველია, არა თუ გროშის პურს, გემრიელ ლორის და ძეხვის ნაჭრებსაც; მარჯვე დროს ვუცდიდი, მარტო პირის ჩატკობისათვის კი არა, არამედ იმ წყეულ მოკლებულობისათვის, რომელსაც შემამთხვევდა ხოლმე შეჩვენებული ბრმა.

რასაც კი ფულს მოვახერხებდი ამეწაპნა—ნახევარ ბლანკებად (გროშიანებად) ვინახავდი; როცა ბრმას ლოცვას შეუკვეთდნენ და თითო ბლანკს (ორ გროშს) მისცემდნენ, სანამ მიმცემი გამოღებას მოასწრებდა, ის ნაწყალობევი ჩემს პირში ჩავიდოდა და წინაღვე ხელში დამზადებული ნახევარ-ბლანკიანი თავის დანიშნულ ადგილას ჩნდებოდა; ასე რომ სანამ ბრმა ხელს გაუწოდებდა, ფული ჩემ დახურდავებას ეღირსებოდა და განახევრდებოდა; ბრმა არ ხედავდა და მიმცემი არ ეუბნებოდა, თუ რამდენს იძლევა. ბოროტი ბრმა ხელში გასინჯვით მაშინვე ატყობდა, რა ფულია და რაკი შეატყობდა, მთელი ბლანკიანი არ არისო, იტყოდა ხოლმე:

— დალახვროს ღმერთმა ეშმაკი! რაც შენ ჩემთანა ხარ, სულ ნახევარ ბლანკიანს იძლევიან, ადრე კი რამდენს იძლეოდნენ მთელ ბლანკიანებს და ზოგჯერ მარავედსაც! ცუდი ფეხი გქონია.

ამის გამო ლოცვებს ამოკლებდა და შუაზე ჰყოფდა. ნაბ-  
ძანები მქონდა, კალთა ჩამომწიე, რაკი ლოცვის შემომკვეთე-  
ლი წავიდესო. მეც ისე ვიქცეოდი. მერმე სხვებს დაუწყებდა  
ძახილს:

— მოხედეთ უსინათლოს. ესა და ეს ლოცვა ათქმევი-  
ნეთ.

ჩვეულებადა ჰქონდა გვერდით დოქით ღვინო მოედგა. საჩქაროდ ხელს ვტაცებდი, ორიოდჯერ ჩუმად მოვიყუდებდი და ისევ თავის ადგილას დაედგამდი. მაგრამ ამან დიდხანს არ გასტანა, ამიტომ რომ, ყლაპის თვლაზე ატყობდა, რამდენი დაჰკლებია. ამ დღიდან ხელიდან არ უშვებდა დოქს, ყურით ეჭირა და წინ იდგამდა. მაგრამ ისე რა ანდამანტის ქვა მიიზი-  
დავდა რკინასა, როგორც მე წინადვე მომზადებულის გრძელი ჩალის მასრით ვწოვდი ღვინოსა; ჩაუშვებდი მასრას დოქში, ვწოვდი ნუნუას და ბრმა გაცრუებული მრჩებოდა. ბრმა ეშმა-  
კი კაცი იყო და, როგორც მგონია, მიმიხვდა. ახლა კიდევ სხვა გვარად შესცვალა თავისი მოქმედება: დოქს ფეხებ შუა იდგამ-  
და და პირზე ხელს აფარებდა. ამ რიგად გული დაიმშვიდა. მე კი ღვინოს შევეჩვიე და რალა გამაძლებინებდა? რაკი ჩალის მას-  
რა ველარაფერს მიშველიდა, მოვიფიქრე გამოუფხიკო დოქს ძირში პატარა ნახვრეტი და თაფლის სანთლის წმინდა ფირ-  
ფიტა დავაკრა. სადილობისას მოვიმცივანებდი, თავს უბადრუკ ბრმის ფეხთან მივიწვევდი, ვითომ პატარა ცეცხლთან გასათბო-  
ბად. სიმხურვალით სანთლის ფარფიტა მალე დნებოდა, რად-  
გან თხელი იყო და ღვინის ნაკადული პირში ჩამომდიოდა პირ-  
დაპირ, ისე რომ ერთი უკულმართი წვეთიც კი არ გამეპარე-  
ბოდა. მერმე ბრმა რომ მოიყუდებდა და ველარაფერს და-  
ლევდა, ანჩხლობდა, ილანძლებოდა, დოქსაც სწყევლიდა და ღვინოსაც, ვერ ესმოდა, ღვინოს რა ემართებოდა.

— ახლაც იტყვი, ბიძივე, რომ შენა სვამო? დოქი ხომ ხელში გიჭირავს.

ბრმამ დოქს დაუწყო შინჯვა ხელითა. ატრიალა, ატრიალა და ძირში ნახვრეტი უპოვნა, მიმიხვდა ოინს, მაგრამ არ შეიმცნია, ვითომ ვერაფერი შეეიტყეო. აი მეორე დღეს ჩვეულებრივად მივუცოცდი ჩემ დოქს, არ მოველოდი, რომ უბედურება უნდა დამტეხოდა თავს და არ მეგონა, რომ ბრმას ყველა ეყურება. გულადმა დავწექი, როგორც წინად და ტკბილად სასას ვისველებდი თვალ-მოჭუტვით, რომ უფრო უკეთესად გავილო ღვინის გემო. ამ დროს თურმე ის სათოკე ბრმა საგონებელში იყო, — ახლა სწორედ კარგი დროა სამაგიერო გადუხადოვო. ასწია ორის ხელით ეს ნატკბილარი და გასამწარებელი დოქი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ცხვირპირში დამცხო. არ მოელოდა საცოდავი ლაზარე ამისთანა ამბავს, პირიქით, როგორც ადრე თავისებურად მხიარულ გუნებაზე იყო. ახლა კი მართლა ასე მოეჩვენა, ცა და რაც მასზე არის, სულ ერთიანად თავზე დამატყდაო.

ისე ღონივრად მომხვდა, რომ გონება და ცნება დამეკარგა. დოქი ისე დიდი იყო, რომ ნამტვრევებმა სახე დამიკაწრა რამდენსამე ალაგას და რამდენიმე კბილი ჩამიმტვრია, რომელიც დღესაც მაკლია.

ამ დღიდან განეიზრახე ავის გადახდა. თუმცა ვუყვარდი, მიალერსებდა ხოლმე, მილოლავებდა, მაგრამ კარგა ვხედავდი, რომ იამებოდა ჩემი დასჯა. დაკაწრული სახე ღვინით გამბანა და თან დამიწყო დაციწვა:

— როგორ მოგწონს, ლაზარეკა? რამაც გატკინა, მან მოგარჩინაო.

ამისთანა ხუმრობას და ამგვარებს მიარაკებდა, გულს მიმწარებდა. ეშმაკეულ დასჯისა და დაჩეჩქვისაგან გუნებაზე არ ვიყავი; მოვისაზრე, რომ უწყალო ბრმას რაკი ამგვარის შემოკვერით ჩემი თავიდან მოშორება შეუძლიაო, მე თვითონ მოვიწადინე იმისგან თავი გადამერჩინა, მაგრამ მაშინვე ასე არ მოვიქეცი, რომ უკეთესად მომეგვარებინა გაქცევა უფრო

სარგებლობით და სარგოთი. მე კიდევაც გულს გაეიმაგრებდი, ვაპტიებდი დოქსაც, მაგრამ ვერ დაეუთმობდი ავობას. იმ დღიდან სულ უბრალოზე მირტყამდა, თავში მცემდა და თმებს მიწვედა. თუ ვინმე ჰკითხავდა, აგრე ავად რად ეპყრობით, მაშინათვე დოქის ამბავს ჩამოუარაკებდა და ამასაც დაუმატებდა:

— თქვენ გგონიათ, ეს ბიჭი უსუსური რამ არის? აბა მოისმინეთ და ბძანეთ: თვით სათაელხო ეშმაკი მოიგონებს განა ამისთანებს?

მსმენელნი პირჯვარს გაღიწერდნენ და იტყოდნენ: საოცარი რამ ყოფილა; აბა ვინ იფიქრებს, რომ ასეთი პაწია ბაღლი ესე წამბდარი ყოფილიყვესო.

ძალიან იცინოდნენ ჩემ ოსტატობაზე და ეტყოდნენ:

— ასწავლე, ჭკუაზე მოიყვანე, ღმერთი გადაგიხდის!

და მართლა ბრმა სხვას არაფერს აკეთებდა.

ამის სამაგიეროდ მეც სულ განგებ ოღრო-ჩოღრო გზებზე ვახეტებდი, რომ გულზე მომეყვანა და გამეჯავრებინა. საცა ღორლიანი ალაგი შემხვდებოდა, იქ გავატარებდი; თუ ტალახი იქნებოდა, შუა ტლახოში შემეყვანდა. მართალია, მე თითონაც მშრალზე გასვლა არ მომიხდებოდა, მაგრამ სიხარულით ერთ თვალს გამოავითხრიდი, ოღონც ორივე თვალი გამოხდრომდა ამ კაცს, რომელსაც არც ერთი არ ებადა. ამისთვის ის მედამ გძელი ჯოხის წვერს კისერში მიძგერებდა, ასე რომ სულ კოპებით და ჩქმეტით ხორცი ნაჩეჩქი მქონდა. ვეფიცებოდი რჯულსა და ღმერთს, რომ ავგულობით არ ჩავდივარ-მეთქი, ამაზე უკეთესი გზა ვერ მიპოვნია-მეთქი, მაგრამ ფიცი არაფერს მშველოდა, ამიტომ რომ არა სჯეროდა. ეს ავი სული ყველაფერს სუნით შეიტყობდა და მეტის-მეტი მიმხვდარი გონებისა იყო. თქვენს მოწყალებას რომ მოხსენდეს, რა შორ-მხედველი ჭკუის პატრონი იყო ეს ვერაგი ბრმა, მრავალთავანს ერთ ამბავს მოგახსენებ, რომელიც ჩემ თვალ-წინ მოხდა. მე მგონია კარგა დაინახავთ, რა დიდი ვერაგობა შეეძლო.

სალამან კიდან რომ გამოვედით, ტოლედოში ეპირებოდა წასვლას, ამიტომ, რომ ხალხი იქ უფრო შექლებულიაო, თუმცა კი

მოწყალების გაღებაზე გულ-უხვობა არ იცისო. ანდაზას ემყარებოდა: „პურა-ძვირს მეტს გამორჩები შიშველზედაო“. შევუდექით გზას და საუცხოვო ადგილები გავიარეთ. საცა კარგი საშოვარი გვქონდა, შევჩერდებოდით; საცა არ გვქონდა, მესამე დღესვე მოგკურცხლავდით. ამასობაში რთვლობას მივადევით ერთ სოფელს, სახელად აღმორაცს. გენახის პატრონმა ბრმას ერთი მტევანი უწყალობა. რადგანაც ამ დროს ყურძენი მეტად მწიფეა და კალათებში დაუდევრათა ჰყრიან, მტევანს მარცვალი სცვიოდა, პარკში სულ გაიწურებოდა და აი ამიტომ ბრმამ მოისურვა ჩემი მოლხენა, რადგანაც ამ დღეს ბედმა ბევრი კინწში წაკვრა და მუჯღუგუნე მარგუნა ხევში დაესხედით, ბრმამ მითხრა:

— დღეს მინდა გულ-უხვობა გაჩვენო. ეს მტევანი ერთადა ვჭამოთ, შენც იმდენი გერგოს, რამდენიც მეო. ასე გავიყოთ, ერთი მარცვალი შენ მოსწყვიტე, მეორეს მე, ამ პირობით, რომ თითო ჯერზე ერთ მარცვალზე შეტი არ მოგლიჯო. მეც აგრე მოვიქცევი, სანამ გავათავებდეთ; ამ გვარად ერთმანერთის მოტყუება არ იქნებაო.

შევუდექით ამისთანა პირობით ჭამას; მაგრამ მეორე ჯერობაზე იმ შეჩვენებულმა პირობა შესცვალა და ერთი მარცვლის მაგიერ ორ-ორს ჰგლეჯდა; ექვი აიღო ჩემზე, რომ მეც ისე ჩავდიოდი. რაკი ვნახე პირობა დაარღვია, არ დავჯერდი თანასწორად მოვქცეულიყავი. პირველად რომ ორ-ორ მარცვალს ვწყვეტდი, მერმე სამ-სამს, მასუკან, რამდენიც მომხვდებოდა. მტევანი გავათავეთ, პატარა ხანს კლერტო ხელში ატრიალა, თავი გაიქნია და თქვა:

— ლაზარე, შენ მე მომატყუე. ღმერთმანი, შენ სამ-სამი მარცვალი გიჭამიაო.

— არა, არ მიჭამია-მეთქი. აბა რაზე მაბრალებ მაგასა? ვერაგმა ბრმამ მიპასუხა:

— იცი რატომა ვხედავ, რომ სამ-სამი გიჭამია? იმიტომ, რომ ხმა არ ამოიღე, როდესაც მე ორ-ორსა ვჭამდი.



ჩუმად ჩამეცინა. თუმცა ბალღი ვიყავი, ბრმას კარგა შევამცნიე, რომ მიმიხვდა. მეტი რომ აღარ გავაგრძელო, ბევრ ამ გვარ საცინელ და საინტერესო ჩემ ნახულს აღარ ვილაპარაკებ, რაც კი ამ პირველ ჩემ ბატონთან მინახავს. მხოლოდ ერთ უკანასკნელ ისტორიას მოგახსენებთ და ამით გავთავებ.

ჩამოვხდით როგორღაც ერთ მეხაშესთან ესკალონის ქალაქში (იქაურ მთავრის ქალაქში); ძეხვი მომცა შესაწველად. ძეხვი რომ ცეცხლზე იწვოდა, ამოიღო ქისიდან ერთი მარაველი, — სირაჯისაგან ღვინო მომირბევინეო. ალბად ეშმაკს მოუნდა განსაცდელში ჩავეგდე; მართალი ნათქვამია: „საქონელს ცუდად ნუ დასდებ და ქურდს ცოდვაში ნუ ჩაადგებო“. კერასთან ნიახურის თავი ეგდო, მოგრძო და დამქნარი, ისეთი, რომ წვეწვში მოსახარშად არ ევარგებოდა, ამიტომ გადაეგდოთ.

ჩვენს გარდა იქ არავინ იყო. ძალიან მაღაზე მოვედი, რაკი ძეხვის საამური სუნი მოველინა ჩემს ცხვირს; ვიგრძენ, რომ მეტად მომაღხენს მეთქი. აღარათერს დავდიე; შიშიც გულიდან გადამივარდა, ოღომც კი წადილი ავისრულო-მეთქი; სანამ ბრმა ფულს ამოიღებდა, გამოვადრე საჩქაროდ ძეხვი შამფურს და ავაგე ზედ ის ნიახურის თავი. ბატონმა ფული გადმომცა, შამფური გამომართვა და დაუწყო ცეცხლზე ტრიალი, რომ შესწვას რაც თავის ღირსებით ხარშვას გადარჩენოდა. წაველ ღვინისთვის და გზაზე აღარ დავაგვიანე ძეხვს გხლებოდით. დავბრუნდი და ვნახე, რომ მრავალ-ცოდვილ ბრმას ხელში ეჭირა პურის ორ ნაჭერში ჩადებული ნიახურის თავი, რომელიც ჯერ არ ეგემა და ხელით არ გაესინჯა. შეუდგა ქამას და პური რომ მოკბიჩა, თან ძეხვის ნაჭერიც ეგულებოდა, მაგრამ გაშეშდა, რაკი პირში ცივი, სველი ნიახურის თავი მოხვდა; გაანჩხლდა და დაიყვირა:

— ეს რა გიქნია, ლაზარე?

— ვაი შენ ჩემო თავო, — წამოვიძახე. — ეგეც შე უნდა დამაბრალოთ; ეხლა არ იყო, აქედან წავედი? აქ ვინმე ყოფილა და იმას უქნია თავსაცილად.

— აა, პა, პა, პა.... შამფური ხელიდან არ დამიგდია, არ შეიძლება.

ვეფცხობილი დი ფიცით ვსქედობი, — ამაში ბრალი არა მაქვს-მეთქი. მაგრამ არაფერი მეშველა, რადგანაც ვერაფერი ვერ გამოვბარებოდა შეჩვენებულის გულთმისნობას. წამოხტა, თავში ხელი მომავლო და მეძებარსავით დამიწყო დასუნვა, რა სუნი უდის ჩემ სუნთქვას. იმისთვის, რომ ნამდვილად დარწმუნდეს და აგრეთვე სიანჩხლის გამო, პირი გამილო ხელებითა ისე, რომ არც იმდენად საჭირო იყო და მეტად უზრდელად შემომყო ცხვირი; უიმისიოდაც გრძელი და წამოშვერილი ჰქონდა და ჯავრისაგან ერთი გოჯის ტოლა დაუგრძელდა და წვერი ხახამდის მომაწვდინა. ასე და ამგვარად ყველაფერი, შიშის კანკალი, ძხვის ცოტა ხნის ჩაულაგებლობა ჩემს კუჭში, და ამაზე უმეტესად სულის შემხუთავი ცხვირის უზომოება, — ყველა ეს მიზეზები შეერთდა ერთად და თავისის მხრით მიზეზი შეიქმნა, რომ ჩემი ბრალეულობა გამოჩნდეს: ნატამი გარედ გამოსქდა და დაკარგული კუთვნილებისამებრ დაუბრუნდა თავისს პატრონს, ესე იგი, სანამ ბრმა თავის ხორთუმს ჩემი პირიდან გაიტანდა, კუჭი ჩემი ისე შეშფოთდა, რომ ბრმის ცხვირი და უბედური დაუღეჭელი ძხვი სწორედ ერთად-ერთ დროს გამოხტნენ. ღმერთო მაღალო! ნეტავი კი მაშინ ქამარეში ვდებულებიყავი, მაინც მკვდარი ვიყავი. გაანჩხლებულ ბრმის გამხეცება იქამდინ მივიდა, დროზე რომ არ მომშველებოდნენ, დარწმუნებული ვარ, აღარ გადევრჩებოდი ცოცხალი.

ბრმას გამოძვლიჯეს ხელიდან, რომელიც სავსე ჰქონდა ცოტა რამ დარჩენილის ჩემის თმითა; გამოძვლიჯეს დაკაწრულის პირისახით და გადატყავებულის ყელ-კისრითა. მართლა რომ ღირსიც ვიყავი ჩემის ავკაცობისათვის. წყეული ბრმა მოჰყვა და ყოველ გამვლელ-გამომვლელს უამბობდა ჩემ ოინებს: უამბობდა დოქის ამბავსაც, ყურძნის მტენისასაც და ამ შემთხვევასაც. მაყურებლები იმდენს ხარხარებდნენ, რომ ქუჩის მიმავალი ხალხი სეირს უყურებდა. ბრმა ისე მარჯვედ და ენა წყლიანად ლაპარაკობდა ჩემს ოინებს, რომ მე თვითონაც მწა-

რედ გალახულს და ცრემლიანს უადგილოდ მეგონა არ გამეცინა. სანამ ეს სერიო ხდებოდა, გულში ვფიქრობდა ჩემს უშნობას და თავს ვიწყევლიდი, რატომ უცხვიროდ არ დავტოვე-მეთქი იმისთანა მარჯვე დროს; ნახევარი გზა გამოყოლილი ჰქონდა, ერთი მაგრა კბილი უნდა დამეჭირა, რომ ბრმას ცხვირი მახეში დარჩენოდა და ჩემ კუჭს იქნება ძებვზე უკეთესად შეეთვისა. ცხვირის დაკარგვით ყველაფრის უარის თქმაც შემეძლო, რასაც ახლა მკითხავდნენ. ღმერთს რომ ენებებინა ამისი ასრულება, მაშინ რაც უნდა ყოფილიყო, ის არ გადამხდებოდა, რაც მოხდა.

მეხაშის პატრონმა და იქ მყოფებმა შეგვარიგეს, პირისახე და ყელ-კისერი დამბანეს ღვინით, რომელიც ბრმას სასმელადა ჰქონდა. ბრმა ამაზე ხუმრობდა:

— ღმერთმანი, ერთ წელიწადს ამ ბიჭს დასაბანად მეტი ღვინო უნდება, ვიდრე მე სასმელად ორ წელიწადსაო. მაინც და მაინც, ლაზარე, შენ ღვინის მადრიელი უფრო უნდა იყვე, ვიდრე მამიშენისაო; ამიტომ, რომ იმას ერთხელ მოუცია შენთვის სოცოცხლე, ღვინოს კი ათჯერ მოუბრუნებინარო.

ახლა მოჰყვებოდა ამბავს, რამდენჯერ ჩემთვის თავი გაუტეხია და პირისახე დაუკაწრავს და ღვინით რა მალე მოუჩინივარ.

— მე შენ გითხრა, — მეტყოდა ხოლმე, — თუ ქვეყანაზე არის ვინმე ღვინით გაბედნიერებული, შენა ხარო.

ძალიან ეცინებოდათ ამაზე, ვინც კი წყლულებსა მბანდა. და მართლა იმისი ნათქვამი ტყუილიც არ იყო. შემდეგ ხანებში ბევრჯერ მომგონებია ეს კაცი, რომელსაც უეჭველია წინასწარმხედველობის ნიჭი მომადლებოდა და სვინიდისი მტანჯავს რომ ვჯავრებდი, თუმცა კი ეს სამაგიეროს გადახდა იყო. რაც იმ დღეს მითხრა, ბედმა მოინება ნამდვილად ასრულებულიყო. ამაზე თქვენს მოწყალებას შემდეგ მოხსენდება.

ამისთანა დაბრწყვების გამო, გულში გადვიწყვიტე, რაც უნდა მოხდეს, თავი დავანებო; წინადაც ვფიქრობდი და ვაპირებდი კიდევ, მაგრამ მოულოდნელი მისი საქციელი, ხუმ-

როზად აღარ ჩაეთვალე და ჩემ გარდაწყვეტილებას დამამკვიდრა.

მოხდა ასე, რომ მეორე დღეს მოწყალების სათხოვნელად მოვიარეთ ქალაქი. წინა ღამეს დიდი წვიმა მოვიდა; ახლაც მოდიოდა; ამიტომ ბრმა საყდრის კარ-ბჭეს ქვეშ ლოცულობდა, საცა კი ბევრი ხალხი იყო და წვიმა არ გვასველებდა. რაკი საღამომ მოატანა და წვიმა გადალებას არ აპირებდა, ბრმამ მითხრა:

— ლაზარიკა, ეს წვიმა პირ-შეუღებლად მოდის და დაღამებამდე თან-და-თან უმატებს; ადრევე წავიდეთ მებაშესთან, თავი შევაფაროთო.

სანამ იქ მივიდოდით, პატარა წყალზე უნდა გაგვევლო, რომელიც დიდი წვიმისაგან აღიდებულიყო. ბრმას ვუთხარი:

— ბიძია, წყალი აქ ძალიან განივრად მოდის; თუ გინდა, იქით წავიდეთ, მშრალად გასავლელი ადგილი მოჩანს, წყალი ვიწროა, ასე რომ გადავბტებით და ფეხებს არ დავისველებთ მეთქი.

ჩემი რჩევა მოეწონა და მითხრა:

— კაი გულისხმა გაქვს, ამიტომ მიყვარხარ. წამიყვანე საცა წყალი ვიწროვდება. ახლა ზამთარია და წყალი მოსარიდებელია, მეტადრე თუ ფეხი დავისველდა.

ახლა ვნახე ჩემი წადილის ასრულება მიახლოვდებოდა; გამოვიყვანე ბრმა კარ-ბჭიდან, მივიყვანე მეიდანზე და ერთ სვეტის პირდაპირ, რომელზედაც სახლის თაღები იყო სხვა სვეტებთან გადაბმული და ვუთხარი:

— ბიძია, ამ ადგილს წყალი უფრო ვიწროა-მეთქი. რადგანაც ძალიანა წვიმდა, უბადრუკი ბრმა სველდებოდა და გვეჩქარებოდა ღვარს გადავჩენოდით; რაკი ღმერთმა ბრმას გონებაც დაუბრძავა, რომ მაგიერი გადამახდევინოს, ბრმამ დამიჯერა და თქვა:

— დამაყენე როგორც საჭიროა და გადახტო.

ის სვეტის პირდაპირ დავაყენე და მე გადავბტი. სვეტს მოვეფარე ისე, როგორც გამხეცებულ ხარს მოერიდებიან და დაფუძახე:

— რამდენიც კი შეგიძლია, მალლა ანტი, თუ გინდა რომ პირდაპირ აქეთ გაჩნდე.

სიტყვა არ გამეთავებინა, რომ უბედური თხასავით წამოვიდა, ერთი ბიჯით დაიხია უკან დიდი ნახტომის გასაკეთებლად და ღონიერად გამოექანა. თავი მიანარცხა სვეტს, რომელმაც ისეთი ხმა გამოოსცა, თითქოს დიდი კვახის საღვინე იყოსო და ცოცხალ-მკვდარი თავ-გატეხილი პირქვე დაეცა.

— აბა როგორია? ძხვსა სუნავდი, ახლა არ ინებებ, სვეტს უსუნო? უსუნე, უსუნე მეთქი.

მივანებე ხალხს, რომელიც საშველად მორბოდა და მოეკურცხლე ქალაქის გაღავნის კარისაკენ. ჯერ არ დაღამებულ იყო, რომ ტერრიხოსი ამოვყავ თავი.

არ ვიცი ბრმას რა დაემართა და არც ვცდილობდი შემეტყუო რამე.

## თავი მეორე

### როგორ ცხოვრებდა ჯანადა მღვდელთან და რა გადახდა თავსა

ტერრიხოსს ქალაქში ყოფნა ძალიან საშვეიდობოდ არ მიმაჩნდა, წაყვდი დაბაში, სახელად მაკედას; იქ ჩემმა ცოდვამ მღვდელს შემახვედრა. მოწყალემა რომ ვთხოვე, მან მკითხა, წირვაზე შველა ხომ არ იციო? ვიცი-მეთქი და მართალიც ვუთხარი, ამიტომ, რომ სულ წაწყმენდილი ბრმა თუმცა ავად მეპყრობოდა, მრავალ გამოსადეგ რაგინდარას მასწავლიდა და ესეც მასწავლა. ლაპარაკი იმით ვათავდა, რომ ხუცესმა ამიყვანა და მე, ვაის გამყრელი, ვუის შევეყარე. რაც გიამბეთ ბრმის სიძუნწისა, ის ალექსანდრე მაკედონელსავით გულ-უხვი იყო მღვდელთან შედარებით. თითქოს მთელი ქვეყნის პურადვირობა ამ მღვდელში მოთავსებულიყოსო. არ ვიცი, დაბადებით დაჰყოლოდა თუ ანათორასთან შეეძინა.

ერთი ძველი კიდობანი ჰქონდა დასაკეტი, გასაღებს თან ატარებდა თასმით შეკრულს. საყდრიდან რომ პური მოუვიდოდა, მაშინათვე თავისი ხელით ჩააწყობდა კიდობანში და დააკეტავდა. მთელი სახლი რომ გადაგებრუნებინათ, ერთ ლუკმა რასმე ყბის მოსაქნევს ვერ მონახავდით, როგორც ყველგან ხედავთ რასმე: ღუმის ნაჭერს, ჩამოკიდებულ ხორცს, ყველის ნაჭერს სტოლზე ან განჯინაში, ან ნასუფრალს პურს კალათაში. მე რომ რამე არ ამეწაპნა, მგონია მარტო ერთი საქმლის დანახვასაც კი ღონე მოეცა.

მთელ სახლში მარტო ხახვის ასხმა ეკიდა მადლა კრამიტში, ისიც დაკეტილში. ამ ასხმიდან ოთხი დღის ულუფად თითო თავი მეძლეოდა. თუ ვინმე იქნებოდა ჩვენსა იმ დროს, როდესაც ულუფის თხოვნა მომიხდებოდა, სარტყელზე ფრთხილად მოიხსნიდა გასაღებს, მომცემდა და მეტყოდა:

— დაიჭი და მალე მომიტანე, თორემ ღორ-მუცლოების მეტს არაფერს მიკეთებო.

თითქოს ამ გასაღებს მთელი ვალენსიის სანოვაგე ხელში ეჭირაო. იქ იმ დაწყევლილ კრამიტში არაფერი არ იპოვებოდა ჩამოკიდებული ხახვის მეტი, ისიც კი დათვლილი ჰქონდა და ძვირად დამიჯდებოდა, რომ ღმერთი გამწყრომოდა და დანიშნული რიცხვი მომეშალა. ერთის სიტყვით, სწორედ შიმშილით ვკვდებოდი.

ვერაფერში ჩანდა, რომ მღვდელი ჩემი მწყალობელი ყოფილიყო, მაგრამ თავისთვის კი უფრო გულ-უხვი ბძანდებოდა. ჩვეულებრივი მისი ჯერი სადილ-ვახშმისთვის ხუთი ბლანკის ხორცი იყო; მართალია, აქედან ჩემ ულუფად წვეს მარგუნებდა, რომელშიაც, ესეც სათქმელია, თვალის კაკლის ოდენი ხორცი მოჰყვებოდა, და მას გარდა ცოტაოდენ პური; მხოლოდ ღმერთი მყვანდა მწყალობელი, რომ გამაძლებინა. იმ ადგილს ჩვეულება აქეთ შაბათობით ცხვრის თავსა სჭამენ და ხუცესმა გამგზავნა ერთი თავის საყიდლად, რომელიც სამ მარავედად იყიდებოდა. მოხარვა, შესჭამა თვალევი, ენა, კისერი, ტვინი და ხორცი, რაც ყბაზე ეკრა; მერმე თევშზე დაყარა ნარჩენი ძვლები, მომცა და მითხრა:

— აჰა, სჭამე და გაიხარე, რომ ქვეყანაზე იმყოფები; შენ უფრო კეთილ-ცხოვრებაში ხარ, ვიდრე თვით პაპიო.

„ღმერთმა შენ მოგცეს ასეთიო“, — გულში ვთქვი.

სამი კვირა თავდებოდა, რაც მე მასთან ვიყავი. ისე დაუსუსტდი, რომ ფეხზე ვეღარ დავმდგარვიყავი. ცხადად ვხედავდი, რომ პირი საფლავისაკენ უნდა მექნას, თუ კი ღმერთი და ჩემი სიმარჯვე არ მომეხმარება. ხელში არაფერი მქონდა, რომ მომეხმარებინა და თუნდაც მქონოდა, ჩემ წინანდელ ბატონსავე (სასუფეველი დაუმკვიდროს, თუ მოკვდა ჩემის მიზეზით), ხომ არ დავაბრმავებდი, რომელსაც თავის დღეში არ ვენახე, რადგან ძვირფას მხედველობის გრძნობას მოკლებული იყო. ეს კი ისეთი კაცი იყო, რომ ამისთანა მჭრელი თვალის პატრონი სხვა არ მოიპოვებოდა. საკუროთხეველთან რომ ვიდექით, ერთი ბლანკიანიც კი არ გამოეპარებოდა განზანაკში ჩავდებულნი. ერთის თვალით მრევლს უცქეროდა, მეორეთი მე; თვალები ისე უთამაშებდა ბუდეში, როგორც ვერცხლის წყალი; ყოველთვის თვლა არ შესცდებოდა, რამდენი ბლანკია მოცემული. და რა კი წირვას გაათავებდა, მაშინათვე თეფშს გამომგლეჯდა ხელიდან და საკუროთხეველზე დასდებდა. ამ გვარად მას აქეთ რაც იმასთან ვცხოვრებდი ან უკეთესად რომ ვთქვა, ვკვდებოდი, ღონე არ იყო ერთი ბლანკი ამეწაპნა. არც ერთხელ იმისთვის ღვინო არ მიყიდნია სირაჯისაგან ერთი ბლანკისა მაინც; ჩვეულებრ რაც წირვას გადარჩებოდა, ხმას სჯერდებოდა, კილობანში ინახავდა, მთელ კვირას იზოგებდა. თავის გაუმადლარ სიხარბის გასაქარწყლებლად იტყოდა ხოლმე:

— უნდა გესმოდეს, ბალოო, მღვდელი თავდაქერილი უნდა იყოს ჭამა-სმაში; ამიტომ აღვირ-აშვებით არ ვიქცევი, როგორც სხვები.

ის საძაგელი ურცხვად ცრუობდა. ამიტომ რომ მღვდლების სადილზე ან ქელებში სხვის სუფრაზე ისე სჭამდა, როგორც მგელი და არც სხვებზე ნაკლები გადაკვრა იცოდა.

ქელები ვახსენე. ღმერთო შეგცოდნე და მომიტევე მისთვის, რომ ჩემ დღეში კაცთ ნათესაობის მტერი არ ვყოფილ-

ვარ. მაშინ კი სურვილი მქონდა და ღმერთსაც ვევედრებოდი, ღლეში თითო კაცი მაინც მკვდარი გვყოლოდა; ამიტომ რომ ქელებში კარგა შევექცეოდით და მეც მუცელი მაძლარი მქონდა. როდესაც ვლოცულობდით ავადმყოფისათვის, მეტადრე ბოლო-ზეთის ცხებაზე, იქ მყოფთ რომ მღვდელი ალოცებს, ჩემი ლოცვაც ნაკლები არ იყო; მხურვალეს გულით და სულით ვევედრებოდი ღმერთს იმას კი არა, როგორც იტყვიან ხოლმე, ნება შენი აღსრულდესო; ვევედრებოდი რომ ცოდვილ სააქაოს მოაშორე-მეთქი. ზოგი ავადმყოფი რომ მორჩებოდა, ღმერთო შეგცოდე, ათას ჯერ დავსწყევლიდი, ჯანაბას ვგზავნიდი, და ვინც კი კვდებოდა, რამდენ ლოცვა-კურთხევას ვუთვლიდი. რასაც ხანს იქ ვიმყოფებოდი, ექვსი თვე იქნებოდა, მოკვდა სულ ოცი კაცი და დარწმუნებული ვარ, ჩემით არიან მკვდრები, ანუ უკეთ ვთქვათ, ჩემის შუამდგომლობით დაიხოცნენ, ამიტომ რომ უფალმა აღბად მოხედა ჩემს საშინელს და ხანგრძლივს სულმობრძაობას და ინება რათა მათის სიკვდილით დამიხსნას მე. რაც მაშინ სატანჯველი გამოვიარე, მეტი არ შეიძლებოდა. ამიტომ რომ მკვდრის დასაფლავების ღღეს თუ ცოცხალი ვიყავი, მას მერმე თუ სხვა კარგტ ჩემი მასპინძელი დასამარხი არ გვეყოლებოდა, ჩემ ჩვეულებრივ შიმშილს უნდა დაებრუნებოდი, უფრო უარესადა მეგრძნო შიმშილი. აღარაფრის იმედი არა მქონდა ნუგეში მომეპოვა სიკვდილის მეტი, რომელსაც ხან-და-ხან ვევედრებოდი ღმერთს ჩემთვისაც, როგორც სხვებისთვის; მაგრამ სიკვდილი ვერ ვნახე, თუმცა კი მუდამ ჩემს გვერდით იყო.

ხშირად გულში გავივლიდი ამ გაუმაძღარ ბატონს გავქცეოდი, მაგრამ ორის მიზეთით ამ განზრახვას თავს ვანებებდი. პირველად იმის გამო, რომ მუხლში ღონე აღარა მქონდა შიმშილისაგან და მეორედ ასე ვფიქრობდი:

„ორი ბატონი მყავდა: პირველი შიმშილით მკლავდა, იმას გავეყარე და ამას შევეყარე, რომელმაც სამარემდის მიმიყვანა, — ამასაც რომ გავექცე და უარესს შევხვდე, რაღა მეშველება სიკვდილის მეტი?“. აი რა იყო მიზეზი, რომ მეშინოდა აღ-



გილიდან დავძრულიყავ: გული მეუბნებოდა, უარესს მოელოდნო, ბოლოს საიქიოს ამოჰყოფ თავს, საიდანაც ლაზარეს ამბავს ვერავინ მოიტანსო. ასე ამგვარად ერთხელ საგონებელში შეირომ ვიყავი, ღმერთმა, ყოველ ჭეშმარიტ ქრისტიანის ტანჯვათა შემწვენელმა ინება მოაველინოს ჩემზე მხსნელი. ერთხელ, როდესაც ვერაფერი მომეგვარებინა თავს როგორ ვუშველო და ვხედავდი, რომ უფრო და უფრო გაჭირვებაში ვვარდები, ჩემი ბატონი შინიდან წავიდა; და ამ დროს როგორღაც ჩვენ კარს მოადგა ვიღაცა ზეინკალი. მე ვფიქრობ, რომ ღმერთმა ანგელოზი მომივლინა ზეინკალის სახით. მან მკითხა, ხომ არაფერი გაქვთ გასაკეთებელიო?

ჩემ თავს ბევრი რამა აქვს შესაკეთებელი და ბევრი წვალებაც მოგიწოდებოდა, თუ კი ჩემს მომართვას შეუდგებოდითქი, — გულში ვიფიქრე, მაგრამ რადგანაც ბევრი დრო არ მქონდა, რომ ლაპარაკისათვის დამეკარგა, თითქოს სულის წმიდის ძალით თვალ-ახელილმა დაუუძახე:

— ბიძია, ამ კილოზის გასაღები დამეკარგა და მეშინიან ბატონმა არა მცემოს. გეთაყვა, ნახე, თან რომ გასაღებების ასხმას ატარებ, იქნება გამოადგეს ერთ-ერთი და ფასს გადაგიხდის.

ჩემმა ანგელოზ-ზეინკალმა აიღო თავისი ასხმული გასაღებები და ხან ერთი სინჯა, ხან მეორე; მეც ჩემის უღონო ლოცვით ვეხმარებოდი. ჯერ გონს არც კი მოვსულიყავი, რომ ვიხილე, როგორც იტყვიან, თვით ხორცი უფლისა ჰურის სახით კილოზანში. კილოზანი რომ ღია ენახე, ზეინკალს ვუთხარი:

— ფული არა მაქვს, საფასური მოგცე გასაღებისათვის, აქედან აიღეთ ფასი-მეთქი.

ამოარჩია უკეთესი ჰური და გასაღები მომცა მადლობით მე იმაზე უფრო მადლობელსა. სანამ იქ იყო, არაფერს არ მივეკარე, ეჭვის თვალთ არ შემომხედოს-მეთქი. ამას გარდა რა კი ამ ქონების მფლობელად ვნახე ჩემი თავი, ახლა აღარ მეფიქრებოდა, რომ შიმშილს გაებედნა მომმანლოვებოდა. მოვიდა ჩემი ვაგლახი ბატონი, მაგრამ ღმერთმა თვალები აუხვია და ვერ შეიტყო, რომ ერთი ჰური ანგელოზ-ზეინკალმა წაიღო.

მეორე დღეს ბატონი რომ შინიდან გავიდა, გავაღე ჩემი სამოთხის კილობანი, ერთი პური ამოვიტაცე და დავკეტე; ხელითა და კბილებით ვგლიჯე ისეთის სიჩქარით, რომ ორ მრწამსის თქმაზე უმალ გავათავე და დიდის სიხარულით შევუღდე ოთახის დაგვასა; ასე მეგონა, ამ მოხერხებით სამუდამოდ ჩემი სიცოცხლე მწუხარებას გადავარჩინეო. მაგრამ თურმე ამისთანა ბედისა არა ვყოფილვარ, დიდხანს გავეტანე. მესამე დღეს სწორედ თავზარი დამეცა, როდესაც მოულოდნელად კილობანთან ვნახე ჩემი სულთა-მხუთაინი: კილობანს სჩხრეკდა და ჰქექავდა; სთვალა და გადასთვალა პურები. მე კი თავი ისე მეჭირა, ვითომც არაფერს დავდევ, მაგრამ გულში ვიწყველებოდი და ელოცულობდი: „წმინდაო იოანე, თვალი აუხვიე!“ კარგა ხანს ანგარიშობდა და თითებზე ითვლიდა დღეებს. როგაათავა, მითხრა:

— ამისთანა მაგარი კლიტე რომ არა ჰქონოდა კილობანსა, ვიტყოდი, აქედან პური მოუპარავთო. დღეის იქით კლიტესაც დავკეტავ და პურსაც ანგარიშით დავთვლი. ახლა რჩება ცხრა მთელი და ერთი ნაჭერი.

„ცხრა ჭირიმც მოუცია შენთვის ღმერთსა-მეთქი“, — გულში ეთქვი.

ასე მეგონა, მის სიტყვასთან გულში ისარი გამეყარა და კუქმა წინადვე დამიწყო წუხილი შიმშილისაგან, რაკი ვხედავდი, რომ ჩემი თავი ისევ აღრინდელ მთმენელობას ყმად უხლებოდა.

ბატონი შინიდან გავიდა; მე კი ჩემ ნუგეშად კილობანი გავაღე და პურები რომ დავინახე, დავუწყე მხოლოდ ცქერა მოწიწებით: ხომ ვერ მივეკარებოდი. დავუწყე თვლა, იქმნება ჩემ ბედზე შესცდა-მეთქი; მაგრამ მისი ანგარიში უფრო ნამდვილი გამოდგა, ვიდრე, რაც მე შესურვებოდა. არაფერი მეშველებოდა ამაზე მეტი, რომ ათასჯერ მეკოცნა და ნაჭერის პურის ჰტყელი ყანკი მომეთალა. ამგვარად ის დღე ესე მხიარულად ვერ გავატარე, როგორც წინა დღე. შიმშილი კი თანდა-თან ძალას მატანდა და ვკვდებოდი მეტადრე იმიტომ, რომ

ჩემი კუჭი ორ-სამ დღეს მეტ პურს შეეჩვია. მარტო ყოფნის დროს სხვა არაფერს ვაკეთებდი, ვალეზი და ვკეტავდი კილოზანს, ვუჭვრეტდი ამ ღეთის პირისახეებს, (როგორც ყმაწვილები იტყვიან სეფისკვერზე). ხოლო უფალმა ყოველთა და ჩაგრულთა შემწევნელმა იხილა ჩემი შევიწროებული მდგომარეობა და ჩამაგონა ერთი ღონე და ასეთი აზრები მომივიდა:

„ეს კილოზანი ძველია, დიღია და ზოგ ალაგას დამტერულიც; შივა და შივ დახვრეტილიც არის, თუმცა პატარ-პატარაა; ფიქრში მოუვა კაცს: თავეს გამოუხრავს, შესულა და პური წაუხდენიაო. მთელი პურის აწაზნა არ ვარგა, ამიტომ რომ თვლაზე შეატყობს ჩემი მტანჯველი; ასე კი იოლად გამოვალ“. და დაუწყე პურს ფხენა ერთ სუფრაზე, რომელიც საიმისო ძვირფასი არ გახლდა. მერმე ამ პურს თავი დავანებე და მეორე პური ავიღე, ამგვარად სამ-ოთხ პურს გამოუთხვევ ნაპირები; მას უკან ეს ნამცეცები აბებივით ვყლაპე და ცოტათი შეემა მომეცა. ბატონი შინ მოვიდა სადილობას, გააღო კილოზანი და უსიამოვნო ამბავი ნახა. ეჭვი არ არის, იფიქრა, — თავგების საქმეა ასე პურის წახდენაო, ამიტომ რომ პურებს გვერდები ისე ჰქონდა გამოთხრილი, როგორც ნათაგვარია ხოლმე.

გასინჯა მთელი კილოზანი თავიდან ბოლომდის და იპოვნა რამდენიმე ნახვრეტი: აქედან შესულა თავგეო, დამიძახა და მითხრა:

— ნახე ლაზარე, ნახე, წუხელის ჩვენ პურებს რა დამარ-  
დნია.

მე ძალიან გაოცებულის სახით მოვიკატუნე თავი და ვკითხვი: რა უნდა იყოს-მეთქი? მან მიპასუხა:

— რა უნდა იყოს? თავგი ყველაფრის გამჩანაგებელი:

სადილს შევუდევით და ღმერთმა. ინება ამაშიაც დამხმარებოდა. ბატონმა პური მეტი მომიჭრა და ჩვეულებრივ მოსაცემ ნასუფრალზე მეტი მიწყალობა, ამიტომ რომ რაც კი ნათაგვარი ადგილები ევონა, სულ ამოსჭრა და გადმომცა ამ სიტყვებით:

— აჰა, სჭამე, თავვი ხომ სუფთა პირუტყვია. ამ გვარად იმ დღეს ჩემმა ულუფამ იმატა, რაიცა ჩემი ხელის, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ჩემის ფრჩხილების საქმე იყო. გავათავეთ სადილი, თუმცა მართალი ვითხრათ, არც კი დამეწყო. მალე ახალი თავზარ დასაცემი ელდა დამატყდა, როდესაც ვნახე, რომ ჩემი ბატონი ოთახში დადის, კედლებიდან ლურსმებს აძრობს და ნაფოტებს ეძებს ძველი კილოზნის დასაკერებლად.

„ღმერთო ჩემო, ფეიქრობდი მაშინ, რა უბედურ ვარსკვლავზე და ვაებაზე ვიბადებით ადამიანები და რა მოკლეა სიამოვნება მრავალ-ტანჯულის ჩვენის სიცოცხლისა. ვაი ჩვენი ბრალი! მე მეგონა ამ საცოდავის და უბადრუკის ღონისძიებით ჩემ ნაკლებულობას შევამსუბუქებ და ბედს ვეწევი-მეთქი; ჩემმა შავმა ბედმა კი ეს არ ინება და ჩემ ავგულა ბატონს ჩააგონა მღვიძარება იმაზე მომატებულად, რაც კი სჭირდა. ახლა კილოზნის დაკერებით კარს უკეტავს ჩემ ერთად ერთ ნუფემს და უღებს სატანჯველსა“.

ასე ეჩიოდა იმ დროს, როდესაც ჩემმა ფხიზელმა ღურჯალმა გაათავა თავისი მუშაობა უთვალავის ლურსმისა და ნაფოტისა და თქვა:

— ახლა თქვენ, ბატონო ვერაგო თავგებო, თქვენი ეშმაკობა უნდა შესცვალოთ, ამიტომ რომ ველარას გახდებით.

რასწამსაც შინიდან გავიდა ბატონი, მაშინათვე ვეცი იმის ნამუშევარს და ვნახე, რომ ძველ უხუირო კილოზანს, ერთი ხვრელიც არ დარჩენოდა დაუკერებელი, იმისთანაც კი, რომ ქინქლა შემძვრალიყო. ამ ჟამად გამოუსადეგარ ჩემ გასაღებით გავაღე კილოზანი, მაგრამ სარგებლობას აღარ მოველოდი. ორისამი გაჭრილი ჰური ვნახე, რომელიც ნათავარი ეგონა ჩემ ბატონს; მაინცკი ფრთხილად თითო ყანჭი მოვთაღე. ჩემისთანა შიმშილის დროს დღე და ღამ იმის ფიქრში ვიყავი, თავი როგორ ვირჩინო, და ფეიქრობ, რომ შიმშილი სწორედ მზის ნათელი იყო ღონე მეპოვნა. ამბობენ, შიმშილი ქკუას ლესავსო და მაძღრობა კი უჩლუნგებსო, — მეც ასე დამეპართა.

ერთ ღამეს გამომეღვიძა ფიქრებისაგან, თუ როგორ ჩავი-  
გდო ხელში კილოზნის საუნჯე და მომესმა ჩემი ბატონის  
ძილში მაღალი ხვრინვა და ფშვინვა. ფრთხილად ავდეგი. წინა  
დღესვე მოსაზრებული მქონდა, როგორ მოვქცეულიყავი, ავი-  
ღე ძველი დანა, რომელიც ადრევე დანიშნულ ადგილას შე-  
ვინახე და უბადრუკ კილოზნისკენ გავუტიე; დანა ბურღივით  
ვუტრიალე მარჯვე მხარეს. რადგანაც ძველადან ნახმარი კი-  
ლოზანი უღონო იყო, ფუტურო და ჭიისაგან ნაჭამი, მალე და-  
ვიყოლიე და გვერდი ჩემის წადილის კვალობაზე კარგა დი-  
დად გამოუხვრიტე. ეს რომ გაეთავე, ნელა გავაღე დაწყულუ-  
ლებული კილოზანი, ხელის ცაცებით გაჭრილი პური ამოვიღე  
და წინანდებურად მოვიქეცი, როგორც მოვახსენეთ. ცოტათი  
გული რომ მოვიჯერიე, დავკეტე კილოზანი და წავედი ჩემ ჩა-  
ლაზე, მოვისვენე და ჩამეძინა, რაიცა იშვიათად მებედებოდა;  
ამ ჟამად შიმშილს ვაბრალებდი. ასეც იყო, ამიტომ რომ ახლა  
საფრანგეთის მეფის ზრუნვაც ვერ გამომაღვიძებდა.

მეორე დღეს ჩემმა ბატონმა ნახა დაზიანებული კილოზნის  
პური და კილოზნის ნახვრეტი; დაიწყო თავის წყევლა:

— არ ვიცი რა ვთქვა? აქამდის ამ სახლში თავისი ჭაჭა-  
ნება არ ყოფილაო.

და ეჭვიც მეტია, რომ მართალს ამბობდა. ამიტომ რომ  
თუკი მთელ ქვეყანაში თავისაგან თავისუფალი იყო ვისიმე  
სახლი, ეს ჩვენი სახლი იყო, რადგანაც თავი ისეთ ადგილას  
არ არის, სადაც საჭმელი არ მოიპოვება. მთელი სახლი გადააქო-  
თა, კედლებზე ლურსმები მოსძებნა და ნაფოტები დააკერა კი-  
ლოზანს. დაღამდა და მასთან მყუდროება ჩამოვარდა. მე მალე  
ავდეგი ჩემი იარაღით და რაც დღისით დააკერა, ღამე მოვშა-  
ღე. ამ გვარად ჩვენ ორნი ისე ერთგულად შევუდექით ამ სა-  
ქმეს, რომ ბეჯითად შეგეძლოთ ვთქვა: ერთი კარი რო იკე-  
ტება, მეორე იღებო. ეს იმასა ჰგავდა, რომ თითქოს ჩვენ ორ-  
სავე პირობა გვქონდეს პენელოპას ქსელზე ერთად ვიმუშაო-  
თო, ამიტომ რომ, ასე შეიძლება ვთქვათ, რასაც ის დღისითა  
ქსოვდა, მე ღამე ვარღვევდი. რამდენსამე დღეში უბადრუკი კი-

დობანი ისეთის სახისა გავხადეთ, რომ ვისაც კი ენახა, იტყოდა, კიდობანი კი არ არის, ძველი დროების ჩაჩქანიაო., ისე იყო ლურსმებით შექედილი.

ბატონმა რომ ნახა, ვერაფერი ღონის-ძიება ვერა შევლი-სო, ასე თქვა:

— ეს კიდობანი მეტად წახდა და დაფუტუროვდა, თავს ველარფერი უძლებს. მაგრამ რაც უნდა ცუდი იყოს, უამისობა არ იქნება, და ახალს სამი-ოთხი რეალი მოუნდება. უკეთესი იქნება, როგორც მოვიფიქრე, გარედან თუ ვერაფერი ვუქე-ნით, ახლა შიგნიდან მოვუხერხოთ რამე ამ წყეულს თავგებსა.

მალე სხვისაგან ითხოვა მახე და ამ დღიდან გამართული კილო-ბანში ეგო. თავი რომ შემოიტყუოს, ყველის ნამცეცებს სთხოვ-და მეზობლებს და უკეთებდა მახეს. ეს ყველი კარგა გამომად-გა, ამიტომ, რომ თუმცა მადის მოსასვლელი საქმელი არ მე-ჭირებოდა, მაგრამ მაინც სიამოვნებით გიახლებოდი; ვიღებდი მახიდან და ჰურს შევატანდი ხოლმე. სახლის-პატრონი ხედავ-და, ჰური თავს გამოუფხვნია, ყველი უჭამია და მახეს კი არ მოჰყოლია, იწყევლებოდა და მეზობლებს ჰკითხავდა:

— გაგიგონიათ ამისთანა ამბავი, თავს ყველი უჭამია და მახეში კი არ გაბმულა, თუმცა კი მახე დაცემულა?

მეზობლები არწმუნებდნენ, თავი არ იქნება, თორემ მა-ხეს მოჰყვებოდაო. ერთმა მეზობელმა თქვა:

— შე მახსოვს თქვენ სახლში გველი იყოვო და შექვე-ლად ის იქმნებოა. ჭკუასთანაც ახლოა, რადგანაც გველს გრძე-ლი ტანი აქვს, მარტო თავს შეჰყოფს, პირს მოაფლებს ყველ-სა და გამოვავ; მახე დაეცემა, მაგრამ, რადგანაც ტანი მახეს გარეთა აქვს, ადვილად თავს დააძვრენს.

იმისი სიტყვა ყველამ დაიჯერა და ჩემი ბატონი ისე და-შინდა, რომ მას შემდეგ რიგინა ძილი არ მოსვლია; ღამე ფიცარში ჭიის ხმას რომ ყურს მოჰკრავდა, გველი ეგონა, მა-შინათვე ფეხზე წამოხტებოდა, აიღებდა თავქვეშ მომზადებულ ჯოხს და ურტყამდა ღონივრად საცოდავ კიდობანს, გველს დავაფთხოზო. ხმაურობა მეზობლებს ადვილებდა და მეც არ

მასვენებდა. მოვიდოდა ჩემ ლოგინ-ჩალასთან, გადამაბრუნებდა ლოგინიანად, ეგონა გველი ჩემ ლოგინ-ჩალაში, ან ტანისამოს-ში შემოსულაო; გაგონილი ჰქონდა, რომ გველი ღამ-ღამობით თბილ ალაგს ეძებს და ყმაწვილის აკვანშიაც კი იცის დამალვა და იკბინება კიდევცაო. მე უფრო თავს მოვიმძინარებდი ხოლმე. დილაზე მეტყოდა:

— წუხელის არაფერი გაგიგია? გველის გამო ავდეგი და მეგონა შენ ლოგინში მოსულიყო, რადგანაც გველი მცივანაა და სითბო უყვარს.

— ღმერთმა დამიფაროს იმის კბილისაგან, ძალიან მეშინიან-მეთქი.

ამგვარად, ღამე წამ და უწუმ აყენებით და გამოღვიძებით გველის გამო, ანუ უკეთ ვთქვა, გველისაგან მოსვენება არ მქონდა და ველარ გამებენდა პური მეღერღნა, ან კიღობანს მივდგომოდი; სამაგიეროდ დღისით ბატონის გარედ, ან საყდარში ყოფნის დროს ვეტაკემოდი კიღობანსა. ბატონი რაკი ჰხედავდა, რომ კიღობანს წახდენას ველარაფერი მოუხერხა, ღამ-ღამობით ზეზე დადიოდა, როგორც ქაჯი. მეფიქრებოდა, მღვდელს თავის ჩხრეკის დროს ჩემი გასაღები არ მოეძებნა, რომელსაც ლოგინ ქვეშ ვინახავდი. ამიტომ გულის დასამშვიდებლად ასე ვიფიქრე, ღამე გასაღებს პირში შევიჩინებ-მეთქი. ბრმასთან რომ ვიყავი, მაშინაც პირი ქრსად გამოვიყენე, ხანდისხან შიგ თორმეტ-თხუთმეტს მარავეღს ვინახავდი, სულ ნახევარ ბლანკიანებად და ისე ვიწყობდი, პურის ქამასაც არ მიშლიდა. უამისოდ ერთ ბლანკიანსაც ვერ ჩავიგდებდი, რადგანაც შეჩვენებული ბრმა მთელ ტანისამოსის და ნაკერების შინჯვის დროს უეჭველად მიპოვნიდა.

ასე, როგორც მოგახსენეთ, მუდამ ღამ გასაღებს პირში ვიდებდი და გულ-მოსვენებით ვიძინებდი, რადგან არ მეგონა ვერაგ ჩემ ბატონს თვალი მოეკრა. მაგრამ კაცს რომ უბედურება მოადგება, ველარაფერი შეველის.

ჩემ ბედად, ანუ უკედ ვთქვათ, ჩემის ცოდვის კითხვისაგან, ერთ ღამეს ძილის დროს აკი პირი თურმე ღია დამჩე-

ნოდა და გასაღები ისე მოტრიალებულიყო, რომ გასაღების გამოთხრილ პირს თურმე ჩემი სუნთქვა უბერავდა და სტვენა აეტეხნა ჩემ საუბედუროდ.

აღმა თურმე მღვდელი თავისი ჯოხით, ნელა მოუახლოვდა ცეცებით გველის სტვენას ჩემკენა უჩუმრად, რომ არ დააფრთხოს. ახლოს რომ მოვიდა, იფიქრა სიტბოს გულისთვის ჩემ ლოგინ-ჩა-ლაში შემოსულა, ასწია ჯოხი დაუმიზნა გველს, რომ სწორედ ერთის დაკვრით მოჰკლას; რაც ღონე ჰქონდა მოიქნია და თავში ჩამცხო. თავი გამიტეხა და გონება დავკარგე. შემდეგ მიაბზო, როდესაც შენს კუნესაზე მივხვდიო რომ ჯოხი შენ მოგხვედრია; გიყვიროდი სახელს რომ გონზე მომიყვანეო. ხელი რომ მოგავლეო სისხლის ღვარი შემეხზა და მაშინ მივხვდი, რა წყლული დაგმართე. სანთელი აენტო და ვენახე რომ პირში გასაღები მიძვეს; ნახევარი თურმე ისევ ისე გარეთ გამოყოფილი მექირა, როგორც სტვენის დროს.

გველის მღვეარი შემკრთალი და გაცეცებული თურმე ვერ მიმხვდარიყო, რა გასაღებიაო, სანამ პირიდან არ ამოედრო. რა გაესინჯა, მაშინ გაეგო რა ამბავიც ყოფილა, ამიტომ რომ, გასაღების ენა სწორედ იმის გასაღებისასა ჰგავდა; მაშინათვე მივარდნოდა კილოზნის კლიტეს, გაესინჯა და ჩემი დანაშაულის აღმოეჩინა. გულ-ქვა მღვეარი უეჭველად წამოსთქვამდა:

„ვიპოვნე თავვი და გველი ჩემი მტრები, ჩემის სარჩოს გამჩანაგებლებიო“.

რა მოხდა სამ დღეს, ვერაფერს ვიტყვი, ამიტომ რომ როგორც იტყვიან, ვეშაპის მუცელში გავატარე. რაც მოგახსენე, ისიც გონზე მოსვლის შემდეგ სხვისაგან გავიგონე, რა ნაირათაც მღვდელს დაწვრილებით თურმე ეამბნა მასთან მოსულეებისათვის.

სამ დღეს შემდეგ ცნებას მოვედი და ენახე, რომ ლოგინში ეწევარ, მთელ თავზე მალამოები მაკრავს და წასასმელი მაცხია; თავზარი დამეცა და დავიყვირე:

— ეს რა ამბავი არის მეთქი.

უწყალო მღვდელმა მიპასუხა:



— ღმერთმაც უწყის, რომ თავგზე და გველზე ვნადირობდი, რაკი ამიკლეს და დამანელესო.

დავაკვირდი ჩემ თავს, ვნახე რა საცოდობაში ვიყავი და მივხვდი ჩემ უბედურებას. ამ დროს ვილაცა დიაცი მოვიდა, რომელმაც შელოცვა იცოდა და კიდევ სხვა მეზობლებიც; თავიდან მჩერები ამაცალეს და სხვა წამლები დამადეს დაშავებულ ადგილებზე. ცნებაზე მოსული რომ მნახეს, ძალიან გაეხარათ და თქვეს:

— აი გონზე მოვიდა! ღვთით აღარაფერი უშავსო.

მერმე ისევ ჩემ თავგადასავალს ლაპარაკობდნენ; მე უბედური კი ვტიროდი. ამასთანავე საჭმელს მაჭმევდნენ, რადგანაც მეტად დასუსტებული ვიყავი შიმშილისაგან და ძლიერ-ძლიობით მომარჩინეს. ასე ნელ-ნელა ორი კვირის შემდეგ ნახევარ ავადმყოფი ზეზე წამოვდექი და სიკვდილის შიში აღარ მქონდი, მაგრამ შიმშილს ვერ ვადვუროხი.

მეორე დღესვე, რაკი ზეზე ავდექი, ჩემმა ბატონმა მღვდელმა ხელი დამიჭირა, კარი გამატარა და ქუჩაში გამიყვანა:

— ლაზარე, დღეიდან ჩემი აღარა ხარ, შენი თავი შენ გაბადია, მოსძებნე სხვა ბატონი, წადი, ღმერთმა მშვიდობა მოგცეს; შენისთანა ერთგული მსახური მე არ მინდა. თუ გამოდგები, ისევ ბრმის მატარებლადაო.

თითქოს, ეშმაკეული ვიყოვო, ისე გაფაციცებით მომშორდა, შებრუნდა შინ და კარი ჩაჰკეტა.

ბ. უმაკაშვილი

(დასასრული შემდეგ)



# პ რ ა ზ ა ნ ა

რუმანი იტალიის ცხოვრებიდან

ე. გოინიჩისა

ნ ა წ ი ლ ი მ ე ო რ ე

VIII \*)

კრაზანა მალე კარგად შეიქმნა. ერთი კვირის შემდეგ, როდესაც რიკარდო მივიდა იმასთან, ნახა, რომ კრაზანა თათრულის ხალათით დივანზე იჯდა. ის ესაუბრებოდა მარტინის და გალლის და აპირებდა კიდევ ეზოში გასეირნებას, მაგრამ რიკარდოს გაეცინა ამაზე და ჰკითხა: ხომ არ გნებავთ ჯერ ფიეზოლეში წაბრძანდეთო. ან იქნება სინიორა გრასინისას ინგბოთ წასვლა—მიუმატა იმან მზაკვრულად—დარწმუნებული ვარ, შეუდღე გრასინისა დიდად მოხარული იქმნება, მეტადრე ეხლა, როცა თქვენ მკრთალი ნაზი შეხედულება გაქვთ.—კრაზანამ ტრაგიკულად ხელი-ხელს შემოჰკრა.

— ღმერთო, მე ეს არც კი მომფიქრებია. ის ჩამთვლიდა მე იტალიისათვის წამებულად და დამიწყებდა ლაპარაკს მამულის სიყვარულზე. მე უნდა მაშინ შემესრულებია ჩემი როლი, უნდა მეამბნა, რომ მე დამკრეს ნაკუწ-ნაკუწად, მიწის ქვეშ საპყრობილეში და შემდეგ ისევ გამამრთელეს, მაგრამ ძალიან უხერხულად. ის მოისურვებდა დაწვრილებით გაეგო, თუ რას

\*) იხ. „მოამბე“ № IX, 1899 წ.

ვგრძნობდი მე იმ დროს. თქვენ როგორ გგონიათ, რიკარდო, არ დამიჯერებდა? გარწმუნებთ, რომ შეიძლება იმისი დაჯერება ყოველგვარ სისუფელეში. თუ გინდ დაგენაძლევები და თუ წავაგე, გაძლევეთ ჩემ ინდოელ ხმაღს თქვენგან კი მოვიტხოვ, სოლიტერს სპირტში.

— გმადლობთ, მე არ მიყვარს მომაკვდინებელი იარაღი.

— მაგრამ სოლიტერიც ხომ ჰკლავს, თუმცა ისეთი ლამაზი არ არის, როგორც ხმალი.

— ყოველ შემთხვევაში, ჩემო ძვირფასო, ხმალი ჩემთვის არ არის საჭირო, არამედ სოლიტერი. მე ეხლა მივდივარ. მარტინ, რამდენ ხანს დარჩებით ამ ანჩხლ ავადმყოფთან?

— სამ საათამდის და მერე კი უნდა წავიდე სანმინიატოში და ჩემს დაბრუნებამდე სინიორა ბოლლა იქმნება აქ.

— სინიორა ბოლლაა? — განიმეორა კრახანამ თითქო შეწუხებით, — არა, მარტინ, ეგ არ შეიძლება. არ შეიძლება, რომ ქალი ჩემის მოვლით შევაწუხოთ. გარდა ამისა, სად მივიღო მე ის? ის ხომ თქვენსავით აქ ვერ იჯდება.

— როდის აქეთია, რომ თქვენ ვგრეთი ცერემონიის კაცი გაჰხდით? — ჰკითხა რიკარდომ სიცილით, — სინიორა ბოლლა, ჩემო კარგო, ჩვენ ყველას გვივლის, როცა ამას საჭიროება მოითხოვს ხოლმე. ის ავადმყოფების გვერდით იმყოფებოდა მაშინაც კი, როცა ჯერ კიდევ მოკლე კაბით დადიოდა და ძალიან კარგადაც იცის მოვლა ავადმყოფისა. როგორ შემოვა თქვენ ოთახში? თქვენ ლაპარაკობთ იმაზე, როგორც ქ-ნ გრას-სინისაზე. იმისთვის დარიგებაც საჭირო არ არის, თუ როგორ მოვიაროთ. ეხლა სამის ნახევარი ყოფილა, დრო არის ჩემის წასვლისა. აბა, ეხლა მიიღეთ წამალი, რივარესს, მანამ სინიორა ბოლლა მოვიდოდეს. — უთხრა გალლიმ და მივიდა შუშით ხელში მდივანთან.

— ეშმაკმა წაიღოს წამალი! — კრახანა აღშფოთებული იყო, როგორც სჩვევიათ ავადმყოფებს და ძალიან აწვალვდა თავის კეთილ მომვლელებს,

— რ...რისთვის მაწვალებთ მ...მე ამ საქაგლობით, როდესაც ტკივილებმა გამიარეს.

— სწორედ იმისთვის, რომ აღარ დაგიბრუნდეთ. ხომ არ გსურთ, რომ კიდევ მოგიაროთ სინიორა ბოლლას აქ ყოფნის დროს? მაშინ იმან უნდა დაგაღვივინოთ ოპიუმი.

— ს...საყვარელო ე...ექიმო... ტკივილები თუ მოსასვლელია, კიდევ მომივლის; ეს კბილის ტკივილი არ არის, რომელიც შეგიძლიანთ შეაშინოთ თქვენის მიქსტურებით. ეგ წამალი ისევე შევლის ამ ავადმყოფობას, როგორც ერთი მუქი წყალი განცხოველებულ ცეცხლს. მაგრამ, ცხადია, მაინც უნდა დადგემორჩილოთ.

იმან ჩამოართვა წამლის შუშა მარცხენა ხელით და შემადრწუნებელმა კრილოზის ზოლის დანახვამ შოგონა გალლის, საგანი წინანდელი ლაპარაკისა.

— მართლა, — ჰკითხა იმან: — რით დაისახითრეთ თავი ეგრე? ომში უთუოდ, არა?

— ეხლა არ ვიამბობდით საიდუმლო საბურობილებზე და....

— ეგ ხომ მოქარბებული ამბავია სინიორა გრასსინისათვის, მაგრამ მართლა ბრაზილიის კამპანიის ნიშნებია, არა?

— დიაღ, იქ მე რამოდენიმედ დავიტანჯე და შემდეგ კიდევ ბევრი რამ უბედურობა შემემთხვა ნადიროზის დროს, უდაბნო ადგილებში. ამას გარდა, კიდევ სხვა შემთხვევებიც ბევრი მქონდა.

— თქვენი ექსპედიციის დროს მოხდებოდა ეგ, განა? მაშინ მგონი სამძიმო დრო გამოიარეთ?

— დიდაც არ შეიძლება გარეულ, უდაბნო მხარეს ყოფნა ისე, რომ ბევრი რამ თავს არ გადახდეს ადამიანს. — სთქვა კრაზანამ დაუდევნელის კილოთი, — და ყოველთვის კი არ არიან სასიამოვნონი ამნაირი შემთხვევანი.

— მაინც არ მესმის, თუ რას შეეძლო თქვენი ეგრე დასახიჩრება, გარეულ ნადირებთან ბრძოლის მეტს? აი ეს კრილობა მაგალითად, მარცხენა ხელზე, რისაგან არის?

— ჰო, ეს შედეგია ერთ-ერთი ნადირობისა. მე თოფი გავისროლე...

სწორედ ამ დროს, როცა კრაზანა ლაპარაკობდა, მოისმა კარებზე რაკუნის ხმა.

— ხომ მილაგებულია, მარტინი, ოთახი? აბა, მაშ, თუ შეიძლებოდა, გააღეთ კარი.

— როგორი კეთილი და თავაზიანი ბრძანდებით, სინიორავ, მომიტყევთ, რომ არ შემიძლიან წამოვდგე და მოგვეგებოთ.

— თუ ღმერთი გრწამთ, ნუ სდგებით. მე ისე არ მოვსულვარ, როგორც სტუმარი. ცოტა უფრო ადრე მოველ, — მიმართა გემმამ მარტინს, — მეგონა თქვენ სადმე მიგეჩქარებოდათ.

— თხუთმეტ წუთს კიდევ შემიძლიან დავრჩე, მიბოძეთ თქვენი მოსახურავე, მეორე ოთახში გავიტანო. მიბრძანებთ კალათაც წავიღო?

— ფრთხილად კი, ახალი კვერცხები აწყვია, კეტტიმ მოიტანა დღეს, მონტე-ოლივეტოდან. მე რამდენიმე ვარდი მოგიტანეთ, რივარესს, ვიცო, რომ თქვენ გიყვართ ესენი. — გემმა მოთავსდა მაგიდასთან, დაიწყო იმათი გამხმარ ფურცლებიდან გასუფთავება და ალაგებდა ვაზაში.

— აბა, რივარესს, — უთხრა გალლიმ, — გვიამბეთ თქვენი ნადირობის დროს შემთხვევები. მოჰყევით თუ არა, მაშინვე შეჩერდით და აღარ დავითავებიათ.

— კარგი, გიამბობთ, გალლი მკითხავდა, სამხრეთ-ამერიკაში თუ როგორ ეცხოვრობდი, სინიორავ, და მეც ვამბობდი, როგორ დავისახიჩრე მარცხენა ხელი. ეს მოხდა პურუში. ჩვენ უნდა ფონში გაგვევლო, ამდროს მე დავუმიზნე თოფი ნადირს, დავსწიე ჩახმახს, მაგრამ თოფმა მიმტყუნა, რადგან წამალი დასველებულიყო. რასაკვირველია, ნადირი მე ცდას არ დამიწყებდა, რომ შეცდომა გამესწორებია, ის მომვარდა გაათორებულ და აი, ეს არის იმისი შედეგი, რაც მაშინ მოხდა.

— წარმოიდგინოს კაცმა, როგორი საშიშარი იქმნებოდა მაშინდელი თქვენი მდგომარეობა, — სთქვა გალლიმ.

— სრულიადაც ეგრეთი საშიში არა ყოფილა. მართალია, კარგთან ერთად, ცუდიც ბევრი გამოძივლია, მაგრამ ერთიან კი საუცხოვო ცხოვრება არის, მაგალითად, — გველები ჭერა.

კრაზანა განაგრძობდა ლაპარაკს, ხან ერთ ანეკდოტს იტყოდა, ხან მეორეს. ხან არგენტინის ომიანობაზე და ბრაზილიის ექსპედიციის შესახებ ლაპარაკობდა. აგრეთვე ნადირობის დროს შემთხვევებზე, ან თუ როგორ შეხვედრია ველურ ხალხს, ანუ გარეულ ნადირთ. გალლი დიდის ყურადღებით უსმენდა, როგორც ბავში, რომელსაც საუცხოვო ზღაპარს უამბობენ. ის ყოველ წამს აწყვეტინებდა ლაპარაკს სხვა-და-სხვა კითხვებით. ის იყო შთაბეჭდილებიანი ნეაპოლიტანელი, მოყვარული ყოველივე საგრძნობიერო ამბებისა.

გემამ ამოიღო საქსოვი კალათიდან, დაიწყო ქსოვა და თავჩალუნული უსმენდა. მარტინმა წარბი შეიხარა და მოუსვენრად ირყეოდა სავარძელში. იმას არ მოსწონდა, როგორც თითონ ფიქრობდა, ბაქიობა მოლაპარაკესი. მიუხედავად თავისი გოაცებისა, იმ კაცის წინაშე, რომელიც ისე ვაჟაკურად, მოთმენით იტანდა ფიზიკურ ტკივილებს. იმას სძულდა კრაზანა, იმისი სიტყვებიც და იმისი მიმოხვრაც.

— აი, ეს უნდა იყვეს უეჭველად, საუცხოვო ცხოვრება, — ამოხვნეშით სთქვა გალლიმ, თითქო შურით: — მიკვირს, როგორ გარდასწყვიტეთ ბრაზილიის დატოვება! ყველა სხვა მხარე უთუოდ უნდა ძალიან მოსაწყენი სჩანდეს იმასთან შედარებით.

— მე მგონი, რომ პერუში და ეკუადორში უფრო სასიამოვნო უნდა იყოს ცხოვრება, — სთქვა კრაზანამ.

— მართლაც და, აი, ის საუცხოვო მხარეა. რასაკვირველია, იქ ძალიან ცხელა, მეტადრე ეკუადორის ზღვის ნაპირას და ძნელია იქაურ ჰაერთან შეჩვევა, მაგრამ მდებარობის სიმშვენიერე კი გარდაემეტება ყველა სხვა შთაბეჭდილებებს.

— ჩემის ფიქრით, — სთქვა გალლიმ, — სრული თავისუფალი ცხოვრება უდაბნო ადგილებში ბევრად უფრო მიმზიდველი და სასიამოვნოა ბუნების ყველა სიმშვენიერეზე. იქ კაცი ისე

ღრმად უნდა ჰგრძნობდეს თავის ადამიანურ ღირსებას, როგორც ვერსად ჩვენ ქალაქებში ვერ იგრძნობს.

— დიალ, — მიუგო კრაზანამ. — ესე იგი...

გემამ მოაშორა თვალი საქსოვს და შეხედა კრაზანას. კრაზანა უეცრივ გაწითლდა და შუა სიტყვაზე შეჩერდა. ჩამოვარდა სიჩუმე.

— ნუთუ კიდევ მოუარა? — შეწუხებით იკითხა გალლიმ.

— ახ, არა, ეს სულ უბრალო რამ არის. თქვენ მიღინართ კიდევ, მარტინ?

— დიალ. წავიდდეთ, გალლი, თორემ დავიგვიანებთ. — გემამ გააცილა ისინი კარებამდის და ისევ დაბრუნდა და ხელში იმას ჭიქით სავსე გოგლი-მოგლი ეჭირა.

— დალიეთ ეს, თუ შეიძლებოდეს, — უთხრა იმან წყნარად მაგრამ მტკიცედ. თვითონ დაჯდა ისევ საქსოვად.

კრაზანამ მორჩილებით შეასრულა იმისი ბრძანება. ნახევარ საათის განმავლობაში ისინი გაჩუმებულნი იყვნენ. ბოლოს კრაზანამ დაარღვია სიჩუმე და წყნარად წარმოსთქვა:

— სინიორა ბოლლა!

გემამ შეხედა. კრაზანა შალის ფოჩს აცოდვილებდა და თვალები დაბლა ჰქონდა დახრილი.

— ერთი რამ უნდა გკითხოთ: თქვენ გჯეროდათ, რასაც ვლაპარაკობდი? — დაიწყო იმან.

— ეჭვიც არ ამიღია, რომ თქვენი ნალაპარაკევი სულ ტყუილი იყო, — მშვიდობიანად მიუგო გემამ.

— თქვენ მართალი ხართ, მე ყოველისფერს ვტყუოდი.

— ესე იგი, როცა ომიანობაზე ლაპარაკობდით?

— აგრეთვე ბევრს სხვასაც. ომში მე სულაც არა ვყოფილვარ და რაიცა შეეხება ექსპედიციას, მაშინ მქონდა რაიმე შემთხვევები და ბევრი იმათგანი, რაცა ვთქვი, მართალია. მაგრამ ხელი კი იქ არ დამისახიჩრებია. თქვენ მე გამომტებეთ ტყუილში და მაშ სჯობს, ყოველისფერშიაც გამოვიტყდეთ.

— განა რა ძალა გადგათ, რომ თავს იწუხებთ ტყუილების მოსაგონებლად? განა ეგ თქვენ არა გლალავთ?

— რა გაეწყობა. ხომ გაგიგონიათ ინგლისური ანდაზა: „ნუ მისცემთ ბევრ კითხვებს, თუ არ გინდათ, რომ ტყუილები მოგცენ პასუხად“. მე სრულიადაც არ მესიამოვნება, რომ ვატყუო ხალხი ამგვარად, მაგრამ რა ექნა, თუ ტყუილები არ მოვიგონო, როდესაც მეკითხებიან, თუ რამ დამასახიჩრა; ხომ უნდა რაიმე პასუხი მიეცე? და ამიტომ უნდა ტყუილი ვილაპარაკო და, თუ ტყუილს მოვიგონებ, უნდა ისე შევაზავო და ისე გამოვთქვა, რომ საინტერესო იყოს იმისი მოსმენა. ხედავდით, როგორ მოეწონა ჩემი ნაამბობი გალლის?

— განა თქვენთვის ის უფრო სასურველია, რომ გალლის მოეწონოთ, ვიდრე მართალი ილაპარაკოთ?

— მართალი? — კრაზანამ შეხედა გემმას. ხელში იმას შალის მონაწყვეტი ფოჩი ეჭირა.

— განა თქვენ გსურთ, რომ მართალი ვუთხრა ამ ხალხს? არა, ის უმჯობესი იქნება ენა ამოვიგლიჯო, ვიდრე მართალს ვიტყოდე. — შემდეგ დაუმატა მორიდების კილოთი: — მეჯერ არავისთვის არ მითქვამს მართალი, მაგრამ გეტყვით თქვენ, თუ გსურთ და მომისმენთ.

გემმამ ხმა-ამოუღებლივ შეახვია საქსოვი. ის ხედავდა რაღაც ღრმა ტრაგიკულს ამ საოცარ, ცივსა და მიუხედეველ კაცში, რომელსაც მოესურვა, რომ გადმოეშალა გული იმ ქალის წინაშე, რომელსაც კარგად ვერც კი იცნობდა და როქელიც იმის გულში რაღაც უსიამოვნო გრძნობებს აჩენდა.

ჩამოვარდა ხანგრძლივი სიჩუმე. გემმამ აიხედა, კრაზანა იქვე ახლო მდგომ მაგიდას დაჰყრდნობოდა და მიეფარებია თვალეზე დასახიჩრებული ხელი. გემმამ შენიშნა, რომ ხელის ძარღვები დასკიმოდა და მღელვარებისაგან ჭრილობების ადგილები აჰბურცებოდა. გემმა მიუახლოვდა იმას და ლმობიერის ხმით წარმოსთქვა კრაზანას სახელი. კრაზანა საშინლად შეკრთა და თავი მალლა აიღო.

— მე... და... დამავიწყდა, — უთხრა იმან, — მე... ე... ვაპირებდი თქვენთვის... თქმას... იმ შემთხვევაზე, რომლითაც თქვენ დაიტანჯეთ. მაგრამ თუ არ გესიამოვნებათ...



— შემთხვევაზე? ჰო, თქვენ ჩხუბის შესახებ ლაპარაკობთ?

— არავითარი შემთხვევა არ იყო, არამედ ცეცხლის გამოსაჩხრეკი რკინა.

ქალმა გაოცებით შეხედა. კრაზანამ გადიშალა თმები უკან, აკანკალებულის ხელით და უცქეროდა გემმას ღიმილით.

— არ გნებავთ დაბრძანდეთ? ახლოს მოსწიეთ სავარძელს, თუ შეიძლებოდეს. დიდად ვწუხვარ, რომ არ შემიძლიან გემსახუროთ. მერწმუნეთ, როცა დავფიქრდები ხოლმე, ვხედავ, რომ მაშინდელი ისტორია რიკარდოსათვის სასიხარულო იქმნებოდა, თუ რომ შეხვდებოდა ჩემი წამლობა. იმას ძალიან უყვარს დამტერეული ძვლების წამლობა და, მაშინ კი, მგონი, რაც კი რამ შესაძლო იყო დამტერეოდა, დამემსხვრა, გარდა კი-სრისა.

— თქვენი მხნეობაც? — დაუმატა გემმამ. — მაგრამ იქნებ თქვენ ამ თვისებას ათვლით იმას, რაცა გაქვთ შეუმუსრავი.

კრაზანამ თავი გააქნია.

— არა, — უთხრა იმან, — მხნეობა ჩემი, მხოლოდ შემდეგში გამოკეთდა როგორღაც, დანარჩენებთან ერთად და მაშინ კი სრულიად გატეხილი იყო, როგორც ნაკუწ-ნაკუწად დამსხვრეული ლამბაქი.... ეს კი ყველაზე უარესია. ჰო, მე დავიწყე თქვენთან საუბარი იმაზე, რაც მოხდა ცეცხლის გამოსაჩხრეკი რკინის გამო. ეს მოხდა ცამეტის წლის წინად პლიმაში. მე გითხარით, რომ პერუ საუცხოვო მხარეა და იქ ცხოვრება მეტად სასიამოვნო, მაგრამ ამნაირ ღარიბთათვის, როგორიც მე მაშინ ვიყავი, ნაკლებად არის სასიამოვნო. მე ჯერ არგენტინში ვიყავ; მერე ჩილიში; დავებეტებოდი ყოველ მხარეს და უფრო ხშირად კი მშიერი ვიყავ. ვალპარაიზოდან მე წაველ გემზე, რომელსაც საქონელი მოჰქონდა. იქ ვიდექ დღიურ მუშად. შიგ ლიმაში ვერ ვიშოვნე სამუშაო და ამიტომ წაველ ხელოსნებთან, რომ იქ მეცადნა ბედი. ისინი იმყოფებოდნენ კალლოში. რასაკვირველია, ყველა ამგვარ ნავთ-სადგურებში არის ქუქყიანი თავ-შესაფარი, სადაც იკრიბებიან მეზღვაურნი და მგზავრნი ნაპირზე გადმომსხდარნი. რამოდენიმე დღის შემ-

დღე მე დავდექ მოსამსახურედ იქაურ ბანქოს სათამაშო სახლში მე უნდა ბილიარდის თამაშის დროს მეთვალა. რამდენჯერ გაავრებდნენ ბურთებს. უნდა შემსახურნა მეზღვაურთათვის და... არაფერი სასიამოვნო არ იყო ამგვარი სამსახური, მაგრამ მაინც მოხარული ვიყავ, რადგან შემეძლო საქმლის შოვნა, ადამიანების სახის დანახვა და შემეძლო გამეგონა ლაპარაკი, სულ ერთია, როგორც უნდა ყოფილიყო. იქნება ჰფიქრობთ, რომ ეს არ არის განსაკუთრებით სასიხარულო, მაგრამ მე მაშინ ახალი მორჩენილი ვიყავ, ხანგრძლივ ავადმყოფობის დროს კი ვიწვექ განმარტოებით ერთ პატარა ქოხში, სადაც თითქმის გამოვყრუვდი მარტო ყოფნით. ერთხელ მიბრძანეს, რომ ოთახიდან გამეგდო მთვრალი მეზღვაური, რომელიც ყვირილითა და ხმაურობით წეს-რიგს არღვევდა. ის იმ დღეს გადმოვიდა ნაპირზე, წააგო რაც ფული ებადა და ამის გამო ძალიან გაბოროტდა. რასაკვირველია, მე უნდა ბრძანება შემესრულებია, რომ ადგილი არ დამეკარგნა და ხელ-ახლა შემშვილით არ დავტანჯულიყავ. მაგრამ მეზღვაური ბევრად ჩემზე ღონიერი გამოდგა. მე მაშინ მხოლოდ ოც და ერთის წლისა ვიყავ და გარდა ამისა, იმას ხელში ცეცხლის გამოსაჩხრეკი რკინა ეჭირა.

კრაზანა ერთ წუთს შეჩერდა, შეხედა გემმას და ისევ განაგრძო:—ცხადია, იმას უნდოდა, რომ იქვე მოვეკალ, მაგრამ ვერ მოახერხა,—ისინი ყველა მოუხერხებელნი არიან. იმან დამტოვა იმნაირად გალახული, რომ შემეძლო კიდევ სიცოცხლე განმეგრძო.

— მერე სხვები არ მოგეშველნენ? ნუ თუ ყველა ერთს შეუშინდა.

კრაზანამ შეხედა გემმას და გაღიხარხარა.

— სხვებიი? ესე იგი, მოთამაშენი და ჩემი უფროსნი? როგორი მიუხვედრებელი ხართ. ისინი ხომ ზანგები იყვნენ, ჩინელები და სხვა ამგვარი ყრილობა—და მე იმათი მონა ვიყავ, იმათი საკუთრება. ისინი გარს მეზვივნენ და ხარობდნენ. ამგვარ შემთხვევებს იქ გასართობადა სთვლიან და, მართლაც, ეს გასართობია, თუ რომ თითონ არ ხდებით საგანი ამგვარი მხიარულებისა.

გემმას გააუჩოლა.

— და რით გათავდა ეგ ამბავი?

— არ შემიძლიან გითხრათ დაწერილებით. ყოველთვის, ამგვარ შემთხვევის შემდეგ მესხიერება ეკარგება ადამიანს, რამდენისამე ხნით, მაგრამ ეს კი ვიცი, რომ იქავ ახლოს ერთი ექიმი აღმოჩნდა და რადგანაც, ცხადია, ვილასაც მოსჩვენებია, რომ მე სულ მკვდარი არ ვიყავი, მოეყვანა ის ექიმი და იმან რის ვაი-ვაგლახით გამამრთელა. რიკარდოს სიტყვით, იმ ექიმს ეს კარგად ვერ მოუხერხებია. მაგრამ ეგებ ეს ამას პროფესიონალურის შურით ამბობდეს. როგორც უნდა იყოს, ეს სულერთია, და როცა მე მოველ გონებაზე, ვილაც ქრისტიანმა მოხუცმა ქალმა წამიყვანა თავის სახლში, ქრისტეს გულისთვის. განა, რომ ეს ყველაფერი საოცარია. ის მოხუცი ქალი იჯდა ხოლმე ჩვეულებრივად თავის ქოხის ერთ კუთხეში მოკუნჭული, ეწეოდა ჩიბუხს, იფურთხებოდა იატაკზე და რალასაც ბუტბუტებდა თავისთვის. მაგრამ მაინც ძალიან კეთილი იყო; იმან მითხრა: „შეგიძლიან მშვიდობიანად მოკვდე, აქ არავინ არ შეგაწუხებსო“. მაგრამ ძალა წინააღმდეგობისა კიდევ იყო ჩემში. მე გარდავწყვიტე ცოცხალი დავრჩენილიყავ, თუმცა კი ძალიან ძნელი იყო, ხელმეორედ გამოვცოცხლებულიყავ. ხანდახან კი ვფიქრობდი, რომ სიცოცხლე არ ღირდა ამდენ წვალებად. მოთმინება მოხუცი ქალისა გასაოცარი იყო. მე ლოგინში დიდხანს ვიწეე, თითქმის მთელი ოთხი თვე და ლამის ჭკუაზე ვიშლებოდი და ვბლაოდი დათვივით, რომელიც ყურის ტკივილის გამო გაშმაგებული ღრიალებს. ტკივილი მეტად მწარე იყო და ყმაწვილობიდან კი გაფუჭებული ხასიათი მქონდა, მე გამანებიერეს სახლში.

— მერე?

— მერე, როგორც იყო, მოვრჩი, მაგრამ არ იფიქროთ, რომ მე მაშფოთებდა ის, რომ ვსარგებლობდი საწყალი ქალის გულკეთილობით, ამ ნაირ საგნებზე აღარა ვფიქრობდი, მხოლოდ ეს კი იყო, რომ გამიძნელდა იმის სახლში ყოფნა. აი, ეხლა თქვენ ლაპარაკობდით ჩემს მხნეობაზე, გენახეთ აბა მა-

შინ. ღამ-ღამობით ძალიან მიმატებდა ხოლმე ტკივილები და ღლე კი, ვიწვექ ხოლმე და ვუცქეროდი მზეს, როგორ ეშვებოდა თან და თან დაბლა, დაბლა.... ოჰ, თქვენ არ შეგიძლიანთ იმისი გაგაგება! ეხლა მე არ შემიძლიან ვუცქირო მზის ჩასვლას შეუძრწუნებლად.

კრაზანა გაჩუმდა.

— ჰო და ასე, — დაიწყო ისევ ცოტა სიჩუმის შემდეგ. — მე წაველ სხვა ადგილებში, სამუშაოს საძებნელად. ღიმაში რომ დაერჩენილიყავ, ჭკუაზე შევიშლებოდი. გავემგზავრე ჯერ კუბკოში და შემდეგ...

სწორედ არ ვიცი, რისთვის გიამბობთ ამ ძველ ამბებს. ესენი გასართობი არც კი არიან. გემამ აიხედა და შეხედა კრაზანას, ღრმა სერიოზულის თვალებით.

— თუ ღმერთი გწამთ ნუ ლაპარაკობთ მაგ ნაირ კილოთი.

კრაზანამ ტუჩი მოიკენიტა და ისევ შალის ფოჩებს დაუწყო გლეჯა.

— განვაგრძო? — დაეკითხა ის ერთ წუთს შემდეგ.

— დიად, თუ გსურთ. მაგრამ მგონი, რომ თქვენთვის საძძიმოა მაგაების მოგონება.

— თქვენა გგონიათ, რომ მე ეს ყველაფერი დავიწყებული მაქვს, როცა გაჩუმებული ვარ? მაშინ უარესიც არის. არ იფიქროთ, რომ მე მდევნის ხსოვნა იმაზე, რაც მოხდა. ყველაზე საშიშარი ის არის, რომ მე დავკარგე ძალა, უფლება ჩემსავე თავზე.

— სრულებით არ მესმის, რას ამბობთ.

— მე ვამბობ იმას, რომ ყველაზე უფრო საშინელება ის იყო, რომ მოელო ბოლო ჩემს სიამაცეს, რომ მე შევიქნებ მხდალი.

— ყველაფერ მოთმინებას აქვს დასასრული.

— და იმან, ვინც გადააბიჯა ამ საზღვარს, არ შეუძლიან იცოდეს, როდისღა დაუბრუნდება ის იმას.

— შეგიძლიანთ მითხრათ, — უთხრა გემამ, — თუ როგორ მოექცეით ამერიკაში მარტოდ-მარტო, ოცი წლის ყმაწვილი?

— ძალიან ადვილად. ჩემი ცხოვრება სამშობლო ქვეყანაში, კარგს მომავალს მიქაღდა, მაგრამ მე დაეტოვე ის და გავიქეცი.

— რისთვის?

კრახანამ გაიცინა.

— რისთვის? ცხადია იმისთვის, რომ მე ვიყავ უმსგავსო, ამაყი ყმაწვილი, გავიზარდე ძალიან მდიდარს ოჯახში და ისე ვიყავ შემოზღუდული ჩემს თავზე ფიქრით, რომ ქვეყნიერება შეჩვენებოდა ვარდის ფერ ბამბით და დაშაქრულ ნუშით აშენებული. გავიგე ერთხელ, რომ ის კაცი, რომელსაც ვერწმუნებოდი და ვენდობოდი, მატყუებდა მე....

— რა მოგივიდათ, ეგრე რად აკანკალდით?

— არაფერი, — განაგრძეთ.

— გავიგე, რომ მე მატყუებდნენ... უნდოდათ, რომ დაშეჯერა სიცრუე..... გაგება სრულიად ადვილია, როგორც ხედავთ. მაგრამ აკი გითხარით, მაშინ ყმაწვილი და ამაყი ვიყავ და ვფიქრობდი, რომ ცრუსა და მატყუარებთათვის ადგილი ჯოჯოხეთშია. მაშინ მე გავიქეცი სახლიდან და გავემგზავრე სამხრეთ ამერიკაში, რომ დავღუპულიყავ, ან-და როგორმე გამოვსულიყავ... ჯიბეში გროში ფული არა მქონდა, რომ ლუკმა ჰური მეშოვნა და არც ერთი სიტყვა ესპანური არ ვიცოდი. არა მებადა-რა გარდა თეთრი ფუფუნა ხელებისა, რომელიც შეჩვეული იყვნენ მდიდრულ ფუფუნებიან ცხოვრებას. მე მომიხდა შიგ ჯოჯოხეთში ჩავარდნა, ვიღრე დიუპრესის ექსპედიცია დამაბრუნებდა ცხოვრებასთან.

— ხუთი წელიწადი! რა საშინელებაა! მეგობრები არა გყვანდნენ?

— მეგობრები? მეე? — ჰკითხა უეცარის გაანჩხლებით, კრახანამ. — მე არაოდეს არა მყოლიან მეგობრები.

ერთს წუთს შემდეგ, თითქო თითონვე შერცხვა თავის სიანჩხლისა და განაგრძო:

— ნუ მიიღებთ ყოველსავე ამას სერიოზულად. მე ნამეტანი დავამახინჯე ჩემი ცხოვრება უცხო ქვეყნებში. პირველ

ორ წელიწადს სრულიადაც ისე ძალიან არ გავტანჯულვარ, მე ვიყავ ახალგაზდა და ჯან-ლონით სავსე და, კარგადაც ვიკვლევდი გზას, მანამ ის შეჩვენებული მეზღვაური დამასახიჩრებდა. იმის შემდეგ მე კი, მე ვეღარ ვიშოვნე სამუშაო, რადგან არსვის უნდოდა მუშად აყვანა მახინჯი კაცისა.

— მერე რდთ დაიწყეთ მუშაობა?

— რითაც შემეძლო. რამოდენსამე ხანს, შემთხვევით ვმსახურებდი ზანგებთან, ხელზე მოსამსახურედ. საოცარი კია, რომ მონები ყოველთვის ცდილობენ თითონაც იყოლიონ მონები. იმაზე მეტი სასიხარულო არა არის-რა ზანგებისათვის, როგორც დაცინვა და მასხარად აგდება თეთრი მონებისა. თუმცა მე ვმსახურებდი იმათ, მაგრამ ვერც ამას ვახერხებდი; არ შემეძლო კოჭლობის გამო მარდად მეგუშავნა, არ შემეძლო მძიმე ტვირთის ზიდვა. ხშირად მივლიდა ავადმყოფობა ხურების გამო დარჩენილი. რამოდენისამე ხნის შემდეგ მე წაველ ვერცხლის მადნებში სამუშაოდ და იქ ვცდილობდი რაიმე საქმე მეშოვნა, მაგრამ იქაც ვერას გავხდი. ჩემი უფროსნი იცინოდნენ იმ ფიქრზედაც კი, რომ სამსახურში ჩემი შესვლა შესაძლო ყოფილიყო და თვით მუშები მდევნიდნენ და დამცინოდნენ.

— რადა?

— ისე. ასეთია ადამიანის ბუნება. ისინი ხედავდნენ, რომ მარტო ცალი ხელი მქონდა გამოსადეგი. ოჰ, ისინი ყველა საზიზღარნი არიან, მეტადრე ზანგები, ზამბოსები და საძაგელი ინდოელი ყულები. ბოლოს, მომბეზრდა ამგვარი ცხოვრება და დავიწყე ხეტიალი ყოველ მხარეს, საითაც კი მომიხდებოდა, იმ იმედით, რომ ვიშოვნიდი რაიმე სამუშაოს.

— ქვევითად დადიოდით ნატკივარის ფეხით?

— კრაზანამ შეხედა დატანჯულის სახით.

— მე...მე ვიყავ მშიერი, — წარმოსთქვა იმან. — გემამა მიიბრუნა თავი გვერდზე და ნიკაპით ხელს დაეყრდნო. კრაზანამ ერთ წუთს შემდეგ ისევ დაიწყო ლაპარაკი, ხმა მისი თანდათან წყნარი და ჩუმი შეიქმნა. — ჰო, და მე დავდიოდი, მა-

ნამ მე სულ არ დავკარგე გონება, სიარულისაგან მოქანცულ-მა. მაგრამ ამით არა გიმოვიღა-რა. მიველ ეკუადორში და იქ კიდევ უარესიც იყო, ვიდრე სხვაგან სადმე. ხან-და-ხან მომიხდებოდა ხოლმე თუნუქების კეთება, მე კარგო მეთუნუქე ვარ. და მგზავნიდნენ, აგრეთვე, სადმე საქმეების ჩაბარებით. ან-და გომურებს მაწმენდინებდნენ. ხან-და-ხან..... არც კი მახსოვს რას მაკეთებინებდნენ და ერთხელ.... გრძელი ხელი კრაზანასი მუშტად მოიკუმშა. იმან დაჭკრა ხელი მაგიდას. გემმამ შეწუხებით შეხედა. კრაზანას სახე გვერდზე ჰქონდა მიბრუნებული და გემმამ დაინახა, როგორის სიჩქარით უცემდა მას ძარღვი საფეთქელთან. გემმა დაიხარა და ხელი შეახო იმის ხელს, თანაც მოფერების კილოთი უთხრა:

— გთხოვთ, ნულარ განაგრძობთ, ეგ საშინელებაა....

კრაზანამ შეხედა გემმას, თავი გაიქნია და განაგრძო მტკიცო ხმით:

— ერთხელ მე შეეხვდი მოხეტიალე ცირკს. გახსოვთ თქვენ ის წარმოდგენა, რომელსაც ჩვენ ერთად დავესწარიტ? ამერიკელი უირკიც იმგვარივე იყო, ოღონც უფრო უზრდელი, უგვანო, უმსგავსო. ზამბოსები არ ჰგვანან მახვილ გონებიან ფლორენტელებს: იმათ მოსწონთ მხოლოდ უზრდელობა და უმსგავსობა. რასაკვირველია, იქ იყო ხარების ჩხუბიც. ღამე, დიდ შარაზე გაჩერებულიყო ცირკის დასი. მე მიველ იმათთან და ვთხოვე მოწყალეობა. ძალიან ცხელი ღღე იდგა. შიმშილისაგან მე ძლივს-და ცოცხალ ვიყავი და როგორც კი მიველ იმათ კარავთან, გული შემიწუხდა და უგრძნობლად დავეცი. მე იმ დროს ხშირად წავიქცეოდი ხოლმე გულ-შეწუხებული, რაიცა მომდიოდა სისუსტის გამო. ამაყენეს, მასვეს კონიაკი, მაჭამეს საჭმელი და შემდეგ, მეორე დღით შემთავაზეს... კრაზანასევე შეჩერდა. — იმათ სჭირდებოდათ კუზიანი კაცი, ანუ სხვა ნაირი რამ მახინჯი, რომ პატარა ბიჭებს ესროლიათ იმისთვის ფორთოხლები და სხვა-და-სხვა ტკბილეულობა; უნდოდათ სამასხარო რამ საგანი ზანგებისათვის. ხომ ნახეთ მასხარა, იმ საღამოს ცირკში? იმგვარ მასხარად ვიყავ მე ორის წლის განმავ-

ლობაში. უტკველია, თქვენ ჰგოდნობთ, ჰუმანური აზრებითა ხართ გამსჭვალული ჩინელებისა და ზანგების შესახებ, მაგრამ მოითმინეთ, ვიდრე ჯერ კიდევ იმათ ხელში არ ჩავარდნილხართ. მე შევისწავლე ყოველ ნაირი მასხრობები, არ ვიყავ რიგიანად დამახინჯებული, მაგრამ ხელოვნური კუზი გამიკეთეს და ისარგებლეს ჩემი დასახიჩრებულის ხელ-ფეხით. ზამბოსები ბევრს არას ითხოვდნენ, ისინი იმითიც კმაყოფილდებიან, თუ რომ ადამიანს, ცოცხალ არსებას აწვალეიბთ. გარდა ამისა, მასხრული ტანსაცმელი ავვირგვინებს იმათ შთაბეჭდილებებს. ერთი საძნელო ის იყო, რომ ხშირად ავად ვხდებოდი და ვერ შევიძლებდი ხოლმე სცენაზე გამოსვლას. ხან და ხან, როცა ცირკის უფროსი, ზედამხედველი გულმოსული იყო რამეზე, ძალას მატანდა გამოვსულიყავ, მაშინაც კი, როცა მე გონება-მიხდილი მიწაზე ვეცემოდი და ვფართხალებდი. მგონი ხალხს სწორედ იმ ნაირი წარმოდგენა უფრო მოსწონდათ, გულ-შეწუხებული რომ იმათ წინ ეინ იცის როგორ ვიტანჯოდი. მახსოვს, ერთხელ დავეცი გონება-მიხდილი შუა წარმოდგენის დროს და როცა გონს მოველ, დაეინახე, რომ ჩემს გარშემო ხალხი შეკრებილიყო და სიცილითა და ხარხარით ვაშლებს მესროდნენ.

— კმარა, გაათავეთ, მე აღარ შემიძლიან ყური გიგდოთ. ღვთის გულისათვის, გაჩუმდით!

გემმა წამიადგა და ყურებზე ხელი დაიფარა. კრაზანა გაჩუმდა, შეხედა და დაინახა, რომ ქალს თვალები უკრემლებით ავსებოდა.

— დასწყევლოს ღმერთმა, რა უგუნური ვარ.— გაილაპარაკა კრაზანამ თავისთვის.

ქალი მოშორდა იმას და რამოდენსამე ხანს სარკმელთან იყო გაჩერებული. როცა მოიხედა, კრაზანა ისევ მაგიდაზე იყო დაყრდნობილი და ცალი ხელით თვალები დაეფარა. იმას დაუიწყებოდა გემმას აქ ყოფნა. გემმა მივიდა, დაჯდა იმის გვერდით და ხმას არ იღებდა. კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ გემმამ წყნარად დაილაპარაკა:



— მინდა ერთი კითხვა მოგცეთ.

— ჰოო? — მიუგო კრაზანამ და ადგილიდან არ იძროდა.

— რატომ თავი არ მოიკალით იმ დროს?

კრაზანა გაკვირვებით დააცქერდა.

— თქვენგან მაგ კითხვას არ მოველოდი. — უთხრა იმან: — მერე ჩემი საქმე ვისთვის უნდა გადამეცა?

— თქვენი საქმე? დიაღ, მესმის. თქვენ ეხლა ლაპარაკობდით სიმხალეზე და თუ რომ თქვენ გამოიარეთ ყოველივე ეს და მაინც მიდიოდით მიზანთან მისალწევად, მაშ თქვენა ყოფილხართ ყველაზე მამაცი, მთელს ქვეყანაზე. კრაზანამ დაიფარა ისევ თვალები ხელით და ცალი ხელი გრძნობით მოუჭირა გემმას ხელს. ამდროს ისეთი მყუდროება სუფევდა იმათ გარშემო, რომელიც თითქო არასოდეს არ დაირღვეოდა. უეცრივ გაიწკრიალა წმინდა ხმამ და ბალიდან მოისმა ფრანგული მხიარული სიმღერა:

„Fh, Pierrôt! Danse Pierrot!

Danse un peu, mon pauvre Jeannot?

Vive la danse et l'auégresse!

Jouissons de nôtre bell' jeunesse!

Si moi je pleure, on moi je soupire,

Si mol je fais la triste figure

Monsieur ce n'est que pour rire!

Ha! Ha, ha, ha!

Monsieur, ce n'est que pour rire!“

პირველ სიტყვების გაგონებაზედვე, კრაზანამ ამოკვნესით უკან გადიწია სავარძელში. როცა სიმღერის ხმა შესწყდა და ბალიდან სიცილისა და ტაშის ცემის ხმა მოისმა, კრაზანამ შეხედა და გემმას, დაჭრილ ნადირის მსგავსად.

— დიაღ, ეს ზიტაა, — სთქვა იმან, — თავის მეგობარ აფიცრებით და იმას უნდოდა მოსვლა ჩემთან წინა დღით რიკარდოს მოსვლამდე. ჰმ, მე ჭკუაზე შევიშლებოდი, რომ ის ჩემს ახლოს მოსულიყო.

— იმან ხომ არ იცის, — უთხრა, გემმამ, — და ვერც წარმოიდგენს, თუ ეს თქვენ გწყინთ.

— ის ისეთივეა, როგორიც ყველა კრეოლკები, — უბასუხა კრაზანამ ცახცახით. — გახსოვთ იმისი სახე, იმ ლამინდელი, როცა ჩვენ გალახული ბავშვით ხელში, სახლში ვბრუნდებოდით? ეგრე გამოიციქირებიან ყველა კრეოლკები, როცა დასცინიან ვისმე. — მოისმა ხელახლად სიცილ-ხარხარი ბალიდან. გემმა მივიდა და გააღო სარკმელი. ზიტტა იდგა შუა გზაზე. თავზე კობტად ჰქონდა მოგდებული ოქრო-მკედით ნაკერი აბრეშუმის ბლონდი და ხელით მალლა ეჭირა იის თაიგული, რომლის მოპოვებასაც ცდილობდნენ სამი ახალგაზდა კავალერიის აფიცრნი.

— ქალბატონო რენნი. — გადასძახა გემმამ. ზიტტას სახე მოქურუშებულ ღრუბელს დაემგვანა.

— რა გნებავთ, ქალბატონო? — მობრუნდა და შეეკითხა ზიტტა უნლო სახით.

— არ შეიძლება, რომ ცოტა დაბლა ილაპარაკონ თქვენმა მეგობრებმა? სინიორ რივარესსი ძალიან ავად არის.

ზიტტამ გააგლო ხელიდან იის თაიგული.

— *Allez-Vous en*, — უთხრა აფიცრებს: — *Vous m'embêtez, messieurs!*

ის წელის ნაბიჯით გამოვიდა ბალიდან და გაუდგა გზას. გემმამ დახურა სარკმელი.

— ისინი წავიდნენ, — მიჰმართა გემმამ კრაზანას.

— გმადლობ, მაგრამ ვწუხვარ, რომ გაგსარჯეთ.

— რა გარჯაა? — მაგრამ....

— რა სთქვით? — ჰკითხა კრაზანამ, — თქვენ სიტყვა არ დაგიტოვებიათ. რაღაც „მაგრამ“ დაგრჩათ თქვენ ფიქრში.

— თუ გვინდა ვიცოდეთ, რა აქვს კაცს ფიქრში, მაშინ არც უნდა შეურაცხყოფად ვიღებდეთ, როცა გავიგებთ იმათ ფიქრს. რასაკვირველია, მე არ უნდა ვერვოდე ამ საქმეში, მაგრამ არ შემიძლიან გავიგო?.....

— ჩემი ზიზლი რენნის მიმართ? მაგრამ ეს ზიზლი ხომ მხოლოდ მაშინ იბადება, როცა....

— არა, არ მესმის, თუ როგორ იტანთ იმის საზოგადოებას, მაგნირს განწყობილებაში. მე ვფიქრობ, რომ ეს შეუცრაცყოფაა იმისთვის, როგორც ქალისთვის და როგორც...

— ქალისათვის? — კრაზანამ გადინხარხარა. — თქვენ იმას ქალს უწოდებთ? ქალბატონი ce n'est que pour rire.

— ახ, რა ცუდია ეგ თქვენის მხრივ, — უთხრა გემმამ, — თქვენ არა გაქვთ უფლება მაგნირად ლაპარაკობდეთ იმაზევისთანვე და მით უმეტეს სხვა ქალთან..

კრაზანა იწვა და ფართოდ გახელილ თვალებით გასცქეროდა სარკმლიდან ჩამავალ მზეს. გემმამ ჩამოაფარა ფარდები სარკმელს, რომ არ დაენახა კრაზანას ჩამავალი მზე. შემდეგ ისევ დაჯდა და აიღო ხელში საქსოვი.

— არ ავანთო ლამპარი? — ჰკითხა იმან ცოტა ხნის შემდეგ. კრაზანამ უარის ნიშნად თავი გააქნია. როცა ძალიან ჩამოზნელდა, გემმამ შეინახა კალათაში საქსოვი, რამოდენსამე ხანს იჯდა გაჩუმებული, გულ-ხელ დაკრეფილი და დასცქეროდა კრაზანას გაშეშებულ სახეს. სალამოს ბინდი ადგა კრაზანას სახეს და აჩრდილებდა მის მტკიცე, დამცინავ სახის გამომეტყველებს, და ღრმად აჩენდა იმის ბაგის ტრაგიკულ ხაზებს.

გემმა რაღაც საოცარმა ფიქრებმა დააბრუნეს იმ ქვისაგან გამოქანდაკებულ ჯვართან, რომელიც მამა იმისმა დასდგამებლად არტურის ხსოვნისთვის, შემდეგის წარწერით:

„ყოველგვარმა ტალღებმა და ქარიშხალმა გადაიარეს ჩემს თავზე“.

ერთმა საათმა განვლო სრულ სიჩუმეში. შემდეგ გემმა ადგა და გავიდა მეორე ოთახში. როცა დაბრუნდა ლამპართა და ჭიქა რძით ხელში, ის ერთ წუთს შეჩერდა, ეგონა, რომ კრაზანას ეძინა, მაგრამ როცა სინათლემ კრაზანას სახეს დაანათა, იმან მოიხედა.

— ყავა მოგიმზადეთ, — უთხრა გემმამ და დასდგა ლამპარი მაგიდაზე.

— დადგით ეგ ჭიქაც და მოდით ცოტა ხანს ჩემთან.  
კრაზანამ გამოართვა ორივე ხელები.

— მე ვფიქრობდი თქვენ სიტყვებზე, — უთხრა იმან: — თქვენ სწორედ მართალი ხართ. მე გამოვინაცხვე უშნო ნასკვი ჩემს ცხოვრებაში. მაგრამ დაფიქრდით, ყოველთვის ვერ შეხედება ადამიანი ისეთს ქალს, რომელიც შეუძლიან, სრულის გრძობით შეუყვარდეს. მე კი გამომივლია ბევრი რამ საშიშროება და მეშინიან....

— გეშინიანთ?

— სიბნელის. ხანდახან მე ვერ შევიძლებ ხოლმე ღამე მარტო დარჩენას. მინდა, რომ იყოს ჩემს ახლოს, ცოცხალი არსება. სრული სიბნელეა, სადაც.... არა, არა. ეს სრულებითაც ის არ არის.... ეს მხოლოდ სათამაშო ჯოჯოხეთია, მაგრამ საქმე შინაგან სიბნელეშია; იქ არ არის არც ტირილი, არც გოდება, არც კბილების ღრქენა, მხოლოდ სიჩუმეა.... სიჩუმე....

კრაზანას თვალები გაუფართოვდა. გემამ სული ვერ ამოითქვა, მანამ კრაზანა ხელ-ახლავ დაილაპარაკებდა.

— ეს ყველაფერი თქვენ ფანტაზიად გეჩვენებათ, არა? არ შეგიძლიანთ, გამიგონოთ მე, განა? ეს უკეთესია თქვენთვის. მაგრამ მე მინდა გითხრათ, რომ უეჭველად ჭკუაზე შევიშლებოდი, თუ რომ მარტოობაში მეცადნა ცხოვრება. ნუ სჯით ჩემზე ნამეტან მკაცრად, მე სრულიადაც ისეთი ნადირი არა ვარ, როგორადაც, შეიძლება, თქვენ მიგაჩნდეთ.

— მე არ შემიძლიან სჯა თქვენზე, — უთხრა გემამ... მე არ გამომივლია მაგოდენი ტანჯვა, რამდენიც თქვენ. მაგრამ მეც გამოვცადე ბევრი რამ სამძიმო, მხოლოდ სხვაგვარად. მე მგონი და დარწმუნებულიც ვარ, რომ თუ შიშის გამო მოიქმედა კაცმა რაიმე ნამდვილი უღმობელოება და უსამართლობა, უეჭველად შემდეგ დადგება მისი სამძიმო სინანული. მაგრამ მაინც გასაოცარია, როგორ გამაგრდით ეგრე, — მე თქვენს ადგილას დავეცემოდი სულით, დავწყევლიდ. მაღალ ღმერთს და მოვკვდებოდი.

კრაზანას ისევ ეჭირა გემმას ხელები.

— მითხარით, — წსრმოსთქვა იმან ჩუმის ხმით, — მოგიქმედნიათ თქვენს სიცოცხლეში რაიმე ნამდვილი უღმობელობა, სისასტიკე.

გემმას ხმა არ ამოუღია, დაბლა დახარა თავი და კრაზანამ იგრძნო, რომ დაეცა იმის ხელებზე მღუღარე ცრემლები გემმასი.

— მითხარიო. — წასჩურჩულა იმან აღეღვებით და უფრო მძლავრად უჭერდა ხელს. — მე ხომ გამოგიმედავინეთ ყოველი ჩემი ჯავრი.

— დიად, ერთხელ, ერთხელ, — მრავალმა წელმა განვლო მას აქეთ... მე მოვიქმედე უღმობელობა, სიმკაცრე, იმ კაცის მიმართ, რომელიც მიყვარდა ყველაზე მეტად მთელს ქვეყანაზე.

ხელები, რომელთაც გემმას ხელები ეჭირათ, ძალზე კანკალებდნენ.

— ის იყო ჩემი ამხანაგი, — განაგრძობდა ქალი, — და მე კი დავბჯერე სულელური ცილის-წამება იმის წინააღმდეგ და ცხადია, პოლიციელებისაგან მოგონილი. მე შემოევარ იმას სახეში, როგორც მოღალატეს — ეს წავიდა და წყალში დაირჩო. შეორე დღესვე შევიტყე მართალი, რომ ის სრულიად უდანაშაულო იყო. იქნებ ეს ხსოვნა უმძიმესი იყოს იმაზე, რაც თქვენ გამოგივლიათ. მე ამ მარჯვენა ხელს მოვიჭრიდი, რომ შემეძლოს იმის შეცვლა, რაც მოვიქმედე.

რალაც უეცარმა გრძნობა-არეულმა მღელვარებამ, რაიცა გემმას არასოდეს არ შეემჩნია, გაუელღვეს კრაზანას თავლებში. იმან სწრაფად დახარა თავი და ეამბორა გემმას ხელს. გემმა შეკრთა და უკან დაიწია.

— არა, — უთხრა იმან დაღონებით, — აღარაოდეს ვე აღარ გაიმეორათ. მაგით მე გული მატკინეთ.

— და თქვენ ფიქრობთ, რომ იმ კაცს, რომელიც თქვენ მოჰკალით, არ ეტკინა გული?

— კაცი, რომელიც მე მოვკალი... ახ, აი ჩეზარეც მე...  
უნდა წავიდე...

როდესაც მარტინი შევიდა ოთახში, იმას დახვდა კრაზანა  
მწოლიარე. ჭიქით ყავა ხელუხლები ედგა მაგიდაზე და თითონ  
რალასაც ელაპარაკებოდა თავის თავს, მძიმედ, ჩუმად, დაღვრე-  
მილი და ჩაფიქრებული.

ნატალია დ. გიგაურა

(შეზღვევი იქნება)



ჩვენი ცხოვრების მაჯა ჯერ-ჯერობით თუმცა ძლიერ სუსტად სცემს, მაგრამ ზოგიერთ ჩვენგანს მწარე და სევდიანს წამებს მაინც მიაყენებს ხოლმე და ღრმა სასოწარკვეთილებით ჩააფიქრებს ჩვენს აწინდელ მდგომარეობაზე.

ამ ზოგიერთების რიცხვში არ არიან, რასაკვირველია, ისინი, ვინც თავის კმაყოფილების მეტს არაფერს ეძებენ ცხოვრებაში, და ამიტომაც გულ-გრილად უყურებენ ჩვენს ავ-კარგიანობას. ხვალ რომ წარღვნა მოვიდეს და მთელი საქართველო წალეკოს, ეს ზოგიერთნი არას ინაღვლიან, ოღონდ კი თვითონ არ მოჰყვენენ ამ წარღვნის ტალღების ქვეშ.

ეს ის პირებია, რომელთაც კარგად შეუხისხლხორცებიათ ლიუდოვიკო მე-XV-ის დედაზრი: „*apres moi le déluge*“ (ჩემს მერე თუ გინდ წარღვნა იყოსო!)

ეს წერილი ამ ბედნიერ ხალხისათვის არ არის დაწერილი, მით უფრო, რომ ეს ყოვლად უნაკლო ხალხი იმ ღირსებითაც არის დაჯილდოვებული, რომ აღრე შეიგნო ჩვენი ლიტერატურის გამოუსადეგრობა ჩინების მოსაპოვებლად და ამისათვის უკუ აგდეს იგი, როგორც სრულებით უვარგისი მეტი ბარგია. უნდა გაიგონოთ, რა ღიმილით წარმოსთქვამენ ისინი ხოლმე: — ღმერთო ჩემო, ეხლა ვინ წაიკითხავს ქართულ ჟურნალგაზეთებსა?! ყოვლად უნიჭოა ეხლანდელი მწერლობა და მწერლები! აბა შეხედეთ „კავკაზს“, თუ არა ჰყავს მკითხველიო“.

\*) B. H. A. 1898 წ. №№ III, IV. ფირსოვის ეტიუდიდან.

და მართლაც, საუბედუროდ, „კავკაზის“ მკითხველი მეტად გახშირდა ჩვენს ქვეყანაში, მას კითხულობს ყველა, მისი მტერი და მოყვარე, ქართულ ჟურნალ-გაზეთობას კი არც მტერი ჰყავს და არც მოყვარე მკითხველად, ამაგებენ კი ჟურნალ-გაზეთებს, თუმცა არც ერთ სტრიქონსაც არა ჰკითხულობენ.

ვისი ბრალია?—ეს საკითხავი წარმოადგენს იმ საშინელეზას, რომელსაც ფრანგები *cercle vicieux*-ს ეძახიან. ლიტერატურა სუსტია, რადგან სახსარი არა აქვს, რითი იცხოვროს: ლიტერატორები თიოქმის ყველა შემთხვევით ლიტერატორებია, რომელნიც მხოლოდ თავისუფალ დროს, ესე იგი ერთ-ორ საათს ანდომებენ ლიტერატურას, რადგანაც დანარჩენი დრო სამსახურსა და ლუკმა პურის შოვნისათვის არის საჭირო. აბა როგორ შეიძლება, რომ ამისთანა პირობებში ნიქმა თავი იჩინოს, გზა გაიკვლიოს! ჟურნალ-გაზეთებს აღარ იწერენ, იმიტომ რომ არც ერთს ფერი არ ეტყობა და განა შეიძლება რომ შემთხვევითმა წერილებმა. რამე ფერი მისცენ ჟურნალ-გაზეთს? ჟურნალ-გაზეთებს კი არ აქვს ფერი და მიმართულება, იმიტომ რომ ხელის-მომწერელი არ არის და თუ არის, დიდი ქველმომქმედი ჰგონია თავის-თავი.

ჩვენ საზოგადოებას, რომელიც იმდენს ხარჯავს ნაღიმების გამართვაზე, ტანისამოსზე და კიდევ უფრო ბანქოს თამაშობაზე, სრულებით არ აქვს ის მოთხოვნილება, რომ თავის ქვეყნის ლიტერატურას მიაქციოს ყურადღება, და ის კი არ იცის, რომ ლიტერატურის სიკვდილი—**ეზის სიკვდილია** და რომ ისინი თავის-თავისავე ქელეხს შეექცევიან. გული გვტკივა და სული გვიწუხს, როცა ამ არა ქრისტიანულ, წარმართისებურ ქელეხს ვუცქერთ.

ერთად ერთი ნუგეში და იმედის მომცემი ის აზრია, რომ შეუძლებელია, რუსთველის მემკვიდრეობა ოხრად დარჩეს, შეუძლებელია ის ღვაწლ-მოსილი ხალხი, რომელმაც მთელ კაცობრიობის აღტაცების და პატივისცემის ღირსი პოეტი დაბადა, სრულებით აღიგავოს პარისაგან ქვეყნისა, და მისი ენა გაჰქრეს, მოისპოს.



იმედი მივცეთ ჩვენ თავს, რომ ბრძანს თვალები როდისმე აეხილება და დაინახავს მის ფეხ-ქვეშ გამოთხრილ სამარეს; რომ ბედნიერი ვარსკვლავი ჩვენს მოკრიალებულ ცაზედაც ამოვა, თუ იგი ამოსულა კიდევ ფინნების, ამ მოღრუბლულ და ბნელ „ბუნების გერების“ ჰორიზონტზე.

ამიტომ საინტერესოა ჩვენთვის ის ფაქტი, რომ ფინნების ლიტერატურა სულ მოკლე ხანო, რაც არსებობს, რომ მხოლოდ ორმოცდა ათი წელიწადია მას აქეთ, რაც იმათ ენაზე დაიბეჭდა პირველი წიგნი, და ეხლა კი ფინნები ამ მხრივ სხვა ევროპის ხალხებს უდრიან, და თითქმის უფრო მალლა დგანან, რადგან არც ერთს ხალხს-ლიტერატურის ნაწარმოები არ აქვს ისე ძვლების ტვინამდე ჩასული და შესისხლხორცებული, როგორც იქა. მხოლოდ იქ არის ლიტერატურა მთელი ხალხის კუთვნილება, და არა მარტო ინტელიგენციისა; მწერლები სწერენ ხალხისათვის და ხალხი სწავლობს ამისათვის, რომ მათი ნაწარმოები წაიკითხოს და არა მარტო სამსახურში წარმატებისათვის. იქ არსებობს ის წმინდა კავშირი ხალხისა და მწერლობის შორის, რომელიც ორივეს ერთმანერთის დარდებს აღარდებს, და ერთმანერთის სიხარულს ახარებს, კავშირი, რომლის ნატამალიც ჩვენში არ მოიპოვება. ამიტომაც, იქ უბრალო ხალხიდან გამოდიან საუკეთესო მწერლები, და საუკეთესო გვარების წარმომადგენლები უბრალო ხალხის გაჭირებას ნადვლობენ და თავიანთ ნაწარმოებში ხატავენ მას.

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ჭეშმარიტება კია, რომ ასე გოლიათურად გაიზარდა ამ პატარა ხალხის (ფინნები სულ  $2\frac{1}{2}$  მილიონს შეადგენენ) ლიტერატურა-ორმოც და ათის წლის განმავლობაში და ევროპის ბუმბერაზთა გვერდით ამოუდგა. ფინლანდიაში ამ წამში არსებობს 80 პერიოდული გამოცემა, რომელთა უმეტესობა მშვენიერ მდგომარეობაშია. ამის გარდა იქ კიდევ შვედურ ენაზე 60 გამოცემა არის; არც ამ 80 გამოცემას კმარობს ფინლანდიის მკვიდრი: შესანიშნავ კარგ მდგომარეობაში არის აქ სახალხო წიგნების გამოცემაც. აქაური მკითხველი აფასებს მწერლების შრომას და მარტო შვე-

დური ლიტერატურით როდი კმაყოფილდება, იგი თავის სამშობლო ენის ნაწარმოებსაც ჰყიდულობს და ჰკითხულობს.

## I

ნაციონალურ ლიტერატურის გაღვიძება დაიწყო ფინლანდიაში ამ საუკუნის ოც და ათ წლებში, როდესაც ერთმა შთამომავლობით შევდელმა ლენროტმა შეჰკრიბა ძველებური ხალხში დარჩენილი გმირული ლექსები „კალევალა“ და „კანტელეტარ“; ამას გარდა მან დასწერა ძალიან სერიოზული გამოკვლევა ხალხური ანდაზებისა, შელოცვებისა და ცრუ-მორწმუნეობის შესახებ. ამითი ამ შესანიშნავმა მშრომელმა არა თუ შესძინა მსოფლიო ლიტერატურას ორი დიდებული ძეგლის დროის პოეზიის ნაშთები, მან გაუღვიძა ფინებს ეროვნული გრძნობა და თვით-ცნობიერება.

ამ ძველებურმა გმირულმა ლექსებმა „კალევალა“-მ და „კანტელეტარ“-მა დიდი გავლენა იქონია ფინელებზე: მათ გამოაღვიძეს აქამომდე მიძინარე სულიერი ძალები და აამოქმედეს ეროვნული შემოქმედობითი ნიჭი.

1847 წ. დაიბეჭდა პირველი კომედია ფინურ ენაზე. ეს კომედია მაინცა და მაინც დიდი ღირსებით არ არის შემკული; მაგრამ ეხლაც ხშირად ინიშნება წარმოსადგენად, რადგან ფინებს უყვართ იგი, როგორც პირველი თავიანთი ლიტერატურისა.

ამ პირველმა წარმატებამ გული გაუკეთა ფინებს. და მას აქეთ არ დაწყნარებულა შრომა ფინების სამშობლო ლიტერატურის ყანაში.

დაულალავად სზარგმნიდნენ შექსპირის, შილლერის, რუნნერბერგის და სხვა უცხოეთის გამოჩენილ მწერლების ნაწერებს; სცემდნენ პოპულარულ სამეცნიერო თხზულებებს, სახელმძღვანელოებს და სხვა წიგნებს, ამითი ფინებს ეძლეოდათ შეძლება, სწავლა სამშობლო ენაზე მიეღოთ. შევდებიც მონაწილეობას იღებდნენ ამ მოძრაობაში, თითქოს უნ-

დოდათ გაესწორებინათ თავიანთ წინაპრების უსამართლობა და მტარვალობა ფინნების მიმართ.

მესამოცე წლებში, აზრის და მწერლობის განთავისუფლების დიდებულმა მოძრაობამ მაგრად ჩასჭიდა ხელი პატარა ერს და წაიყვანა თან წინსვლის გზაზე. ამ დროსვე ეკუთვნის მოღვაწეობა პირველის ფინნელის რომანისტის ალექსის კივისა.

როგორც ლენროტი, ალექსი კივიც (მისი ნამდვილი გვარი იყო სტენვალი) შთამომავლობით შვედელი იყო, მამა ხელოსანი ჰყავდა; არც აღზრდა და არც სწავლა არ მიუღია 17 წლამდე; როცა მან თავისთავად კითხვა შეისწავლა, და 6 წელიწადში მოემზადა უნივერსიტეტისათვის. საშინელმა სიღარიბემ კალამს მოაკიდვინა ხელი და მაშინ გამოაშკარადა მისი ორიგინალური ნიჭი. მან დასწერა რამოდენიმე დრამა და ერთი რომანი (1870 წ.), „*Seitsemön veljestä*“ („შვიდი ძმა“), რომელიც აქამდინ ითვლება საუკეთესო ბელლეტრისტიულ ნაწარმოებად ფინურ ენაზე. იმავე 1870 წ. ნამეტანმა მუშაობამ და სრულმა უსაღსრობამ ახალგაზრდა მწერალი სიგიჟემდე მიიყვანეს; ის შესცდა ჭკუაზე და ორ წელზე შემოლილთა საავადმყოფოში ამოხდა სული.

რამდენად შესამჩნევი იყო კივის ხან-მოკლე მუშაობა სალიტერატურო ასპარესზე, სჩანს იმ ღრმა კვალიდან, რომელიც მან დასტოვა: მთელი სკოლა ახლგაზრდა მწერლებისა მიემზრო მას და მის პრინციპებს ავრცელებდა ხალხში; უმთავრესი ხასიათი ამ კივისაგან გამოწვეულ მიმართულებისა იყო მეტის-მეტად მაღალი შეხედულება სწავლა-განათლების მნიშვნელობაზე ხალხისათვის; აღგზნებული პატრიოტიზმი, მამულის სიყვარული, რომელიც არა თუ მოკლებული იყო ყოველგვარ განკერძოებას და კარ-ჩაკეტილობას, არამედ თხოულობდა კულტურულ ერების დაახლოვებას და ამით ფინნების ერში განათლების შეტანას; მოთხოვნების ხალხური სიუჟეტი და უბრალო, მეტის-მეტად მარტივი შინაარსი და ენა, თუმცა დიდი ყურადღება იყო მიქცეული ენის შემუშავებაზე და, საზოგადოდ, ესტეტიკის მოთხოვნილებაზე; სიუჟეტების ამორჩევაში

ეტყობა ყოველთვის ტენდენცია, თუმცა იმდენად, რომ თვითონ თხზულების ხელოვნურ მხარეს იგი არას უშავებს.

იმავე დროს, როცა კივი ათავებდა თავისს მრავალ ტანჯულ სიცოცხლეს გიჟების სახლში, ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვიდა მეორე სალიტერატურო სკოლის დამფუძნებელი, ისევ უბრალო ხალხისაგან გამოსული მწერალი, პიეტარი პეივარინტი, უბრალო გლეხი, წმინდა ფინლანდიელი და წერაკითხვის ძლივს მცოდნე. ახალგაზდობაში მან შეისწავლა წერაკითხვა, და ამით დაამთავრა თავისი სწავლა-განათლება. მოწიფული ვაჟკაცი იყო, როცა მან ფეხი მოიტეხა და მუშაობა, რასაკვირველია, ვერ შეიძლო. მეტის-მეტად მოსწყინდა უსაქმობა, და ერთხელ მოიფიქრა, მოდი ჩემს ცხოვრებას ავსწერო. ბევრი უბედურება გამოუვლია მას თავის სიცოცხლეში, ბევრი უსიამოვნება შემთხვევია, და სულ ისეთები, რომლებიგან იტანჯებოდნენ ყველა ფინლანდიელი გლეხები. პეივარინტი ქვიანი ადამიანი იყო და იგი მიჰხვდა, რომ თავის ცხოვრების აწერით, ის ასწერს მთელი ხალხის დარდსა და გაჭირვებას, და რომ ამისთანა ნაწერი საჭიროა მივიდეს იმ ბატონების ყურებამდის, რომელთ ხელთ არის სამშობლო ქვეყანა. სხვა არავითარი მიზანი არა ჰქონდა მას, და აი ასე დაიბადა წიგნი „Flämäni“ (ჩემი ცხოვრება 1870 წ.), მოთხრობა, ყოველგვარ ლიტერატურულ ღირსებას მოკლებული, მაგრამ ამის მიუხედავად ეს წიგნი საკვირველს შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. მარტივად და დაწვრილებით, საკვირველის სინამდვილით დახატა მან ფინლანდიელ გლეხის ცხოვრება, მისი უფერულობით და მუდმივი გაჭირვებით, მისი სიბნელის, უვიცობის და უგზო-უკვლობის საშინელება.

ეს იყო სრულებით ახალი მოტივი ფინლანდიის ლიტერატურაში, ამისთანა სინამდვილით არას დროს არ ყოფილა. აწერილი მართალი ტანჯვა ხალხისა, რადგან კივი და იმის მიმდევარი სკოლა ამისთანა აწერისათვის ნამეტანი ესტეტიკის მოყვარული და დამცველი იყო და შვედები—რეალისტები კი ძლიერ კოტად იცნობდნენ ფინლანდიელებს.

მით უფრო იყო ძვირფასი ამისთანა ფოტოგრაფიული გად-  
მოღება ფინლანდიის ხალხის ერის ცხოვრებისა, რომ იმ დროს  
იწყებოდა განახლება ფინლანდიის წეს-წყობილებისა; ეს წიგნი  
იყო დაწერილი უბრალო გლეხისაგან და თავისი სიმარტივით  
თავის სინამდვილეს აშტკიცებდა და ნდობას იწვევდა. ამის გარ-  
და იმ დროს იზადებოდა ხალხური პარტია, და ამისთანა წიგნი  
დიდს სამსახურს გაუწევდა მას.

როგორც მოსალოდნელი იყო, პეივარინტას წიგნმა დიდი  
აღტაცება გამოიწვია და როგორც კივის რომანმა, ამანაც ბევ-  
რი მიმბაძველები გაიჩინა. იმისთანა მწერლებიც გამოჩნდნენ,  
რომელთაც ძლივს-ძლიობით შეეძლოთ წერა, მაგრამ მაინც  
უნაწოლებდნენ მკითხველს თავის ნანახსა და გამონაცადს უბა-  
დრუკ და ღარიბ ხალხის ცხოვრებისაგან, რასაც ჩვეულებრი-  
ვი მწერლები ვერ ხატავენ სრულის სინამდვილით. პეივარინ-  
ტას მიმდევრები კი მხოლოდ სიმართლეს დაეძებდნენ და არავი-  
თარს შნოს არ დასდევდნენ, არც ფორმის და არც სიუჟეტის  
გამორჩევაში. და აი ამ გვარად დაიბადა მეორე სკოლა ფინ-  
ლანდიელ სახალხო მწერლებისა, უკეთ ვთქვათ სახალხო პუბ-  
ლიცისტებისა, რომელნიც მოთხრობის ფორმით სწერენ პა-  
ტარ-პატარა ამბებს ხალხურ ცხოვრებიდან წმინდა პუბლიცის-  
ტურ მიზნით და ეტნოგრაფიულ შენიშენებით.

თავისთავად პეტარი პეივარინტას ნაწარმოებს არავითარი  
ლიტერატურული ღირსება არ აქვს, ამგვარი ნაწერების მნიშ-  
ვნელობა გარეშე მკითხველთათვის მხოლოდ ეტნოგრაფიულია  
და ფინლიანდიაში კი პუბლიცისტური; მაგრამ იმათი მნიშვნე-  
ლობა იმდენად დიდია, რომ ეს ეტნოგრაფიული წერილები  
ითარგმნება ყველა ევროპის ენებზე, და ფინლიანდიაში კი დი-  
დი გავლენა აქვთ მათ ხალხზე და კანონმდებლობაზედაც.

პეტარი პეივარინტა ჯერ კოცხალია. ის 1827 წ. დაბა-  
დებულია და დიდ სიღარებში გაუტარებია უმეტესი ნაწილი  
თავისის სიცოცხლისა. მშობლებმა ასწავლეს კითხვა; ამხანაგე-  
ბისაგან ისწავლა მან წერა. თორმეტი წლიდან ის გახდა უბ-  
რალო მუშად და თავისი შრომით ინახავდა თავს.

სიამოვნება ძლიერ ცოტა უნახავს სიცოცხლეში, იმის მაგვირად ბევრჯერ გამოუცდია შიმშილი, ჯავრისაგან ხშირად ითვრებოდა, ცოლსა და შვილებს სცემდა, სვინილის ქენჯნით იტანჯებოდა და საზოგადოდ ბევრი ჭირი გამოიარა. როცა მან მწერლობა დაიწყო, მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა, და ეხლა ის შეძლებული გლეხია, ყველასგან პატივცემული და დიდ-გავლენიანი. ის დიდი ხანია აღარაფერს სწერს, მაგრამ დიდის ყურადღებით ადევნებს თვალ-ყურს ყოველისაფერს, რაც კი ეხება ფინლანდიის გლეხებს, და განსაკუთრებით თავის მიმდევარ მწერლების მოქმედებას. რამოდენიმეჯერ ის გლეხების წარმომადგენლად ფინლანდიის სეიმში იყო ამორჩეული. პეივარინტა სწავლა-განათლებას სთვლის საუკეთესო წამლად ყოველ-გვარ უბედურობისაგან, მაგრამ საჭიროდ რაცხს მხოლოდ ელემენტარულს სწავლებას ყველასათვის, და სპეციალურს მხოლოდ რამოდენიმე-თათვის. დანარჩენ ცოდნას ის უყურებს, როგორც სრულიად მეტს და გამოუსადევარ ბარგს ადამიანის ტვინისათვის. პეივარინტას ნაწარმოებში საუკეთესოდ ითვლება წინად მოხსენებული ავტო-ბიოგრაფია და ფიქრების კრებული, რომელსაც სათაურად აქვს „ცხოვრების ნანახი“. ამას გარდა მან დასწერა ბევრისაგან ბევრი წერილი წერილები, ამბები და ეტიუდები.

კივი და პეივარინტა, რასაკვირველია, ეხლა საინტერესოანი არიან ჩვენთვის და ყველა უცხოელისთვის, როგორც დამფუძნებელი ეხლა არსებულ ლიტერატურულ სკოლებისა, და ამიტომ ეხლანდელ მათ წარმომადგენლებს ბევრად უფრო დიდი ინტერესი აქვთ ჩვენს თვალში, რადგან ფინლანდიის ლიტერატურა ეხლაც ვითარდება და თავის ჩივილი ხნის მიუხედავად, ძლიერ გაიზარდა და აყვავდა.

როგორც ვხედავთ, ფინლანდიის ლიტერატურაში. ორი მიმართულება არსებობს.

კივისტები—ესე იგი კივის მიმდევრები, —ესტეტიკის დიდი თაყვანის-მცემლები და მშვენიერების შალმერთებელი არიან; ისინი ყველაზე უწინ ხელოვანები არიან ლიტერატურაში.

პეივარინტას მიმდევარნი კი წინააღმდეგ არავითარ ყუ-  
რადლებას გარეგნობას არ აქცევენ, და უკიდურესი დემოკრა-  
ტები არიან.

კივისტები უმაღლესის სწავლა-განათლების მომხრეები  
არიან, უმეტეს წილად კარგ საზოგადოებას ეკუთვნიან და რამე  
კარგის გადმოღება უცხოელთაგან ცოცხად არ მიაჩნიათ. პეი-  
ვარინტისტებს კი არ უყვართ „ბატონები“, უმაღლესი სწავლა  
საჭიროდ არ მიაჩნიათ, და ყოველსავე უცხოურს გვერდს უხვე-  
ვენ ხოლმე.

მაგრამ ამისდა შიუხედავად ამ სკოლას განსხვავებასთან  
დიდი მგავსებაც აქვთ; ორივე მეტის-მეტად პატრიოტულ მი-  
მართულების არიან და იმ აზრს აღიარებენ, რომ ფინლან-  
დია ფინნებისაა და ფინნებისათვისაა“. ორივე სკოლა ხალხის  
სწავლა-განათლებას ძალიან მალა აყენებენ, ოღონდ უმაღლეს  
სწავლაზე მათ შეხედულობას ეტყობა გარჩევა. გარდა ამისა,  
ყველა ფინლანდიელ მწერლებს საკვირველად ეტყობა სინამ-  
დვილედ და სიმართლედ; ოღონდ კივისტები ძალიან არჩევენ სი-  
უხეტს, და ერიდებიან ყოველისფერს ზნეობის შემლახველს  
პეივარინტისტები კი მწერლის პირველ მოვალეობად სთვლიან  
სრულს სინამდვილეს და სიმართლეს. მე ვამაყობ მით, რომ  
ფიცს ქვეშ შემიძლია ვთქვა, ყოველისფერი, რაც აწერილია  
ჩემს წიგნებში, ნამდვილ ცხოვრებიდან არის გადმოღებული,  
ამბობს ამ სკოლის წარმომადგენელი. რასაკვირველია, ეს გან-  
სხვავება აიხსნება იმით, რომ პეივარინტისტები უმეტეს ნაწი-  
ლად უბრალო გაუნათლებელი გლეხებია, და წარმოდგენაც არ  
აქვთ უმაღლესს ხელოვნურ სიმართლეს, რომელსაც ისე მალ-  
ლა აფასებენ კრვისტები, როგორც გონება განვითარებული,  
უნივერსიტეტში ნასწავლი ხალხი.

საუკეთესო და ყველაზე უფრო ნიჭიერი წარმომადგენე-  
ლი კივის სკოლისა არის ეხლა იუხანნი ახო, (იოლან ბრო-  
ფელი). ამ ახალგაზდა მწერალმა, მიუხედავად იმ გარემოები-  
სა, რომ სწერს ენაზე, რომელიც ძლიერ ნაკლებად არის ცნო-  
ბილი ფინლანდიის გარეშე, სახელი გაითქვა თავისი ნიჭით  
უცხოეთშიაც: შვეიცარიაში, გერმანეთში და რუსეთში.

იუხანი ახო სავოლაქსიდან არის, როგორც პეივარინტა, მაგრამ ახოს ძარღვებში უფრო მეტია შვედური სისხლი; მამა მისი მღვდელია და უარს არ ამბობს, რომ იგი ჩამომავლობით შვედელია; ამასთან კარგი ფინლანდიელია და ფინნებიც დიდ პატივს სცემენ მას. ვაჟი კი ნამდვილ ფინლანდიელად სთვლის თავის-თავს და სწერს მხოლოდ ფინურ ენაზე, თუმცა სწავლა შვედურ ენაზე მიუღია.

ახალ-გაზდა მწერალმა ძალიან კარგი საზოგადო სწავლა-განათლება მიიღო გელსინგფორსის უნივერსიტეტში. წერა მან ადრე დაიწყო და სტუდენტობის დროიდან ჟურნალ-გაზეთებში თანამშრომლობდა. პირველში ახო კივის გავლენის ქვეშ იყო, მაგრამ მერე სრულებით თავისებურად დაიწყო წერა, თუმცა მიმართულებით კი კივის სკოლისა დარჩა. მისი ფინურ ენა ისე გამშენიერებულია, ისე ირჩევა სხვა მწერლების ენისაგან, რომ მას კანონიერად მიეთვისება ფინურ ლიტერატურულ ენის შემქნელის სახელი.

პირველი მისი ნაწარმოები იყო ორი პატარა მოთხრობა „როდის იყიდა მამამ ლამაზა“ და „რკინის გზა“. ორივეში საოცარის ჰუმორით აწერილია ის ალიაქოთი, რომელიც შეაქვს კულტურას გაუნათლებელ ერის ცხოვრებაში. ამ ორი მოთხრობიდან დაიწყო ახალგაზრდა მწერლის სახელი. მისი დიდი რომანი, მღვდლის „ქალი“, რომელსაც შეუძლია სრულებით კანონიერი ალაგი დაიჭიროს საუკეთესო ლიტერატურულ ნაწარმოებთა შორის, იყო გადათარგმნილი რუსულ ენაზე „Русский Вѣстник“-ში 1895 წელს. ძალიან ვწუხვართ, რომ დრო და ალაგი არ გვაძლევს ნებას, ეს რომანი გადმოეთარგმნათ აქვე ქართულად. ამ რომანში აწერილია უფერული ცხოვრება მღვდლის ქალისა, რომელსაც პატარობიდანვე მუდამ მორჩილებას და სხვის ნების ასრულებას აჩვევდნენ; ბუნებით ნიჭიერი და აღგზნებული გულის პატრონი, საცოდავი ახალგაზრდა ქალი უნდა დამორჩილებოდა თავის ბედს და შეერთო ისევ მღვდელი, რომელიც სრულებით არ უყვარდა, რადგან დედ-მამის ურჩობას ვერ ბედავდა. ერთად



ერთმა მისმა სიყვარულმა, იმედმა და ოცნებამ, — სტუდენტმა, რომელიც მას გაგიჟებით შეუყვარდა, საშინლად შელახა მისი წმიდა გრძნობა თავისი მანკიერი წინადადებით, და დარჩა ქალი სრულებით უიმედო, უამხანაგო, მარტო-მარტო. მშვენიერ გაუზომელ ზღვის მახლობლად ხშირად იჯდა ის დაღონებული და ზღვასავით უსაზღვრო უიმედობით მოცული. ისე თავისებურად, გრძნობიერად და გატაცებით არის გადმოცემული ეს დრამა, რომ მკითხველის გულს ძალა-უნებურად იზიდავს და თან ღრმა სევდიანობას ჰგვრის.

წვრილმან ამბებში და მოთხრობებში ახო უმეტეს ნაწილად უბრალო ხალხის წრეს ხატავს; თუმცა ხშირად სხვა წრესაც ეხება.

კვის სკოლასვე ეკუთვნის სანტერი ინგმანი, რომლის პატარა მოთხრობა დაბეჭდილია ამავე ნომრის პირველ განყოფილებაში. საზოგადოდ ინგმანი დიდ ბელეტრისტად არ ითვლება — მაგრამ მის მოთხრობებში იმდენი გრძნობაა, იმდენი მზურვალე აღტაცებაა უმაღლესის სიყვარულით და შეწყალებით, რომ უნებლიეთ იტაცებს მკითხველის გულს. ამას გარდა ეს მწერალი შესანიშნავი ნასწავლი კაცია და საკვირველი კარგი პოპულარიზატორი. მის ნაწერებს, სრულებით მეცნიერულს და სერიოზულს, ადვილად და აღტაცებით კითხულობს ხალხი, ისე კარგად და მარტივად სწერს იგი.

ამავე სკოლას ეკუთვნის იუხო რეიონენი. ეს მწერალი მღვდელია, ძალიან მცოდნე ფინლანდელ გლეხობის ცხოვრებისა, რადგან თითონაც ჩამომავლობით გლეხია; მის დიადს ნიჭს, ცოტა არ იყოს, დასტყობია ტეოლოგიური ფაკულტეტი; ცოტად არ იყოს, საღვთის-მეტყველო განათლების მიღებამ შეაწვროვა მისი აზრის ჰორიზონტი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი ნაწერები დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ მკითხველზე. განსაკუთრებით ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს ერთი პატარა მოთხრობა, რომლის თარგმანი არის დაბეჭდილი ამავე ნომერში, „შიმშილის წელიწადი“-ს სათაურით. საოცარი სტილი, ღრმა ტრადიკული სიუჟეტი და ფენომენალური სიმარტივე გადმო-

ცემისა—ყველა ეს საჭირო ღირსება კარგი ბელლეტრისტიულ ნაწარმოებისა მოთავსებულია ამ პატარა მოთხრობაში.

საუკეთესო წარმომადგენელი პეიზაჟისტი სკოლის არის ალკიო, რომლის ნამდვილი სახელი ალექსის ფინლინდერია.

ეს მწერალი იმდენად ორიგინალური და ხელოვნური ნიჭის პატრონია, რომ თითქმის პეიზაჟისტას სკოლის ტრადიციებს გადადის და ძალა-უნებურად ფოტოგრაფიულ გადმოცემის მაგიერად ნამდვილ ხელოვნურ და მაღალის ნიჭით აღბეჭდილ ნაწარმოებს სთხზავს.

ელკიოს ყმაწვილობაში არავითარი სწავლა არ მიუღია, მაგრამ მერე მან თავისთავად შეისწავლა წერა-კითხვა და წიგნების კითხვით შეავსო თავისი ცოდნა. ეხლა ის არის ყველაზე უფრო განათლებული კაცი პეიზაჟისტას მიმდევართ შორის. მან შეადგინა გლეხების რამოდენიმე წრე, რომელთა მიზანი თვით განვითარება და სწავლა-განათლების მიღებაა. ალკიო ხშირად მართავს სახალხო კითხვებს, ამასთანავე იგი საყმაწვილო ჟურნალის რედაქტორია. ამის გარდა ის სწერს ფინურ ყოველ დღიურ გამოცემებში, სადაც იგი უმეტეს წილად გლეხების ინტერესების დამცველია სოფლის ობოლების წინააღმდეგ.

მის ნიჭს დიდი წინსვლა ეტყობა—უკანასკნელი მის მოთხრობებს მეტი არაფერი მოეთხოვება, ისე უნაკლოდონი არიან სიუჟეტის და სტილის მხრივ. ალკიო ეხლაც დიდ ყურადღებას აქცევს სწავლის შეძენას, და ამბობენ რომ თავის-თავად შეისწავლა გერმანული ენა, ისე რომ გერმანულ სამეცნიერო წიგნებს კითხულობს თავისუფლად.

პეიზაჟისტას სკოლას კიდევ მრავალი მწერალი ეკუთვნის და დიდი მნიშვნელობაც აქვთ ფინურ ლიტერატურაში, მაგრამ დრო იმდენი არ გვაქვს, რომ ყველაზე დაწვრილებით ვილაპარაკოთ და ამისათვის ერთის ნიმუშით ვკმაყოფილდებით, და მოგვყავს ალკიოს ნაწარმოები „ყუთის გამო“ (პირველ განყოფილებაში, იხ. სტ. ფინლანდიელების ლიტერატურიდან). ეს პატარა ნაწერი სკოლის საუკეთესო წარმომადგენლისა; — მკაფიოდ წარმოგვიდგენს უმთავრესს და განსაკუთრებულ თვი-

სებებს ამ სკოლისა და მისი წარმომადგენლებისას. ეხლა ორი-  
ოდ სიტყვა ვთქვათ ფინნელ მგონებზე და დრამატურგებზე.

ფინნელი პოეტები ბევრით ჩამოუვარდებიან პროზით მწერ-  
ლებს; უთუოდ იმიტომ, რომ პოეზიისათვის არავის სცალია.  
მიუხედავად ამისა, ფინნებს ჰყავთ ჩამოდენივე პოეტი, რომელ-  
ნიც ჩვენთვისაც საინტერესოა არიან: კარონენი (1775—1840)  
— გლეხების ტრუბადური, რომელიც სოფლიდან სოფელში  
დადიოდა და თხზავდა ნიჟიერ ლექსებს, სხვა-და-სხვა ახალი და  
ძველის დროის ამბების შესახებ. მისი ლექსები „კალევალის“  
შემკრებმა ლენროტმა გამოსცა. პოეტმა ერინ რუდბეკმა ფინ-  
ნური თქმულებანი შეკრიბა; ამ კრებულს დიდი ეტნოგრა-  
ფიული მნიშვნელობა აქვს.

ძალიან ბევრი ღვაწლი მიუძღვის ფინნურ ენის შემუშა-  
ვების საქმეში პოეტს ოქსანენს, რომელიც ათი წელაწაღია,  
რაც გარდაიცვალა. მან დაარსა პირველი დიდი გაზეთი ფინ-  
ნურ ენაზე, შეკრიბა ბევრი სახალხო ლექსი და თქმულებანი,  
და მთელი თავისი სიცოცხლე დასდო ენის შემუშავებისა და  
ეროვნული გრძნობის გაღვიძებისათვის. მისი ლექსები, აღზნე-  
ბული პატრიოტულ გრძნობით აღსავსენი, ძალიან უყვარს ფინ-  
ლანდიელ ხალხს. პაოკ-კაიანლერი, იულიუს კონნი, კრამსუ,  
კაზიმირ ლეინი და ბევრნი სხვანი ფინლანდიელ მუზის ჰანგებ-  
ზე ჟღერენ და ხალხში სახელს იხვეჭავენ.

დრამატიულ ლიტერატურასაც კარგი წარმომადგენლები  
ჰყავს ფინლანდიაში. თუმცა ფინლანდიელ დრამებს ცოტად  
ტენდენცია სჭარბობს და ამიტომ დიდს შთაბეჭდილებას ვერ  
ახდენენ.

სამეცნიერო ლიტერატურასაც ბევრი ნიჟიერი მუშაკი  
ჰყავს; ყველა ნასწავლი ფინალდიელი მოვალეობად სთვლის  
ხალხს გააცნოს მეცნიერება ადვილად გასაგები ფორმით და  
ამიტომ პოპულარიაზატორები ფინლანდიაში უთვალავია. ამის-  
თანა მუშაობა დიდ ცოდნასთან თავ-განწირულებასაც ითხოვს  
და სასიამოვნოც ის არის, რომ ფინლანდიელი მწერლები სა-  
ზოგადო სარგებლობას თავის დიდებას ანაცვალებენ, და თავის

სახელს იმდენად არ დაეძებენ, როგორც ხალხის განათლებას; ამიტომაც არის, რომ ფინლანდიაში ხალხი ბევრად უფრო განათლებულია, ვიდრე განათლებულ ევროპის რომელიმე კუთხეში.

პუბლიცისტებში შესანიშნავია გიორგი ფორსმანე, (იურიე კორკინენი, — მისი ფსევდონიმი), ეს ურიად განათლებული მწერალი, დიდხანს ისტორიის პროფესორად იყო გელსინგფორსის უნივერსიტეტში და მრავალი სერიოზული შრომა შესძინა თავის სამშობლო მხარეს. თავის უმთავრესს ნაწარმოებში მან შეასწორა ის შეცდომები, რომელნიც განგებ შეიტანეს შევდებმა ფინლანდიის ისტორიაში.

1882 წლიდან ფორსმანი სენატორია ფინლანდიელ სენატისა და აქაც მუდმივი მომხრე და მეომარია ფინლანდიელების თავისუფლებისა.

ამის გარდა ბევრია კიდევ სხვა ნიჭიერი პუბლიცისტები; ისიც კი უნდა ვთქვათ, რომ უმეტესი წილი ბელეტრისტებისაც, პუბლიცისტიურს წერილებსაც სწერენ, ასე რომ, ფინლანდიაში თითქმის ყველა მწერალი პუბლიცისტია.

ამ ლიტერატურამ გამოადვიდა ფინლანდიის ერი, განუვითარა ნაციონალური და საზოგადოებრივი თვით-ცნობიერება, და ეს მოხდა სულ მოკლე ხანში, რაღაც 50 წლის განმავლობაში!

მშვიდობიანი კულტურული შრომით ფინლანდიამ მიიღწია იქამდე, რომ ეხლა არც ერთს ევროპის ერს არ ჩამოუვარდება და დიდი პატივისცემაც დაიმსახურა ყველა კულტურული ხალხისა. ფინნელ მუშაკთა უმთავრესი მიზანი, — ხალხის ინტერესი, მისი სარგებლობაა, ლიტერატურა და სკოლები კი — იარაღია. ბედნიერია ის ერი, რომელსაც ისე ღრმად შეუგნია, რომ ყველა თავის ბედის მკვდელია. ჩვენ კი საქმის სიყვარულისა და ენერგიული შრომის მაგიერ, ან სხვის ხელებს შევყურებთ, ან და ჩვენსავე ქელებს შევექცევით. ვისაც ასხიან ყურნი, ისმინონ!...

ნანო ზურაბაშვილა

რა მნიშვნელობა აქვს ისტორიაში ბიროვნებას,

ანუ ადამიანის მოქმედებას?

### ა. კატსანოვისა

(რუსულიდან)

▼ \*)

საფუძვლიანია თუ არა სენტ-ბევის შენიშვნა? ჩვენა გვგონია, რომ ამ შენიშვნაში ცოტაოდენი ჭეშმარიტება მოიპოვება. მერე და რა ჭეშმარიტებაა ეს ჭეშმარიტება? ამ ჭეშმარიტების გამორკვევისათვის საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, ის აზრი განვიხილოთ, რომ ადამიანს „თვისი ნების მოულოდნელი გადაწყვეტილებით“ შეუძლიან შეიტანოს ისტორიის ამბავთა მსვლელობაში ახალი ძალა, რომელიც ამ მსვლელობას საკმაოდ უცვლის ელფერსა. რამოდენიმე მაგალითი უკვე მოვიყვანეთ; ეს მაგალითები, ჩვენის აზრით, საკმაოდ ახასიათებს ამ ძალის მნიშვნელობას. აბა ჩავუკვირდეთ მაგალითებს.

ყველამ კარგად იცის, რომ ლიუდოვიკო მე-XV მეფობის დროს სამხედრო საქმე საფრანგეთში თან-და-თან ეცემოდა. ჰანრი მარტენი მოგვითხრობს, რომ „შვიდი წლის ომის დროს საფრანგეთის მხედრობას უკან მისდევდა მრავლად ზნე-დაცემული დედა-კაცი, ვაჭარნი და მოსამსახურენი. მეზარგე ცხენები კი ომში საჯდომ ცხენებს აღემატებოდა რიცხვით. ამგვარად, ამ დროის საფრანგეთის ჯარი დარიუსის ოქსერქსის ბრბოს

\*) იხ. „მოამბე“ № IX, 1892 წ.

უფრო მოგაგონებდა, ვიდრე ტიურენის და გუსტავ ანდოლფის გაწვრთნილ მხედრობას“. არხენგოლცი მოგვითხრობს თავის ისტორიაში, რომ დარაჯად დაყენებული აფიცრები ხშირად იფიწყებდნენ თავიანთ მოვალეობას, სტოვებდნენ სადარაჯოს და მეზობლებში დაძანდებოდნენ დროს გასატარებლად; უფროსების ბრძანებას, როცა ქეიფი მოუვიდოდათ, მაშინ შეასრულებდნენ. სამხედრო საქმის ასეთი სავალალო მდგომარეობა შედეგი იყო „ძველი წეს-წყობილების“ რღვევა-ნგრევისა და თავად-აზნაურობის დაცემისა; უმაღლესი ადგილები კი ჯარში ჯერ ისევ თავად-აზნაურობას ეჭირა.

ეს საზოგადო მიზეზები საკმარისი იყო, რომ შვიდი წლის ომს საფრანგეთისათვის მიეღო საზარალო მიმართულება, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ სუბიზის მსგავსმა უნიჭო სარდლებმაც ხელი შეუწყეს საფრანგეთისათვის ომის ცუდად გათავებას. რადგან სუბიზი ქ-ნ პამპალურის შემწეობით იყო ძლიერი, მაშინ და ვალიაროთ, რომ პატივის მოყვარე მარკიზა პამპალურიერთი იმ „ფაქტორთაგანია“, რომელმაც გააძლიერა საზოგადო მიზეზების გავლენა შვიდი წლის ომის მსვლელობაზე. მარკიზა პამპალური თავის თავად არავითარ ძალას არ წარმოადგენდა; ის იყო ძლიერი მისგან დამონებული მეფე ლიუდოვიკოს სამეფო უფლებით. განა შეიძლება ესთქვათ, რომ ლიუდოვიკო XV-ს ხასიათი ნამდვილად ისეთი იყო, რომ აუცილებლად უნდა ყოფილიყო, როგორც შედეგი მაშინდელ საფრანგეთის საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებისა? არა, ლიუდოვიკოს ალაგას შესაძლებელია ისეთი მეფე ყოფილიყო, რომელიც არ დაემონებოდა ქალებს. სენტ-ბევი კი იტყოდა რომ შეუმჩნეველ, გამოურკვეველ ფიზიოლოგიურ მიზეზებს ჰქონდა გავლენა და მართალიც იქნებოდა. მაშასადამე სჩანს, რომ ფიზიოლოგიურმა მიზეზებმა იმოქმედეს შვიდი წლის ომის მსვლელობაზე, იმოქმედეს აგრეთვე საფრანგეთის შემდეგ განვითარებაზე. მართლაც, საფრანგეთს მრავალი ახალ-შენები რომ არ დაეკარგა შვიდის წლის ომის წყალობით, შესაძლებელია, რომ შემდეგი მისი განვითარება სხვა მსვლელობას მიიღებდა.

განა ეს დასკვნა არ ეწინააღმდეგება იმ აზრს, რომ საზოგადოებრივ განვითარებას აქვს თავისი ულმოობელი კანონები?

სრულიადაც არა. თუმცა აღნიშნულ შემთხვევაში პირადი თვისებების გავლენა ექვს გარეშეა, მაგრამ არა ნაკლებ ექვს გარეშეა, რომ ასეთი თვისებების გავლენა შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ არსებულ საზოგადოებრივ შარაგნებში. როს-ბახთან შეტაკების შემდეგ ფრანგები მეტად გააფთრებული იყვნენ სუბიზის მფარველ პამპალურზე. აუარებელი უსახელო შეურაცხყოფის ბარათები მოსდიოდა ყოველდღე პამპალურს, რაიცა მეტად აღელვებდა და მოსვენებას არ აძლევდა. მიუხედავად ამისა, პამპალური მაინც მფარველობდა სუბიზსა. 1762 წ. ერთს თავის წერილში უსაყვედურებს სუბიზსა, რომ ვერ გაამართლა მეფის იმედები, მაგრამ თანვე დასძენს: „ნუ შეშინდები, არაფერია, ვეცდები შეგარიგო მეფესო“. როგორც ჰხედავთ პამპალური არ დაემორჩილა საზოგადოების აზრს. რატომ? უთუოდ იმიტომ, რომ იმ დროს საფრანგეთის საზოგადოებას ძალა არა ჰქონდა პამპალურისათვის ეჯობნებინა. რატომ არ შეეძლო? იმიტომ, რომ ხელს უშლიდა საკუთარი ორგანიზაცია, უკანასკნელი კი დამოკიდებული იყო საფრანგეთის საზოგადოებრივი ძალების ურთიერთობაზე.

მაშასადამე, ამ ძალების ურთიერთობის მდგომარეობა გვაჩვენებს, რომ ლიუდოვიკო მე-XV-ს ხასიათმა და მისი საყვარლების კირვეულობამ ასეთი სამწუხარო გავლენა იქონია საფრანგეთის ბედ-იღბალზე. მეფის მზარეული, ან მეჯინიბე რომ ყოფილიყო ქალების მოყვარული და არა თვით მეფე, მაშინ ხომ არავითარი მნიშვნელობა არ ექმნებოდა ამ თვისებას. ცხადია, აქ საჭმე ამ თვისებაში კი არ არის, თვით იმ საზოგადოებრივ მდგომარეობაშია, რომელშიაც მოქმედობს ასეთი თვისების მექონი ადამიანი.

აქედგანა სჩანს, რომ თავის ხასიათის განსაკუთრებულის თვისებით ადამიანს შეუძლიან გავლენა იქონიოს საზოგადოების ბედ-იღბალზე. ხანდახან ასეთის თვისებების გავლენა ძალ-

ზე შესაძინევიცაა, მაგრამ როგორც თვით შესაძლებლობა ამ გავლენისა, ისე მისი ძალაც გაიზომება საზოგადოების ორგანიზაციით, და მისი ძალების ურთი-ერთობით. ადამიანის ხასიათი საზოგადოების განვითარების „ფაქტორად“ ჰხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მას ხელს უწყობს საზოგადოებრივი ურთიერთობა.

შეიძლება გვითხრან, რომ ადამიანის გავლენის სიგრძე-სიგანე დამოკიდებულია თვით პიროვნების ნიჭზეო. ვეთანხმებით, მაგრამ ნიჭს მხოლოდ მაშინ შეუძლიან ფრთა გაშალოს, როცა ამისათვის საჭირო ალავს დაიჭერს საზოგადოებაში. რატომ ჩავარდა საფრანგეთის ბედ-იღბალი ისეთი კაცის ხელში, რომელიც სრულიად მოკლებული იყო საზოგადოების სამსახურის ნიჭსა და სურვილსა? იმიტომ რომ ასეთი იყო საფრანგეთის საზოგადოებრივი ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციით განისაზღვრება საზოგადოებრივი მნიშვნელობა ამა თუ იმ ნიჭიერ, ანუ უნიჭო კაცისა.

თუ კი ადამიანის მნიშვნელობა განისაზღვრება საზოგადოებრივი ორგანიზაციით, მაშ როგორ შეიძლება რომ ადამიანის საზოგადოებრივი გავლენა ეწინააღმდეგებოდეს საზოგადო განვითარების კანონიერებას? არა თუ ეწინააღმდეგება ამ კანონიერებას; პირ-იქით, ცხადად ასურათებს მას. პიროვნების მნიშვნელობა — გავლენა დამოკიდებულია არსებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციაზე. ამით ჩვენ მივალთ იმ მოსაზრებამდის, რომ ხალხის ისტორიულ ბედ-იღბალზე გავლენა აქვს ეგრედ-წოდებულ შემთხვევებს. ლიუდოვიკო მე-XV-ს ვნებათა მოყვარეობა აუცილებელი შედეგი იყო მისი ორგანიზმისა, მაგრამ საფრანგეთის ცხოვრების საზოგადო განვითარების მიხედვით კი ლიუდოვიკოს ვნებათა მოყვარეობა იყო შემთხვევითი. ლიუდოვიკოს ვნებათა მოყვარეობა, როგორც ზევით აღვნიშნეთ, არ დარჩა უმნიშვნელოდ საფრანგეთის ცხოვრების მიმდინარეობისათვის და შევიდა იმ მიზეზების ჯგუფში, რომელმაც შეამზადა მომავალი ბედი საფრანგეთისა. მირაბოს სიკვდილი გამოიწვია პათოლოგიურმა პროცესმა, მაგრამ ამ პროცესის



აუცილებლობა თვით საფრანგეთის საზოგადოებრივი პირობებიდან კა არ წარმოშობილა, არამედ დიდებული მქვერ-მეტყველის სხეულის თვისებისაგან და იმ ფიზიკური პირობისაგან, რომლის გამო მისი სხეული დაავადმყოფდა. საზოგადოდ, საფრანგეთის ცხოვრების მიმდინარეობის მიხედვით ეს თვისება-პირობანი არის შემთხვევითი. მიზანს სიკვდილმა კი იქონია გავლენა რევოლიუციის შემდეგ მსვლელობაზე.

უფრო გასაოცებელია შემთხვევითი მიზეზის მნიშვნელობა ზემოდ აღნიშნულ მაგალითზე, ფრიდრიხ მე-II-ზე. ეს უკანასკნელი გაჭირვებულ მდგომარეობისაგან იხსნა მხოლოდ ბუტურლინის გაუბედაობამ. ბუტურლინის დანიშნა კი არა თუ პრუსიის ცხოვრების მიმდინარეობისთვის იყო შემთხვევითი, თვით რუსეთისათვისაც; არ არის საფუძველს მოკლებული ის აზრი, რომ ბუტურლინის გაუბედაობამ იხსნა ფრიდრიხი ვანწირულ მდგომარეობისაგან. ბუტურლინის ადგილზე რომ სუვოროვი ყოფილიყო, შესაძლებელია, რომ პრუსიის ისტორია სწავგვარ მსვლელობას მიიღებდა. სჩანს, რომ სახელმწიფოს ბედ-იღბალი ზოგჯერ დამოკიდებულია შემთხვევაზე, რომელსაც შეიძლება დავარქვათ მკარე ხანდასხვანა შემთხვევა.

რასაც დასასრული აქვს, მასში შემთხვევითი ელემენტიც არისო, — სთქვა ჰეგელმა. — მეცნიერება მხოლოდ მას ეხება, რასაც დასასრული აქვს, ამისათვის შევვიძლიან ვსთქვათ, რომ ყოველ მოვლენაში, რომელსაც იკვლევს მეცნიერება, მოიპოვება შემთხვევითი ელემენტი. მერე და შემთხვევითი ელემენტები არ უშლის ხელს მოვლენის მეცნიერულად შეგნებას? სრულიადაც არა. შემთხვევა არის შედაწებითი წარმოდგენა, იქ ჩნდება, სადაც აუცილებელი პროცესები თავს იყრის. ევროპიელების ამერიკაში გადასვლა პერუსა და მექსიკისათვის შემთხვევითი იყო, რადგან არ იყო წარმოშობილი. თვით ამ ქვეყნების საზოგადოებრივი განვითარებისაგან; მხოლოდ ის კი არ იყო შემთხვევითი, რომ ევროპიელებმა ადვილად სძლიეს ადგილობრივი მცხოვრებლების წინააღმდეგობას. არც მექსიკისა და პერუს ევროპიელებისაგან დაპყრობის შედეგი იყო შემთხვევი-

თი. ეს შედეგი გამოიწვია ორი ძალის შეხლამ; ერთის მხრით ამ ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა, მეორეს მხრით ეკონომიური მდგომარეობა ევროპიელებისა. ეს ორი ძალა და მათი შეხლა დიდად ღირსია გახდეს მტკიცე სამეცნიერო გამოკვლევის საგნად.

შვიდი წლის ომის შემთხვევებმა დიდი გავლენა იქონიეს პრუსიის შემდეგ ისტორიაზე; მაგრამ მათი გავლენა სრულიადაც არ იქნებოდა ასეთი, რომ შვიდი წლის ომი მოსწრებოდა პრუსიას განვითარების სხვა საფეხურზე. შედეგად ამ შემთხვევებისა აქაც იყო გამოწვეული ორის ძალის შეხლით: ერთის მხრივ პრუსიის სოციალ-პოლიტიკურ მდგომარეობით და მეორეს მხრით იმ ევროპის სახელმწიფოების სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობით, რომელსაც ჰქონდა გავლენა პრუსიაზე. მაშასადამე, შემთხვევა სრულიადაც არ უშლის მოვლენის მეცნიერულად გამოკვლევას.

ესლა ჩვენ ვიცით, რომ პიროვნებას ხშირად დიდი გავლენა აქვს საზოგადოების ბედ-იღბალზე, მაგრამ ისიც ვიცით, რომ ეს გავლენა დამოკიდებულია საზოგადოების შინაგან წყობილებაზე და იმაზე, თუ რა დამოკიდებულება აქვს სხვა-დასხვა საზოგადოებასთან. მაგრამ ამით კიდევ არ ირკვევა სასებთით საგანი პიროვნების მნიშვნელობისა ისტორიაში. ამ საგანს სხვა მხრიდანაც უნდა შევხედოთ.

სენტ-ბევი ჰფიქრობს, რომ მრავალი წერილმანი და ბუნდოვანი მიზეზების წყალობით საფრანგეთის რევოლიუციას შეიძლება სხვაგვარი ბოლო ჰქონოდაო, ეს დიდი შეცდომაა. რაც უნდა თავსატეხად დახლართულიყო ფიზიოლოგიური და ფსიხოლოგიური მიზეზები, ისინი მაინც ვერ მოსპობდნენ საზოგადოების დიდ საჭიროებას, რომელმაც გამოიწვია საფრანგეთის რევოლიუცია. სანამ ეს საჭიროება დაუკმაყოფილებელი დარჩებოდა, მანამ არ ჩაქრებოდა რევოლიუციონური მოძრაობა საფრანგეთში. რევოლიუციას რომ სხვა დასასრული ჰქონოდა, ამისთვის არსებული საჭიროება უნდა შეცვლილიყო. ასეთი

ცვლილების მოხდენა კი ვერავითარი წერილმანი მიზეზების შეერთებას ვერ შეეძლო.

მიზეზი საფრანგეთის რევოლუციისა საფრანგეთის საზოგადოებრივი ურთიერთობა იყო. სენტ-პევისავან აღნიშნულ წერილმან მიზეზებს შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა მარტო კერძო პირების ანდვიდობაზე თვისებაში. მთავარი მიზეზი საზოგადოების ურთიერთობისა უნდა მოიძებნოს საწარმოვო ძალების ვითარებაში. თვით წარმოებითი ძალების ვითარება კერძო პირის ინდივიდუალურ თვისებაზე დამოკიდებულია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს პირები იჩენენ ნიქს ტენიკის გაუმჯობესებასა და აღმოჩენაში. სენტ-პევის ასეთი თვისება არ ჰქონია მხედველობაში. სხვა თვისებებს ადამიანისას კი არა აქვს პირდაპირი კავშირი წარმოებითი ძალების მდგომარეობასთან და მაშასადამე არცა აქვს გავლენა იმ საზოგადოებრივ ურთიერთობაზე, რომელიც წარმოსდგება ეკონომიურად ურთიერთობისაგან. როგორც უნდა იყოს ნიქი და თვისება რომელიმე პირისა, მაინც არ ძალუძს დაარღვიოს არსებული ეკონომიური ურთიერთობა, თუ კი ეს ეკონომიური ურთიერთობა ეთანხმება არსებულ საწარმოვო ძალის მდგომარეობას. მაგრამ კერძო ადამიანის ნიჭზე დამოკიდებული, თუ რამდენად გამოდგება ეს მოღვაწე რომ დააკმაყოფილოს საზოგადოების მოთხოვნილება, რომელიც არის აღმოცენებული არსებული ეკონომიურ ურთიერთობის საფუძველზე. საფრანგეთის საზოგადოების არსებითი საჭიროება XVIII საუკუნის გასულს იყო ძველ საპოლიტიკო დაწესებულებათა ახალ ეკონომიურ წყობილების შესაფერად შეცვლა.

იმ დროის თვალსაჩინო და სასარგებლო მოღვაწენი იყვნენ ისინი, ვისაც სხვაზე უფრო მეტი უნარი ჰქონდა ამ საჭიროების განხორციელებისათვის ხელი შეეწყო. ვსთქვათ, ასეთნი იყვნენ მირაბო, რომესპიერი და ბონაპარტე. რა იქნებოდა, უდროვლად სიკვდილს რომ არ გაექრო მირაბო საპოლიტიკო სარბიელიდან? საკონსტიტუციო მონარქიის მომხრე დასს მეტ ხანს შერჩებოდა დიდი ძალა, რის გამოც საკონსტიტუციო მონარქიის მომხრენი მდ-

გრად გაუმკლავდებოდნენ რესპუბლიკელებს. ეს იქნებოდა და ესა, მეტი არაფერა. ვერავითარი მირაბო ვერ ააცდენდა საფრანგეთს რესპუბლიკელების გამარჯვებასა. მართალია, მირაბო ძლიერი იყო, მაგრამ ვისით? ხალხით და მისი ნდობა-თანაგრძნობით. ხალხი მოთმინებიდან გამოჰყავდა სასახლეს თავის ჯიუტობით ძველი წეს-წყობილების დაცვაში. ხალხი ილტვოდა რესპუბლიკისაკენ და როგორც კი დარწმუნდებოდა, რომ მირაბო არ თანაუგრძნობს მის რესპუბლიკანურ მისწრაფებას, თანაგრძნობას მოაკლებდა მირაბოს და მაშინ ის დაჰკარგავდა ყოველივე გავლენას და თვით შეიქნებოდა მსხვერპლი იმ მოძრაობისა, რომლის შეჩერებას ტყუილ-უბრალოდ ეცდებოდა. დაახლოვებით იგივე ითქმის რობესპიერზე. ვსთქვათ, რობესპიერს ბადალი არა ჰყავდა, მაგრამ თავის დასში მარტო ის ხომ არ იყო? მოულოდნელად რომ რობესპიერს ავური დასცემოდა და მომკვდარიყო, მაგალითად, იანვარში 1793 წ., მის ალაგს, რასაკვირველია, ვინმე სხვა დაიჭერდა. თუნდაც რომ მისი მოადგილე ყოველი მხრით მაზე უარესი ყოფილიყო, საქმე მაინც ასე წავიდოდა, როგორც რობესპიერის დროს. მაგალითად, ჟირონდელები მაშინაც აუცილებლად დამარცხდებოდნენ. შესაძლო იყო, რომ რობესპიერის დასს უფრო ადრე გამოსცლოდა ხელიდან უფლება. იქნება სთქვას ვინმემ, რომ რობესპიერმა ტერრორით კი არ შეაჩერა, დააჩქარა კიდევ თვისი დასის დაღუპვაო. ამაზე ჩვენ არ ავხიროდებით. ვსთქვათ, რომ ეს მოსაზრება სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ რა გამოვა აქედან? რობესპიერის დასის დამარცხება, ადრე იქნებოდა თუ გვიან, უთუოდ უნდა მომხდარიყო? უნდა მომხდარიყო იმიტომ, რომ ის ნაწილი ხალხისა, რომლითაც ძლიერი იყო ეს დასი, სრულიად არ იყო მომზადებული ხანგრძლივი ბატონობისათვის. იმაზე ლაპარაკიც არა ღირს, ვითომ საფრანგეთის რევოლუციას სულ სხვა შედეგი მოჰყვებოდა, რობესპიერს ნაკლები ხასიათის ძალა და ენერჯია რომ გამოეჩინაო.

სხვა გვარი შედეგი მაშინაც კი არ შეიძლებოდა, რომ ბონაპარტე ტყვიას გაეხვრიტა არკოლთან შეტაკებაში. რაც

ბონაპარტემ იმოქმედა იტალიისა და სხვა ომებში, იგივე შეეძლოთ სხვა სარდლებსაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ უკანასკნელნი უეჭველად ვერ გამოიჩინდნენ ბონაპარტეს მსკავის ნიჭსა და ვერც გაიმარჯვებდნენ ისე სასახელოდ. მაგრამ საფრანგეთის რესპუბლიკა მაინც გამარჯვებული გამოვიდოდა ამ ომებიდან, რადგან მისი ჯარის-კაცი ევროპისაზე შეუდარებლად მაღლა იდგა. შესახებ იმისა, თუ რა გავლენა ჰქონდა საფრანგეთის შინაურ ცხოვრებაზე 18 ბრიუმერსა, უნდა ვსთქვათ, რომ ამბავთა მსვლელობა ისეთივე იქმნებოდა, როგორც ნაპოლეონის დროს. სასიკვდილოდ დაკოდილი ცხრა ტერმიდორს რესპუბლიკა ნელ-ნელა ჰლევდა სულსა.

დირექტორიამ ვერ შესძლო აღედგინა წესიერება, რომელიც მეტად სასურველი იყო უმაღლესის წოდების ბატონობისაგან განთავისუფლებული ბურჟუაზიისათვის. წესიერების აღსადგენად, სიესის სიტყვით, საჭირო იყო „განგა მახვილი“. ჯერ ჰტიქრობდნენ, რომ მხსნელ „მახვილად“ გამოდგებოდა გენერალი ჟურდანი; როდესაც ჟურდანი მოჰკლეს, მაშინ თვალი მიაპყრეს მოროსა, მაკდონალდსა და ბერნადოტსა. ბონაპარტე ბოლოს ახსენეს და ისიც რომ მოეკლათ ჟურდანისაგან, სრულთადაც დაივიწყებდნენ ნაპოლეონსა და ვინმე სხვა სარდალს წამოაყენებდნენ. რასაკვირველია, ის ადამიანი, რომელსაც გარემოება ხელს უწყობდა დიქტატორი გამხდარიყო, თითონაც დაუღალავად ეცდებოდა, შეუბრალებლად გაესრისა და დაეთრგუნა ყველა დაბრკოლება, რაც კი გზაზე გადაელობებოდა. ბონაპარტე რკინის ენერგიის პატრონი იყო და არაფერს არა ზოგავდა თვისი განზრახვის მისაღწევად. მაგრამ ბონაპარტის გარდა სხვანიც მრავალნი იყვნენ ენერგიით, ნიჭით და პატივმოყვარეობით აღჭურვილი ეგოისტები. ასე რომ ალაგი, რომლის დაჭერაც მან მოახერხა, უეჭველად არ დარჩებოდა ცალიერი. ვთქვათ, სხვა სარდალს, უფრო მშვიდობის მოყვარეს დაეჭირა ნაპოლეონის ალაგი, ასეთი კაცი არ გადაიკიდებდა მტრად მთელს ევროპას და ამიტომ განსხვავება ის იქმნებოდა, რომ განუტევებდა სულს ტიულიერში და არა წმ. ელ. კუნ-

ძულზე. მაშინ ბურბონები სრულიადაც ვერ დაბრუნდებოდნენ საფრანგეთში და მათთვის ასეთი შედეგი იქმნებოდა, რასაკვირველია, **წინააღმდეგა** მისა, რაც ნამდვილად მოჰხდა. ორივე გვარი შედეგი საფრანგეთის შინაგან ცხოვრებისათვის კი თითქმის ერთი და იგივე იქმნებოდა. „კარგი მახვილი“ აღადგენდა რა წესიერებას და უზრუნველ ჰყოფდა ბურჟუაზიის ბატონობას, მასევე, ესე იგი ბურჟუაზიასვე მობეზრდებოდა თავისი მხედრული მიდრეკილებით და „დესპოტიზმით“, დაიწყებოდა ლიბერალური მოძრაობა ისე, როგორც რესტავრაციის დროს; ბრძოლა თანდათან გამწვავდებოდა და რადგან „კარგ მახვილს“ დათმობა არ ეჭაშნიკება, შესაძლებელია ლუი-ფილიპეს დაეჭირა თავის საყვარელი ნათესავების ტახტი არა 1830 წ., არამედ 1826 წ. ან 1825 წ. ყველა ასეთს ცვლილებას ისტორიულ ამბავთა მსვლელობაში შეეძლო ემოქმედნა ევროპის პოლიტიკაზე და ამით ემოქმედნა მის ეკონომიურ ცხოვრებაზედაც. მაგრამ დასასრული რევოლუციონური მოძრაობისა არას შემთხვევაში არ იქნებოდა **წინააღმდეგა** ნამდვილის შედეგისა. გავლენიან აღამიანებს თვისი განსაკუთრებული ჭკუით და ხასიათით შეუძლიანთ მხოლოდ მისცენ მოვლენას თვისი ინდივიდუალური ფიზიონომია, სახე და ზოგიერთი შედეგი ისტორიული ამბისა შესცვალონ, მხოლოდ „საზოგადო მიმდინარეობა“ ისევ ძველი დარჩება. ამ საზოგადო მიმართულებას ისინი ვერ შესცვლიან, რადგან მისი მიმდინარეობა დამოკიდებულია სრულიად სხვა ძალებზე.

## VI

გარდა ამისა, აი კიდევ რა უნდა შევნიშნოთ. როდესაც შესანიშნავი პირების მნიშვნელობაზე ვლაპარაკობთ ისტორიაში, თითქმის ყოველთვის შეცდომა მოგედის. სასარგებლოდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ეს შეცდომა. ნაპოლეონი, შეუდგა რა „კარგი მახვილის“ როლის აღსრულებას ო წესიერების დამყარებას საზოგადოებაში, სხვა დანარჩენი გენერლები (სარდლები),

გზიდან მოიცილა, რომელთაც, შესაძლებელია, ნაპოლეონზე ნაკლებად არ შეესრულებინათ „კარგი მახვილის“ როლი. რადგან საზოგადოების მოთხოვნილება დაკმაყოფილდა, რადგან საზოგადოებამ იპოვნა ენერგიული სამხედრო მმართველი, მეტიც აღარა უნდოდა-რა; ამისათვის თვით საზოგადოების ორგანიზაცია გადაეღობა გზაზე სხვა სამხედრო ნიჭისა და ხელი შეუშალა მისულიყო მმართველობამდის. ამგვარად თვით ორგანიზაციამ ხელი შეუშალა თავი ეჩინა სხვა ნაპოლეონის მსგავსს ნიჭსა. აი ამის გამო შეედივართ ჩვენ შეცდომაში. ამის გამოა, რომ ნაპოლეონის პირადი ძალა ჩვენ მეტად განდიდებული გვეჩვენება. ნაპოლეონს ვაწერთ ჩვენ იმ საზოგადოებრივ ძალას, რომელმაც წინ წამოაყენა და აღორძინა თვით ნაპოლეონის პირადი ძალა. ჩვენ ეს ძალა რაღაც განსაკუთრებულად იმისთვის მიგვაჩნია, რომ სხვა მისივე მსგავსი ძალა ვერ გადავიდა **სინამდვილეში**. თუმცა შესაძლებელი კი იყო და როდესაც ჩვენ გვეკითხებიან:—რა იქნებოდა, ნაპოლეონი რომ არ ყოფილიყოვო,—გონება გვებნევა და გვეგონია, უიმისოდ სრულიად შეუძლებელი იყო ის საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელზედაც იყო დამყარებული თვით მისი ძალა და გავლენა.

კაცობრიობის გონებრივ წარმატების ისტორიაში ერთის წარმატება უფრო უშლის ხელს მეორესა. მაგრამ აქაც იშვიათად შეცდომა მოგვდის. როცა საზოგადოების არსებული მდგომარეობა წამოაყენებს რაიმე საკითხს (სარკვევს) საზოგადოების სულიერი ძალების გამომხატველ მეცნიერთა წინაშე, იგი საკითხი მიიპყრობს ხოლმე ყურადღებას ყველა გამოჩენილი ჯკუის პატრონისას. როდესაც გამოარკვევენ ერთსა, ყურადღებას მიაქცევენ ხოლმე მეორესა. ავიღოთ მაგალითად A, რომელმაც გამოარკვია X საკითხი; მაშინ A—მეორე ნიჭიერი კაცის, ვთქვათ, B-ს, ყურადღებას X საკითხიდან გადაიტანს Y-საკენ. როცა ჩვენ გვეკითხებიან—რა იქნებოდა A რომ მომკვდარიყოვო, რომ ვერ მოესწრო X საკითხის გამოარკვევაო, მაშინ ჩვენა გვეგონია, რომ გაწყდებოდა საზოგადოების გონებრივი განვითარე-

ბის ძაფი. სრულიად გვაფიწყდება, რომ A-ს სიკვდილით საქმე არ დაილუპებოდა, მის სიკვდილის შემდეგ დაწყებულს საქმეს მოჰკიდებდა ხელს ან B, ან C და ან D, ასე, რომ მიუხედავად A ს უდროვოდ დაკარგვისა, გონებრივი განვითარების ძაფი გაუწყვეტელი დარჩებოდა.

რომ ნიჭიერმა ადამიანმა მოიპოვოს რამე გავლენა ისტორიულ ამბავთა მსვლელობაზე, საჭიროა ორი პირობა: პირველი, ამ ადამიანის ნიჭი სხვაზე უფრო შესაფერი უნდა იყოს ეპოქის საზოგადოების მოთხოვნილებისა: მაგალითად, ნაპოლეონი რომ ბეტხოვენსავით მუსიკის გენიოსი ყოფილიყო და არა სამხედრო, რასაკვირველია, ვერ გახდებოდა იმპერატორი. მეორე, არსებული საზოგადოებრივი წყობილება არ უნდა გადაეღობოს გზაზე ისეთ ადამიანს, რომელსაც აქვს უნარი დროის შესაფერი საჭირო და სასარგებლო მოქმედებისა. იგივე ნაზოლეონი უბრალო გენერალად, ან პოლკოვნიკ ბუონაპარტედ მოკვდებოდა, უკეთუ ძველი რეჟიმი გასძლებდა საფრანგეთში ასე 75 წელსა. 1789 წელს დავუ, დეზე, მარმონი და მაკლონალდი ზადზარუჩაკები იყვნენ; ბერნადოტი—სერჯანტ-მაიორი; გოშ, მარსო, ლეფევერ, პიშეგრიუ, ნეი, მასსენა, მიურატი, სულტ—უნტენ-აფიცრები; ოეერო.—ფიხტოგანაის მასწავლებელი; ლანნ — ძღებაგი; გუვიონ სენ-სირ — მსახიობი; ჟურდანი—წერილების დამტარებელი; ბეზერ—დალაქა; ბრიუნ—ასოთ-ამწყობი; ჟუბერ და ჟიუნო—აუნადიული ფაქულტეტის სტუდენტები; კლებერ—ხუნოთ-მომღვანე; მორტიე სამხედრო სამსახურში არც კი შესულა რევოლიუციამდის.

თუ ძველი რეჟიმი ჩვენ დრომდის არსებულიყო, რომელი ჩვენთაგანი წარმოიდგენდა ეხლა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მე-18 საუკუნის გასულს საფრანგეთში, ვინმე მსახიობნი, ასოთ-ამწყობნი, დალაქი, მღებავნი და სხვ. გამხდარიყვნენ დიდებულ სამხედრო კაცებად? სტენდალი ამბობს, რომ ის კაცი, რომელიც დაიბადა ტიცინანის დაბადების დროს, ესე იგი 1477 წ., იქნებოდა თანამედროვე ყველა გამოჩენილი მხატვრებისაო, როგორც მაგალითად რაფაელისა, ლეონარდო დავინჩისა, კო-



რეჯიოსი, მიქელ-ანჯელოსი და სხვ. ერთის სიტყვით, იქნებოდა თანამედროვე ყველა შესანიშნავი მხატვრებისა, გარდა ბოლონის სკოლის მხატვრებისა, რადგან ეს სკოლა ერთი საუკუნით უფრო გვიან განვითარდა. ესევე ითქმის იმაზე, ვინც კუვერმანთან ერთ წელს დაიბადებოდა. ამ კაცს შეეძლო პირადად სცნობოდა თითქმის ყველა ჰოლანდიის გამოჩენილი მხატვრები. შექსპირის ხნის კაცი იქნებოდა თანამედროვე მრავალი გამაჩნადის დრამატურგისა. დიდი ხანია შენიშნულია, რომ ტალანტი იბადება ყველგან და ყოველთვის, როდესაც არსებობს ისეთი საზოგადოებრივი პირობები, რომელიც ხელს უწყობს მის განვითარებას. უკეთ რომ ვსთქვათ, ყოველი ნიჭიერი კაცი, რომელიც გამოდის სამოქმედო ცხოვრებაში, არის ნაყოფი საზოგადოების ურთიერთობისა, ამ ურთიერთობისგან არის შექმნილი საზოგადოებრივი ძალა.

რადგან ეს ასეა, ცხადია, რომ დიდი ნიჭის პატრონთ შეუძლიანთ მხოლოდ ინდივიდუალური ფიზიონომია შეუცვალონ ისტორიულ ამბავთა მსვლელობას და არა თვით საზოგადო მიმართულება. ამ საზოგადო მიმართულებისაგან არიან ისინი წარმოშობილნი და თუ არ ეს საზოგადო პირობანი, ვერაოდეს ვერ გახდებოდნენ ნამდვილ მოღვაწეებად. რასაკვირველია, ნიჭიც არის და ნიჭიც. ტენი სამართლიანად ამბობს: „როცა ცივილიზაციის განვითარების ახალი ნაბიჯი მოამზადებს ნიადაგს ახალი ხელოვნებისათვის, მრავალი ნიჭიერი კაცები გამომჩნდებიან ხოლმე ამ ხელოვნების გამომხატველად, მხოლოდ მათგანი ერთი ან ორი გენიოსი სავსებით შეიძლება საზოგადოების აზრის გამოხატვას, დანარჩენი კი ნახევრად.—რაიმე მხანიკურს ან ფიზიოლოგიურ მიზეზს, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა იტალიის პოლიტიკურ და სულიერ საზოგადო განვითარებასთან, ბავშვობისას რომ მოეკლა რაფაელი, მიქელ-ანჯელო და ლეონარდო დავინჩი, იტალიის ხელოვნება, მართალია, ვერ მიაღწევდა უმაღლეს განვითარების წერტილამდის, მაგრამ მისი განვითარების საზოგადო მიმართულება განახლების ხანაში იგივე იქმნებოდა. რაფაელს, ლეონარდო და-

ვინჩს და მიქელ-ანჯელოს არ შეუქმნიათ ეს მიმართულება. ისინი იყვნენ მხოლოდ საუკეთესო გამომხატველნი ამ მიმართულებისა. მართალია, რომ გენიოსის წყალობით ვითარდება მთელი სკოლა; ისიც მართალია, რომ გენიოსის მოწაფენი ცდილობენ შეითვისონ უუწვრილმანესი წესები მისი ხელოვნებისა; ამიტომ გენიოსის უდროვოდ სიკვდილი, რასაკვირველია, იქონიებს გავლენას ხელოვნების განვითარების ზოგიერთ მხარეზე. აი, როგორც მაგალითად რაფაელის, მიქელ-ანჯელოს და ლეონარდო დავინჩის ადრე სიკვდილის გამო იტალიის განახლების ეპოქის ხელოვნებაში დარჩა ნაკლი, რომელიც უთუოდ დიდ გავლენას იქონიებდა ხელოვნების განვითარების ზოგიერთ მეორე-ხარისხოვან მხარეზე. ხოლო რაც შეეხება მის არსებით ცვლილებას, ეს მხოლოდ მაშინ მოხდებოდა, როდესაც თვით იტალიის სულიერ განვითარების საზოგადო მიმდინარეობაში მოხდებოდა ცვლილება რაიმე საზოგადო მიზნებისა გამო.

მართალია, თუ უბედურმა შემთხვევამ ზედი-ზედ მოგვტაცა ნიჭიერი კაცნი, მაშინ არსებული მიმართულება ხელოვნებაში დარჩება გამოუხატავი; მაგრამ ასეთი კაცების უდროვოდ დაკარგვა მაშინ არის საგრძნობელი, თუ ეს მიმართულება იმდენად ღრმა არ არის, რომ წამოაყენოს ახალი ნიჭი. რადგანაც სიღრმე ყოველი მიმართულებისა ხელოვნებაში და ლიტერატურაში დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ალაგი უჭირავს წრეს, ანუ კლასსა საზოგადოებაში, რომლის გემოვნების გამომხატველიც ეს მიმართულებაა. გამოდის, რომ აქაც ყველაფერი დამოკიდებულია საზოგადო განვითარების მსვლელობაზე და საზოგადო ძალების ურთიერთობაზე.

## VII

კიდევ ვიმეორებთ, რომ შესანიშნავი ადამიანის პირადი თვისება ისტორიულ ამბავთა მსვლელობას აძლევს თავის ინდივიდუალურ ფიზიონომიას. შემთხვევით ელემენტებს, რომელიც

ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ, რასაკვირველია, ყოველთვის აქვს აგრეთვე რაიმე მნიშვნელობა ისტორიულ ამბავთა მსვლელობაზე, ხოლო თვით ამ ამბავთა მსვლელობის მიმართულება კი დამოკიდებულია ცხოვრების საზოგადო მიზეზებზე, ესე იგი საწარმოვო ძალის განვითარებაზე და ადამიანების ურთიერთობაზე წარმოების პროცესში. რასაკვირველია, სხვა-და-სხვა შემთხვევა და შესანიშნავ მოღვაწეთა პირადი თვისება-ღირსებანი უფრო თვალში მოგხვდება ერთი შეხედვით, ვიდრე ცხოვრებაში ღრმად ჩამარხული საზოგადო მიზეზები. მე-18 საუკუნის ისტორიკოსებს ბევრი არ უმტკრევიათ თავი ამ საზოგადო მიზეზების გამოკვლევისათვის; იმათ ისტორია აღიარეს ისტორიულ მოღვაწეების შეგნებული მოქმედების ნაყოფად.

წარსულ საუკუნის ფილოსოფოსები ამტკიცებდნენ— ისტორიამ უმნიშვნელო მიზეზების გავლენითაც კი შეიძლება სხვა მიმართულება მიიღოსო. ახალი მიმართულების მომხრენი ამტკიცებდნენ, გარდა საზოგადო მიზეზებისა ისტორიას სხვა ვერავითარი მიზეზი ვერ წაიყვანდა სხვა გზით და არა იმ გზით, როგორც ნამდვილად წავიდაო. ამასთანავე უკანასკნელი იმდენად გაიტაცა სურვილმა, რაც შეიძლება ძლიერად აღენიშნათ საზოგადო მიზეზების მნიშვნელობა, რომ ისტორიულ მოღვაწეთა პირადი თვისების მნიშვნელობა სრულიად უყურადღებოდ დასტოვეს. მათის აზრით, ისტორიულ ამბავთა მსვლელობა ოდნავათაც არ შეიცვლებოდა, ერთი მოღვაწის ალაგი მეორე ცოტად თუ ბევრად ნიჭიერს რომ დაეჭირაო. თუ ასეთ მოსაზრებას ალაგს მივსცემთ, მაშინ აუცილებლად უნდა აღვიაროთ, რომ ადამიანის ზარდაცობას აწავითაწი მნიშვნელობა აწა აქვს ისტორიაში და ყველაფერი უნდა ავხსნათ საზოგადო მიზეზებით და ისტორიული მოძრაობის საზოგადო კანონებით. ეს უკიდურესობა და უარყოფა იყო იმ მცირეოდენი ჭეშმარიტებისა, რომელიც მოთავსებულია წინააღმდეგ შეხედულობაში. ეს ორი შეხედულობა ისტორიაზე შეეჯახა ერთმანეთს. პირველსა სწამდა მარტო საზოგადო მიზეზები, მეორეს—კერძო ადამიანის მოღვაწეობა. მეორე შეხედულობის თვალ-ხედვითი ისრით.

ისტორია რაღაცა შემთხვევათა დახლორთვას წარმოადგენდა; ხოლო პირველი შეხედულობის თვალხედვითი ისრით თვით ისტორიული ამბების ინდივიდუალური ფიზიონომიაც კი იხსნებოდა საზოგადო მიზეზებით; თუ ასეა, თუ ისტორიულ ამბავთა ფიზიონომია დამოკიდებულია საზოგადო მიზეზებზე და არა ისტორიულ მოღვაწის პირად თვისებაზე, მაშ ისტორიულ ამბავთა ფიზიონომია უცვლელი უნდა დარჩეს, ერთი უნიჭო მოღვაწის ალაგას მეორე ნიჭიერი რომ ჩადგეს?!. როგორც ვხედავთ, ამგვარად თეორია ფატალისტურ ხასიათს ღებულობს.

ეს არ გამოჰპარვიათ მის მოწინააღმდეგეთ. სენტ-ბევემა მინიეს შეხედულობა ისტორიაზე ბოსიუესას შეადარა. ბოსიუესას აზრით, ძალა, რომელიც ჰქმნის ისტორიას, ცით მოვლენილია, ყოველი ისტორიული ამბავი ღვთის ნების გამომქვადნებაა. მინიე კი ამ მკაცრ სასტიკ ისტორიის მჰოდრავ ძალას ადამიანის ვნებაში ეძებდა. ორივე კი ისტორიას ისე უყურებდნენ, თითქო რაღაც გარეშე ძალა წინდაწინ სწყვეტდა ასეთ და არა სხვაგვარ მის ბედს. ორივე ფატალისტებია. ამგვარად, თავის შეხედულობით ფილოსოფოსი დაუახლოვდა მღვდელს.

ასეთს საყვედურს ადგილი ჰქონდა მანამდის, სანამ მოძღვრებამ საზოგადო მოვლენების კანონიერებაზე თითქმის არ გააქარწყლა შესანიშნავ მოღვაწეთა პირადი თვისების გავლენა ისტორიულ ამბებზე. მით უფრო მეტი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა ამ საყვედურს, რომ ახალი სკოლის ისტორიკოსები მეთაურამეტე საუკონის ისტორიკოს-ფილოსოფებსავეთ ადამიანის ბუნებას სთვლიდნენ ერთად-ერთ წყაროდ, საიდანაც წარმომდინარეობდა და რომელსაც ექვემდებარებოდა ყველა საზოგადო მიზეზნი ისტორიის მსვლელობისა. რადგან საფრანგეთის რევოლიუციამ ნათლად დაგვანახვა, რომ ისტორიის ამბავთა მსვლელობა დამოკიდებული არ არის მარტო ადამიანის შეგნებულ მოქმედებაზე, მინიე, გიზომ და სხვა ამ მიმართულების მსწავლულებმა წამოაყენეს ადამიანის ვნება — სურვილები, რომელიც, მათის სიტყვით, ხშირად ისე ჰმოქმედობს, რომ არ ემორჩილება გონებას. თუ კი ადამიანის ვნება-სურვი-

ლი ისტორიულ საქმეთა საბოლოო მიზეზია, მაშ მართალია სენტ-ბევი, როცა ამტკიცებს, რომ საფრანგეთის რევოლიუციას სულ სხვა შედეგი ექმნებოდა, უკეთუ გამოჩნდებოდა ვინმე, და სხვა წინააღმდეგ სურვილს ჩაუწერავდა ხალხსა. ამაზე მინიე უთუოდ ასეთ პასუხს მოგვცემდა: თვით ადამიანის ბუნების თვისებანი ისეთია, რომ მაშინ სხვა სურვილები ვერ აღეშლებოდა ფრანგებს. ზოგიერთის მოსაზრებით ეს მართალიც იქნებოდა, მაგრამ ამ სიმართლეს ფატალისტური ელფერი დაედებოდა. ეს იგივე აზრი იქნებოდა, ვითომ კაცობრიობის ისტორია მთელი თავისი წვრილმანებით წინ და წინ განსაზღვრულია ადამიანის ბუნების საზოგადო თვისებისაგან. ხშირად ამბობენ: „თუ კი ყველა საზოგადო მოვლენა აუცილებელია, მაშინ ჩვენ მოღვაწეობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს“. ეს სწორი მოღვაწეობაა, მაგრამ ცუდადაა გამოთქმული. უნდა ითქვას: თუ კი ყველაფერი საზოგადო მიზეზების გამო ხდება, მაშ მოღვაწის თვისებას საზოგადოდ და კერძოდ ჩემს მოღვაწეობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ასეთი დასკვნა სამართლიანია. მხოლოდ ამით ვერ სარგებლობენ რიგიანად: ამ დასკვნას არავითარი აზრი არა აქვს, როცა ლაპარაკი თანამედროვე მატერიალისტურ შეხედულებაზეა ისტორიაში, რადგან მატერიალისტური შეხედულება ალღვს ძლიერს ადამიანის მოსაზრებას. საფრანგეთის ისტორიკოსების შესახებ კი ასეთ დასკვნას ადგილი ჰქონდა.

ესეა ყოველად შეუძლებელია ადამიანის ბუნება ჩაითვალოს ისტორიის მოძრაობის ერთადერთ მიზეზად. თუ წარმოვიდგენთ, რომ ბუნება მუდამ ერთი და იგივეა, და არა ცვალებადი, მაშინ არ აიხსნება ისტორიის ცვალებადობა; და თუ ბუნება ცვალებადია, ცხადია, მისი ცვალებადობა თვით დამოკიდებულია ისტორიულ მოძრაობაზე. ამ ქამად კაცობრიობის ისტორიის მსვლელობის ძირითად მიზეზად უნდა აღვიაროთ საწარმოვო ძალების განვითარება, რომელზედაც დამოკიდებულია და რომელიც ახდენს თან-და-თანობით ცვლილებას ადამიანთა საზოგადოებრივ ურთიერთობაში. რასაკვირველია, გარდა ამ სა-

საზოგადო მიზეზისა, მოქმედობენ კიდევ განსაკუთრებულა მიზეზებიც, როგორც მაგალითად ისტორიული განკეობება, რომელშიაც ვითარდება საწარმოვო ძალა ამა თუ იმ ხალხისა, მაგრამ თვით ეს გარემოება რამ შექმნა? სხვა ხალხების ამავე საწარმოვო ძალის განვითარებამ, ესე იგი იმავე საზოგადო მიზეზმა.

განსაკუთრებითა მიზეზების გავლენას ემატება კიდევ მოღვაწე ადამიანების პირად თვისებათა და სხვ. წვრილმან შემთხვევათა გავლენა, რის გამოც ისტორიული მოვლენა მიიღებს ხოლმე თავის ინდივიდუალურს ფიზიონომიას. თუმცა ექვს გარეშეა, რომ ისტორია სხვა ფიზიონომიას მიიღებს, თუ ერთი მოღვაწის ალღეს მეორე დაიჭერს, მაგრამ საზოგადო და განსაკუთრებითა მიზეზების მოქმედებაში კი ადამიანის მოღვაწეობა ვერ შეიტანს ძირითად ცვლილებას.

ლეონო და ლამპრეტი ადამიანის ბუნებას დღემდის სთელიან კაცობრიობის ისტორიულ მოვლენათა ძირითად მიზეზად. დაუბრუნდეთ ისევ ჩვენს საგანს. შეიანიშნავი მოღვაწე დიდებულია არა იმითი, რომ ის თავის ინდივიდუალურ ფიზიონომიას აძლევს ისტორიულ ამბავსა, არამედ იმითი, რომ პირადი ღირსების წყალობით საშუალება ეძლევა სხვაზე კარგად ემსახუროს თავის დროის საზოგადოების საჭიროებას; ხოლო ეს საჭიროება კი საზოგადო და განსაკუთრებული მიზეზების გავლენით არის აღმოცენებული. კარლეილი გამოჩენილ ადამიანებს საქმის დაძვეებს უწოდებს. მართალიცაა, დიდებული ადამიანი დამწყებია საქმისა, იმიტომ, რომ ის სხვაზე უფრო შორს ქვავს და სხვაზე უფრო ძლიერად სურვილის მექონეა. დიდებული ადამიანი არკვევს სამეცნიერო საგანს, რომელიც უკვე მომზადებული და წამოყენებულია საზოგადო გონების განვითარების მსვლელობისაგან; გეაჩვენებს ახალ საზოგადო საჭიროებას, რომელიც უკვე შექმნილია საზოგადოების ურთიერთობის განვითარებისაგან და ლებულობს შრომას დააკმაყოფილოს ეს საჭიროება. მაშასადამე ასეთი მოღვაწე გმირია. გმირია, მაგრამ არა იმდენად, რომ შესძლოს შეაყენოს, ან

შესცვალოს საქმეთა ბუნებრივი მსვლელობა; არა, მისი მოღვაწეობა არის მხოლოდ შეგნებული და თავისუფალი გამოხატვა აუცილებლობისა. ამაშია მთელი მისი ძალა. განა ეს ცოტაა? ეს დიადი მნიშვნელობაა, ეს საშინელი ძალაა.

ბისმარკმა სთქვა, ჩვენ ვერ დაებადავთ ისტორიას, უნდა ვუცადოთ, ვიდრე თვით დაიბადებოა. მაშ ვინა ჰქმნის ისტორიას? ისტორიასა ჰქმნის საზოგადოებრაჲა ადაქანა. ის არის ერთადერთი მისი „ფაქტორა“. საზოგადოებრივი კაცი თვითა ჰქმნის თავის საზოგადოებრივ ურთიერთობას. მაგრამ თუ საზოგადოებრივი კაცი, აღნიშნულ დროს ჰქმნის ასეთსა და არა სხვა ურთიერთობას, ეს, რასაკვირველია, უმიზეზოდ არა ჰხდება; მისი მოქმედება დამოკიდებულია წარმოების ძალის ვითარებაზე. თვით უუდიდეს მოღვაწესაც არ ძალუძს საზოგადოებას მოახვიოს თავზე ისეთი ურთიერთობა, რომელიც ან ადაწ შეეფერება არსებულ წარმოებითი ძალის ვითარებას, ან ჯკრ არ შეეფერება. აი, ამ აზრით, სრულიად მართალია, რომ საზოგადოებრივი კაცი ვერა ჰქმნის ისტორიას და ფუქიც იქმნება მისგან საათის გადაყენება: იგი ვერც დააჩქარებს დროს მიმდინარეობას და ვერც დააბრუნებს უკან. ლამპრეხტი, მართალია, როცა ამბობს, რომ ბისმარკი მაშინაც კი ვერ შესძლებდა გერმანია ნატურალურ მეოჯახეობისთვის დაებრუნებინა, როცა თავის ძლიერების უმაღლეს მწვერვალზე იდგაო.

საზოგადოების ურთიერთობას თავის ლოლიკა აქვს: მაგალითად, ეთქვათ, არსებობს რაიმე უოთიერთობა, ყოველი ადამიანი მაშინ აუცილებლად ისე ჰფიქრობს, ჰგრძნობს და ჰმოქმედობს, როგორც ეს ურთიერთობა მოითხოვს. ამ ლოლიკის წინააღმდეგ ფუქი იქნება საზოგადო მოღვაწის ბრძოლა; ბუნებრივი საქმეთა მსვლელობა, ესე იგი, ლოლიკა საზოგადოების ურთიერთობისა ყოველივე მის ცდას დაამსხვრევს. მაგრამ თუ ვიცო, როგორ იცვლება საზოგადო ურთიერთობა წარმოების საერთო ეკონომიურს პროცესში, ისიც ვიცო, რა ნაირად შეიცვლება სოციალური პსიხიკა, ანუ სულის ვითარება ერისა. მაშასადამე შემოდლიან გავლენა ვიქონიო სოციალურს ფსიხიკაზე.

ზედმოქმედობა სოციალურს ფსიხიკაზე იგივე გავლენაა ისტორიულ ამბავთა მსვლელობაზე. ნათქვამიდან ცხადადა სჩანს, რომ უფლება მეძლევა ვსთქვა, — შემოძლიან დავბადო ისტორია. — თუ ეს ასეა, მაშ რაღა საჭიროება მოითხოვს, ვუცადო, რომ თავის თავად დაიბადოს ისტორია.

ყართო ასპარეზი სამოქმედოდ მზადაა მარტო დიდებული მოღვაწეებისა და საქმის დამწყებთათვის კი არა; პირიქით, იგი ასპარეზი მზადაა ყველასათვის, ვისაც ყურნი ასხია, რომ მოისმინონ, თვალნი აზია, რომ დაინახონ, ვისაც გული შერჩენია მოძმეთა სასიყვარულოდ. მცნება დიდი, დიდებული — შედარებითია. ზნეობის თვალით რომ გავსინჯოთ, დიდებული ისაა, ვინც, თანახმად სახარების თქმისა, დასდებს სულსა თვისსა მოძმეთათვის თვისისა.

ლ. ჭ.

(დასასრული)



LXVI \*)

ფატმანმა შეატყობინა აკთანდილს რისთვის აბრუნებდა მას გზაში, თავისთან მიწვევულს, და რის გულისათვის მოაკვლევინა თავისი უწინდელი საყვარელი, და ახლა მოემე სთხოვს შეწყვიტული ამბავი ამ ქალისა განაგრძეო (გვ. 270):

1206. „იგივე მითხარ, მას აქათ, ქალი გაპგზავნე შენ ოდეს, რაცალა გეცნოს ამბავი, ანუ რა მისი გმენოდეს“.

კვლავ იტყვის ფატმან ტირილით, კვლავ თვალთა ცრემლი სდენოდეს: „წახდესო შუქი, რომელი მზისაებრ ველთა ჰფენოდეს!“

ამ სანას მოსდევს ზოემის თავი «ამბავი ნესტან-დაკეკვანისა ქაჯთაგან შეპყრობისა, ფატმანისაგან მბობა აკთანდილთან», რომელიც ასე იწეება (გვ. 271):

1207. ვაჟ საწუთრო, სიცრუით თავი სატანას ადარე, შენი ვერავინ ვერა სცნას, შენი სიმუხთლე სად არე;

პირი, მზისაებრ საჩინო, სად უჩინო ჰყავ, სადარე?

მით ვხედავ ბოლოდ სოფელსა, ოზრად სჩანს ყოვლი, სად არე!

1208. ფატმან იტყვის: „მომეშორა მზე, ნათობი სრულად ხმელთა, სიცოცხლე და სულ-დგმულობა, მონაგები ჩემთა ხელთა;

მასუკანით გაუწყვეტლად დება მჭირდის ცეცხლთა ცხელთა,

ვერ გავახმე წყარო ცრემლთა, თვალთა ჩემთა გადმომღვრელთა!

იმ სანების შესახებ, რომელიც ზოემის ზოგიერთს თავს ეპიგრაფსაკით აწერია, მკითხველს უბრუნებ მოკასსენე (ჩახე ამ წერბი-

\*) იხ. „მოამბე“ № III, 1899 წ.

ლების მე-VII თავი), რომ დიდად საეჭვოა ყველა რუსთაველს ეკუთვნოდეს-მეთქი, და ზოგს მათგანს სიყალბეც აჩნევია. ჩემი აზრი საესებით მართლდება მე-1207 ხანით, რომელშიაც არც შინაარსი და არც სტილი რუსთაველისეულს არა ჰგავს.

როგორც მე-1208 ხანის დასაწყისიდანა სჩანს, მე-1207 ხანა ფატიმანის თქმული არ უნდა იყოს, ანამედ ფატიმანს ვითამც თვით პოეტმა სიტყვა შესწევტინა და თავისი «საწუთროსადმი» სამდურავი ჩაურთო. არც ერთს «კეფხის-ტყაოსნის» გამომცემელს ხანა ფატიმანისათვის არ მიუჩემებია და ვასტანგ მეფეც, გუეობა, იმ აზრისა იყო, რომ ხანა პირდაპირ რუსთაველის თქმულია, რომელსაც «ესეც შესაკლად მოუუჩინა, რომე სოფლის ნივთს არ უნდა კაცი შეემტყალოს და სოფლისათვის უძრახავს, ეს სოფელი მოკლედ და უხანო არისო».

ხალა თუ მე-1206 და 1208 ხანა ერთმანერთს მიუჯახლოვოთ, აუცილებლად აღმოჩნდება, რომ ლექსი—«წახდესო შუქი, რომელი მზისაებრ ველთა ჭფენოდეს»—ამ ხანებს შორის გაწვდენილი ვაგშირია და მე-1208 ხანა ამ ლექსის აზრის გაგრძელებაა. მე-1207 ხანა კი სწევტის ამ აზრის მიმდინარეობასა და ფატიმანის საუბარს, მამასადამე უადგილოც არის და ეს უადგილობა ხანის სიყალბის ნიშანია.

მეორე საბუთი მე-1207 ხანის სიყალბისა მისი ენის მახინჯობაა, მაჯამისაგან წარმომდგარი. ამ მაჯამის გამო ლექსების აზრის გაგება უკომენტაროდ შეუძლებელია. ამისათვის მივმართოთ ჩვენს ჩინებულს განმმარტებელს, თეიმურაზ ბატონის შვილს:

«ტავში 1. ადარე—მამსგავსე, შეადარე, შეასწორეო», ბრძანებს კომენტარი.

«ტვ. 2. შენი სიმუხთლე სად არე—კერავინ კერა სცნობს ამისა, რომ შენი სიმუხთლე სად არის და ასე უცნაურად უმუხთლებ, რომ ძნელად შეიტყობა შენი სიმუხთლის ყაბი».

«ტვ. 3. პირი მზისაებრ საჩინო, სად უჩინო ჭყავ სად არე—სადარე,—სად უჩინო ჭყავ, სად ატარებ, სად წაიყვანე პირი მზისაებრ საჩინო».

ტყ. 4. ოხრად სჩანს ყოვლი სადარე, — სადაც კარგი და სისაიმოვნო გაზაფხული და ჭკერი არის და კარგი დარი, ყოველივე უჩინო ჭყავ. სადარე, — შესამზგავსებელიც ითქმის, შედარება და აქ ზემო თქმული გულის ხმა-ყავუ.

განმარტების მიხედვით მე-1207 ხანის აზრი ის არის, რომ მელექსე საწუთროს ავედრებს, ნესტან-დარეჯან რა უყავი და სად წაიყვანეო (მესამე ლექსი), და ამისათვის ეძღუროს: საცრუით სატანას ჭტეკვარო (პირველი ლექსი), რადგან არავინ იცის, შენს სიმუხთლეს სად შეემთხვაო (ლექსი მეორე), ამ სამდურავსა და საყვედურსა დაერთვის სასოწარკვეთილებით გამწარებული დასკვნა: «მით კსედავ ბოლოდ სოფელსა, ოხრად ჩანს ყოვლი, სად არეო! შეუძლებელია მეორე ლექსს ის აზრი ჭქონდეს, რომელიც ბატონის შვილს მიუჩემებია მისთვის, იმიტომ რომ სოფელს არც სისაიმოვნო გაზაფხული და ჭკერი და არც კარგი დარი უჩინო არ უქმნია, და ყველა ამას «სადარე» კი არა — სადარო დაერქმის. სიტყვა «სადარე» აქ ვერც «შესამზგავსებლად» ითქმის, რადგან — რისი სადარეა «ყოველი»; რომელიც «ოხრად ჩანს?» მგონია, ლექსს არც მაგდენი ძაღის დატანება უნდა და მელექსეს მხოლოდ იმის თქმა სწავდა, რომ ამ წუთის სოფელს ყველაფერი, სადაც რამ არის (სად არე ან სადა რე), ოხრიაო.

ახლა რა მე-1207 ხანის აზრი ცოტათი მაინც გამოირკვია, მისი დასაბამის მოპოვებაც ძნელი არ არის. მოიხსენიეთ პოემის თავი წყსკლას ავთანდილისა ფრიდონისას, მულღაზანზარს რომ შეეყარა,» რომელიც ასე იწყება (გვ. 210):

945. ვაჟ, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ხნე გჭირსა!  
ყოვლიმც შენი მინდობილი ნიადაგმცა ჩემებრ სტირსა;  
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუთხვრი სალით ძირსა,  
მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა!

ერთი თვალის გარდავლებაც კმარა ჩვენს დასარწმუნებლად, რომ მე-1207 ხანა მე-945 ხანის მიხედვით, და ეს დაახლოვება კვლავ გვაძლევს საბუთს მე-1207 ხანის სიყალბისას, რადგან თვალ-საჩინოდ გვიხატავს განსხვავებას პოეტისა და მის მიმხამკველის სტილისას და აზრის მიმართულებისას.

რუსთაველის თქმული მე-945 სანა ავთანდილის და ტარიელის გაყრას შეეხება, როდესაც არაბეთის სპასპეტი ნესტან-დარეჯანის სამებრად წავიდა და მკვანობის დროს სატროფოსი და მეგობრის ვიდევანობის საგონებელი გულის უწიესება. ყველა ფრანზა ამ ხანისა სრულიად ექსპანსიბა ამბის ვითარებისა და გმირის სულის მდგომარეობას: პირველს ლექსში პოეტი სოფელს უხანობისათვის ემდურის, იმიტომ, რომ ავთანდილმა ამას წინ, იმ ცოტას ხანში, ზედი-ზედ ხან მრავალი ჭირი და ხან უაღრესი სიხარული გამოიარა. გარკვნობით ბედნიერი ჭებუკი, რომელსაც არავითარი ნივთიერი სივეთე ჰქვამდა, იდუმალის სიყვარულით იწოდდა, კერ გაებედნათავისი გრძნობა სატროფოსისთვის გაეზიარა და თვისის ბედის უცოდინანობა ჰქვამდა. მკვამი გაუთენდა რა სივანობის დღე და თვით სატროფომ რა თავისი გულის-თქმა გამოუცხადა, იმ წამსვე გაისტუმრდა სამის წლით უცხო მოყმის სამებრად. მრავლის ტანჯვის შემდეგ ავთანდილმა ჰზოგა კეთხის-ტყარისანი მოყმი, მისი ამბავი შეიტყუა და მხიარული და კმაყოფილი დაბრუნდა თავის სატროფოსთან მის უცხო მოყმის ამბის სამბობლად და ასლად, როდესაც ავთანდილის გულის-თქმა უნდა ასრულებულიყო და განასლებულის ბედნიერებით დამტკვარულიყო, გმირი თავის ასალის მეგობრისათვის ისეთი სიყვარულით და ღმობიერებით შეემტყვალა, რომ გულის თქმას სძლია, სატროფო მიატოვა და მოყვრის საშუალებად წავიდა. ესწრაფებოდა მის ნახვას, მეგობარი კი სულთ-მებრძოვი დასკვდა. ძლივს მოიყვანა გონს, სიცოცხლე დაუბრუნა და რა ორიოდე დღე მისის სიხარულით ილხინა, კვლავ გაეყარა და მისის სატროფოს სამებრად გაემკვანკრა, რათა კვლავ გამოიაროს მრავალი ჭირი და ფათურავი... ოღონდაც, დასაგმობია სოფელი, რომელიც ესე «აბრუნებს» ჭებუკსა, ყოველის ბედნიერების დიხსსა!

ეტყობა, სოფელს თავისი «ხე» რუსთაველის თავზედაც გამოუჩინა და ავთანდილის «აბრუნებამ» მთავრად თავისი რომელიმე თავ-გადასაცავად, რომ პოეტი დაწებულს აზრს შესწევს და გულნაღვლიანნი ამოიხსრებს: «ყოველიმც შენი მინდობილი ნიადგმცა ჩემებრ სტირსა?!»... საუცხოვრად ეს ღირნიშმანნი ლექსი, რომელიც კვიჩქენებს რადენ «ქმურვალეების» პოეტს გმირის გული-

სხანს, რომ ავთანდილის «ბრუნვას» რუსთაველი სხვის სერიოზული  
არ უუფრებს, არამედ გულში ღრმად აქვს შთაბეჭდილი მისი თან-  
ნაგრძნობა, და ამის გამო მისი თქმული ხანაც, ძლიერისა და წრფე-  
ლის გრძნობის გამოძეტეველი, მსმენელს გულში სკდება.

«სად წაიყუან სადაუქისა?» — ეძღურის პოეტი სოფელს და  
დააღამე ეძრთლება, რადგან ავთანდილის სადაობა თინათინისა და  
ტარიელის სიანლკა, და ამის ნაცვლად სატრფლისა და მეგობარს  
მოშორებული გმირი ურხლ ქვეყნებში უგზო-უკვლად იარება. მი-  
სის მდგომარეობის დრამატიზმი მით უფრო გამწვავებულია, რომ  
მიჯნურობა და მეგობრობა, რომელიც მისის არსების «ძირისა» და  
ბედნიერების წყაროდ უნდა გამხდარიყო, პირიქით, მისის ტანჯვი-  
სა და შეჭირვების მიზეზად შეიქმნა. სოფელმა უმუხთლამ მით, რომ  
სწორედ ეს ძირი ამოუფხვრავ, ისეთი ძარღვს შეესო, რომელიც  
გმირის გულში უფრო გრძნობიერი იყო. რა ასეთი მდგომარეობა  
გმირისა თვალწინ წარმოუდგება, სოფლის უხანობით გვერდილი პო-  
ეტი თვალთ ცისკენ აღაპურობს და სისრულით აღსაესე გულით წარ-  
მოსთქვამს: «მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირ-  
ს!»

ერთსელ მოკახსენე მკითხველს (ნახე ამ წერილების მე-XXXII  
თავი), რომ რუსთაველი პესიმისმის მომხრე არ არის-მეტეი. პოე-  
მის განმომავლობაში, ვგეგვან, სადაც შემთხვევას მოიტანს ხოლმე,  
პოეტი იმ აზრს აცხადებს, რომ ბოროტი მოკვლავ და კეთილი —  
გრძელი, რომ სიკეთესა, ბედნიერებას და ღსუნას კაცი მხოლოდ  
შეჭირვებითა და შრლით მოიპოვებს. მისი იფილოსოფიას იმ სისრ-  
ებით შეზავებულია, რომ სიბოროტე რაც უნდა ძლიერი იყოს, ბო-  
ლოს და ბოლოს სიკეთისაგან მანინ ძლეულ იქმნება. სოფელს  
რაც უნდა ავი უნე სჭირდეს, რაც უნდა სწავრეს და ატირეს კა-  
ცი, — ღმერთი არ გასწირავს კაცსა მისგან განაწირსა». ეს არის  
ქრისტიანური საწმუნოება, რომელიც მოფლილო სიკეთის დასა-  
ბამსა და ძალსა ღვთის სისიერებაში ჭვრავს და მისის შეწევითა  
ებრძვის ყოველს სიბოროტეს და ძლევის იმედს არა ჭკავავს.

რამდენად სტრუობს ამ რუსთაველისეულს, გულის გამამსწვე-  
ბელს ფილოსოფიასთან ყალბის-მქნელის ემწვიღურნი და სულ-მოკ-

ლე ჰესიმიზმი! ნესტან-დარეჯანის ბედისათვის ვითამც გულ-ნატკე-  
ნი მელექსე, რუსთაველის მიზამკით, საწუთროსა ჭემობს და სი-  
ცრუვეს აყუდრებს, მაგრამ მისი სამდურაგი სრულიად არ ეშესაბა-  
მება ნესტან-დარეჯანის მდგომარეობას და უდროც არის. ინდოთ  
მეფის ასული გულანშაროს მეფეს სამატიო ტყეობიდან გაპარა,  
უგზო-უკვლად მარტო წავიდა და ქაჯებს სელში ჩაუვარდა, რომელ-  
თაც ცისეში დამწყვდიეს, სანამ უფლის-წულს მიათხოვებდნენ, — ასე  
რომ ქალმა ერთს ჭირს ძლივს თავი დააღწია და მეორეს შემთხვა-  
სამ ჭირთაგან რომელი ერთი უარესია, ძნელი სათქმელია, რადგან  
გულანშაროს მეფესაცა და ქაჯებსაც ნესტან-დარეჯან თავიანთ უფლის-  
წულებს საცოლოდ ეტულებოდათ, და თუმცა ქაჯნი უკაცურად მო-  
ექტნენ, გულანშაროს მეფე ვი თავის სასძლოს ოქროს გალიაში  
ინახავდა, მაგრამ ქალისათვის მდგომარეობა ერთია, ორსავე შემთხვე-  
ვაში თავის საყვარლისათვის დაკარგული იყო და საწუთროსაგან  
განწირული.

მას რა საგანგებო და სატანისებური საცრუვე გამოიჩინა სა-  
წუთრომ, თუ ნესტან-დარეჯანს, უბედობაში ჩავარდნაღს, თითონ  
თავი ვერ დაუხსნია? ან რა ისეთი უცნაური და მოულოდნელი სი-  
მუნთლე ჩაიდინა, თუ უდაბნოში მარტო მიმაკალი ქალი მეკობრეთ  
შეიპყრეს? მას აქეთ, რაც მამიდან დავარმა განდევნა, კიდრე ქაჯების  
ცინიდან ტარიელისაგან დასწამდე, ქალი მუდამ ერთს განუშორე-  
ბელს ჭირშია, საყვარლის კიდევანობა ჭკლავს. თუ თავისს საყვა-  
რელს ტარიელს არ ახლავს, რაჭკამა ნესტან-დარეჯანს — გულანშა-  
როს მეფის რძალი გახდება თუ ქაჯეთის მეფისა? მისს უმთავრეს  
მწუნარებასთან სხვა ფათერაკი სწორად მიაჩნია, იმდენად შეჩვეულია  
თავისს უბედურებას, რომ რაც უნდა მოუვიდეს, აღარც ვი უკვირს  
და თავისს მდგომარეობას თითონვე ასე გვისახავს (გვ. 263):

1169. ....ბელი უბედო ჩემზედა მიწყვი ავისა მქნელია!

კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია  
სხვა და სხვა ჭირი ჩემზედა, არ ახალია, — ძველია.

აქედანა სჩანს, რომ ნესტან-დარეჯანის მიწყვი უბედურება  
სრულიად არა ჭკავს ავთანდილის მდგომარეობას, ვისაც საწუთრო

სინარულსა და ჭმუნვას შუა აზრუნებსა. ნესტან-დარეჯანისთვის საწუთრო უნახობასა და სიცრუეებს კი არ იხენს, არამედ მდგომარეობასა და გადავიდობას, რადგან ნიადაგ სდეკნის და სტანჯავს, ჭირს. ზედიზედ აყრის.

ცხადია, რომ ყალბის-მქნელს ავთანდილისა და ნესტან-დარეჯანის მდგომარეობათა განსხვავება კერ გამოუჩნევიან და მხოლოდ რუსთაველის მიზამკით, გარემოების მიუხედავად, საწუთროს ისეთს უნეს აყუადრებს, რომელიც ამ შემთხვევის შესაფერა არ არის.

ყალბის-მქნელმა, ნესტან-დარეჯანის ტყუილობისათვის საწუთროზე გამწერაღმა, მთელი ქვეყანა შეიძულა: «მით ვხედავ ბოლოდ სოფელსა, ოხრად სჩანს ყოელი, სად არეო!» ეს ზოგადი სიძულვილი სოფლისა, როგორც ზემოდ ვნახეთ, სრულიად არ ეთანხმება რუსთაველის ოფილსოფიას, რომელსაც სწამს სიკეთის ძლიერება და ბოროტის საბოლოოდ დათრგუნვა. უსაფუძვლობის გარდა, ყალბის მქნელის ზესიმიზმი მეტად ბრუნდინანია. რა დროს საწუთროს გმობას და სოფლის ოხრად ჩათვლა, როდესაც, დღეს ან ხვალ, ტარიელ თავისის მეგობრებით მოვა, ნესტან-დარეჯანს ქაჯებისაგან იხსნის და «ქანაშდის ჭირხახუნნი, ამას იქით გაიხარებენ» (იხ. 1415, გვ. 319)? საცაა მიჯნურთ ბედნიერი დღე გაუთენდებათ, ქორწილს განახლებენ და ამას იქით სოფელი ღვინისა და სინარულის მეტს არას მიანიჭებს, ყალბის-მქნელი კი ბაიყუშისკით წამომჯდარა და ჭკლოვს: როგორც ვხედავო, ბოლოს და ბოლოს ამ სოფელში რაც რამ არის, ყველა ოხერი ყოფილანო! ნუ თუ რუსთაველი თავის საყვარელ გმირების გამაჩვენებისა და სვიანობის წინა დღეს ასეთს სისულელეს წამოროშავდა?...

სტილით მე-1207 ხანა ზოემის სხვა ანაკრიოებს არა სჯობია. შირველს ლექსშივე შეგხვდებათ უგვანო გაზვიადება: საწუთრო სიცრუით სტანას ჭკავსო, — ასე რომ ამ წუთის სოფელში ერთი ნამცრე სიკეთეც აღარ დაჩინილა, რადგან სტანისაგან ბოროტის მეტი ვის რა უნახავს? მეორე და მესამე ლექსში გაწყალებული და გაპრტყელებული ფრაზებია, და უვანასგნელს ლექსში — კვლავ გაზვიადება, უსაზომო შედეგი მცირე მიზეზისა: საწუთრომ მუნთლობით შირი მზისაებრ სჩინო უჩინო ჭყო, და ამით-

ვის სოფელში ყველა ოხერიაო. მე-1207 ხანას მრავალმეტყველებს რომ ჩამოგატყდათ, ერთი ცარიელი-და და უმიზეზო ღანძლვა შეჩება: საწუთროა, ცრუ, მუხთალი და ოხერი ყოფილსარ, რადგან ნესტან-დარეჯან ქაჯებმა ციხეში ჩასვესო. სად არის ის რუსთველისეული ახრთა და გრძნობათა სიუსკე და სიტყვის სიმოკლე, მე-945 ხანაში რომ გნახეთ?!

## LXVII

ნესტან-დარეჯანის ქაჯთაგან შეზღოზა ფატმანმა შემთხვევით შეიტყო, როდესაც ერთი გინძე მონა, ქაჯეთით მოსული, ოავის თაგადასაკალს თანამეგზავით უამბობდა. ამ შემთხვევას ფატმან აუთანდილს ასე მოუთხრობს (გვ. 272):

1210. დღესა ერთსა, სადამო ეამს, ჩასვლა იყო ოდეს მზისა,  
წავდებ წინა დარაჯავთა, კარი მიჩნდა ხანაგისა,  
ვიგონებდი, სევდა მკვლიდა მისის-ვე გონებისა;  
ვთქვი: „კრულია ზენაარი ყოვლისამცა მამაციისა!“

1211. მოვიდა სითმე ღარიბი მონა მოყვსითა სამითა,  
მონა, მონურად მოსილი, სხვანი მგზავრულეზ ხამითა;  
სასმელ-საჭმელი მოიღეს, ქალაქს ნაყიდი დრამითა;  
ჰსმიდეს, სჭამდეს და უზნობდეს, სხდეს მზიარული ამითა.

1212. მე ვუყურებდი, ვუჭვრეტდი, სთქვეს: „ამოდ გავიხარენით,  
მაგრა ჩვენ აქა მოყვასნი უცხონი შევიყარენით,  
არცა რა ვიცით ვინ ვინა, ანუ სით მოვიარენით;  
ჰხამს, ერთმანერთსა ამბავი ჩვენიცა ვუთხრათ ბარ ენით.“

1213. მათ სხვათა მათი ამბავი სთქვეს, ვითა მგზავრთა წესია,  
მონამან უთხრა: „ჰე, ძმანო, განგება რამე ზესია:  
მე მარგალიტსა მოგიმიკი, თქვენ ქვიზა დაგითვისია,  
ჩემი ამბავი ამბავთა თქვენთაგან უკეთესია.“

თუმცა ამ კვიზოდს ჰოქმის შინააწსისათვის დიდა მნიშვნელობა არა აქვს და არც რასმე შესანიშნავს ფაქტს მოგვითხრობს, ეალბის-მქნელმა მაინც თავისი ყურადღება მიაქცია, შეაზარა თავისე-



ბური ხანა და ამით შეწყნარდა მარტივი, გლასიკური და კვიკური მო-  
თხრობა რუსთაველისა.

გისაც მგზავრობა გამოუვლია, — ეს უახლესი თანამოგლეჯილი  
რკინის-გზით სიბილივი კი არა, მგზავრობის რომ ვაგონის კუთხეებ-  
ში მიიბლუნებინ და ერთმანერთს შემობლვებინ, — არა, ძველებური  
მგზავრობა ცხენით, ქარავნით, რომელიც კვირახობით და თვეობით  
გაგრძელებულადა სოფელი, — იმას ვარგად ეტოვინება, რა რიგ აერთებს  
თანამოგლეჯით ასეთი მგზავრობა, მეტადრე თუ გზა საშიშია. დღი-  
სით ან ღამით შესვენებისას, ქარავანი რომ დაბინავდება, მგზავრობის  
სასაუბროდ დრო და მოცალეობა ბლომდაა აქვთ, ენაც მისინ გაეს-  
ნებათ და გააბეჭდონ დაუბოლოებელს ამბების თხრობას. შიდა აზიის  
ქოჩის ხალხებში არც ერთს მომღერაღს ან მოცალის ისე ვატივის  
არა სტუმრს, როგორც ვარგს ამბისა და ზღაპრის მოხრობელს, რომ-  
ელიც ვეკვან, საცა ხალხი შეიყრება, საპატრო და სანატრული  
სტუმრია. არაბული ზღაპრები ათას და ერთის ღამისა ვირველ  
ვარგის ქვეშ შეითხზა, რომესაც არაბნი მუდამ მგზავრობაში იუკ-  
ნენ.

ასეთსავე მგზავრობის კვირადს გვიხატავს რუსთაველი ზე-  
მოყვანილს ხანებში. ერთი მონა და სამი მისი თანამოგლეჯი, გუ-  
ლანმარტოს ქალაქს ჩამომსტარან, ბასარში სასმელ-საჭმელი უყიდ-  
ნიათ, მისუღან თავანთ ბინაზე, ვასშობენ და მუსაიფობენ. სამუყ-  
დროში არიან, არსად ეშუებინ. — ქარავანი ვინ იტის ვერ როდის  
გავა, — მოცალეობა ბლომდაა აქვთ და რა დაუშლის მათს საუბარს?  
სალაპარაკოდ წვევაც არ უნდათ. სიტყვას მოაქვს ზედიზედ ამბავი:  
სანამ ერთი თავისს ამბავს გაათავებდეს, მეორეს მოაგონდა რაიმე  
ხანული ან გაგონილი, რომელიც მას სხვისის ნამბობზე უკეთესი  
ჭგონია, და საამბობლად მოხად არის, და ესრედ უბნებინ ერთმა-  
ნერთს თავანთ ამბავს, ვითა მგზავრობა წესია. მაგრამ ამ «წესს»  
მგზავრობის განკუთვნილი კი არ ასრულებენ და არც ვინს შეჭკვრენ თუ:  
«მოდი, რადგან მგზავრობის ვართ, ჩვენი ამბავი ერთმანერთს ვუთხ-  
რათ», — არამედ თავის თავად უნებლიედ უბნობენ და ამასობაში  
თავანთ ვინაობასა, სადაობასა და თავ-გადსაგაღს უერთიერთს ატყო-  
ბინებენ. ასე წარმოუდგება მკითხველს სტანა, რომესაც შემოყვა-

ნილს კვიციანი მე-1232 ხანას გამოაკლებს და კითხვის დროს მე-1211 ხანიდან პირდაპირ მე-1213-ზე გადავა: მგზავრნი, «ქსმადეს, სჭამდეს და უბნობდეს, სხდეს მხიარული ამითა. მათ სსკათა (სამთა) მათი ამბავი სთქვეს, ვითა მგზავრთა წესია»; და მათი ამბის მოსმენა გასახლისებს ქაჯეთის მონასაც, რომელსაც უცხო და საკვირველი შემთხვევა უნახავს და მისის ამბით ჭლამის თავის თანამგზავთ აჯობოს.

სწორედ ამ სტრიქონის ბუნებითს მსკლელობას ეწინააღმდეგება მე-1212 ხანა. რაც თავის თავად უნდა მომხდარიყო, აქ განზრახს დაპირებისა-მებრ სდება. როდის ან რომელი მგზავრები დასდებენ ასე პირსა: რადგან ერთმანერთს არ ვიცნობთ, ვუამბოთ ჩვენი ამბავი?... ასე უმაწვილები თუ თამაშობენ «მგზავრობანას», თორემ ნამდვილნი მგზავრნი ჩვეულებრივ არ იქცევიან.

გარდა ამისა მე-1212 ხანა რუსთაველის ნაამბობს არ ეთანხმება: პოეტის მოგვითხრობს, რომ ხანაგას მოვიდაო «ლარობი (მგზავრი) მონა მოყვასითა სამითა», თან სასმელ-საჭმელი მოიტანეს, დასხდნენ, სვეს, სჭამეს და იუბნესო. ცხადია, რომ ეს ოთხი კაცი თანამგზავნი არიან, უკვე «მოყვასნი» და მამასადაც ურთიერთის ვინაობისა და სადაობის უკვე მცოდნენი და მათი «უბნობა» ერთმანერთის გაცნობა გა არ იქნებოდა, არამედ ნასულისა და გავრნილის მბობა წარსულისა და თავ-გადასაკაფის მოგონება. მე-1212 ხანა კი ისე გვიხატავს იმ ოთხს მეგობარს, თითქმის პირველად შეუჩინებლად და ერთმანერთს ჯერ არც კი იცნობენო. ვახშაში რომ მიერთვეს და მოილხაპარაკეს, მაშინ-ღა მოაგონდათ, რომ, რადგან «მოყვასნი უცხონი შეკვირებნათ», ჩვენი ვინაობაც ერთმანერთს უნდა შეკვირებინოთ... ნეტა, აქნამდის რაღას უბნობდნენ?!

შესაძლებელია, გამჭრიახმა მკითხველმა მკითხოს: ის ოთხი კაცი ერთმანერთს თუ უკვე იცნობდნენო, მას რად-ღა იწყებს მონა თავისს ამბავს ამ ფრანზით: «მე ვარო მონა მეფისა მადლისა, ქაჯთა მფლობლისა» (გვ. 272, ხ. 1214)? დასტურ, მონის მსმენელთათვის ეს შესავალი მეტია, რადგან მისი ვინაობა უკვე ცნობილია, მაგრამ ფაქტმანს თუ ამ გვარად არ გადმოეცა ავთანდილისათვის მონის ნაამბობი, როგორ უნდა შეკვირებინებინა მონის ვინა-

ობა? ადგილი მისასკედრია, რომ ასეთი დასაწყისი მოთხრობის ჩვეულებრივი სერსია, რათა მსმენელმა ამბის ადგილობრივი ვითარება წინადაკე შეიტყოს. ფატმანს მონის ნამბობი ასე რომ არ დაეწყო, განგებ უნდა აესხნა ავთანდილისათვის, თუ ვით შეიტყოს მონის სადაობა და ამით უფრო დასაწყისად და ტყუილად აურევდა თავისს მოთხრობას. მონის ამბავი, ნამდვილ, ჩვენთვის არის ნამბობი და არა მონის ამხანაგებისათვის; ავთანდილისა და ჩვენ— მოთხრობისათვის არის. საინტერესო, ჩვენ ვიცით მისი ფასი და უაღრესი მნიშვნელობა; თორემ მონისა თანამეგზავებისათვის მისი ნამბობი ერთი რამ უცხო ზღაპარია, რომელიც გინდ ქაჯეთს მომხდარიყო, გინდ სსკავან.

მე-1212 ხანის სტილი კვლავ გვიმტკიცებს მის სიყალბეს. მე ვუყურებდი, ვუჭვრეტდი; სიტყვის: «ამოდ გავისარჩენით», — უამბობს ვითამც ფატმან ავთანდილს. ეს «ვუყურებდი, ვუჭვრეტდი», მჯეოხანაზიმის გარდა, თავის თავდაც მეთია. წინა ხანებიდან (1210 და 1211) ცხადად სჩანს, რომ ფატმან თავის ნახულს უამბობს ავთანდილს და, რასაკვირველია, უჭვრეტდა კიდევ იმ ამბავს; თუ დაუნახავს. ჩვეულებრივ, ამბის დამსწრე მსოფლოდ მაშინ მოიხსენიებს ამ ამბის ყურებას, როდესაც შესანიშნავი და გასაკვირვალე წარმოუდგა თვალ-წინ, აქ ვი უცხო არა მომხდარა-რა. — ოთხი მეგზავრი ხანაგაში სჭამენ და უბელობენ. მაგას რა ბეკრი ცქერა უნდა? «სიტყვის (ოთხმავე ერთად?): ამოდ გავისარჩენით»... ოღონდაც, სასიამოვნო სიტყვის საქცევა. მაგრამ «ამოდ ვიამეთ» რომ ეთქვას, უფრო სასიამოვნო და ტკბილი ქართული იქნებოდა, — რა ჭქნან, თუ ლექსის გიდურმა დაუშალა!

მეორე და მესამე ლექსში ყაღბის-მქნელი კიდევ ერთს მარგალიტს მოგვიძვინს: «მაგრამ ჩვენ აქა მოყვასნი უცხონი შევივარჩენით, არცა რა ვიცით ვინ ვინა, ანუ სით მოვიარჩენით». საგონებელია, «მოყვასნი უცხონი» აქ სხვა-და-სხვა ქვეყნის ვაცების მეგობრობას უნდა ნიშნავდეს, რადგან ერთმანერთის უცნაურნი მოყვასნი არსად ნახულან და არ გაგონილან. არა მგონია, «მოყვასნი უცხონი» მათს საუცხოობასა, ჩინებულვებასაც ნიშნავდეს, რადგან რად დაიკვებებდნენ მოყვასნი თავიანთ საუცხოობას, თუ მეგობრობა სძა და ჭა-

მის გარდა, სსკაფრივე ჯერ არ გამოუჩენათ. მაგრამ ვინც უნდა იყენებენ ეკ მოყვასნი, მანც რად ჩემულობენ მოყვრობას, თუ ერთმანეთის «არცა რა იციან ვინ ვინა?»

უკანასკნელს ლექსში — «ჭსამს, ერთმანეთისა ამბავი ჩვენიცა გუთსრათ ბარ ენით» — საყურადღებოა დასასრულის უცნაური სიტუაციის საქცევი, რომელიც ვითამც ნიშნავს: «გუთსრათ ბარემ ენითაო». თქმა არ უნდა, რომ «ბარ-ენით» აქ აზრისათვის სრულად მეტი და მსოფლოდ ლექსის კიდურისათვის მიბმული და ამის გულისათვის სიტუვაც დამსწინჯებულა.

### LXVIII

ავთანდილმა, რა ნესტან-დარეჯანის ქაჯთაგან შეპერობის ამბავი მოისმინა, ფატმანს მადლობა უოსრავ, მაგრამ, რადგან ქაჯი აქამდის უსოცრო გაეგონა, ქაჯის ნამბობი კი მის წარმოდგენას არ ეთანხმებოდა, ჭსურდა სრულად შეეტყო ქაჯების თვისება და ამისთვის ფატმანს ჭკითსა (გვ. 277 — 278):

1239. „.....საქმე ქაჯეთისა გამაგონე უფრო მრთელად, —  
ქაჯი ყველა უხორცოა, რამან შეჭქმნა ხორციელად?

1240. მის ქალისა სიბრალული ამანთებს და მიღებს აღსა,  
მაგრამ ქაჯნი უხორცონი რას აქნევენ, მიკვირს, ქალსა?“  
ფატმან უთხრა: „მომისმინე, მართლად გხედავ მანდა მკრთალსა,  
არ ქაჯნია, კაცნიაო, მინდობიან კლდესა სალსა.

1241. ქაჯნი სახელად მით ჰქვიან, არიან ერთად კრებულნი,  
კაცი, გრძნებისა მცოდნენი, ზედან გახელოვნებულნი,  
ყოველთა კაცთა მავნენი, იგი ვერვისგან ვნებულნი;  
მათნი მებრძოლნი წამოვლენ დამბრმალნი, დაწბილებულნი.

1242. იქმენ რასმე საკვირველსა, მტერსა თვალსა დაუბრმობენ,  
ქართა აღძვრენ საშინელსა, ნავსა ზღვა-ზღვა დაამბობენ;  
ვითა ხმელსა გაირბენენ, წყალსა წმიდად დაშრობენ;  
სწადდეს, ღლესა ბნელად იქმენ, სწადდეს, ბნელსა ანათობენ.

1243. ამისთვის ქაჯად უხმობენ გარეშემონი ყველანი,  
თვარა იგიცა კაცნია, ჩვენებრვე ხორციელანი“.

ეს ეპისტოღი რამ სინტაქსიურად გავარჩიოთ, ცხადად აღმოჩნდება, რომ ფატმანისაგან თქმული ქაჯების დასასიათება მოთავსებულია მე-1240 ხანის უგანსკნელს ლექსში, მე-1242 ხანში და მე-1243 ხანის პირველს ნასვეარში. ეს ლექსები გრამატიკულად და ლოგიკურად ისეთს სრულს პერიოდს შეადგენს, რომ მისი ერთობა აშკარად ირღვევა მე-1241 ხანის ჩამატებით. ფრასები: «მინდობიან კლდესა საღსა» (ხ. 1240), «იქმენ რასმე საკვირველსა» და შემდეგნი მე-1242 ხანისა, უეჭველია, ერთის პერიოდის ნაწილია არიან; ხალხ ლექსი — «მისთვის ქაჯად უხმობენ გარეშემონი ვეფლანია» და სსკ. — ლოგიკის წესისამებრ დაესკვნის მთელს პერიოდს ქაჯების დასასიათებისას. მე-1241 ხანა კი წესიერად აღნაქესულს პერიოდს შუახე სწვევტს და მისს დასკვნას უადგილოდ ამეორებს, — «ქაჯნი სასულად მით ჰქვიანო»... რუსთაველი წერის სრული უცოდინარი უნდა ფოფილიყო, ასე უთაბოლოდ და არეულად რომ შედგინა პერიოდი.

ამას გარდა მე-1240, 1242 და 1243 ხანებში თქმული ქაჯების დასასიათება უფრო ემსგავსება და ეშესაბამება რუსთაველის ჩვეულებას, ვინემც მე-1241 ხანში მოყვანილი. აქ კვლავა სჩანს რუსთაველისეული უებრო ნიჭი მოთხრობისა: ქაჯების გრძნეულობას პოეტი მათის თვისების აღწერით კი არ გვაცნობებს, არამედ მათის საქციელის გამოსახვით, რომელშიაც აღმოჩნდება მათი გრძნეულობაც.

ამ გვარს დასასიათებას კონკრეტულია ფატტებით ის დიფსება აქვს, რომ თვალ-სახინოდ წარმოადგენს ქაჯების ძლიერს გრძნეულობას, და ამიტომც უფრო ცხოველია, და მხატვრობითი, ვინემც უფერული აღწერა მათას თვისებისა. მე-1241 ხანის დამწერი აღბათ ვერ მიმხვდარა რუსთაველისეულის ნასატის შეკნიერებასა და სისრულეს, მოუწადინებია მისის სურათის შეკება და აი რაებს ბოდავს:

ქაჯნი სასულად მით ჰქვიან, არიან ერთად კრებულნი, კაცნი, გრძნებისა მცოდნენი, ზედან გასელოვნებულნიო». წინადადება ისე უშნოდ არის შედგენილი, რომ ის აზრი გამოდის, ვითამც ქაჯებს იმიტომ ჰქვიან ქაჯები, რომ ერთად კრებულნი არიან. როგორიც

უნდა იყოს, ამ მრავალ მეტყველებაში მხოლოდ ერთი საცოდავო აზრი მოიპოვება, რომ ქაჯნი გრძნების მცოდნენი არიან, რაიცა უმისოდაც უცილოდ სჩანს მე-1242 ხანიდან, რადგან რაც ქაჯნი, ფატმანის თქმით, საკვირველს საქმეებს ჩადიან, მხოლოდ გრძნეულს შეუძლიან. დანარჩენი კი ამ ლექსებში სულ ტყუილი ყბედობაა. «არაინ ერთად კრებულნი» უგუნური ფრანზა. ფატმანის ნაამბობიდან უკვე ვიცით, რომ ქაჯებს თავიანთი ქვეყანა უჭირავთ და თავიანთი სამეფო აქვთ, ცალკე ხალხია, რომელიც მინდობია «კლდესა სალსა», ეს «ერთად კრებულნი» რადას უმატებს მათს ვითარებას? «ზედან გახელაკნებულნიო» - აი მწიგნობრულის ფანტაზიის უძეგრება. გრძნეული არაინო და ძან გრძნეულიო, მაგრამ რაშია გრძნეულობა, ეს კი კერ მოუგონია. ასე რომ ლექსი მოჩმასა ყალბის-მქნელმა და მანც კერ შეგვატუობინა ქაჯების გრძნეობის ძლიერება და კერც მათი გრძნეობის თვისება გამოასხა.

მესამე ლექსიც — «ყოველთა კაცთა მანენი, იგი ვერვისგან ვნებულნი», — კერ საზღვრავს განსაკუთრებულს თვისებას ქაჯების გრძნეობისას და მხოლოდ საერთო თვისებად ჩაითვლება ყველა გრძნეულისა. მართლად, რადა გრძნეული იქმნება, რომ სსკას ავნოს და თვითცა ივნოს?

ერთად-ერთი მაგალითი მოჭყავს ყალბის-მქნელს ქაჯების გრძნეობის დასახასიათებლად, ისიც რუსთაველისაგან ნათხაკარი: «მათნი მებრძოლნი წამოკლენ დამბრძოლნი, დაწბილებულნიო», და რადა თქმა უნდა, რომ იმ ლექსში გაწყალბებულია პოეტის ფრანზა: «მტერთა თვალთა დაუბრძობენ» (ხ. 1242).

ესრედ, მთელი მე-1241 ხანა შინაარსით ფუჭია, კერ საზღვრავს თავისს საგანს და აჩას უმატებს რუსთაველისაგან გამოასხულს ქაჯების ვინაობასა და თვისებას; სტილით კი უფერულია, ტლანჭი და მრავალ მეტყველებით გაწყალბებული.

LXIX

ავთანდილმა რომ ფატმანისგან ნესტან-დარეჯანის ამბავი სრულად შეიტყო (გვ. 279).

1245. მის ამბისა ცნობისათვის ცრემლით ღმერთსა აღიდებდა;  
ფატმან ეჭვდა თავისათვის, ამად ცეცხლსა კვლავ იღებდა;  
ყმა ნამუსსა ინახევდა, სიყვარულსა ეფერებდა;  
ფატმან ყელსა ეხვეოდა, პირსა მხესა აკოცებდა.

1246. მას ღამით ფატმან იამა ავთანდილთანა წოლითა;  
ყმა უნდო გვარად ეხვევის ყელსა ყელითა ზროლითა,  
ჰკლავს თინათინის გონება, ძრწის იღუმალით ძრწოლითა.  
გული ხელ-ქმნილი გასჭრია მხეცთავე თანა რბოლითა;

1247. ავთანდილ მალვით ცრემლსა სწვიმს, სდის ზღვათა შესარ-  
შიგან მელნისა მორევსა, ცურავს გიშრისა ნავი სად, [თავისად,  
იტყვის თუ: „მნახეთ, მიჯნურნო, იგი ვინ, ვარდია ვისად,  
უმისოდ ნეხეთა ზედა ვზი ბულბული მზგავსად ყვავისად!“

1248. მუნ ცრემლი მისგან ნადენნი, ქვისაცა დასალბონია,  
გიშრისა ტევრი აგუბებს ვარდისა ველსა ფონია;  
ფატმან მას ზედა იხარებს; მართ ვითა იადონია, —  
თუ ყვავი ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია.

ავთანდილის ტირილი, ფატმანთან წოლის დროს, ორჯერ არის მოხსენებული: მე-1247 და მე-1248 ხანის დასაწყისში და ეს გარემოება უნებლიედ იზიდავს მკითხველის ყურადღებას, რა მოხდა ისეთი, რომ შოკეტი ორჯერ ატირებს თავის გმირსაო? მაგრამ უპასუხოდს თუ დააკვირდი, აუცილებლად დარწმუნდები, რომ ამ ორს ტირილში ერთი რომელიმე მეტი უნდა იყოს. ავთანდილის მდგომარეობა მე-1246 ხანიდან მე-1248-მდე აღწერილი არ იცვლება, ცრემლის ღვრის მიზეზიც ერთი აქვს, მამსადაც, არც საჭიროა ტირილის ორჯერ ხსენება. დიდი გამჭრიახობა არ უნდა, კაცი მისკადეს, რომ ამ ორს ტირილში მეტი ის არის, რომელიც მე-1247 ხანაშია მოხსენებული. ავთანდილის გაჭირებული მდგომარეობა, მისი უნდომო რელი ფატმანის არშეყოფაში სავსებით გამოიხატება.

მე-1246 და 1248 წლებით, რომელთა გრამატიული და ლოგიკური დამოკიდებულება ცხადად სჩანს, მე-1247 წანა კი მათ შორის გაწკედილს კავშირსა სწევეტს და ისე მოუხერხებლად ჩაერთვის, რომ მისი მეტობა და უადგილობა ზედვე ეტეობა: «ავთანდილ ძალ-გით ცრემლსა სწეიმს»... თითქო ასალი ზერიოდი იწეება და აქამდის სსკასე იყო საუბარი, ახლა კი ავთანდილზე ჩამოკარდა ლა-ზარაკიო.

თვით გამოსახვა სტილისა მე-1247 წანაში არ არის უსაფი-ლოდ გადაწევეტილი. ვასტანგ მეფისა და ჩუბინაშვილის გამოცე-მებში სანის რთი პირველი ლექსი ასეა შემოღებული: «ავთანდილ ძალგით ცრემლსა წკავს დენად სისსლ-ნართავისად, შიგან მეუნისა მორკესა ცურკავს გიშრისა ნავისდა; სურკათებიანს «ვეფხის-ტყა-სანში» კი ლექსები ასეა შეცვლილი: «ავთანდილ ძალგით ცრემლსა სწეიმს, სდის ზღვათა შესართავისად, შიგან მეუნისა მორკესა, ცურ-კავს გიშრისა ნავი სად». რად აირჩია სსენებული რედაქცია კომი-სიამ პოემის ტექსტის შესასწორებლად შედგენილმა, ამის საბუთი არავითარი არა ვკაქვს და ამისათვის ვაკარჩიოთ რჩივე რედაქცია და ვეცადოთ რჩივე არჩი გამოკარკვიოთ ლექსებში.

უწინდელ რედაქციით დაწერილს ლექსებს თეიმურაზ ბატონის შვილი ასე განმარტებს: «წკავს, — აქა ესე ლექსი არა თუ დაწკასა, ანუ ჭსწკავს, ამას არ ნიშნავდეს, აწკევს თავის თჯსა დენად სისსლ-ნართავისა ცრემლისა — ამას ნიშნავსო». მართლა-და, შეუძლებელია, ამ ლექსში «წკავს» რომ წკასა ნიშნავდეს, ფრანზა აშკარად უსწრო გამოვიდოდეს; მაგრამ თუ «წკავს» წკევას ნიშნავს, დიდი საკითხა-ვი სდება, რისათვის ატანს ავთანდილ თავისს თავს ძალასა და რა-და ტირის, თუ არ ეტირება? თუ მაგით მსოლოდ «სიყვარულსა იფერება» და ცრემლი მისი წრფელი არ იყო, როგორ შეკათანს-მოთ ასეთი უნდომელი ტირილი იმ ცრემლს, რომელიც, პოეტის თქმით, «ქვისადა დასაფობნია». (ს. 1248) და მასწავლამე მდულა-რე და წრფელია? სოლო, თუ ავთანდილს «ჭკლავს თინათინის გო-ნება» (ს. 1248), მაშინ ცრემლს წკევაც არ უნდა, თავისთავადაც წამოსქდებოდა.



მეორე ლექსი უფრო ასირებულად ბნელა: «შიგან მეღნისა მორკესა, — ამბობს იგივე განმმარტებელი, — ესე იგი მწუსარებისა მორკესა შოაგარდნილი (ესე ვითარისათვის მოყვრობისა და მიჯნურობისა) ცურავს და მეცადინეობს, სდა იგი გიშრის ნავი არის, ესე იგი მუარი მისთვის სიყვარული და მტკიცე, ვითარცა არს ბუნებითად გიშერი მტკიცე სიმპერთა, — რომელ მიმართის მას ნავსა, ანუ ზავანესა ნავისასა, ესე იგი ნაკთ-საყუდელსა. არაბის მეტაფორია არს სიგიშრე ანუ გიშერი (ესე იგი სანავესა და ნაკთ-საყუდელსა არაბისასა). კომენტატორი ამ განმარტებას არ დასჯერდა და ლექსს ზავანეობადც გვიხსნის: «შიგან მეღნისა მორკესა, ცურავს გიშრისა ნავისად. — ნავისად ნიშნავს კის მომავიურედ კისთან წიგს და კისთან ცურავს, ან სდა განსტარების. ნავი არს ნავარი, ანუ აქმნილი, ანუ ავ-ყოფილი. ნავი — ავი რომ ყოფის იყოს ოდესმე და აწ კი კეთილ-ქმნილ იყოს შიგან მეღნისა მორკესა: მორკეი — მდინარეში შეკუბებული ადგილები. მეღნის. მორკეი — მეღნის მორკეად ასსენებს თვალის ბუდესა ცრემლით სავსესა; გიშრის ნავსა — შავს გიშრის ფერს (?) უწოდებს».

სხანს, განმმარტებელი ბერსა სცდილა რომ იმ უტკანო და უტუნურის ლექსისათვის იგივე აზრი ეთქმევიანებინა, რაც რუსთაველმა თავისს ლექსში ისე ცხადად, მარტივად და ტურთვად გამოხატევა: «ჭკლავს თინათინის გონება, ძრწის იდუმალით ძრწოლითა». რაც გინდა უყავით: მეღნის მორკეი მწუსარების მორკეად გასადეთ, გიშრის ნავი — არაბეთის ნაკთ-საყუდელად, ნავი — ნავად, რაც უნდა ძალა დაატანოთ ლექსის, მაინც იმ აზრს ვერ გამოხსწურავთ, ვითომც აქ ავთანდილის გაჭირებულ მდგომარეობა იყოს გამოხასხული, ფატ. მანთან წოდის გამო.

ამისათვის სურათობიანს «გეფხის-ტყალსისში» მიღებული ლექსების რდაქცია უფრო შესაწინარებელია. ერთობა, რომ კომისიას ხსენებულს ლექსებში დათარგული აზრი არა დაუნახავს-რა და მხოლოდ ტირილის გამომსახველს მეტაფორად უცნია. რასაკვირველია, ასეთი განმარტება უფრო ეშესაბამება ლექსს, მაგრამ ტირილის მეტაფორადც ლექსი მაინც მასინჯია და ტლანჭი. «ავთანდილ ძალგით ცრემლსა სწვიმს» — აზრი დიად ნათელია, მაგრამ ამას იქით იწევა

უგუანობა: «სდის ზღვათა შესართავისად შიგან მელნისა მორეკსა, ცურავს გიშრისა ნავი სად». აქ «მელნის მორეკსა» და «გიშრის ნავს» ერთად ერთი მნიშვნელობა აქვს: პირველი თვალის ბუდეა და მეორე — შავი თვალის კაკალი, და ამის დაგვირგად ლექსის აზრი ის უნდა იყოს, ვითამც გვირის თვალთ ბუდეში, სიდაც თვალის კაკალი გიშრის ნავსავით ცურავს, იღვრება ზღვათა შესართავი ცრემლი. ასეთი ნამძლადევი და უგემური მეტაფორა ტირილისა ახალი არ არის, ამას წინ ვნახეთ ერთ ხანაში (ხ. 1140, გვ. 257) ნესტან-დარეჯანის ტირილი ასე გამოხატული:

შიგან მელნისა მორეკსა ეყაროს გიშრის შუბები,  
მელნისა ტბათათ იღვრების სავსე სათისა რუბები.

მსგავსება მეტად თვალ-საჩინოა და შეუძლებელია მკითხველი ვერ მისვდეს, რომ მე-1140 და 1247 ხანის მეტაფორა ან ერთის მწიგნობარის შეთხზულია, ან ერთი მეორის მიბაძვით დაწერილი.

შეადარეთ ახლა რა ღირსება აქვს ტირილის გამოხატვისათვის მე-1247 და 1248 ხანებში მოუყანილს მეტაფორებს. ყაზბის-მჭნელი გვირის ტირილს ერთს ფრაზაში გამოხატვამს (ავთანდილ ძალვით ცრემლსა სწვიმს) და ზედ იმავე აზრს მეტაფორულად დასძენს (სდის ზღვათა შესართავისად და სსვ.), მაგრამ მისი მეტაფორა წარბეული გამოერებაა და აზრს არაკითარს ახალს ფერს არა სდებს: ორსავე შემთხვევაში ცრემლის სისშირეა გამოხატული. რუსთაველიც თუძცა ერთს აზრს იმეორებს, მაგრამ პირველს ლექსში ავთანდილს ცრემლის მსურვალებას გვიხატავს («ცრემლნი ქვისადა დასალობნია»), მეორეში კი ცრემლის სისშირეს («ფონია»). რაინცა შეესება თავით თვისით მეტაფორის ღირსებას, ერთი შეივარდებაც გმარა ჩვენს დასაწმენებლად, რომ პოეტის მეტაფორას — «გიშრისა ტეგრი (წამწამი) აგუბებს ვარდისა ველსა (ლოყები) ფონია (ცრემლები)» — მწიგნობარის მოგონებულა ხატი ვერც სინათლითა და ვერც სიტუაციით ვერ მისწვდება.

ერთი მოსახსენებელიც, სანამ იმ ლექსების განჩევას გავათავებდე. ყაზბის-მჭნელი ამბობს: «ავთანდილ ძალვით ცრემლსა სწვიმსო» და ეს ცხადი სიცრუეა, რადგან შეუძლებელია, რომ ყმას

«ზღვართა შესართავისადა» ცრემლი სდიოდეს და მასთან მწოლარე ფატმანმა არ დაინახოს და არ იგონოს. ამოდენი ტირილი მალე-ვით მოლოდ მასინ შეიმჯებოდა, ფატმანს რომ ჩასძინებოდა და ავთანდილს მასინ ეტიონა. მაგრამ მათის არშეყოების ვითარებას თუ მიკვისსენიებთ, უფრო საგონებელია, რომ «მას ღამით» ფატმან ავთანდილზე უფრო ფხიზელი უნდა ყოფილიყო. ყაღბის მქნელს ეს სიცრუე იმიტომ წამოსცდა, რომ სულ იმას ცდილობს, რომ ავთანდილს თავისი ცოდვა შეანახოს და ამის გამო ავიწყდება, რომ «მალევით» ტირილს გი არა, არამედ რუსთაველის განზრახვისამებრ, ცხადს ცრემლსა აქვს ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგან მოყმის ტირილს «ფატმან კვბდა თავისათვის, ამაღ ცუცხლსა გვლავ იღებდა» (ს. 246).

მე-1247 ხანის ნასეკარშიაც გვხვებთ მისის სიყაღბის საბუთს. აქ მელექსე ავთანდილს ამაგებინებს ფატმანს და მით ჭლამის ვითამც ცოდვა შეუმსუბუქოს. ამას წინად (ნასე ამ წიქრიღების მე-LX თავი) მკითხველს მოგასსენე «გეოგნის-ტეაოსნის» ზოგოერთის თავყანის-მცემელის შესედულობა ავთანდილისა და ფატმანის არშეყოების შესახებ. ბერს ვერ შეუწყინებია ეს ამბავი და ცდილობს ავთანდილის საქციელი როგორმე გაამართლოს; ისე წარმოგვიდგენენ, კითომც გძირს გუღით სძულდა ეს არშეყოება, ფატმან ესინღებოდა და თავისს შემცდენელს ლანძღავდა და აგინებდა.... თავისს გუღში. ასეთი აზრი სჩანს მეტადრე მე-1084, 1087 და 1088 ხანებიდან (გვ. 243—244) და ამ აზრის შემცდარობა, მგონია, საკმაოდ დაჰამტვიცე. ამიტომაც თავის დროზე წარმოდგენილს საბუთებს აღარ გავიმეორებ.

ესლა გი საჭიროა კოქვა, რომ ავთანდილის ყოფა «მას ღამით» საესებით გამოისატვის მე-1246 და 1248 ხანებით. ამ შემთხვევაში მისი სულის მდგომარეობა დიაღამც რთულია და ასაღწერად ძნელი, მაგრამ, რაც უნდა იყოს, არსიდან არა სჩანს, ვითამც გძირი თავის ცოდვის ჯავრს ფატმანას ღანძღვით უსუსურად იტირდეს. ავთანდილს «თინათინის გონებით გუღი ზელ-ქმნილი» გაეჭრა, სატრფოს ღალატმა შესარა და აათრთოლა «იდუმლითა ძრწოლითა» და, რასაკვირველია, ასეთი «უგულო სიუვარული» დაუშლიდა

ხორციელის ნეტარებით თავ-დავიწყებით დამტკობარიყო. ფატმანს კი ანათერის დარდი და საგონებელი არ აწუსებს: თავისი გულის-ნდობა აისრულა, ვნებით გატაცებული და თვალ-ასკუული კერას ჭხდავს, საყვარლის იდუმალს ჭირს კერ მიმსგადას და ამ ჭირის გამომთქმელს ცრემლსა და ძრწოლას «ექვს თავისთვის» და უფრო ცეტსლს იღებს. რა თქმა უნდა, რომ «არ უმაწვილი» და ავ. ხორცი გაჭრის ცოლი, არმეობაში გამოცდილი და კაი მოყმის კაი მცოდნე, თავის გულს განუსაზღვრელს ნეტარებას მისცემდა და ტურთა საყვარელზე განსარებას «მართ ვითა ადონია».

მოარშეეთ ასეთმა შეუსაბამო და ერთმანერთის მიუმსგადარმა სიყვარულმა ჰოკტი შეაძრწუნა და ფატმანის დაბრძალებასა და თავ-მომწონებას დასცინის: «თუ ყვავი გარდასა იშოვნის, თავი ბუღბუღი ჭტონიაო!» დიაღამც მოსალოდნელი იყო ასეთი მკვასე სიტუება «მიჯნურობისა» მგოსანისაგან, მაგრამ რუსთაველი და ავთანდილ ერთი და იგივე რაღია. ფატმანის არმეობის ამბავში ჰოკტისა და ავთანდილის აზრი და შესედულობა ერთმანერთში თვალსაჩინოდ გაიჩნება. რუსთაველს არ მოსწონს ამ შემთსვევაში გმირის საქციელი, მაგრამ ჰოკტს რომ თავისი აზრი და გრძნობა გმირისთვის მიეჩეპებინა, ავთანდილის სსსიათს ერთობა უსათუოდ დაიშლება და, რადგან გულის ორსმოკვანობა, საქმის ქმნა და მისი ძაგება ავთანდილის სსსიათს არ შეეფერება.

ავთანდილმა ფატმანის გულისათვის მისი საყვარელი ჩანჩაგი-რი ძალვით მოჭკლა და შეზნებულს რუსთაველს უგვირს, «სისსლი მისი ასრე ვითა მოიპარაო!» (ს. 1111 გვ. 250) თვით ავთანდილი კი უბრალო სისსლის დაღვრამ ერთი წამიც არ დააღონა. ასეთივე შეუსაბამო იქნებოდა ფატმანთან წოლა და მისი ლანძვას და ძაგება: «ნესვთა ზედა ვზი ბუღბუღი მსგავსად ყვავისადაო!» მერე ვინ დასკა ნესვზე, რომ ჩივის? განა თითონ არ დაბრძნდა? ავთანდილ შესაბრადისი მასინ იქნებოდა, ცოდვასი რომ უნებლიედ ჩავარდნილიყო, თვარა თითონ ინება, დიაცის გულის-თქმას მიჭყვას და ახლად იძსის: — «მნასეთ, მიჯნურნოო?!»... გამოუცდილი ყრმა ხომ არ იყო და ხომ იცოდა, რომ ფატმანთან მისვლა და მასთან «გოცნა და ლაღობა წყლანია» რითი უნდა გათავებულყო?

ავთანდილს რომ ფატმან არა სძაგდა და არც «ნესკადა» მიაჩნდა, ეს ზოგიდან ცხადად სჩანს, მით რომ მუარე დღეს გმირმა მიიღო ვაჭრის ცოლისაგან ნამდვენევი «მრავალი კაბა, ყაბაჩა, რიდეები, მრავალი ფერი სუნელი, ტურფა ზერანგი წმინდები» (ს. 1249, გვ. 279); მერმეტ მოყვრულად და ჰატივის ცემით ეზერობა, კით «ყარ-გსა მოყვარეს, ერთგულად, მისანდობელსა» (ს. 1257, გვ. 281); და ბოლოს, ტარაელისას გულანშარით წამოსვლის დროს (გვ. 296).

1319... გამომართა იგი მზე პირითა სავსე მთვარისა, მაგრა დაგდება უძიძიდა ფატმანის გულ-მწუხარისა.

მოარბიეთ ასეთი ურთიერთობა სრულად არ ეთანხმება იმ ფატმანის სიძულვილსა და ზიზღს, რომელსაც ყაღბის-მქმნელი მი-აწერს ავთანდილს.

LXX

იმ დამის შეძღვტ, ფატმანმა რომ გულის-ნდობა აისრულა, ავ-თანდილმა გადასწევიტა თავისი ვინაობა გამოცხადა (გვ. 280):

1250. ავთანდილ სთქვა: „საქმე ჩემი გავაცხადო ამა დღესა“:  
სამოსისა ვაჭრულისა ცმა აქამდის დაეწესა;  
მას დღეს ყოვლი საჭაბუკო შეიმოსა ტანსა მხნესა,  
მოიპატა დაშვენება, დამზგავსა ლომი მზესა.

1251. ფატმან პური შეეკაზმა ავთანდილის საწვეველად;  
ყმა შევიდა მოკაზმული მხიარულად, არ პირ-ბნელად;  
ფატმან ჰნახა, გაუკვირდა, ვაჭრულისა უმოხელად,  
შემოსცინა: „აგრე სჯობსო შენტვის ხელთა სასურველად“.

1252. ფატმან მისსა შვენებასა მეტის-მეტად ჰკვირდებოდა;  
მან პასუხი არა გასცა, თავის წინა ღიმდებოდა:  
„შეუტყვების, არ მიცნობსო“, რა რეგვანდა რავარ ჰხმობდა,  
თუმცა რასმე იფერებდა, მეტი არა გავიღოდა.

არა მგონია «გეფხის-ტყაოსანში» მე-1252 ხანისთანა სულე-ლური და უგუნური კიდევ სსკა მოიპოკებოდეს, ან რომელსამე ყაღ-

ბის-მქნელს ისე რეგენდ გამოეხსნოს ავთანდილ, როგორც ამ ხანაშია გამოყვანილი.

ავთანდილ «საქაბუგო» ტანისამოსით შემოსილი ფატმანს სადილად ეწვია და ქაღმა, რა ხასა «ვაჭრულისა უმოსულად», გაუგვირდა, მაგრამ მაშინვე შემოსრინა: «აგრე სჯობსო შენთვის სელთა სასურველად». მოიხსენიეთ, რომ ავთანდილმა, გულანძაროს ქალაქს მისგლისათნავე ვაჭრულად ჩაიგვა და ქარაჯანის პეტრონობა დაიჭო, ფატმანიც მას ვაჭრადა სოფლის და არაჯითარი საბაბი არა აქვს სხვად მიიხინოს, ამიტომ «ვაჭრულისა უმოსულად» რომ ხასა, დიდიმც გაუგვირდებოდა. მაგრამ «მზმელი» ფატმან გონებით ისეთი ზანტი არ არის, რომ, თუ გაუგვირდა რამე, პარლია დარჩეს და ცვლილებას მიზეზის ძეხნა მაშინათვე არ დაუწყოს. გასაკვირველიც არ არის, რომ ფატმანის მდგომარეობაში ქალს აზრად პირველად ის მოუვიდეს, კითომც მისმა საუკრელმა ქარაჯანის პეტრონმა, «საქაბუგო» იმისთვის ჩაიგვა, რომ უფრო დამძვენებულყოფი და თავისს მოარძიეს უფრო მოსწონებოდა. «შემოსრინა: აგრე სჯობსო, შენთვის სელთა სასურველად!» მიგისვდი მაგ ოინსაო. ვარჯადაც გიქნია, რადგან მაგ მოსწონებით ჩემთვის უფრო სანატრელია სარო! სხვას რასღა მოიფაქრება საწყალი დიაცი, რომელსაც ავთანდილის დანახვასე სიყვარულის მეტი არა აკონდება-რა, წუხანდელი აღი არ გასცხრობია, და მას ღამით «გონა და ღაღობა «წყლიანი» აქამდის ელანდება. შემდღარია თუ არა, ფატმან თავისთვის დარწმუნებულია, რომ ავთანდილის ტანისამოსის ცვლილების მიზეზს მისვდა. რაღას მოგვითხრობს მელექსე, «ფატმან მისსა შენებსა მეტის-მეტად ჭკვირდებოდაო?... «მეტის-მეტად ჭკვირდებოდაო» — ეს ხომ გაკვირვების ხანგრძლიობას ნიშნავს. რაღას «ჭკვირდებოდა», თუ გაკვირვების მიზეზს თავისებურად უგვირ მისვდა?

წარმოიდგინეთ ყაღბის-მქნელის დასატული სტენა: ფატმან და ავთანდილ სადილზე სხედან; ქალი, ავთანდილის შენებთი გაშტორებული, ხმას არ იღებს, ეს კი იღიმება, გულში ღანძღავს და დასრინის: «შეუტყუების არ მიცნობსო!» რას იღიმება და რას იბრუნება ავთანდილ? — ფატმან მისანი ხომ არ არის მისს დაფარულს ვი-

ნაობას მიჭსკდეს: გნებით თვალ-სკეუღმა «მის ღამით» მისის სიყვარულის უგულობა კერ შიგნო, ახლა რით მისკდეს, რომ «საჭაბუგოს» ჩაგმა ვინაობის გამოცხადება? ან რა გასაკიცსი იყო, თუ სამოსლის გამოცვლასაც «უჭკდა თავისათვის», ან შიყვ-ვაჭარის კეკლუცობა და კოსტაობა ეგონა? რა ჭკუის ჰატრონი უნდა ყოფილიყო მელექსე, ფატმან რომ ამისათვის აკონდილიანგან გაეკიცხებინა და ასეთი ქვევა გმირისა მოსწონებოდა!?...

თავისს მოგონებულს სტენას ყალბის-მქნელი მიაკვრებს ერთს ლექსისაც: «თუმიცა რასმე იფერებდა (ავთანდილ) მეტი ანა გავიღოდა». ეს დაგვიანებული და უადგილო მოგონებაა პოეტისაგან თქმულის სიტყვისა: «ყმა ნამუსსა ინახეკდა, სიყვარულსა იფერებდა», — მხოლოდ უფერულად და განუსაზღვრულად გამოერბული. რაც რეს-თაკულმა თავისს დროზე სთქვა და ანშიეთა ურთიერთობის დასახსიანთებლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ახლა, სიყვარულის ღამის მეორე დღეს, სადილის დროს, სრულად უადგილოა, გარემოებას ან უშესაბამება, ამიტომაც მე-1252 ხანის უკანასკნელს ლექსს სსკა ლექსებთან არავითარი შინაგანი, ლოლიკური კავშირი ანა აქვს.

თავით თვისით უგუნური მე-1252 ხანა ავთანდილის მდგომარეობასაც და შემდგეს მისს საქციელს ან ეთასსმება. ავთანდილმა დააპირა: «საქმე ჩემა გავაცხადო ამა დღესაო» და დაიწყო მით, რომ კატრულის სამოსელის მაგიერ, თავისი ჩეულებრივი «ყოკლი საჭაბუგო შიომოსა ტანსა მსნესა». ტანისამოსის გამოცვლით გმირის განზრანსკა კი ანა ჰქონდა, რომ ფატმან მისს სხასაღარობას მიმხვდარიყო, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ავთანდილ მოჩინა იმ დროის თამაშობას, რომელსაც აქამდის იფერებდა. თუ ფატმან ამით კერ მიჭსკდა მისს ვინაობას, ეს არცა სწეინს და არც ენაღვლება ავთანდილს; ეტყობა, არც ეშურება თავის «საქმის გამოცხადებას», რადგან თავისს ვინაობას ავთანდილ მხოლოდ «სადამოს უამს» შეატყობინებს ფატმანს, რომდესაც ქალი მეორედ მიიწვევს თავისს სასლში. შინამ კი ანშიეთ «პური სჭამეს, გაიყარეს, ყმა მივიდა მისსა შინა, ღვინო-სმული, მსიარული, დაწვა, ამოდ დაიძინა» (ხ. 1253, ვკ. 280). ამ კვირადიდან ჩინანს, რომ ავთანდილ სრულებით ან იყო ისეთს გუნებასე, რომ გულ-დასურული და თავ-

მომწონე ფატმანს დასტინოდეს: დასე ამ რეგენს, «ყოფი სსჭაბუ-  
კა» ჩავიცვი და 'მაინც კერ მიმსკლარა, რომ არაბეთის სპასხეტი  
ვარ და თინათინის მიჯნურა!...

## LXXI

ავთანდილმა გამოუცხადა ფატმანს თავისი კინაობა, უთხრა  
ტარქელის ამბავი და აცნობა, რომ ის ქალი, ფატმანს რომ ჭყლია,  
ტარქელის დაკარგული სატრფია და თითონაც იმ ქალის სძებრად  
მოსულა. მოემე სთხოვს ვაჭრის ცოლს შეწეენასა, «ნუ თუ კვლავ  
მისვდნენ მიჯნურნი ერთმანერთისა ხლებასა» (ხ. 1260, გვ. 281).  
მოყვნიეთ დააზირეს ნესტან-დარეჯანის ქაჯეთით დასსნა. ფატმან  
სწერს ქალსა ავთანდილის მოსკლას. სთხოვს ქაჯეთის ამბავი აცნო-  
ბას და ტარქელისთვის ნიშანი რამე გამოგზავნოს. ნესტან-დარე-  
ჯანისათვის წიგნის მიწმეკას ფატმან დააბარებს იმჟე გრძნეულს  
მონას, ამას წინ რომ ქაჯეთს გაეგზავნა (გვ. 284—285).

1270. ფატმან მისცა დაწერილი მას გრძნეულსა ხელოვანსა, —  
„ესე წიგნი მიართვიო ქალსა, მზისა დანავგანსა;“  
მან გრძნეულმან მოლი რამე წამოისხა ზედან ტანსა,  
მასვე წამსა გარდიკარვა, გარდაჰფრინდა ბანის-ბანსა.

1271. წავიდა ვითა ისარი კაცისა მშვილდ-ფიცხელისა;  
რა ქაჯეთს შეხვდა, ქმნილ-იყო ოდენ ბინდ-ბანდი ბნელისა,  
უჩინოდ შევლო სიმრავლე მოყმისა, კართა მცველისა.  
მას მზესა ჰკადრა სალამი მისისა სასურველისა.

1272. ციხისა კარნი დახშულნი შევლნა, მართ ვითა ღიანი,  
შევიდა ზანგი პირ-შავი, თმა-გრძელი, ტან-ნაბღიანი;  
იგი მზე დაჰკრთა, ეგონა სამისო რამე ზიანი,  
შესცვალა ვარდი ზაფრანად, ლაქვარდის ფერად იანი.

1273. ქაჯმან უთხრა: კვინ გგონივარ, ანუ აგრე რად დაბნდები?  
მე ვარ მონა ფატმანისა, თქვენს წინაშე ნამგზავრები,  
ამა წიგნმან გამამართლოს, არ ტყუვილად გეუბნები,  
მზისა შუქი მოისწრაფენ, ვარდო აღრე ნუ დატკნები“.

1274. პირ-მზე გაჰკვირდა ფატმანის ამბითა საკვირველითა,  
ნუშნი გააპნა, შეიძრწნეს სათნი გრშრისა წნელითა;



მას იგი წიგნი მონამან მისცა თავისა ხელითა,  
სულ-ჰთქვამს, იკითხავს უსტარსა, ალტობს ცრემლითა ცხელითა.

ახა მივსდიოთ კვალ-და-კვალ მოთხრობას: გრძნეული მონა ქა-  
ჯეთს მივიდა, ნესტან-დარეჯანთან, ციხის-მცველთაგან დაუნახავი,  
შევიდა და ფატმანის სალამი მოასსენა, მერმე იმავე მონამ «ციხისსა  
კარნი დასშუღნი შეკლნა», ქალს აგონა სამისო რამე ზიანი» და  
შეეშინდა. მონა თავისს ვინაობას აცნობებს და ამჟღადებს, ამ წიგ-  
ნიდან შეიტყობ, რომ მართლს მოგასსენებთ, მაგრამ წიგნს გი  
მანც ვერ არ აძლევს. მამინ-და ნესტან-დარეჯანს გაუგვირდება ფა-  
ტმანის მიგზავნილობა და მონაც წიგნს მიაერთებებს... საკვირველი  
წაღმა-უგუღმა მოთხრობა არ არის? თუ ფატმანის მონა შევიდა ნეს-  
ტან-დარეჯანთან და თავის ზატრონისაგან შეთვლილი სალამი მო-  
ასსენა, — რომელნიღა «ციხისსა კარნი დასშუღნი შეკლნა» და სად  
შევიდა კვლავ? შევიდა, სალამი მოასსენა, გავიდა და მეორედ შევიდა?  
ფატმანის სალამი რომ მოისმინა, ქალი თითქო მამინე უნდა გა-  
ჭკვირებულყოფა, ეპიზოდებიდან კი ისე გამოდის, რომ ფატმანის მოხ-  
სენების შემდეგ ქალს ზანგის დანახვით შეეშინდა, და ამან რომ დაამჟი-  
და, მერმე-ღა მოაგონდა ეს სალამი და გაჭკვირდა «ფატმანის ამბი-  
თა საკვირველითა.» მაგრამ ახა ამ ეპიზოდს მე-1282 და 1283  
ხანები გამოაკვლით: მონამ

მას მზესა ჰკადრა სალამი მისისა სასურველისა,

პირ-მზე გაჭკვირდა ფატმანის ამბითა საკვირველითა, და სსკ.—  
როგორ გასწორდება და განათლდება ამბავი: რა შედგომილებით და-  
ბუნებითად წარსდინდება მოთხრობა!

ეს ორი ლექსი ლოგიკურად და გრამატიულად ისე მჭიდროდ  
და უსაშუალოდ დაკავშირებული არის, რომ მათ შორის რისიმე  
ჩამატება ყოვლად შეუძლებელია, — მოთხრობის მსვლელობა უთუოდ  
შესწყდება და აირეკა. ამიტომაც არის, რომ მე-1272 ხანის დასა-  
წყისი წინამავალს ხანას არ ერთვის და მე-1273 ხანის ბოლოს  
შემდეგს. მე-1274 ხანასთან კავშირი არა აქვს. ეს უკავშირობა პირ-  
ველი უცნობელი საბუთია მე-1272 და 1273 ხანების სიყალ-  
ბისა.

არსებოდაც ეს ორი ყალბი ხანა ამბავს არაფერს შესანიშნავს და ღირს-საცნობს არ შესძენს, ისეთს ფაქტს მოგვითხრობს, რომელიც უფრო დაუფერებელია, ვინემც შესაძლებელი და არავითარი შედეგი არა აქვს შედეგის ამბისათვის. ნესტან-დარეჯან ფატიმანის მონის დანახვით შეგერთა და ესეც ამშვიდებდაო, — ამას გვიამბობს ყალბის-მქნელი ვრცლად და მრავალ-მეტყველებით ორს ხანაში. მერე რაო, რომ შეგერთა? რა ზედ-მოქმედება აქვს ამ გარემოებას იმ ფაქტზე, რომ ნესტან-დარეჯანს ფატიმანის წიგნი მოუვიდა, რომ მისი მსხველი მოვიდა და ტარეულ ცოცხალია?

ან რად უნდა შეშინებოდა ნესტან-დარეჯანს გრძნეულის მონის დანახვით? — მსდალი ის არ არის და თავისი უშიშრობა მრავალს უარეს განსაცდელში გამოუჩენია. ზანგის დანახვა, რაც უნდა შავი ყოფილიყო, ქალს არ შეაშინებდა, რადგან მათი ნახვა ზირკული არ იყო, სანამ ფატიმან დაისხნიდა, ნესტან-დარეჯან დიდი ხანია ორ ზანგთან ერთად ზღვა და ზღვა დადიოდა. არც ესამისო რამე ზიანის გონება გააკრობდა, რადგან «სხვა-და-სხვა ჭირი მას-შედა არ ასაღია, ბეგლია» (ს. 1169, გვ. 263) და ამას წინ, ერთი გრძნეული მონა ვი არა, მრთელი ლაშქარი ქაჯებისა «აღყად გარე შემოერტყა» (ს. 1221, გვ. 274) და შეიპყრა, და ქალი არც მამინ შეშინებულა, ახლა რაღა დაემართა, რომ ზანგის დანახვით გაფითრდა?

სასაცილოა, როგორც ცდილობს ყალბის-მქნელი ფატიმანის მონას საშიშრად გამოხატოს და მით ნესტან-დარეჯანის დაფრთხობა დაგვაფეროს. «შევიდა ზანგი ზირშავი, თმა-გრძელი, ტან-ნაბდიანიო». — თითქო ბავშვების საშინებელი ბობოლა იყოსო. ამ სასარკლისა სანსაემი ისეთი ელდა დასცა... თითონ მელექსესა, რომ დაავიწყდა, რომ «თმა-გრძელი» ზანგი არასოდეს არ ყოფილა. მაშ რაღა თქმს უნდა, ქალიც შეშინდებოდა და აი რა საუცხოო მეტაფორით ამკობს ყალბის-მქნელი ნესტან-დარეჯანის «დაკრობას»: «შესცვალა ვარდი ზაფრანად, ლაყვარდის თერად იანიო». — ვარდი ზაფრანად შეცვლილი — გამკროთალი პირისასკა, ეს ეგელამ ვიცით; გალურჯებული იანი რაღა — ვინ გამოიტანას? იანი მეტაფორულად ხან თმასა და ხან

თვლებსა ნიშნაკენ, მკვრამ შიშისაგან გაღურჯებულნი თმა ან თვალები ან გავიხილა.

მე ვერ მიმხვდარკარ, თეიმურაზ ბატონისშვილი კი თავისს განმარტებაში ამ მეტაფორას ასე გვიხსნის, კითხვით „ლაყვარლის ფერად იანი“ ნიშნაკს „მშკენიერება შირისა ელვარებისა გაუღურჯდა შიშით, ლაყვარლად ანუ იის ფერად“. ასე რომ ნესტან-დარეჯან შიშისაგან გაუვითლდა და თანაც გაღურჯდა, ხოლო რამდენად შესაძლებელია კაცს ეს ორივე ფერი ერთად შირისასნესე დაედოს, — ამისი რა მოგახსენო! შესანიშნავი კია, რომ ეს მეტაფორა მწიგნობართ ძალიან მოსწონთ. ერთმა მათგანმა სთქვა: „ვარდი ან ქმნილა ზაფრანად, აწ ია შეიგონების“ (ხ. 693, გვ. 153), მეორემ — „ებროლი და ლალი გათლილი ლაყვარლად გარდიქტეოდანო“ (ხ. 948, გვ. 211) და ეს, თეიმურაზ ბატონისშვილის განმარტებით, მეტის მწუხარებისა და ცრემლისაგან იყო; ახლა კი შირისასის გაღურჯება თურმე შიშისაგანაც შეიძლება.

აღ. ს.-შვილი



# ჩარლზ პარნელი

კბ. ტარლესა

15 \*)

ირლანდია ყოველთვის სხვა ქვეყნებზე მეტ ემიგრანტებს უგზავნიდა შვერთებულ შტატებს. სამოც და ათიან წლებში, მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკაში იყო 12<sup>1</sup>/<sub>2</sub> მილიონი მუშა, მიწის-მომქმედა თუ მრეწველი; ამათგან მკვიდრი ამერიკელი იყო 10 მილიონი, ერთ მილიონამდე ირლანდიელი და დანარჩენი ერებიდან (ჩინელი, ფრანგი, ინგლისელი, გერმანელი) მხოლოდ მილიონ-ნახევარი. ასე რომ, პარნელი დაიმედებული უნდა ყოფილიყო, რომ შვერთებულ შტატებში მას თანამგობნი ეყოლებოდა. გარდა ირლანდიელებისა, თვით ამერიკელი საზოგადოების სიმპატიის იმედიც უნდა ჰქონოდა პარნელს, რადგანაც ამერიკელებს იმ თავითვე ირლანდიელების მხარე ეჭირათ, რასაკვირველია, უფრო იმიტომ, რომ ინგლისსა და ამერიკას შუა ყოველთვის ანტაგონიზმი და მოქიშპეობა არსებობდა.

ფენიები უშიშარ თავ-შესაფარს პოულობდნენ აქ. ირლანდიის დამშევის დროს, ნიუ-იორკში და სხვა დიდ ცენტრებში საქველ-მოქმედო ბაზრები იმართებოდა; ამერიკული პრესსა (მწერლობა) ყოველთვის დიდის სიმპატიით აღნიშნავდა ირლანდიელ ოპოზიციის მოღვაწეობის ფაქტებს. სისტემატიური ობსტრუქციის დაწყებისათანავე პარნელს დიდი ყურადღება მიაქციეს ამერიკელებმა, ბევრს ლაპარაკობდნენ მათზე;

\*) იხ. „მოამბე“ № IX, 1899 წ.

აქ ისიც იკოდნენ, რომ პარნელი ამერიკაში მოდის სააგიტაციოდ და მოუთმენლად მოელოდნენ მის მოსვლას როგორც ირლანდიელები, ისე ამერიკელებიც. არა ნაკლების ინტერესით, მაგრამ სულ სხვა გრძნობით ადევნებდა თვალ-ყურს ამ მგზავრობას ინგლისის პერიოდული მწერლობა.

ერთმა ლონდონელმა ჟურნალისტმა, ფილიპე ბაჯენალმა (*The American Irish and their influence on Irish politics, by P. Bagenal*) დასწერა პამფლეტი ამერიკელ ირლანდიელებზე. აქ დაწერილებით აღწერილია პარნელის მოგზაურობა და მოყვანილია რამდენიმე მისი სიტყვა. კვილენდში პარნელმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელმაც ინგლისში დიდი ქარიშხალი გამოიწვია: „მე ვნახე აქ შეიარაღებული ირლანდიელი მილიციელებიო, — სთქვა მან, — მე მგონია, რომ თვითეული მათგანი ნატრობს იმ დღეს, როცა მას შეეძლება მოიხმაროს თავის იარაღი ირლანდიისათვის“. ტაშის კვრამ და გრვენივის მზგავსმა ვაშა-ვაშას ძახილმა გააწყვეტინა ორატორს ლაპარაკი. „არაფერიაო, — განაგრძო მან, — აღრე იქმნება თუ გვიან, საქმე იარაღამდეც მივაო“. თექვსმეტ თებერვალს პარნელი ლაპარაკობდა პიტასტიუნში უამრავ მსმენელთა წინაშე. „გაძლევთ სიტყვას, — ეუბნებოდა იგი იქ შეკრებილ ირლანდიელებს, — რომ ვიბრძოლებ ისე მედგრად ღ დაუღალავად, როგორც თქვენთვის სასურველია. ლენდ-ლორდები და მართებლობა სდენის ფერმეარებს და მათ ოჯახებს მათი მიწებიდან, მაგრამ მამაც კონნემარელ დედაკაცების იმ სისხლისაგან, რომელიც მათ დაღვარეს კერას დამქცევთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს, ამოვა ძალა, რომელიც წაჰლეკავს არა თუ მიწად-მფლობელობის მთელ სისტემას, არამედ იმ უსვინიდისო მართებლობასაც, რომელიც მფარველობას უწევს მას (სისტემას). 23 თებერვალს პარნელი ცინცინატში ლაპარაკობდა: „მე დარწმუნებული ვარ, რომ ლენდ-ლორდობას მალე მოვსპობთ. როცა ირლანდიის მიწა ირლანდიელებს დაუბრუნდება, მაშინ ჩვენ გვექმნება საძირკველი, რომელზედაც ერის ცხოვრებას ავაშენებთ. როცა მოვსპობთ ირლანდიაში ინგლისის ბატონ-პატრონობას, ირლანდიის

ერი დაიქვრს თავის ადგილს სხვა ერებთა შორის. მაგრამ ნუ იფიქრებთ ნურასოდეს, რომ ჰომრული, — ჩვენი საბოლოო მიზანი იყოს. არც ერთი ჩვენგანი — ამერიკაში სცხოვრობს იგი, თუ ირლანდიაში, — არ იქმნება კმაყოფილი, სანამ არ გაწყდება უკანასკნელი ინგლისისა და ირლანდიის შემაერთებელი ძაფი“. პარნელის ორატორულმა ნიჭმა აქ ფართოდ გაშალა თავისი ფრთები. იგი ლაპარაკობდა დაწყნარებით, აღუშფოთებლად, ისე, როგორც პარლამენტში გაცხარებულ ბრძოლის დროს. მაგრამ ეს მისი აღუშფოთველობა, რომელიც მოკლებული იყო ხელოვნურ, არა გულწრფელ გატაცებას, რწმენის სიწრფელე, რომელიც ყოველ მის სიტყვას ემჩნეოდა, დიად შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელების გონებაზე. პარნელი ნამდვილი ანგლო-საქსონელი ტიპის ორატორი იყო, ისე, როგორც გამბეტა ფრანგული ტიპისა.

შეიძლება სთქვას კაცმა, რომ პარნელი ამერიკაში წასვლისას ცნობილი კაცი იყო და იქიდან დაბრუნებული კი — სახელგანთქმული. ოვაციებს ბოლო არ ჰქონდა. ვაშინგტონში ნახევრად - ოფიციალურად იგი მიიპატიოეს კონგრესის ხალაში; შემოწირულობა წყალივით მოდიოდა. ორ თვეში „სამიწო ლიგისათვის“ შეკრიბა პარნელმა 350,000 დოლარი (700,000 მან.); დამშეულთათვის შეკრებილი ფული კიდევ სხვა იყო. მოგზაურობის საქმის მატერიალურად და პოლიტიკურად (ამერიკელების თანაგრძნობა) ბრწყინვალედ მსვლელობა ყველას აფიქრებინებდა, რომ პარნელი ერთ ხანს კიდევ დარჩებოდა ამერიკაში, მაგრამ ამდროს ბიკონსფილდმა პარლამენტი დაითხოვა და ახალი არჩევნები დანიშნა; პარნელმა მაშინვე დაანება ყველაფერს თავი და ირლანდიაში წავიდა.

პალატა დათხოვნილ იქმნა 8 მარტს 1880 წელს; მეორედ დღესვე გაზეთებმა დაჰბეჭდეს მთავარ-მინისტრის წერილი ჰერცოგ მალბოროსადმი მიწერილი. აი რას სწერდა ბიკონსფილდი ირლანდიის გამგებელს: „ირლანდიას თავს ადგას განსაცდელი, რომელიც შიმშილზე და ეპიდემიაზე ნაკლებ საშიში არ არის. მკვიდრთა ერთი ნაწილი ცდილობს შესწყვიტოს ის საკონსტი-

ტუციო კავშირი, რომელიც ინგლისსა და ირლანდიას აერთებს“. შემდეგ მინისტრი ეხება იმ პირებს, რომელნიც ჰბედავენ ექვი შეიტანონ ამ კავშირის სასურველობაზე და განაგრძობს ეგრე: „პარლამენტის დაუყოვნებლივ დათხოვა მოხერხებულ შემთხვევას აძლევს ინგლისის ერს, აირჩიოს გზა, რომელსაც დიდი გავლენა ექმნება ინგლისის მომავალ განვითარებაზე და ბელზე“.

წერილის ბოლოს ბიკონსფილდი გამოსთქვამს იმედს, რომ ახალი პარლამენტი ღირსი იქნება ინგლისის ძლიერებისა და მტკიცედ შეუდგება ამ ძლიერების დაცვის საქმეს. საკმარისია ციფრების თვალის ვადავლება, რომ დავინახოთ, თუ რა საშინლად დამარცხდნენ ტორები ამ არჩევნებში. დათხოვნილ პარლამენტში იყო 351 კონსერვატორი, 250 ლიბერალი და 51 ირლანდიელი; ახლად არჩეულ პარლამენტში კი 243 კონსერვატორი, 349 ლიბერალი და 60 ირლანდიელი. ბიკონსფილდი გადადგა და ახალი სამინისტროს შედგენა მიანდევს ლიბერალების მოთავეს გლადსტონს. 1880 წ. არჩევნებმა ცხადად დაანახა ყველას, რომ პარლამენტის გავლენა და ძალა შესანიშნავად გაზრდილა. იგი აირჩიეს სამ ოლქში; ეს ცოტაა: აირჩიეს აგრეთვე ყველა მისი კანდიდატები. 60 ირლანდიელ დეპუტატთან 30 ნამდვილი პარლამენტები იყვნენ (დანარჩენებს ჯერ კიდევ არ გადაეწყვიტათ, განეგრძოთ ბიუტის პოლიტიკა, თუ პარლამენტს მიმხრობოდნენ). პარლამენტის გავლენა მის მომხრეებზე უსაზღვრო იყო; ის პირები, ვინც პარლამენტს პირადად იცნობდნენ, ამბობენ, რომ ეს გავლენა უმაგალითოა პარლამენტის ისტორიაში. კერძო ცხოვრებაში პარლამენტი მიუკარებელი იყო: ვერც ერთი მისი მომხრე ვერ ჰბედავდა კერძო ცხოვრებაში მასთან დაახლოვებას; პარლამენტი კმაყოფილი იყო თავისივე საზოგადოებით და მეგობრებს არ ეძებდა; ამითი იგი ჰგავდა ბაირონს, რომელთანაც მას ბევრი სხვა მსგავსებაც ჰქონდა, როგორც ხასიათით, ისე ტემპერამენტითაც.

მთელი ირლანდია თანაუგრძობდა მას; მისი პარტია, რომელიც გაცილებით სჯობდა წინანდელ ჰომოფილიზმის ჯგუფს, მტკიცედ დისციპლინის მორჩილი და მეთაურის სრული

გამგონე იყო. ამ პირობებში პარნელს, ცხადია, არ გაუჭირდებოდა ბრძოლის დაწყება; მაგრამ იგი ჯერ გაჩერდა. რასაკვირველია, ისეთ ღრმა სკეპტიკს, როგორც პარნელი იყო, იმედი არ ჰქონებია, რომ ლიბერალური სამინისტრო დააკმაყოფილებს ირლანდიელების ყველა მოთხოვნილებას; ეს იმედი არ ყოფილა მისი გაჩერების მიზეზი; მას უნდოდა დაენახებინა მთელის ქვეყნისათვის, რომ ახალი იმის მიზეზი პარნელი კი არა, — გლადსტონია. ამისათვის საჭირო იყო ირლანდიელების მოთხოვნათა წარდგენა და გამგეობის შეხედულობის საჯაროდ გამოთქმა. წინედ გლადსტონს ირლანდიისათვის ბევრი კარგი გაუკეთებია; მოსპო ანგლიკანურ ეკლესიის სასარგებლოდ არსებული გარდასახადი, შეამსუბუქა ფერმერების მდგომარეობა (land act 1870), არა ერთხელ წინააღმდეგობა გაუწევია ირლანდიაში განსაკუთრებულის ზომების შემოღებისათვის. ეხლაც იმედი იყო, რომ პოლიტიკურ ზომებს შემოიღებდა, მაგრამ პარნელს უნდოდა, ან ყველაფერი ყოფილიყო, ან სულ არაფერი.

გლადსტონის კაბინეტმა შეპირებით დაიწყო: დაჰპირდნენ „სამიწო ლივის“ ზოგიერთ მოთხოვნილებათა სისრულეში მოყვანას; მაგრამ დაპირება ცარიელ დაპირებად დარჩა. სამინისტროს წევრმა გარრინგტონმა განაცხადა, რომ საქმე რეფორმები კი არ არის, არამედ ირლანდიელ საქმეების კარგად გაცნობა, ეხლანდელი მართებლობის საზრუნავი რეფორმები კი არ არის, არამედ დანიშვნა კომისიისა, რომელმაც უნდა დაიმუშაოს ფაქტიური მასალა. პარნელის აზრით კი, რამდენიმე ათი ათასი შიმშილით დახოცილი ირლანდიელი უცხადესს ფაქტიურ მასალას წარმოადგენდა; მისი შეხედულებით, სანამ კომისია კვლევა-ძიებაში იქნებოდა, ეს ფაქტიური მასალა ისე გაიზრდებოდა, რომ მისი გარჩევისათვის ერთობ დიდი შრომა იქნებოდა საჭირო; ამიტომაც პარნელმა პირდაპირ გამოაცხადა, პარლამენტშიაც და ირლანდიაშიაც, რომ გარრინგტონი და გლადსტონი ისეთივე მტრებია ირლანდიისა, როგორც ბიკონს-



ფილდი, მათი ხმედი ირლანდიელებს არ უნდა ჰქონდეთ, და ამიტომაც საჭიროა ბრძლის განგრძობა.

ახალმა სამინისტრომ ირლანდიის გამგებლად დანიშნა ფორსტერი, რომელიც ირლანდიისადმი ვითომ და განწყობილი იყო. ირლანდიელ პარტიის ზოგიერთი წევრები, რომელნიც ჯერ კიდევ ბიუტის აზრების მიმდევარნი იყვნენ, ალტაცებით მიეგებნენ ამ განკარგულებას. პარნელი კი უყურებდა ამ ზომას, როგორც ხერხს, რომელიც სასარგებლო იყო მართებლობისათვის და სრულებით უსარგებლო პარტიისათვის და ქვეყნისათვის. თუ ყურადღებით დავაკვირდებით პარნელის კარიერას, დავინახავთ, რომ იგი ყოველთვის ასე იქცეოდა: როცა რომელიმე კაბინეთი მოინდომებდა მის დაახლოვებას და ამ მიზნისათვის ზოგიერთ წვრილმან რამეში დააკმაყოფილებდა ირლანდიელების მოთხოვნას, იგი უფრო მტკიცედ და სასტიკად ადგა თავის პროგრამას; იოტის ოდენასაც არ დაუთმობდა მართებლობას. ეხლაც ეგრე იყო. იწყებოდა ბრძოლა ხანგრძლივი და მოუსვენებელი, რომელიც წინანდელზე უფრო ძნელი იქნებოდა, რადგანაც 80-იან წლებში, გლადსტონი ერის ნამდვილი უმრავლესობის წარმომადგენელი იყო, და არა მხოლოდ ოფიციალური პრემიერი (მთავარი მინისტრი). მაგრამ სანამ ბრძოლას დაიწყებდა, პარნელს ირლანდიაში ჰქონდა მოსაწყობი პარტიის საქმეები.

იმ სოციალურ ძალთა შორის, რომელნიც ირლანდიაში მოქმედობდნენ და ინგლისურ ელემენტს ებრძოდნენ, თვალსაჩინო ადგილი ეჭირა ყოველთვის კათოლიკურ სასულიერო წოდებას. ეს სასულიერო წოდება იმ თავითვე ოპოზიციას ეკუთვნოდა. ირლანდიელებმა ბრიტანიელებზე ადრე მიიღეს ქრისტიანობა და მიუხედავად სარწმუნოების ერთობისა, დამოკიდებულება ორივე ქვეყნის სამღვდლოებათა ყოველთვის მტრული იყო. ამ მოვლენის მიზეზთა შორის არა მცირედი ადგილი ეჭირა რასებრივ სხვა-და-სხვაობას და აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ირლანდიელთა ეკკლესია უძველესი იყო, რითაც აქაურ სამღვდლოებას დიდად მოჰქონდა თავი. მეთორმეტე საუკუნე-

ში, როცა ინგლისელები ირლანდიის დაპყრობას შეუდგნენ, კათოლიკე სამღვდელთა დიდ მონაწილეობას იღებდა ეროვნულ თავის დაცვაში. მეთექვსმეტე საუკუნეში ტიუდორების დროს, და მეჩვიდმეტეში პირველ სტუარტებისა და რესპუბლიკის დროს ირლანდიელი კლირიკები (სამღვდელთა) იბრძოდნენ არა მარტო ეროვნობისათვის, არამედ კათოლიციზმისათვისაც, რადგანაც იგი დიდ საშიშროებაში იყო ანგლოკანურ და პურიტანულ ეკლესიებისაგან. მე-XVII საუკუნის ბოლოდან სასულიერო წოდება ყოველთვის პროტესტს აცხადებდა იმ გადასახადის წინააღმდეგ, რომელიც ირლანდიელებს უნდა ეხადნათ ანგლიკანურ ეკლესიის სასარგებლოდ, და „ტესტ-აქტის“ წინააღმდეგ, რომლის ძალით ირლანდიელი ვერ შევიდოდა სახელმწიფო სამსახურში. კლირისათვის ერის დაჩაგვრა და კათოლიციზმის დევნა ერთი იყო; ამიტომაც ირლანდიელი სასულიერო წოდება ირლანდიის განთავისუფლების ენერგიული მქადაგებელი იყო და ინგლისელებთან ბრძოლას უყურებდნენ, როგორც სარწმუნოებრივ დეაწლს. თუ ამგვარი იყო ადგილობრივი კლირის მიმართულება, რომი მას მხარს არ აძლევდა. მართალია, ჰომრულიორების მოწინააღმდეგენი ამბობდნენ, რომ ირლანდიელები ჰომრულს კი არა, რომ-რულს (რომის მართებლობას, ბატონობას) იმზადებენო, მაგრამ ეს კალამბურია, რომელსაც სინამდვილესთან არა აქვს-რა საერთო. პაპი ლეო მე-XIII „სამიწო ლიგის“ მოქმედების წინააღმდეგი იყო და მოსალოდნელი იყო, რომ 1880-ში სასულიერო წოდების ერთი ნაწილი გადუდგებოდა ლიგისა და ჰომრულის საქმეს.

გარდა ამისა, თუ სასულიერო წოდება ბევრს იძლეოდა და შეტად სასარგებლო იყო საქმისათვის, მოსალოდნელი იყო, რომ იგი ბევრსაც მოითხოვდა, და სწორედ ამის შიში ჰქონდა ირლანდიელების მოწინავე დასს. პარნელის მიმდევართა შორის კლირიკებიც იყვნენ და ანტიკლერიკალებიც. პარნელის აზრით, სანამ უმთავრესი მიზანი მიუღწეველი იყო, ერთმანერთში ბრძოლის ატეხა უაზრობა იქმნებოდა და ამიტომაც

გადასწყვიტა ეხმარა მთელი თავისი ძალ-ლონე და დაეჯერებია კლირი და თავისუფალი მოაზრებები, რომ დაევიწყათ დროებით თავიანთი უთანხმოება და ხსომებოდათ მარტო ჰომრული და „სამიწო ლიგის“ პროგრამმა. პარნელის 1880 წლის ირლანდიაში მოგზაურობას ჰქონდა მიზნად ეს ორი საქმე: გაჩერება კლირის იმ ნაწილისა, რომელიც ააღელვა პაპის შეხედულებამ „სამიწო ლიგის“ შესახებ და ჰომრულიორთა სხვადა-სხვა ფრაქციის შეთანხმება. მიღწია კიდევ პარნელმა თავის მიზანს; ყველა კარგად შეხვდა მას: კათოლიკური სამღვდელოება მხურვალედ ლოცულობდა მისთვის (თუმცა პარნელი პროტესტანტი იყო); ირლანდიელების მოწინავე დასს ჭეშმარიტებად მიაჩნდა ყოველი მისი სიტყვა.

ამ მოგზაურობამ ერთხელ კიდევ დაანახვა ინგლისის მართებლობას და პარნელის არა-მომხრე ირლანდიელ დეპუტატებს, რომ მხოლოდ პარნელიზმია ის პოლიტიკა, რომელიც სწამს და აურჩევია ირლანდიის ერს. გაზაფხულის საპარლამენტო სესსია გათავდა გლადსტონისა და პარნელის აშკარა დაშორებით. პარნელი ამბობდა, რომ მალე ობსტრუქცია დაიწყებს თავის მოქმედებასო; როცა ეს მუქარა პრემიერმა გაიგონა, საჯაროდ გამოაცხადა: „პარნელი ახალგაზდაა, მე კი—მოხუცი; მაგრამ თუ ეს კამათი (თამაში) გაჭიანურდა, ინანებს ის, და არა მე“—ო. როგორც კი სესსია გათავდა, პარნელი ირლანდიაში წავიდა.



პარნელის მოღვაწეობის გარეგანი მხარე უნებურად ლასალის მოკლე ხნის კარიერს მოგაგონებთ. განსაკუთრებით ერთი მსგავსებაა თვალში მოსახვედრი: მოულოდნელი, საკვირველი მოგება ხალხის გულისა. ის ღრმა, თავდაპირველად უმოტივო რწმენა და სიყვარული, რომელიც 1862 წ.-ში ფეხზე დააყენა გერმანელი აგიტატორი, 1880 წ.-ში წილად ხვდა პარნელს. არც გრატამს, არც ოკონელს არ შეუძენია ხალხის ასეთი

რწმენა. დიადი იყო ოვაციები, რომელიც პარნელს გაუკეთეს 1878 წ. ირლანდიაში და 1880 წ. ამერიკაში; მაგრამ 1880 წლის ზაფხულს მოგზაურობამ სრულებით ჩაჩრდილა ისინი პარნელისავე სიტყვით. ამისთანა დახვედრით თვით მეფეც კი კმაყოფილი იქმნებოდა.

კორკში ნამდვილი აპოთეოზი გაუკეთეს პარნელს. ხალხის ბრბო, რომელიც ასიათასზე მეტი კაცისაგან შესდგებოდა, გარს ეხვია პარნელს და იმ სახლს, სადაც იგი, გაჩერებული იყო; როგორც კი გამოჩნდებოდა პარნელი, „ვაშა-ვაშას“ ძახილსა და ტაშის ცემას საზღვარი არა ჰქონდა, გატაცებული ეგებებოდნენ ყოველ მის სიტყვას, ანთებული ფაკელებით მისდევდნენ უკან მისს ეტლს, უგზავნიდნენ სხვა-და-სხვა დებუტატებს, რომელთაც სულ ერთსა და იმავეს აბარებდნენ: „გადაეციოთ პარნელს, როგორ უყვარს იგი ირლანდიას და როგორი რწმენა აქვს მისი. სხვას პარნელის ადგილას თავს-ბრუ დაეხვეოდა ამ გვარი აღტაცებული დახვედრით და ვინ იცის რას არ ჩაიდენდა; პარნელი კი ისევე აღუშფოთებელი, მტკიცე, გაბედვით და უბრალოდ შოლაპარაკე იყო, როგორც წინედ. რამდენჯერმე უთქვამს პარნელს თავის თანამგზავრებისათვის, რომ იმ ცოტასთვის, რაც მას აქამდე გაუკეთებია, ეს ოვაციები მეტად დიდი ჯილდო არისო. კლირი, ანტიკლერიკალები, რესპუბლიკანელები და სხვა ფრაქციები ერთ სულ და ერთ ხორც ხდებოდნენ, როგორც კი პარნელი გამოჩნდებოდა.

სხვათა შორის, პარნელს აზრად ჰქონდა, აეცილებინა სარევილიუციო გზას რამოდენიმე გატაცებული ახალგაზდა პარნელიტი და მოახერხა კიდევ. საკმარისია საიდუმლო პოლიციის აგენტის—ტომას ბიჩოს.—მემუარების წაკითხვა, იმის დასანახავად, თუ რამდენად მოულოდნელი და გაუგებარი იყო გარეშე პირთათვის მხურვალე რევილიუციონერების თავდაჭერილ კონსტიტუციონალისტებად გარდაქმნა. ფენიები თავის გზას ადგნენ, მაგრამ პარნელის საზრუნავს ეს ხომ არ შეადგენდა; მისი სურვილი იყო, რომ ლეგალური პირები, რომელთაც ერთ დროს პარლამენტის წევრობა შეეძლოთ, არ გარე-

ოდნენ მათ საქმეში: ზაფხულის ბოლოს პარნელი ღონდონში დაბრუნდა და მიიღო მონაწილეობა პარლამენტის საქმეებში. ეხლა პარნელი მარტო ერთი ოლქის წარმომადგენელი როდი იყო: იგი იყო მთელი ირლანდიის ერის წარმომადგენელი. კაბინეტი მზად უნდა ყოფილიყო სასტიკი ბრძოლისათვის.

27-ს აგვისტოს უნდა გაერჩიათ სამინისტროს პროექტი შესახებ ირლანდიის პოლიციისათვის საჭირო ფულებისა. სხდომა დაიწყო სამშაბათს ნაშუადღევს ოთხ საათზე და გათავდა ოთხშაბათს ნაშუადღევს პირველ საათზე. 21 საათის განმავლობაში პარნელი და მისი მომხრეები პარლამენტს კენჭის ყრის ნებას არ აძლევდნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ პარნელიტებმა (სულ 28 კაცი იყო) პირდაპირ შემდეგი წინადადება მისცეს გლადსტონს, რომელსაც თანაუგრძნობდა პარლამენტის დიდი უმეტესობა: პოლიციელთა რიცხვი შემოკლებულ უნდა იქმნას; პოლიციელს უფლება არ აქვს დაეხმაროს ლენდლორდს ფერმერის განდევნაში, მაშინაც კი, როცა ფერმერი ნებით არ მიდის; თუ ეს პირობები მიღებულ იქმნება, პარნელი თანახმაა კენჭის ყრის ნება მისცეს პარლამენტს, „si no—no“ (თუ არა—არა). ამ პირობების მიღება გლადსტონს არ უნდოდა და სხდომა აღარ თავდებოდა. რაზედ არ ლაპარაკობდნენ ამ სხდომაზე პარნელიტები! იქამდე წიგნების კითხვაც კი დაიწყეს. ბოლოს სხდომა გადადებულ იქმნა.

ამის შემდეგ, რასაკვირველია, იმედი აღარ იყო, რომ ინგლისის მართებლობას დაეკმაყოფილებინა „სამიწო ლიგის“ სურვილები. პარნელი ამ სხდომის შემდეგ, ირლანდიაში წავიდა ახალის პაროლის (not d'ordre) მისაცემად. 19 სექტემბერს მან წარმოსთქვა ენისში სიტყვა, რომელიც ეპოქას შეადგენს ირლანდიის ბრძოლის ისტორიაში. იგი ამბობდა, რომ ირლანდიელ ფერმერების მთელი ყურადღება და ძალ-ღონე უნდა მოხმარდეს მიწაზე განსაზღვრული უფლებების შექმნას; პარნელი უმტკიცებდა იქ შეკრებილ ხალხს, რომ ამ მიზნის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ერთის საშუალებით: ლენდლორდი, რომელმაც ფერმერის განდევნა გაჰბედა, უნდა იქმნეს ჩაყენე-

ბული იმისთანა მდგომარეობაში, რომ არ იცოდეს რა ჰქნას. არცერთმა ირლანდიელმა არ უნდა აიღოს იჯარით ის ადგილი, საიდგანაც ლენდ-ლორდმა ფერმერი განდევნა; თუ ეს ასე მოხდება, მაშინ მებატონეები უფრო ფრთხილად იქმნებიან. „თუ თქვენ არ მისცემთ მებატონეს აწეულ იჯარის ფასს, თუ თქვენ არ დაიკავებთ იმ ფერმას, საიდანაც თქვენი მოძმე განდევნეს, მაშინ აგრარული კითხვა გადაწყდება და გადაწყდება ჩვენდა სასარგებლოდ. როგორც ჰხედავთ, საქმის გადაწყვეტა თქვენ ხელთ არის. ვერც კომისიები და ვერც მართებლობა ვერ შეგეწევათ... მაგრამ როგორ უნდა მოექცეთ თქვენ იმ კაცს, რომელიც დაიკავებს ფერმას, საიდანაც ლენდლორდმა წინანდელი ფერმერი განდევნა?“

— მოეჭკლათ იგი, — ივრიალა საპასუხოდ მსმენელებმა. —

„არა, მე თქვენ გიჩვენებთ უკეთესს, უფრო ქრისტიანულ გზას, რომელიც შეძლებას მისცემს დამნაშავეს გასწორდეს. ვინც დაიჭერს ფერმას, საიდანაც გააგდეს წინანდელი ფერმერი, ნუ მიეკარებით მას, სადაც უნდა იყოს: დიდ გზაზე, თუ ქალაქის ქუჩებზე, დუქანში თუ ეკკლესიაში; ყველგან მარტო უნდა იყოს იგი, უნდა მოშორდეს საზოგადოებას, როგორც გადამდები სენით ავადმყოფი; თქვენ მას ზიზლით უნდა უყურებდით“.

პარნელის სიტყვები მომზადებულ ნიადაგზე დაეცნენ. ირლანდიელები საშინლად იტანჯებოდნან ფერმებიდან განდევნით; თვით გლადსტონის სიტყვით, 1880 წ. ლენდ-ლორდებმა 15 ათასი ცოცხალი სული გამოორეკეს ქუჩაზე. როგორც ვხედავთ, გლადსტონი უარს არ ჰყოფდა ირლანდიის ავადმყოფობას, მაგრამ მისი შეხედულობით, წამალი ამ ავადმყოფობისა საპარლამენტო კომისია იყო, პარნელის აზრით კი, უფრო საიმედო იყო ლენდლორდების უარენდატაროდ დატოვება. ვინც ასე თუ ისე მებატონის მხარეს დაიჭერდა, მას საზოგადოების წყრომა და შეჩვენება უნდა რგებოდა წილად.

პარნელის სიტყვის გავლენამ მალე იჩინა თავი. ლაუშმესკში (ირლანდიაში) სცხოვრობდა ერთი ინგლისელი კაპიტანი ბოიკოტი, რომელსაც იჯარით ჰქონდა აღებული ერთი ფერ-

მა ლორდ ირნის მამულში და რომელიც ამასთანავე ამ ლორდის აგენტი იყო. იმასთან მოვიდნენ ერთხელ ირნის ყველა ფერმერები. ღითხოვდნენ იჯარის ფასის დაკლებას; ბოიკოტი არ დასთანხმდა და სასამართლოს წესით ფერმერების განდევნის საქმეს შეუდგა. თანახმად პარნელის დარიგებისა, ფერმერებმა შეჰკრეს პირი და ბოიკოტი „შეაჩვენეს“. ყველა მოსამსახურებმა და მუშებმა დაანებეს მას თავი; გასწყვიტეს მასთან ყოველივე კავშირი, და, რადგანაც იგი ყოველ წუთს თავდასხმას მოელოდა, მართებლობამ ჯარი გამოგზავნა მის დასაცველად. ბოლოს ბოიკოტი იძულებული შეიქმნა გადასახლებულიყო ინგლისში. ამის შემდეგ პარნელის მიერ ნაჩვენებ ბრძოლის საშუალებას „ბოიკოტი“ დაერქვა სახელად. ბოიკოტს, როგორც ლეგალურ საშუალებას, დიდი ძალა ჰქონდა იმ დროებში, და პარნელი, მიუხედავად იმისა, თუ როგორ უყურებდა იგი ფენიებს, ყოველთვის იმის მაცადინი იყო, ბოიკოტის განმხორციელებელნი კანონიერ გზას არ გადასდგომოდნენ და ძალ-მომხრობა არ დაეწყათ. პარნელიცა და მისი მომხრეებიც ყოველთვის სიფრთხილეს ურჩევდნენ ირლანდიელებს, ყოველთვის ახსენებდნენ მათ, რომ მებოიკოტები და ფენიები სხვა-და-სხვა გზას ადგანან და ფენიებისაგან მაგალითის აღება მეტი იქნება.

მიუხედავად ამისა, მართებლობა დაწყნარებული ვერ უყურებდა ირლანდიის საქმეების ამგვარ მიმდინარეობას. პარნელის აგიტაცია, ბოიკოტის გახშირება, ფენიების მოძრაობის განცხობველება, — ყველა ეს დაკავშირებული ეჩვენებოდა ინგლისის საზოგადოებას. შეშფოთებული საზოგადოების აზრი თხოულობდა მართებლობისაგან განსაკუთრებულ ზომებს პარნელისა და ირლანდიის წინააღმდეგ. გლადსტონმაც გადასწყვიტა: 1) პარნელის სამართალში მიცემა და 2) პალატაში ირლანდიის „დამშვიდების ბილლის“ შემოტანა. ოქტომბერში დააპატიმრეს პარნელის მდივანი გილი, რადგანაც იგი ერთს თავის სიტყვაში ამართლებდა ფენიების მოქმედებას. 2 ნოემბერს დაიწყო „შეთქმულობის“ საქმის გამოძიება; შეთქმულობაში უნდა მიეღოთ მონაწილეობა თვით პარნელს, დილონს, ბიგგარს, სიულივანს,

სიქსტონს (ყველა პარნელისტებია). ამ საქმის დაწყება შეცდომა იყო მართებლობის მხრივ, რადგანაც პარნელი იმდენად თავ-დაჰერილი და ფრთხილი კაცი იყო, რომ მისი ამისთანაებში დაჰერა შეუძლებელი იყო. პარნელი ხშირად მისულა თავის მოღვაწეობაში იმ ხაზამდე, რომელიც კანონიერს არა კანონიერისაგან ჰყოფს, მაგრამ არასოდეს არ გადასცილებია მას.

24 იანვარს 1881 წ. ნათიც მსაჯულებმა ვერ იპოვეს დაწვრილი ბრალდებულთა მოქმედებაში და გაამართლეს ისინი. გამართლებული დეპუტატები დამშვიდებული გულით დაუბრუნდნენ პარლამენტის საქმეებს. სწორედ ამათი გამართლების დღეს ირლანდიის გამგებელმა ფორსტერმა (რომლის დანიშნვა ვერეუხაროდან, ზოგიერთ ირლანდიელს) შემოიტანა პალატაში კანონ-პროექტი შესახებ იმ ზომებისა, რომელთა შემოღება ფორსტერის აზრით, აუცილებელი იყო აღდგენილი ქვეყნის დასამშვიდებლად.

როგორც პარნელისში ისე ფენიების მოძრაობაც ერთ დამავე პოლიტიკურ და ეკონომიურ ნიადაგზე აღიზარდნენ და ერთმანერთს შესამჩნევ მორალურ დახმარებას უწევდნენ. ჰომრულიორები არასოდეს არ ყოფილან ისეთი რადიკალური მიმართულებისა, როგორც ესა, და არც ფენიების მოძრაობა ასე განცხობველებული და სისტემატიური. პარნელის მიერ დაწყებული ბრძოლა იყო ბრძოლა ჰ *outrance* (უკიდურესობამდე); მთელი ირლანდიის ერთი უნდა ჩარგოდა ამ ბრძოლაში; „ვისაც შეუძლია პარლამენტის წევრობა, პარლამენტში წამოვიდეს; ვისაც არ შეუძლია, ბოიკოტი გამოუცხადოს მოღალატეებს და დემონსტრაციებში მონაწილეობა მიიღოს; ვისაც სურვილი აქვს თავისი ძალა პირდაპირ გულ-ახდელ ომს მოახმაროს, იომოს.“ აი ლოზუნგი, რომელიც პარნელმა ირლანდიას მისცა. მარტო პარნელის დროს იგრძნეს ფენიებმა, რომ ისინიც ჰომრულიორების ჯარის ნაწილს შეადგენენ და შეიძლება ეს გარემოება იყო ერთ-ერთი მიზეზი ფენიების მოძრაობის ამ ხანებში განცხობველებისა. უმთავრესი მიზეზი კი ხშირ შემთხვევაში, ხალ-



ხის გალატაკებაში და მისს საბრაზეში უნდა ვეძიოთ. აგრარულ დანაშაულობათა რიცხვი 1880 წ. მეტად დიდი იყო და ირლანდიის გამგებელმა ფორსტერმა მდიდარი სტატისტიკური მასალა წამოუყენა თავის კანონ-პროექტის დასასაბუთებლად. საქმე პარლამენტში იმით დაიწყო, რომ 6 იანვარს, 1881 წელს ლორდ-კანკლერმა წაიკითხა დედოფლის სამეფო სიტყვა, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამი იყო: „...საუბედუროდ, მოვალე ვარ გამცნოთ, რომ ირლანდიის მდგომარეობამ საშიშო ხასიათი მიიღო. აგრარულ დანაშაულობათა რიცხვი შესამჩნევად გაიზარდა. კუნძულის სხვა-და-სხვა ადგილებში გამეფდა ტერრორის ვრცელი სისტემა“... სიტყვის ბოლოში ნათქვამი იყო, რომ აუცილებელი საჭიროებაა ირლანდიაში ახალი საკანონ-მდებლო ზომების შემოღება.

სიტყვის წაკითხვისათანავე დაიწყეს საპასუხო ადრესების გარჩევა, რომელმაც პარლელისტების ობსტრუქციის მიზეზით მთელი ორი კვირა გასტანა, მხოლოდ 24 იანვარს შემოიტანა პალატაში ფორსტერმა თავისი კანონ-პროექტი „ირლანდიაში პიროვნებისა და საკუთრების დაცვის შესახებ“. ფორსტერმა განაცხადა, რომ 1880 წ. აგრარულ ბოროტ-მოქმედებათა (ლენდ-ლორდების მკვლელობა, ცეცხლის წაკიდება, ლენდ-ლორდების სახლებზე დაცემა) რიცხვი ავიდა 2,500-მდე. ეს ცოტაა, არასოდეს არ მომხდარა ამდენი დანაშაულობა ირლანდიაში; ესეც ცოტაა, უკანასკნელ სამ თვეში, — ოქტომბერში, ნოემბერში და დეკემბერში მოჰხდა მეტი ბოროტ-მოქმედება, ვიდრე იანვრიდან ოქტომბრამდე, მაგრამ ესეც არ კმარა: დეკემბერში მოჰხდა მეტი დანაშაულობა, ვიდრე ოქტომბერში და ნოემბერში ერთად. საქმის ამგვარი მიმდინარეობა შეუძლებელია! ციფრები ამტკიცებენ, რომ აგრარულ დანაშაულობათა რიცხვი საოცარის სისწრაფით იზრდება. ფორსტერი, ირლანდიის გამგებელი დიდი ხანია შეუდგა ამ მოვლენის მიზეზების ძიებას და გამონახა კიდევ აგრარულ ბოროტ-მოქმედებანი პირდაპირი შედეგია იმ რჩევისა, რომელიც მისტერ პარლელმა მისცა ირლანდიელებს ენნიისში წარმოთქმულ სიტყვაში: ებრძოლეთ ლენდ-ლორდებს და

განდევნეთ საზოგადოებიდან ყველა, ვინც კი არენდატორის გაგდების შემდეგ დაიჭერს ფერმას. ნამდვილი კანონების მაგიერ ირლანდიაში გამეფდნენ აგრარული ლიგის და მისი თაემჯდომარის—პარნელის დაუწერელი კანონები. ამიტომ ფორსტერის აზრით, საჭიროა ძველის წესების შემოღება და ირლანდიის გამგებლის უფლებების გადიდება. გამგებელს უნდა შეეძლოს დატუსაღება ყოველი უცხოელისა, თუ იგი საჭირო დოკუმენტებს ვერ წარმოადგენს, აგრეთვე ყოველი იმ პირისა, რომელსაც საექვო გარემოებებში და პირობებში მიაწრებენ. გარდა ამისა, გამგებელს უნდა ჰქონდეს უფლება შეაჩეროს „habeas corpus“-ის მოქმედება იმ ადგილებში, სადაც ეს მისი შეხედლევით საჭირო იქმნება.

პარნელი და მისი ამხანაგები წინააღუდგნენ ბილლს; 24 იანვრის სხდომამ უნაყოფოდ ჩაიარა და კითხვა გადადებულ იქნა 27 იანვრისათვის. 27 იანვარს სხდომა გაგრძელდა მთელი 15 საათი, მაგრამ პარნელის მიზეზით კითხვა ისევ კითხვად დარჩა; ბოლოს წამოადგა გლადსტონი და წარმოსთქვა გრძელი სიტყვა, რომელშიაც იგი საშინელის აღელვებით ბრალს სდებდა პარნელს, რომ მან ენისში წარმოთქმული სიტყვით ააღელვა ხალხი და გაუღვიძა მას ვნებანი. პარნელი ყოველს წამს უწყვეტად სიტყვას ორატორს და ბრალს სდებდა მას, რომ იგი ასხვაფერებს მის სიტყვას. დუბუტატებმა წესრიგის აღდგენა მოსთხოვეს სპიკერს; სპიკერი შენიშვნას აძლევს პარნელს, რომ სხვისი სიტყვის გაწყვეტა აღკრძალულია კანონით. პარნელმა ყურადღებაც არ მიაქცია სპიკერის შენიშვნას, იგი წინანდებურად უშლიდა გლადსტონს ლაპარაკს, გლადსტონს თან და თან მეტი მღელვარება ეტყობოდა. აგრარულ ლიგის მოქმედებასო—ამბობდა იგი,—პირდაპირი დამოკიდებულება აქვს აგრარულ ბოროტ-მოქმედებებთან. 1879 წ.-ში ლიგას ცოტა სხდომები ჰქონდა და ამ წელში ბოროტ-მოქმედებაც ცოტა მოხდა; 1880 წ.-ში მიტინგებიც ბევრი მოხდა და ბოროტ-მოქმედებამაც შესამჩნევად იმატა. ამ დროს პარნელისტმა ო'გილიმ მიაძახა ორატორს: „რამდენი განდევნეს 1880 წელში? ცოტა თუ ბევ-

რი?“ პარნელის ტეზი არსებით კამათს არ უწევდნენ სამინისტროს. პარნელის აზრით სანამ გლადსტონი ჰომრულისა და აგრარულ ლიგის მოთხოვნათა წინააღმდეგი იქმნებოდა, ისინი ერთმანეთისას ვერას გაიგებდნენ. ამიტომაც იგი მხოლოდ ხელს უშლიდა ბილლის მიღებას. 32 საათის გაცხარებული კამათის შემდეგ ფორსტერის პროექტის ახალი განხილვა გადადევს 31 იანვრისათვის.

31 იანვარს უმაგალითო სხდომა დაიწყო იმითი, რომ ლიბერალური პარტიის ერთი ნაწილი გადაუდგა გლადსტონს და წინააღმდეგა ფორსტერის ბილლს. ცოტა ხნის კამათის შემდეგ დაიწყო ობსტრუქტია. პარნელი ახალ-ახალ კითხვებს იგონებდა, რომ რამე ფერად შეეჩერებია ბილლის განხილვა: დაწვრილებით მოუყვა პარლამენტს ირლანდიის ისტორიას; ლაპარაკობდა ისეთ საგნებზე, რომლებსაც სრულებით არაფერი კავშირი ჰქონდა წარმოდგენილ ბილლთან; განზრახ ეკამათებოდა თავისსავე ამხანაგებს; უშლიდა სხვას ლაპარაკს, ხელ-ახლავ გაამეორებებდა მთელს სიტყვას და ბოლოს გამოაცხადა, რომ ყველა პარნელისტი (30) თითო სიტყვას წარმოასთქვამსო.

გაიარა ორშაბათმა (31 იანვ.), სამშაბათმა და ბოლოს ოთხშაბათს ორ თებერვალს, 41 საათის განუწყვეტელი სხდომის შემდეგ წამოდგა სპიკერი და მოახდინა ცნობილი *coup d'état*. მან განაცხადა, რომ პარნელი და მისი მომხრეები განზრახ აჭიანურებენ სხდომას, რომ ამითი ისინი შეურაცხყოფენ პარლამენტს, რომ უმრავლესობა ბილლის მომხრეა და იმიტომაც მას შემოაქვს წინადადება ეხლავ შეუდგნენ კენჭის ყრას. კონსერვატორები და ლიბერალებიც დიდის ტაშის ცემით მიეგებნენ ამ სიტყვას, ირლანდიელები კი გაოცდნენ,—ისინი სრულებით არ მოელოდნენ საქმის ამგვარად დატრიალებას. სპიკერის წინადადება მიღებულ იქმნა, ცეცხლ-მოკიდებული ირლანდიელები მოკუმული მუშტებით ემუქრებოდნენ პარლამენტს. შემოვიდა მკვდარსავით გაფითდებული გლადსტონი და

დაჯდა სამინისტრო სკამზე, ვინ იცის რას არ ჩაიდენდნენ გაბრაზებული ირლანდიელები, რომ პარნელი არ მიშველებოდა. პარლამენტში დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა; მან დაამშვიდა თავისი ამხანაგები და მათთან ერთად გამოვიდა სხდომის ხალიდან. ფორსტერის ბილლი ერთხმად იქმნა პირველად მიღებული.

ბილლის მეორე წაკითხვა დანიშნეს 3 თებერვალისათვის. ინგლისელებზე წასულმა სხდომამ მოახდინა დიდი, მაგრამ მასთან გამოურკვეველი შთაბეჭდილება. ინგლისელები ერთობ უფროთიან ტრადიციისა და კანონის დარღვევას, და სპიკერის ქცევა კი პარლამენტის ტრადიციების დარღვევა იყო. მართალია, ამითი პარნელის ობსტრუქციას ბოლო მოეღო, ბილლიც გავიდა პირველად, მაგრამ ბევრი ჰფიქრობდა, რომ ეს გამარჯვება ძვირად დაჯდა; რაც შეეხება ირლანდიას, აქ პარნელი ნამდვილი ეროვნული გმირი შეიქმნა; სპიკერის უკანონო მოქმედებაში კი ფენიების ძალ-მომრეობის პოლიტიკის სრულ გამართლებას ჰხედავენ; თვითონ პარლამენტი აღენინებს ადამიანს დანაშაულს, რადგანაც ნებას არ იძლევა კანონიერი საშუალებით იბრძოლოს მართებლობის წინააღმდეგ. სამინისტრომაც გადასწყვიტა არ დაპზოგოს თავის მტრები: 3 თებერვალს, სხდომის დაწყების წინ, პარნელს მოუვიდა ცნობა, რომ მიხეილ დევიტი, აგრარული ლიგის ინიციატორი, დააპატიმრეს რევოლუციონურ სიტყვების წარმოთქმისათვის. სხდომა ნაშუადღევს დაიწყო. მაგრამ სანამ პროექტის მეორედ განხილვას შეუდგებოდნენ, პარნელი უილიამ ვარკუერს დაეკითხა, მართალია თუ არა დევიტის დაპატიმრება. ვარკუერმა უპასუხა, მართალიაო და დაუმატა, რომ დევიტი, როგორც კატორღაში ნამყოფი, განთავისუფლებული იყო პირობით, რომელიც მან ეხლა დაარღვიაო.

ამის შემდეგ წამოდგა გლადსტონი და დაიწყო თავისი სიტყვა; მაგრამ დაწყებისათანავე უცბად წამოდგება დოლოლინი (პარნელიტი) და დაიწყებს რადაცა ლაპარაკს. შეიქმნება

საშინელი ხმაურობა; პალატამ დაინახა, რომ პარნელს რაღაც ახალი ხრიკისათვის მიუგნია სპიკერის გუმინდელ *coup d'état*-ს საპასუხოდ. სპიკერი მალლა უყვირის დილონს, რომ ეხლა სიტყვა გლადსტონს ეკუთვნისო. დილონი ყურს არ უგდებს სპიკერს და გულ-ხელ დაკრეფილი ყვირის: „მე მაქვს უფლება ვილაპარაკო!“ არეულობას საზღვარი არ ჰქონდა; პალატა დილონის გაგდებას ითხოვდა. „რადგანაც მე თქვენ არ მემორჩილებით, გაგდებთ სხდომიდან“, — ეუბნება სპიკერი დილონს. კანონის თანხმად ესეც კენჭით უნდა ვადაწყვეტილიყო; უყარეს კენჭი და 395 ხმის უმეტესობით 35 წინააღმდეგ გადაწყდა დილონის პალატიდან განდევნა. დილონმა განაცხადა, რომ იგი „უპატივცემულესად უარს ამბობს გასვლაზე“. შემოვიდა ბოქაული, დაადო დილონს მხარზე ხელი და სთხოვა წაჰყოლოდა; დილონი უარს ამბობს. ბოქაული იძულებულია დაუძახოს დარაჯებს. ბოლოს, დილონი გაჰყავთ პალატიდან.

როგორც კი გავიდა დილონი, წამოდგა მეორე პარნელი-ტი სიულლივანი და საშინელის სიმკაცრით ჰკიცხავდა დილონის წინააღმდეგ მიღებულ ზომებს. სპიკერი თავს იმართლებდა, სიულლივანი აღარებდა გლადსტონის გამგეობას ნაპოლეონ მესამის რეჟიმს; ამასობაში კაი ძალი დრო გავიდა, ბოლოს ისევ გლადსტონმა დაიწყო ლაპარაკი. მაგრამ იმ წამსვე წამოდგა პარნელი ჩვეულებრივის აღუშფოთველობით და უთხრა სპიკერს: „მე გთხოვთ კენჭი უყაროთ შემდეგ ჩემ წინადადებას—ყურს ნუ ვუგდებთ ამ პატივცემულ ჯენტლმენს“ და თან თითით გლადსტონზე უჩვენებდა. პალატა ერთს წუთს გაშეშდა, მაგრამ მალე მთელი პალატა მრისხანედ ჰყვიროდა: „გააგდეთ პარნელი, გააგდეთ პარნელი!“ ხმაურობამ და არეულობამ დიდ ხანს გასტანა. პარნელი ფეხზე იდგა და მოწყენილის სახით ათვალიერებდა პალატას, როგორც კი ცოტა წეს-რიგი ჩამოვარდა და სპიკერმა გამოაცხადა: სიტყვა გლადსტონს ეკუთვნისო, პარნელმა ხელახლავ განაცხადა: „მე ვითხოვ ჩემ წინადადებას კენჭი უყაროთ“.

სპიკერი აფრთხილებს პარნელს და ეუბნება, რომ იგი განდევნილ იქნება პალატიდან, თუ იგი გლადსტონს სიტყვის თქმას არ დაანებებს. ლაპარაკში ჩაერევა ერთი პარნელიტი კიდევ; ბოლოს სპიკერი აცხადებს, მეორეთ, რომ სიტყვა გლადსტონს ეკუთვნის. გლადსტონმა დაიწყო: „ამ მძიმე სცენების შემდეგ მე მინდა განვაგრძო ჩემი აზრი. მოვალეობა, რომელიც მე მაწევს, მეტად დიდია“.... მაგრამ აქ კიდევ წამოდგება პარნელი თავის ახმახი ტანით; გლადსტონი გაჩუმდება. „შემომამკეს წინადადება, —ნუ ვუგდებთ ყურს ბ-ნ პირველ მინისტრს“. მოთმინებიდან გამოსულ სპიკერი ითხოვს პარნელის განდევნას. უყარეს კენჭი და, რასაკვირველაა, პალატის დიდი უმეტესობა განდევნის მომხრე გამოდგა. პარნელი უარს ამბობს გასელაზზე; დაუძახეს ბოქაულის და პარნელიც გადის.

ეხლა კი ყველამ დაინახა, თუ რა ხერხი მოიგონა პარნელმა: დეპუტატის პალატიდან განდევნისათვის საჭიროა ჯერ გაფრთხილება, შემდეგ კენჭის ყრა, კენჭის დათვლა, ბოქაულის დაძახება, თუ დეპუტატი ნებით არ მიდის. მთელი ამ პროცედურისათვის ნახევარი საათი მინც არის საჭირო. პალატაში 30 პარნელიტი იყო; მაშასადამე მათ განდევნას მოუხდებოდა 15 საათი, თუ არცერთი მათგანი არ ეცდებოდა ლაპარაკს, ლაპარაკით კი 20—25 საათიც იქმნებოდა საჭირო. მართლაც ეგრე მოხდა: სანამ ყველა პარნელიტები არ გაიყვანეს, გლადსტონმა თავის სიტყვა ვერ გაათავა. ბოლოს, ბილლი მეორედ მიღებულ იქმნა და სამინისტრომ გადასწყვიტა ძველი საპარლამენტო წესების იმგვარად შეცვლა, რომ ობსტრუქცია შეუძლებელი გამხდარიყო. შემოიღეს 17 ახალი წესი; ამათგან უმთავრესი ის იყო, რომ სპიკერს ეძლეოდა უფლება გაეწყვიტა ორატორის სიტყვა და კითხვა მაშინვე კენჭის ყრით გადაეწყვიტა; დეპუტატის განდევნის პროცედურაც ძალიან გაადვილეს. ახალ პირობებში ობსტრუქცია მეტად გაძნელდა და ამიტომაც ფორსტერის ბილლი მალე (2 მარტს 1881 წელს) კანონად იქცა.

მაგრამ გლადსტონი არ იქმნებოდა ის გლადსტონი, რომელსაც ისტორია იცნობს, რომ მას ირლანდიის დამშვიდების საქმე ფორსტერის ბილით გათავებული ჰგონებოდა. მან გადასწყვიტა წამოეყენებია აგრარული კითხვა და 7 აპრილს (ფორსტერის ბილლის მიღების ერთი თვის შემდეგ) სამინისტრომ შემოიტანა პალატაში კანონპროექტი ფერმერებისა და ლენდლორდების დამოკიდებულებათა გაწეს-რიგების შესახებ. მართებლობა თხოულობდა განსაკუთრებული აგრარული სასამართლოების დაარსებას; ამათი დანიშნულება იქმნებოდა იჯარის ფულის რაოდენობის სამართლიანი განსაზღვრა, თუ ფერმერი და ლენდლორდი თვითონვე ვერ მორიგდებოდნენ. გარდა ამისა, ბილლში სასტიკად იყო განსაზღვრული ორივე მხრის უფლებანი და მოვალეობანი; ასე რომ ლენდლორდს არ ჰქონდა განსაზღვრული უფლება ფერმერის განდევნისა; ამასთან ფერმერს არენდის გაყიდვის უფლებაც ეძლეოდა.

ასეთი ბილლი სიზმრადაც არ მოსჩვენებია ისააკ ბიუტსა და მისს თანამოაზრეებს. პარნელმა კი ისე ასწია და აამაღლა ირლანდიელების იდეალი, რომ ეხლა, 1881 წელს გლადსტონის ბილლს გულ-ცივად შეხედნენ. თვითონ ირლანდიელ პარტიის ლიდერი ისეთის სიმკაცრით დაეტაკა ბილლს, რომ თვით მისს მომხრეებსაც უკვირდათ. მაგრამ პარნელის პრაქტიკული პოლიტიკის უმთავრესი პრინციპი იყო, რომ რამდენს მეტს დაუთმობდნენ, იმდენი მეტი მოეთხოვა. მისი სურვილი იყო — ირლანდია ირლანდიელების საკუთრება ყოფილიყო; ნახევარ ზომებს იგი არ ურიგდებოდა. აგრარული ლიგა თხოულობდა, რომ იჯარის ფასში ადგილის ღირებულობის წილიც ყოფილიყო; ისე რომ, 30 წლის განმავლობაში მიწა ფერმერის საკუთრება გამხდარიყო. გლადსტონმა არ შეიტანა ეს თავისს ბილლში და პარნელმაც მისს პროექტს „შესაბრაალისი ხრიკი“ და „ნახევარი წამალი“ დაარქვა. მის შეგონებით 35 ირლანდიელ დეპუტატს ხმა არ მიუცია კენჭის ყრის დროს. ბილლი მიიღო პარლამენტმა და 22 აგვისტოს დედოფალმა მას ხელი მოაწერა. 27 აგვისტოს პარლამენტის სესხიაც გათავდა.

იანვრიდან აგვისტომდე მთელი პარლამენტი პარნელის მიზეზით მოუსვენარ მდგომარეობაში იყო, და იმ დროს, როცა მისი წევრები დასვენებას აპირობდნენ, პარნელი ირლანდიაში წავიდა სააგიტაციოდ.

(შემდეგი იქნება)





# შინაური ამბავი

მოსკოვის საკრედიტო საზოგადოების საქმე.—რა აქვს ჩვენთან საერთო ამ საქმეს?—იქაურ და აქაურ ბანკირების შეღარება.—გამოძიება ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკში.—მინინისა და პოჟარსკის ძეგლი მოსკოვში.—საჭიროა ჩვენებურ მინინსა და პოჟარსკისაც დაედგას ძეგლი.—ქ. ქუთაისი და სწავლა-განათლების ხარჯი.—ქართული თეატრის მდგომარეობა.—ვისი ბრალია, რომ ის ვერ არის კარგს მდგომარეობაში?—საიუბილეო წარმოდგენა ტფილისში.—ბ-ნ მთავარმართებლის დასწრება წარმოდგენაზე.—დ. ყიფიანის ძეგლის კურთხევა.

ამ წლის 20 ენკენისთვის დაიწყო და 4 ოქტომბერს გათავდა ქ. მოსკოვში იქაურ სამოსამართლო პალატაში იქაურსავე საკრედიტო საზოგადოებაში მოხდენილ ბოროტ-მოქმედებათა შესახებ საქმე.

დამნაშავეთა სკამს ამშვენებდნენ ყოფილნი თავმჯდომარე, გამგეობის წევრნი და ერთიც ზედამხედველ კომიტეტის წევრი.

ბრალმდებლის ოქმი შემდეგ ბრალსა სდებდა მათ: 1) განზრახ გადაქარბებულ დაფასების მიუხედავად მომეტებულ სესხს იძლეოდითო; 2) საზოგადოებას, ანუ ბანკს, მამული რამ რომ დარჩებოდა, ერთს წელიწადზე მეტს აყოვნებდით მის გაყიდვას და ამით საზოგადოებას ზარალს აყენებდითო და ამ ზარალის შესავსებლად მსესხებლებს  $\frac{1}{2}$  პროცენტით გაუძვირეთ. სესხიო და 3) ამ ზარალის ანგარიშებში დასამალავად თვით ანგარიშებს უკანონოდ აღგენდითო.

ყველა ეს ბრალდება სასამართლოში დამტკიცდა და დამნაშავენი... ყველანი დააციმბირეს.

ღმერთმა ყველა მათ მშვიდობის გზა მისცეს, მაგრამ ჩვენ რაო,—იქნება სთქვან „მოამბის“ მკითხველებმა,—რომელნიც დაჩვეულნი არიან ჩვენს ჟურნალში ჩვენსავე ამბების შესახებ დაწერილის კითხვას. მაგრამ იქნება ჩვენვე ვცდებოდეთ და მკითხველი პირველის სტრიქონის წაკითხვისათანავე მიჰხვდა, რომ მოსკოვის საკრედიტო საზოგადოების ამბავი და იქაურ ბანკირების მართვა-გამგეობა ზოგ რამეს ჩვენსას მოაგონებს ადამიანს და ძლიერ ახლო შეეხება.

არ არის დიდი ხანი, რაც რუსეთიდან ჩამოვედი და იქაურ ცხოვრებას მოვსცილდი, მაგრამ ამ ცოტა ხანში ისე შევუთვისდი და შევეჩვიე ჩვენებურ ცხოვრებას, რომ ზემოდ აწერილმა ამბავმა,—მოსკოვის საკრედიტო საზოგადოების საქმემ—დიდად გამაცვიფრა. ამ ცოტა ხანში ერთ-ერთ ჩვენის ბანკის საქმეების მიმდინარეობამ სრულებით შემაჩვია იმ აზრს, რომ საკმარისია, როგორმე ბანკის მმართველად გახდე და მერე შენი სმქმეა, გინდ წალმა მართე, გინდ უკუღმა. ეხლა კი,—აბანუ გაგიკვირდებათ,—რამოდენიმე კაცი სამართალში მიუციათ და დაუსჯიათ კიდევ იმისათვის, რომ ერთის წლის განმავლობაში ბანკზე დარჩენილი მამული არ გაუყიდნიათ და ზარალი მიუციათ ამით ბანკისათვის, ნახევარის პროცენტით გაუძვირებიათ სესხი მესხებელთათვის (4<sup>1</sup>/<sub>2</sub>% მაგიერ ალბად 5%, რადგან 6% მთელს რუსეთში არ მოიპოვება) და ანგარიშები უკანონოდ შეუღვენიათ.

დიდად გამიკვირდა-თქო, ვიმეორებ, რადგან ჯერ-ჯერობით მაინც კიდევ დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენთვისაც, კავკასიელებისათვისაც, იგივე კანონი არსებობს, რაც რუსებისათვის,—შიდა გუბერნიები იქნება იგი, თუ სამხრეთ-ჩრდილოეთის. როგორ მოჰხდა, რომ იქ, სადაც გამგეთა ამგვარ ქცევას მაინცა და მაინც დიდი ზიანი არ მიუცია დაწესებულებისათვის, ეს გამგენი სამართალშიაც მისცეს და კიდევ დასაჯეს და ჩვენში კი ამგვარსავე მაგრამ უფრო ზარალიანს და უმავე დროს

განზრახ ბოროტ-მომქმედს გამგეს ხმას არაფერ არა სცემს. აბა, დახეთ, ბატონებო, და შეადარეთ. იქ ერთის წლის განმავლობაში ერთი-ორი მამული არ გაუყიდნიათო და სისხლის სამართლის კანონის ამა და ამ მუხლის ძალით უნდა დაისაჯონ ისინი, ვინც ამას სჩადიანო, ერთ-ერთ ჩვენს ბანკზე დარჩენილ მამულებსაგან მოყენებული ზარალი კი ამავე ბანკის მოგებას არარად ჰხდის და ბანკის გამგე არხეინად განაგრძობს ბანკის მართვას. იქ სესხი გაუძვირებიათო და აი კიდევ სისხლის სამართლის კანონიც, რომელიც მაგისტვისაც სჯისო, აქ კი ამ ათის წლის წინად ბანკის მმართველს დაავალეს, იშუამდგომლე სესხი გაგვიიაფონ, თორემ ჩვენოდენს არაფერ არ იხდის სარგებელსო, ბანკის გამგე-მართველი კი ყურსაც არ იბერტყდა და წელს იმ დადგენილობის, რომლითაც მას ეს შუამდგომლობა ევალეობდა, არ ასრულების ათი წლის იუბილეი გარდაიხანდა. (იუბილეიც ისეთი უნდოდა, იუბილარს საკმარისად დიდი სადგომი ვერ ეპოვნა სტუმრების მისაპატივებლად და სამ დასად დაჰყო ისინი და სამ სხვა-და-სხვა სადგომში გაუმასპინძლდა მათ. ყოველ სადგომში მისივე კლავრეტები უვლიდნენ სტუმრებს და მასპინძლობდნენ, მაგრამ თითონ ის ყოველგან იყო, ყველას ეხმატკბილებოდა და თავს ევლებოდა. მართალია, ამასაც ამბობენ, იქ უფრო დიდი ხანი დაჰყოვო, სადაც ხმა-ტკბილი პოეტი, გამოჩენილი ექიმი, არა ნაკლებად გამოჩენილი ვეჟილი და ერთი ძველი ბელეტრისტი ეგულებოდნენო).

იქ, მოსკოვის საკრედიტო საზოგადოების გამგენი ზარალის დასამალავად—ანგარიშებს უკანონოდ ადგენდნენო და ამის შესახებაც მონახეს სისხლის სამართალში კანონი, აქ კი... ანგარიშებისას და შიგ ზარალის დამალვისას ნულარას ვიტყვიო.

მაშ რითი აიხსნება ნეტავი, რომ იქ, მოსკოვში ერთის კაპეიკის მოპარვის გულისათვის დამნაშავეს აციმბირებენ და ჩვენში კი ერთი მანეთიც რომ მოიპაროს, ხმას არა სცემენ?

დიდხანს ვფიქრობდი ამას და პასუხს ვერსით ვპოულობდი ამ საკითხზე. ბოლოს გადავწყვიტე, — (შეიძლება შემცდარი ვი-

ყვე, უკეთესი პასუხი შენ მოიგონე, მკითხველო), ალბად იმ ჩვენის ერთის ბანკის გამგის ბოროტ-მოქმედება აღემატება იმას რაც კანონშია მოყვანილი და რა კი კანონი არ არის, იმიტომ აღარ სჯიან-თქო. გადავწყვიტე ეგა და სწორედ მაშინ შევიტყე, რომ ნუ იტყვიოთ, ერთი კბილის მატლი ამ ჩვენს გამგესაც გასჩენია თურმე და აკი კანონიც არ უპოვნია.

ქალაქ ოზურგეთას ქალაქის თავმა, თავ. ნ. ყ. თავდგირიძემ მიუხედავად იმისა, რომ არავისაგან თანაგრძნობას არ ხედავდა, მართვა ბ-ნს მთავარ-მართველს საჩივარი, რომელშიაც ასწერდა კალისტრატე ჩიკვაიძისაგან ბანკის მართვა-გამგეობას. თავ. ნ. ყ. თავდგირიძის საჩივარს გამოძიება მოჰყვა და იმედია, თუ გამოძიებელს ყოველივე გააცნეს, კარგად აუხსნეს (ეს ხომ შეუძლიათ, ღვთის მადლით,—ბბ. გ. ზდანევიჩმა დ. ხელთუფლიშვილმა, ა. ნანეიშვილმა, დ. წულუკიძემ და სხ. ქუთაისის ბანკის საქმეები დაწერილებით იციან.) კალისტრატე ჩიკვაიძის საგმირო საქმეები—ამ საუცხოვო და შეუდარებელს ბანკისადაც გამოუძებნიან სისხლის სამართლის კანონებში ერთ-ერთს, შესაფერს...

მოსკოვის ამბავმა ერთი რამ სხვაც გამახსენა.

შიგ შუა მოსკოვში მოედანზე სდგას რუსულ ისტორიის ორ შესანიშნავ პირთა ძეგლი. ესენი არიან—მინინი და პოჟარსკი, მოსკოვის მხსნელნი პოლონელებისაგან.

საინტერესო აქ ის არის, რომ მოსკოველებმა ყველაფერი თავისს დროზე იციან და ყოველთვის დროსა და გარემოების შესაფერისად იქცევიან. მაგალითად, სამართალში მისაცემია ვინმე,—სამართალში მისცემენ,—ძეგლის ღირსია და ძეგლს დაუდგამენ. ჩვენ კი ვერაფერს ვერ ვახერხებთ. რა იქნებოდა, ვთქვათ, ქ. ქუთაისიც რომ მოსკოვისებურად მოქცეულიყო და თავისს მინინსა და პოჟარსკის სიკაცხლეშივე ძეგლს დაუდგამდეს. შეიძლება, სთქვან, რომ მოსკოვმა სიკვდილის შემდეგ

დაუდგა ძეგლი თავისს ორს გმირსაო. მართალია, მაგრამ ყველაფერში მიბაძვა კი არ ვარგა, ზოგჯერ ორიგინალური რამ ქცევაც უნდა გამოვიჩინოთ. მერე ნურც იმას დავიფიქსებთ, რომ რუსების მინინთან და პოჟარსკისთან შედარებით ჩვენი მინინი და პოჟარსკი უფრო დიდი და გამოჩენილი გმირები გახლავან. ჩვენ ვამბობთ ქ. ქუთაისის მოურავზე და ისევ და ისევ შეუდარებელ კალისტრატე ჩიკვაიძეზე. განა ღირსნი არ არიან ეს ორნი,—ერთი საბჭოსა და მეორე ბანკის გმირნი,—ძეგლისა? მათი ძეგლი საუკეთესო დამამშვენებელი და ქუთათურებისათვის საამაყო საგანი იქმნებოდა.

ამ ბოლო დროს ყოველი ქალაქი და თითქმის სოფელიც კი სარგებლობს შემთხვევით და ყოველის დიდის იუბილეის გამო იარსებს სხვა-და-სხვა ტიპის სასწავლებელს. ეხლა ყველამ იცის, რა არის სწავლა-განათლება, რა დიდ ძალას წარმოადგენს იგი და, როგორც ცალკე პირი, ისე ყოველი დაწესებულება და საზოგადოება მთლად ერთად ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი სკოლა დააარსონ, რაც შეიძლება მეტი შეეწიონ სწავლა-განათლების გავრცელების საქმეს. რუსეთში ცალკე გუბერნიის ერობანი ილაჯს იწყვეტენ და სწავლა-განათლების საქმეს ხარჯს არ აკლებენ. ჩვენში კი, ან უკეთ რომ ვთქვათ, ქ. ქუთაისში ამგვარ წვრილმანებისათვის არავის სცალიან. წარმოიდგინე, მკითხველო, რომ ქუთაისში, ოდესღაც დაარსებულ იქნა ქალაქის ხარჯით ერთი პირველ-დაწყებითი სასწავლებელი. ეს იყო იმ დროს, როდესაც ქალაქის შემოსავალი წელიწადში არ აღემატებოდა 60,000 მ. იქნება იკითხოთ,—ეხლა რამდენი-ღა აქვს შემოსავალი ქალაქსაო?—125—130,000 მანეთი... და ისევ ის ერთი პირველ-დაწყებითი სასწავლებელი. ასე ზრუნავს ქ. ქუთაისის ინტერესებზე ქუთაისის მოურავი ლ. ლოლუა, რომელიც აგერ ცხრა თუ ათი წელიწადია ქალაქის მოურავად. ქალაქის შემოსავალმა ერთი-ორად იმატა და ქალაქს ერთი პირველ დაწყებითი სკოლაც ვერ მიუმატებია იმისათვის, რაც არის. მართალია, ქ. ქუთაისს დღეს-დღეობით ბ-ნ ლოლუას შემწეობით აქვს ორნაირი „ბნობა“-ი... ქალაქზე, მაგრამ სა-ბნობა-ო სა-

გნებზე ზრუნვას ახალგაზდა თაობის ინტერესებზე ეზრუნა, ისა სჯობდა, მკონი. მერე ისე ცოტა სკოლები მოთხოვნილებასთან შედარებით, როგორც ქუთაისში, არსად არ არის. აქამდის უდიდეს გუბერნიაში მხოლოდ ერთი გიმნაზია იყო მაშინ, როდესაც ტფილისს სამი გიმნაზია აქვს. გიმნაზიაში შესვლის მსურველს და იქიდან უადგილობის გამო უკან დაბრუნებულს იმდენს, როგორც ქუთაისში, ვგონებთ, ვერსად ვერ ნახავთ. სხვა ქალაქის თავი დიდი ხანია მოიფიქრებდა, რომ შეიძლება ცოტაოდენი გადაიდოს ქალაქის შემოსავლიდან და მეორე გიმნაზიის დაარსების შუამდგომლობა აღიძრას, მაგრამ ამას სხვა ქალაქის თავი მოისაზრებს და არა ლოლუა, რომელსაც ქ. ქუთაისის ინტერესების დაკმაყოფილება იმდენად აინტერესებს, რამდენადაც ამ დაკმაყოფილების შესახებ ლაპარაკი სააგიტაციოდ და თავის თავის ამოსარჩევად ივარგებს. ან კი სად აქვს ბ-ნ ლოლუას დრო, როდესაც ყოველ წელიწადს ან თავისი არჩევანი აწუხებს, ან მისი მეგობრის კალისტრატესი. არის ისეთი წელიწადიც, როდესაც არაფერი არჩევანი არ არის, მაგრამ ლოლუაც ხომ ადამიანია, მასაც დასვენება სჭირია და აი, განისვენებს კიდევაც....

—

8 ოქტომბერს ტფილისში თავად-აზნაურობის თეატრში მოხდა საიუბილეო წარმოდგენა. წელს შესრულდა ოცი წელიწადი მას აქეთ, რაც დაარსდა მუდმივი დასი ქართულ ენაზე წარმოდგენების გასამართავად. ოცი წელიწადია არსებობს ჩვენში მუდმივი დასი ქართველ მსახიობთა, ოცი წელიწადია ებრძვის ეს დასი სხვა-და-სხვა ხელის დამშლელ გარემოებას და მაინც არ ჰკარგავს იმედს, რომ მისი საქმე ფეხს მოიმაგრებს ქართულ ცხოვრების ნიადაგზე. ჩვენ არც საკმარისი ცნობები გვაქვს და არც დრო და ადგილი გვაძლევინებს მოვყვეთ აქ ქართულის თეატრის ისტორიას ამ ოცის წლის განმავლობაში. რამოდენიმე სიტყვას ვიტყვი მხოლოდ ჩვენის დრამატიულის დასის მოღვაწეობაზე და დრამატიულის

საზოგადოების, რომლისაგანაც თითქმის ყოველთვის დამოკიდებული ყოდილა ეს დასი, მოქმედებაზე ამ რამდენიმე უკანასკნელ წლის განმავლობაში.

ამ ბოლო დროს წარმოდგენებს მართავს და დრამატიულ დასს წინამძღვრობს დრამატიული საზოგადოება. ამ საზოგადოების შემოსავალს შეადგენენ: 1,000 მან., რომელსაც მას აძლევს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკი, წარმოდგენებისაგან შემოსული ფული და საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ გასართობების შემოსავალი. ყველა ამ შემოსავალთა ჯამი არ აღემატება წელიწადში ხოლმე 10—12 ათასს მანეთს. როგორც ჰხედავს მკითხველი, ამისთანა პატარა ფულით საზამთრო სეზონში წარმოდგენების გამართვა არ ადვილი, მეტად ძნელი საქმეა. მიუხედავად ამისა დრამატიული საზოგადოება მაინც მართავს წარმოდგენებს ყოველ წელს. ამიტომ არც არის საკვირველი, რომ ქართულის წარმოდგენების საქმე არ არის საკმარისად კარგად დაყენებული და ჯერ ბევრს მოითხოვს თავის გასაუმჯობესებლად. თავისად იბადება კითხვა, თუ ცალკე ბანკი იძლევა ფულს, ცალკე სხვა-და-სხვა გასართობები იმართება ყოველ წელს და მისგან შემოსული ფული ისევ დრამატიულ საზოგადოებას ეძლევა, რად აქვს ეგრე ცოტა შემოსავალი საზოგადოებას, იმდენი რად არ შემოდის, რომ ყოველი საჭირო ხარჯი გაისტუმროს. ყოველი ქართულს წარმოდგენებზე მოსიარულე ადვილიდ გიპასუხებთ ამ საკითხზე! — იმიტომ, გეტყვით ის, რომ ხალხი, საზოგადოება, ნაკლებად ესწრება, ამ წარმოდგენებს. როგორც ხედავთ აქაც, როგორც ყველა სხვა საქმეში, ბრალი ედება ქართველ საზოგადოების გულ-ცივობას და დაუდევრობას; ხოლო თვით საზოგადოება, — თეატრში მოსიარულენი თავისს მხრივ ქართულის სცენის აქტიორებსა და დრამატიულ საზოგადოებას უჩივიან, პირველნი — არა სცდილობენ კარგად ითამაშონ და მეორეს კი, — კარგად ვერ აქვს მოწყობილი წარმოდგენების საქმეო.

ყველა ეს საჩივარი, ყველა ეს დრტვინვა მართალია და ყურადღებაში მიღსაღები. მაგრამ, როგორც ყოველთვის მოხ,

დება, როდესაც ორივე მხარეა დამნაშავე, ყველანი ცდილობენ თავიანთი დანაშაული სხვას გადაახოცონ და ამრიგად აზვიადებენ სხვის დანაშაულს. დამნაშავე იმაში, რომ წარმოდგენები არ იმართებიან ისე კარგად, როგორაც ეს შესაძლოა და საჭირო, დრამატიული საზოგადოებაც არის, აქტიორებიც, და თეატრში მოსიარულე ქართველი საზოგადოებაც. მართლაც, თუ ყველა ზემოხსენებულმა მხარე არ დაეხსნა სხვისი დანაშაულის და დაუდევრობის ჩივილს და თავისი გასწორება არ მოინდომა, ის „cercle vitieux-ი“, რომელშიაც დღეს ვართ ჩავარდნილი ქართულ წარმოდგენების გამართვის შესახებ, გაუვალი შეიქნება ჩვენთვის და ქართული თეატრი ყოველთვის დაქვეითებული დარჩება.

მაშ რა არის საჭირო, რომ საქმე გაუმჯობესდეს, რომ ქართულმა თეატრმა აიწიოს? სულ ცოტა რამ,—ყველამ თავთავისი დაჩემებული ფორმულა დაივიწყოს და სხენაირად საჯოს. მაგალითად, ნულარ გაიმეორებენ არტისტები: „თეატრში არავინ დადის და ვისთვის უნდა ვითამაშოთ, კარგად როლები რისთვის უნდა ვისწავლოთ“? ამის მაგიერ ასე სთქვან: „თუმცა თეატრში ნაკლებად დადის საზოგადოება, თუმცა ის ჯილდო, რომელიც მე მეძლევა, მეტად ნაკლებია, მაგრამ მაინც ვეცდები კარგად თამაშს, როლების ცოდნას, რადგან ამით თუ შემოვიჩვევ საზოგადოებას და გარდა ამისა კარგად და ხელოვნურად როლის შესრულება ხომ მევე პირველს უნდა მაკმაყოფილებდეს“. ნულარ ამბობს თეატრში მოსიარულე საზოგადოება: „ქართული წარმოდგენები არ გვაკმაყოფილებენ და რისთვის უნდა ვიაროთ თეატრში“, არამედ სთქვან: „ვიაროთ, რადგან მხოლოდ ამით შეგვიძლიან დავეხმაროთ თეატრს და დახმარება კი საჭიროა მისთვის; ბოლოს ჩვენვე ვისიამოვნებთ, როდესაც თეატრი ჩვენის დახმარებით უფრო კარგად დაყენებული შეიქნება.

დრამატიულ საზოგადოებას კი ყველაზე დიდი ვალი სძევს. ის არის ამომრჩევი პიესებისა, ის არის წარმოდგენების მომწყობი.



ბშირად კარგი პიესა, კარგი იდეისა და შინაარსისა, ყველაფერს გამოიყიდის. სწორედ ამ მხრივ მიუძღვის დრამატიულ საზოგადოებას დიდი დანაშაული. ამ ბოლო წლებში ბევრი მეტად ცუდი, ზოგჯერ პირდაპირ უმსგავსო პიესა დადგმულა ჩვენს სცენაზე. ამ შემთხვევაში საზოგადოებას არაფერი არა აქვს თავის გასამართლებელი: ცუდის პიესის დადგმას სულ არ გამართოს წარმოდგენა, ისა სჯობია. საჭიროა, დრამატიულმა საზოგადოებამ იზრუნოს რეპერტუარის შევსებაზე, მაგრამ კარგის პიესებით, თორემ ეხლანდელი რეპერტუარი გაქვავებულს ჰგავს,—თუ სდგამენ კარგ პიესას,—ის არის მეტ-ნაწილად ძველი პიესა. ვინ ამბობს, ჩვენს ავტორებს მშვენიერი და ღირსშესანიშნავი პიესები აქვთ დაწერილი, მაგრამ მუდამ ერთი და იგივე მეტად მოსაწყენია.

დრამატიულ საზოგადოებას უნდა ახსოვდეს, რომ თუ საზოგადოდ თეატრს დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის ცხოვრებისათვის, ჩვენში ეს მნიშვნელობა განსაკუთრებულია. სხვა რომ არა ვთქვათ, აქ უნდა ესმოდეს მსმენელს კარგი ქართული ენა, თორემ ოჯახშიაც და გარედაც დამახინჯებული ქართული-ლა ისმის. თეატრის მნიშვნელობა ამ მხრივ, რასაკვირველია; სამაგალითოდ მოვიყვანე, რადგან უდიდესი მნიშვნელობა თეატრისა, სულ სხვაში გამოიხატვის. მაგრამ ისეთი ქართული ენა გვესმის ხანდახან სცენიდან, რომ არ მივაქციოთ ამას ყურადღება, არ შეიძლება. ყველა ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ვიცით ვისგან შესდგება ჩვენი დრამატიული საზოგადოება და დრამატიული დასი. პირველში წევრებად ითვლებიან განათლებულნი ქართველი ახალგაზდანი; მეორეს ამშვენებენ ისეთი ნიჭის მექონე არტისტები, როგორნიც არიან: ვლ. ალექსი-მესხიშვილი, ვ. აბაშიძე, კ. ყიფიანი, კანდელაკი, კ. მესხი, ს. სვიმონიძე და სხვ., ქქ. გაბუნია-ცაგარლისა, საფაროვი-აბაშიძისა, ჩერქეზიშვილისა, ეფ. მესხი და სხვ. დიდი სურვილია მხოლოდ საჭირო და ქართული თეატრი შესაფერს სიმალღეზე იქმნება დაყენებული.

საიუბილეო წარმოდგენამ კარგად ჩაიარა საზოგადოდ; ყველა არტისტებმა კარგად ითამაშეს; ზოგი კი საუცხოვო იყო, როგორც მაგალითად, ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა. ბბ. ვასო აბაშიძე. კ. მესხი და შათირიშვილი. უკანასკნელს, თქმა არ უნდა, სცენის ტალანტი აქვს, მაგრამ უბედურება ის არის, რომ სკოლა არაფერი არა აქვს გავლილი და დამრიგებელი და მანევენებელი არაინა ჰყავს.

საიუბილეო წარმოდგენას დაესწრო სხვათა შორის, კავკასიის მთავარ-მართველი, გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი. ამ წარმოდგენამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მისს ბრწყინვალეობაზე და მეორე დღეს მისმა ბრწყინვალეობამ დრამატიულ საზოგადოებას 2,000 მან. შესწირა. ეს შეწირვა მადლობით უნდა მიიღოს ქართველმა საზოგადოებამ, რადგან მასში ქართულის წარმოდგენებით ალტაცების გარდა ჩვენის მხარის მმართველის ჩვენდამი ნდობა და ჩვენს ინტერესებზე ზრუნვაც სჩანს.

—

24 ოქტომბერს აკურთხეს განსვენებულის დიმიტრი ივ. ყიფიანის ძეგლი. ძეგლის კურთხევას ხალხი ბლომად დაესწრო. მიუხედავად ამისა, უნდა ვთქვათ, რომ მეტი პატივი, უფრო კარგი მოგონება ეკადრება განსვენებულს ჩვენგან, რაკი მოვიგონეთ. როგორც მოღვაწეს, განსვენებულს ამ საუკუნეში ქართველთა შორის ტოლი არა ჰყავს თითქმის. აქ მეტია მოყვებით მისს ღვაწლთა დასახელებას; საკმარისია ვთქვათ, რომ დღესდღეობით არა გვაქვს არც ერთი ისეთი დაწესებულება, არც ერთი საზოგადოება, რომ მათს დაარსებაში ან თვით ინიციატივა და პირველობა, ან დიდი მონაწილეობა არ გამოეჩინოს განსვენებულს . . . . .

იმ დღეს, რა დღესაც ძეგლი უნდა ეკურთხებინათ, ერთმა ჩვენმა გაზეთმა მხოლოდ კურთხევის ადგილი და საათი აუწყა თავის მკითხველებს და მეორე დღეს კი სავსებით ასწერა სა-

დილი, რომელიც მარკოვსა და დე-ბაის გაუმართეს და დაბეჭდა სადილზე თქმული სიტყვები.

ერთსა და იმავე დღეს საუკეთესო ქართველის ძეგლს აკურთხებდნენ და ვილაც მოსულებისთვის სადილს მართავდნენ და ამ ორ ფაქტთა შორის ქართულმა გაზეთმა ყურადღება სადილს მიაქცია და ქართველ საზოგადოებას ამ სადილზე ნარახარუხევი წიართვა.

უკეთესის, უფრო დიდის პატივისცემის ღირსი იყავი, კარგო ქართველო! ძეგლი, რომელიც შენ დაგიდგეს მამა დავითის ეკლესიის გალავანში იმის მაჩვენებელია მხოლოდ, რომ თუ სიცოცხლეში საქართველოს თავს ევლებოდი და მისთვის ზრუნავდი, ეხლა შენი სულიერი თვალი ისევ შენს, შენთვის ძვირფასს საქართველოს დაჰყურებს, ხოლო საქმეთა შენთა დიდი ხანია აღგიგეს ძეგლი ყოველის ქართველის გულში!...

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, თავდადებულო მამულისშვილო!

ივ. ზუკაბაშვილი

# ისტორიული ნარკვევი

ანუ

ქრისტოვანთა საქართველონ იტორიისათვის

შედგენილი

ალექსანდრე ჭყონასაგან

მოწონებულია კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან  
საშუალო სასწავლებლების ბიბლიოთეკებისათვის

ფასი 1 მ. 50 კაპ.

ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში.

დაიბეჭდა და ისყიდება

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში

ახალი ქართული წიგნი

## სიტყვიერების თეორია

სალიტერატურო ნიმუშების კრებული ანუ ქრისტოვანთა

წიგნი შედგენილია

ალექსანდრე კავკასიის კარიანისა და გრ. ყაფშიძის-მიერ

ფასი 1 მანეთი

ვინც ათს ცალზე ნაკლებს არ იყიდის, წიგნი დაეთმობა 80 კაპ.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფას-დადებით შეუძლიანთ დაი-  
ბარონ ამ აღრესით: Тифлисъ. Книжный магазинъ Общества  
грамотности.

